ISSN—0132—6066

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1/3
1980

ენისა და ლიტერატურის სერია

2. 1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის სერია

СЕРИЯ ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

თბილისი

ТБИЛИСИ

2. 1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი), თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (*редактор*), Гамкрелидзе Т. В., Гвахариа А. А. (*секретарь*), Дзидзигури Ш. В. (*зам. редактора*), Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ღლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глонти

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.VI.80; შეკვ. 290; ანაწყობის ზომა 7×11 1/2;
ქაღალდის ზომა 70×108 7/16; ნაბეჭდი თაბახი 16,80; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,60; უე 07430; ტირაჟი 2000;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ბ. ბარდაველიძე, დ. კლდიაშვილის შემოქმედების საწყისებთან 5
ლ. სანაძე, ილია ჭავჭავაძის პიესების ბეჭდვის ისტორიიდან 17
ნ. კილანავა, ვახტანგ ორბელიანის ადრეული შემოქმედებიდან 23
ნ. ბეპიევა, გრიგოლ ბაგრატიონის ანთოლოგიები 33
ვ. გუნია, ა. ნ. რადიშჩევის მხატვრული მეთოდის საკითხისათვის 47
მ. დანელია, ჟანრის საკითხი ფოლკნერის ფსიქოლოგიურ ნოველებში . . . 56
თ. შიოშვილი, ქართული მითოლოგიური პერსონაჟები — წყლის დედა, კუდიანი (თედო სახოკიასეული მასალების მიხედვით) 65
თ. ქურდოვანიძე, ქართული კუმულატიური ზღაპარი 76
ლ. ათანელიშვილი, რამდენიმე კრიპტოგრაფიული წერილის შესახებ . . . 84
ა. შანიძე, ლექსიკოლოგიური შენიშვნები (მსხოვარი, მემცხვარე) 89
ვ. ჯანგიძე, ქართული ლექსიკა თურქული ენის დიალექტებში 95
ნ. ქუთელია, ლაზური ვოკალიზმი 105
ნ. კიზირია, უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაცია ჭანურის ათინურ კილოკავში 121
ნ. რობაქიძე, ტერმინი 'იბდāლ-ი ზამახშარისეული ინტერპრეტაციით . . . 128
ი. ზიცარი, „მონა“ და „მოსამსახურე“ ქართველურ ენებსა და ბასკურში . . 131
ვ. ჩირიკბა, საერთო კავკასიური lag/lah „მონა“, „მამაკაცი“ 138

ცნობები და შენიშვნები

ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ 142

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ალ. ბარამიძე, შ. ძიძიგური, ს. ცაიშვილი, ა. გვახარია, „რუსთაველის კოსმოლოგია“ 182
მ. იმნაძე, ოტარიდის „ბრუნვა“ და მისი ინტერპრეტაცია 186

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Б. К. Бардавелидзе, К истокам творчества Д. Клдиашвили 5
Л. Г. Санадзе, История печатания пьес Ильи Чавчавадзе 17
Н. Д. Киланава, Из раннего творчества Вахтанга Орбелиани 23
Н. И. Бепиева, Антологии Григория Багратиони 33
В. А. Гуниа, К вопросу о художественном методе А. Н. Радищева . . . 47
М. С. Данелиа, Проблема жанра в психологических новеллах Фолкнера . 56
Т. Шиошвили, Персонажи грузинской мифологии — «Цклис Дэда», «Кудиани» (по материалам Т. Сахокиа) 65
Т. Д. Курдованидзе, Грузинская кумулятивная сказка 76
Л. А. Атанелишвили, О некоторых криптографических письмах . . 84
А. Г. Шанидзе, Лексикологические заметки (msxovar-i, «овца», memcxvare «овцевод») 89
В. Т. Джангидзе, Грузинская лексика в диалектах турецкого языка . 95
Н. С. Кутелиа, Лазский вокализм 105
Н. А. Кизириа, Аффрикатизация заднеязычных смычных согласных в атинском говоре чанского диалекта занского языка 121
Н. И. Робакидзе, Термин, 'ибда̄л в интерпретации Замахшари . . . 128
Ю. В. Зыцарь, О названиях раба, слуги и т. п. в картвельских и баскском языках 131
В. А. Чирикба, Общекавказское lag/lah «раб», «мужчина» . . . 138

Сообщения и заметки

В. И. Силогава, Об издании грузинских эпиграфических памятников Армении 142

Критика и библиография

А. Г. Барамидзе, Ш. В. Дзидзигури, С. С. Цайшвили, А. А. Гвахария, «Космология Руставели» 182
М. П. Имнадзе, «Вращение» Отарида и его интерпретация 186

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები

ბეჟან ბარდაველიძე

დ. კლდიაშვილის შემოქმედების საწყისებთან

1882 წლის შემოდგომიდან დავით კლდიაშვილი უკვე საქართველოშია. სრული ათი წელი იმყოფებოდა იგი სამშობლოდან შორს, კიევსა და მოსკოვში, მოწყვეტილი მშობლიურ გარემოს, კულტურას, ენას.

80-იანი წლები ქართული კულტურის აღმავლობის წლებია. ამ განახლებამ, რომელიც ჩვენში დიდმა განმანათლებლებმა, თერგდალეულებმა, დაიწყეს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით, ნაყოფი გამოიღო. მე-19 საუკუნის 80-იანი წლები ქართული მწერლობის ახალი პერიოდია რეალიზმის განვითარების, მხატვრული გამოსახვის ფორმების სიახლისა და მრავალმხრივობის თვალსაზრისით. „ამის მაუწყებელია, უპირველეს ყოვლისა, ალ. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა. ამავე პერიოდში ახალ შედევრებს ქმნიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ასევე დაუცხრომლად იბრძვიან ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის წინსვლელობისათვის სამოციანელთა სხვა წარმომადგენლები — ნიკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი და სხვ. გარკვეულ სიახლეს მოასწავებდა ამ წლებში ხალხოსანი მწერლების (ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ი. დავითაშვილი, ზ. გულისაშვილი და სხვ.) გამოსვლაც“[1]. საკმაოდ მრავლად გამოდის ჟურნალ-გაზეთები. მთავარი მაინც ისაა, რომ „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მთელი პროგრესული პრესა, კერძოდ, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ისე ხალხოსნური მოძრაობის ჟურნალ-გაზეთები საერთო-დემოკრატიული, ე. ი. არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოები იყო. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის, ბატონყმობისა და მისი ნაშთების რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკა და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე მთელი ერის, მისი მშრომელი უმრავლესობის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესთა უტოპიური დაცვა იყო მათი ძირითადი შინაარსი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. იმდროინდელმა დემოკრატიულმა პრესამ ნიადაგი მოუმზადა კლასობრივი ბრძოლის პროლეტარული პერიოდის ჟურნალ-გაზეთებს“[2]. იგივე ვითარება იყო მაშინდელ რუსეთშიც[3]. ლიტერატურული ცხოვრება და საზოგადოებრივი აზრი დაძაბული იყო.

ამ ვითარებაში ახალგაზრდა დავით კლდიაშვილს განსაკუთრებით მწვავედ უნდა ეგრძნო მშობლიური ენის არასაკმარისი ცოდნა, მით უფრო, რომ

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.4, თბ., 1974, გვ. 326.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 811.

[3] შდრ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, 1951, გვ. 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწერლო მოწოდება მან ადრეულ ასაკში, ჯერ კიდევ კიევის სამხედრო გიმნაზიაში სწავლისას, იგრძნო[4].

დავითი მისთვის ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა მშობლიური ენის აღდგენას. სასიახლოებრივი პირობები, ცხადია, საამისოდ შეუფერებელი ჰქონდა. სამაგიეროდ, იგი დაუახლოვდა დურმიშხან ქურულის ინტელიგენტურ ოჯახს. შემდეგში დავითი მადლიერების გრძნობით იგონებს ქურულის მეუღლეს, ქეთევანს, რომელმაც დაუფასებელი დახმარება გაუწია „ჩიქორთული ქართულის“ გამოსწორებაში. ასევე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მასზე ბათუმში დროდადრო ჩამოსული ქართული სცენის ოსტატებთან ურთიერთობამ, რომელთა რიგს ამშვენებდნენ ლადო მესხიშვილი და ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა და ნატო გაბუნია, აგრეთვე, დიდი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც იმ ხანებში სცენაზეც თამაშობდა. ასე რომ, დავითი პირველად და უკანასკნელად თავის სიცოცხლეში სცენაზეც კი გამოსულა[5].

მაინც ათი წელი დასჭირდა დავითს, რომ დაუფლებოდა მშობლიურ ენას, შეჭრილიყო მის წიაღში, ექცია იგი თავისი მხატვრული შემოქმედების ენად; ზუსტად ათი წელი, იმდენივე, რამდენმაც მას დაავიწყა ქართული. ეს არის წლები დაუღალავი სრულყოფისა, ცდებისა და ძიებებისა როგორც ენის წიაღში, ასევე ლიტერატურული შემოქმედების ძირითადი ტენდენციების ჩამოყალიბებისათვის.

ბევრი არაფერი ვიცით ამ ათი წლის შესახებ. მაგრამ მწერლისაგან მოწოდებული ორიოდე ცნობა, აგრეთვე რამდენიმე შემორჩენილი უბის წიგნაკი და ჩანაწერები, მაინც იძლევა საშუალებას ასე თუ ისე გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მწერლის შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესზე.

უკვე 1883 წელს, ბათუმში ჩამოსვლის ერთი წლის თავზე, საყმაწვილო ჟურნალ „ნობათში“ დაიბეჭდა დავით კლდიაშვილის მიერ გერმანულიდან გადმოთარგმნილი ჰერდერის პატარა მოთხრობა „მწყემსი“. მასში ნაამბობია პატარა მწყემსის შესახებ, რომელიც შემთხვევით გაიცნო შაჰმა, მოეწონა, სასახლეში წაიყვანა და შემდეგში ყოფილი მწყემსი დიდად დაწინაურდა. უნდა ვიფიქროთ, რომ გარდა მწერლობაში ვარჯიშისა, დავითი მიიზიდა მოთხრობის ჰუმანისტურმა, ერთგვარად დემოკრატიულმა შინაარსმა.

ეს თარგმანი ჩვენთვის სხვა მხრივაცაა საინტერესო: იგი სამაგალითოდ „სწორი ქართულითაა“ დაწერილი, ისეთი ქართულით, რომელიც სანიმუშო უნდა ყოფილიყო მოზარდთათვის. აი, ნაწყვეტი ამ თარგმანიდან: „ერთხელ შაჰი თავის მხლებლებით სანადიროდ წავიდა. ნადირობის დროს თავის ამალას დაშორდა და ერთ მთას მიუახლოვდა. აქ გაფანტული იყო ცხვრის ფარა. შაჰს სალამურის ხმა და მასთან მშვენიერი სიმღერა მოესმა. გაეშურა, საიდგანაც ისმოდა წმინდა, ნაზი ხმა. აქ, ხის ძირას, ბავშვი იჯდა, ხელში სალამური ეჭირა“[6].

აქ დაცულია ქართული ენის ყველა ქრესტომათიული პრინციპი: ჯერ ქვემდებარე, შემდეგ — შემასმენელი, სინტაქსური წყვილების ზუსტი თანმიმდევრობა და ა. შ. თხრობა სადაა, საგანგებოდ მწყობრია. შესანიშნავი სავარჯიშოა ქართული ენის შემსწავლელთათვის.

---

4 იხ. დ. კლდიაშვილი, თხზულებანი, 1952, ტ. 2, გვ. 252.

5 დ. კლდიაშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 141—143.

6 „ნობათი“, 1883, 5, გვ. 274.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც რომ დავუშვათ, რედაქციამაც გაჰკრა კალამი დამწყები ავტორის ნამუშევარს, დავითისათვის ეს თარგმანი მაინც გარკვეული წარმატების მაუწყებელი უნდა ყოფილიყო.

დავითი მეთოდურად, სამხედრო კაცისათვის დამახასიათებელი სიმტკიცით მოჰკიდებია საქმეს: „...ვიწაფებოდი წერაში — ვთარგმნიდი ხან გერმანულიდან, ხან ფრანგულიდან“[7]. 1886 წელს ჟურნალ „თეატრში“ დაბეჭდა კარმენ სილვას მოთხრობის „მთა-ნახშირის“ თარგმანი[8].

დამწყები მწერალი ამჯერად კიდევ მეტი შერჩევით მოჰკიდებია თარგმნას. მოთხრობა, გარდა დემოკრატიული შინაარსისა, მძაფრად გამოხატული პატრიოტული პათოსითაა გამსჭვალული. რადგან ეს თარგმანი დ. კლდიაშვილის თხზულებათა კრებულებში შემდეგ აღარ შესულა და ერთგვარ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობასაც წარმოადგენს, არაა უინტერესო მისი მოკლე შინაარსის გაცნობა.

კარმენ სილვას[9] „მთა-ნახშირი“ რუმინელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას შეეხება. მასში აღწერილია სოფლელი ქალ-ვაჟის, მშვენიერი პონას და ასევე მოხდენილი ჭაბუკის პანასას სიყვარულის ისტორია. პონა და პანასა უკვე დანიშნულებად ითვლებიან, მაგრამ ომი დაიწყება და პანასაც თავისი პატრიოტული მოვალეობის აღსასრულებლად მიდის. გადის ხანი და მოულოდნელად, ღამით, პანასა პონას გამოეცხადება: იგი ფრონტიდან გამოპარულა, რადგან პონას სიყვარული მოსძალებია. ქალი განრისხდება და ბედუკუღმართ საქმროს ხელსა ჰკრავს: „მოვკვდები და შენისთანა მხდალს ქმრად არ დავისახელებ, იმიტომ რომ შენისთანა ქმარი საზიზღარი იქნება მხოლოდ“. პონა მიუთითებს ტყით შემოსილ მთაზე, რომელიც მათ სოფელს გადმოჰყურებს: „ის მთა უფრო ადრე ფერფლად იქცევა, ერთიანად ცეცხლი ჩანთქავს, სანამ პონას შენს ცოლათ ნახავ...“. მართლაც, ატყდება საშინელი ჭექა-ქუხილი, მთას ცეცხლი მოედება და ნახშირად იქცევა. შეძრწუნებული პანასა უგზო-უკვლოდ გარბის. კარგა ხნის შემდეგ პონა ბრძოლის ველზე იპოვის დაჭრილსა და დასახიჩრებულ პანასას, რომელსაც გასაოცარი გმირობა გამოუჩენია. პონა გამოაბრუნებს ვაჟს, ცოლად გაჰყვება და ამაყობს ბრმა, მაგრამ გმირი ქმრით: „აბა ვის ჰყავს ჩემისთანა ქმარი, სახელოვანი, დამსახურებული, — მე შემიძლია მაგით ვიამპარტავნო!“

აი, ასეთი შინაარსის მოთხრობები უთარგმნია დავითს. მას მოსწონს უბრალო ადამიანების ნიჭიერება, მათი მაღალი ზნეობა, ქალის ერთგულება და სულის სიმტკიცე.

ამავე წლებში უნდა იყოს შესრულებული დავით კლდიაშვილის მცირერიცხოვან ხელნაწერებში შემონახული რამდენიმე თარგმანი ფრანგულიდან, უპირატესად სამიჯნურო ან ყოფითი ხასიათისა, მაგრამ ისინი აღარ დაუსრულებია.

დავითის ყურადღება უკვე საკუთარი შემოქმედებითი ძიებებისკენაა მიმართული. ეს ძიებები მრავალფეროვანია. უპირატესად მორალისტური ხასიათისაა. აქ არის სკეფსისიც. ადამიანთა საზოგადოების მოუწყობლობის გამო, რომელსაც ეწირება ოჯახი, სიყვარული, ღირსება.

---

[7] დ. კლდიაშვილი, თხზ. ტ. 2, გვ. 253.

[8] „თეატრი“, 1886, № 7. თავის მოგონებებში დავითი შეცდომით მიუთითებს თარგმანის გამოქვეყნების თარიღს — 1885 წელს.

[9] კარმენ სილვას სახელით წერდა რუმინეთის დედოფალი ელიზავეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1885 წლის მაისით დათარიღებული დაუმთავრებელი მოთხრობა „შთამომავალნი“[10]. მოთხრობაში აღწერილია გაღატაკებული აზნაურის სვიმონ სამანიძის ასულის, კესარიას ხვედრი, კესარია ენერგიული, გონებაგახსნილი და მომხიბლავი ქალიშვილია. მას გარს ახვევია თაყვანისმცემლები: ანდრია ჭყონია, ლუკა შემოქმედელი, მწერლის დახასიათებით — „უნიჭო, გამოტვინებული საზოგადოება“. აქვეა ალექსი გიორგაძე, განათლებული, კეთილშობილი ინტელიგენტი, რომელიც თვალყურს ადევნებს ახალგაზრდა ქალს და მის თაყვანისმცემლებს. „შეუძლებელია, რომ ეს გონებაგახსნილი ქალი, ყოველივე კაცთამმაღლებელის აზრის მომდევნო, ისე დამცირებულიყოს, ისე დაცემულიყოს, რომ არ ძაგდეს გარშემორტყმული უნიჭო საზოგადოება...“

კესარია მაინც უნიჭო და თავხედ ანდრია ჭყონიას მიჰყვება ცოლად, რაზედაც ალექსი იტყვის: „მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ იგი ამხანაგს კი არ ეძებდა, არამედ ფულს...“

ამ საკმაოდ ვრცელ მოთხრობის მონახაზში უკვე იგრძნობა დავით კლდიაშვილის შემდგომი შემოქმედების ერთ-ერთი წამყვანი თემა: ქალის ბედი მემამულურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

დავითს, ეტყობა, გაცილებით ფართო ჩანაფიქრიც ჰქონია. ერთგან ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ორი ახლად აღმოცენებული ძალები ხვდებიან გზაზედ ერთმანეთს, ორივეს წინ ძევს ჯერეთ უცნობი, გასავლელი ფართო ასპარეზში, — ცხოვრების მოედანი. ალექსი გიორგაძე, კესარია სამანიძე — ახალი ძალები ჯერეთ დაუღალავი. ანდრია ჭყონია, ლუკა შემოქმედელი—დაღალულები, მძებნელნი მათ ფუჭი ცხოვრების ამომვსებელი საგნებისა“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კესარია შემდგომში შეინანებს თავის საქციელს, მამის ნებას რომ დაჰყვა და ანდრიას მისთხოვდა.

„შთამომავალნში“ ერთგვარად გამოკვეთილია დ. კლდიაშვილის შესანიშნავი დრამატული პიესის „ირინეს ბედნიერების“ კონტურები, რომელიც მან ათი წლის შემდეგ უნდა დაწეროს. ყოველ შემთხვევაში, ხასიათების მსგავსება იგრძნობა: კესარია — ირინე, ალექსი გიორგაძე — ვიქტორი, ანდრია ჭყონია — აბესალომი, სვიმონ საბანიძე — ფილიპე ბარბაქაძე.

საყურადღებოა „შთამომავალზე“ მუშაობის სტილიც: სანამ ნაწარმოებში შეიყვანდეს, დავითს პერსონაჟების ცალკეული დახასიათება დაუწერია, ერთგვარი კართოტეკა შეუდგენია: „კესარია საბანიძე“, „ალექსი გიორგაძე“, „ანდრია ჭყონია“ (ცხადია, დავითმა იცის ბალზაკის, ლევ ტოლსტოისა და სხვათა გამოცდილება). სამწუხაროა, რომ სხვა ამგვარ მაგალითს დავითის ნაწერებიდან ჩვენამდის არ მოუღწევია.

ოჯახისა და სიყვარულის თემაზე, ეტყობა, ახალგაზრდა მწერალს სხვა მოთხრობებიც ჩაუფიქრებია, გეგმებიც მოუხაზავს, მოქმედ პირთა სახელებიც ჩაუწერია, მაგრამ დასრულებული ნაწარმოები არ ჩანს.

თუმცა დავითის ამავე პერიოდის ჩანაწერებში გვხვდება ერთი მოთხრობა, „კოსტა ძალიძე“, რომელსაც დასრულებული სახე აქვს, თუმცა თავი და ბოლო აკლია, ფურცლებია ამოხეული[11].

მოთხრობა საინტერესოა თუნდაც იმით, თუ რატომ არ დაასრულა იგი

---

[10] თბილისის ლიტერატურული მუზეუმის დავით კლდიაშვილის ფონდი.

[11] დ. კლდიაშვილის ფონდი, № 146, 915.

მწერალმა და რატომ არ გამოაქვეყნა. მასში გვხვდება რამდენიმე პასაჟი, რომელიც შემდეგ სხვა მოთხრობებში უნდა გამოიკვეთოს.

კოსტა ძალიძე მშრომელი გლეხკაცია; გარეგნულადაც მოხდენილი ვაჟკაცია. იგი ცოლად შეირთავს ლამაზ ვაროს. კოსტა, ისევე როგორც მისი მეზობელი გლეხები, მადნებზე დადის სამუშაოდ და ფულის შოვნაში ისე გაერთობა, რომ ხანგრძლივად უხდება შინიდან წასვლა. ვაროს უყვარს ქმარი, მოწყენილია უიმისოდ და ხშირად განმარტოვდება ხოლმე ვენახში. ერთხელ მას განმარტოებულს ნახავს მეზობლად მცხოვრები ახალგაზრდა თავადიშვილი როსტომ ლარპანიძე. როსტომი გაუმიჯნურდება ვაროს, არ იშურებს საალერსო სიტყვებს, ახერხებს ხშირად შეხვდეს და მალე მიზანსაც მიაღწევს. ვაროსაც შეუყვარდება მუდამ მოალერსე როსტომი და დანებდება მას, მით უმეტეს, რომ ხანდახან შინ მოსული კოსტა, დაღლილი მძიმე შრომისაგან, აღარაა წინანდებურად თბილი და ყურადღებიანი ცოლის მიმართ. ქალს სინდისი აწუხებს, მაგრამ თავს იმით იმართლებს, რომ ქმარს აკლია ყურადღებიანობა, ცოლისადმი გულისხმიერება, რასაც ვერავითარი საკაბე (რომელიც კოსტას მოაქვს საჩუქრად ცოლისათვის) ვერ შეცვლის. ერთხელაც კოსტა მოდის შინ და ცოლი არ დახვდება... მოთხრობა აქ წყდება.

რა უნდა მომხდარიყო შემდეგ? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოსტა არ დათმობდა თავის უფლებებს და სისხლიანი ტრაგედია დატრიალდებოდა. შეიძლება ისიც მომხდარიყო, რომ ვაროს დაეცვა თავისი სიყვარული და კოსტას გასცლოდა.

საერთოდ, ცნობილი სიუჟეტია და აქ ვარიანტები არცთუ ისე ძნელი ამოსაცნობია.

ასეა თუ ისე, დავით კლდიაშვილს ეს მოთხრობა, სადაც სიუჟეტი და ხასიათები პირდაპირაა მოწოდებული, როგორც ჩანს, საბოლოოდ არ დაუმუშავებია და არც არასოდეს გამოუქვეყნებია.

რატომ? ალბათ იმიტომ, რომ კოსტა ძალიძეს იგივე უნდა გაეკეთებინა, რაც გააკეთა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გმირმა სიმონა ძალაძემ (ძალიძე — ძალაძე!): იარაღი უნდა აეღო ხელში და შური ეძია თავადიშვილზე, ან არადა ბედს უნდა შერიგებოდა და ვარო დაეთმო.

პირველ შემთხვევაში დავითს მეტოქეობა უნდა გაეწია მასთან ერთად სამწერლო ასპარეზზე გამოსული ნიჭიერი მწერლისათვის. ამის ზნეობრივ უფლებას კი არასოდეს მისცემდა თავის თავს დავით კლდიაშვილი. მეორე შემთხვევაში მწერალს უნდა დაერღვია გმირის ხასიათი: კოსტა ქართველი გლეხკაცია, იგი თავმომწონე ვაჟკაცია და ოჯახის სირცხვილ-ნამუსის საკითხში ემანსიპაციის იდეებზე ვერ დადგებოდა. ამიტომ გაუცივდა გული დავითს ამ მოთხრობაზე, რომელზედაც საკმაოდ უმუშავია, ბევრი ჩაუსწორებია, დიალოგები დაუხვეწავს, პორტრეტიც კი დაუხატია, მაგალითად კაროსი, და ა. შ.

სულ მალე, 1894 წელს, დავითი აქვეყნებს მოთხრობას „მსხვერპლი", რომელშიც ცოტა რამეს იყენებს „კოსტა ძალაძიდან": ვარო მარინად იქცევა, როსტომი — დავითად, ხოლო მოხდენილი და ენერგიული კოსტა — დონდლო და უნებისყოფო ნიკად. აქ ყველაფერი თავის ადგილას დადგება და შეიქმნება დავით კლდიაშვილის ერთ-ერთი უშესანიშნავესი მოთხრობათაგანი. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა კი მივუბრუნდეთ დავით კლდიაშვილის შემოქმედებით ძიებებს.

თუ რა ზნეობრივი ხასიათის საკითხებს უტრიალებდა დავით კლდიაშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მწერლობაში ვარჯიშის დროს, შეიძლება წარმოვიდგინოთ, აგრეთვე, ზოგიერთი ფრაგმენტით, რომლებიც მის უბის წიგნაკებს შემოუნახავს.

რაკი ეს ფრაგმენტები მცირე მოცულობისაა, ზოგიერთ მათგანს სრული სახით მოვიყვანთ, მით უფრო, რომ ისინი არსად გამოქვეყნებულა და სპეციალური დაკვირვების საგნადაც ჯერჯერობით არავის გაუხდია.

„უიმედო“:[12] „მართალია, წამს უკეთესი მომავლისა, ამისათვის მეცადინეობს და არ ღალატობს წმინდა კაცობრიულ მოვალეობას, მაგრამ თან სდევს ყოველ მოქმედებაზედ, ყოველ განზრახვაზედ, ყოველ აზრზედ... რომ იგი არ იქნება მოსარგებლე მონაწილე იმ უკიდურესობისა, ამდენი წვალებით რომ უნდა მოიგოს კაცობრიობამ, რომ იგი ვერც კი იგრძნობს ამისაგან ვერაფერს, რომ თვით ეს სიკეთე, ეს უმჯობესი მომავალი ერთ დღეს ჩაინთქმება უსაშინლეს უფსკრულში, დაუბოლოველ დავიწყებაში ჩაინთქმება, აღიგვება სრულიად თელ დედამიწასთან ერთად... ღირს ამისათვის ამდენი წვალება, ამდენი წამება, ტანჯვა-მწუხარება?! — და ღონე მიხდილი იგი უძლურივით, მიმჭკნარ ფოთოლივით ეგდო დივანზედ, ჩაფლული რბილ საჯდომში და თვალწინ უდგა ეს დედამიწა, მსრბოლავი სადღაც დაუსაბამო სივრცეში, საითკენაც მიმქროლავი დაუსაბამობა გონებას უწამლავდა და სიმხნევეს აკლებდა, და ასე იჯდა თელი საათები. დრო მიდიოდა, განძრახული საქმე იქით იდებოდა, გაღვიძებას აღარ მოჰქონდა ის სიცოცხლე, ის ინტერესი, წინათ რომ ჰქონდა აღძრული“.

თითქოს ამ ფსიქოლოგიური ეტიუდის გაგრძელებაა მეორე ფრაგმენტი: „ხელათ დაბადებული აზრი გაიტაცებს... ათასნაირათ დაიყოფა, დასრულდება, თითქმის მზათაა სისრულეში მოსაყვანათ — თვითონ ისე რიგათ გატაცებულია, რომ მის ოცნებას სამძღვარი არა აქვს... მძიმე საქმე ისე ადვილად სისრულეში მოსაყვანად ეჩვენება, რომ გადაწყვეტილათ სთვლის, სხვაც აღტაცებაში მოჰყავს. გადის ხანი... აღსრულებას ჯერ თავი არ უჩანს, საქმე დაწყებულიც არ არის... მარტო ოცნება, ერთი და იგივე აზრის შემუშავება ნელა-ნელა ასუსტებს ტვინს“[13].

ახალგაზრდა დავით კლდიაშვილი ფსიქოლოგიურ პრობლემას ეჭიდება, პიროვნების რღვევის პროცესი აინტერესებს. მოყვანილ ფრაგმენტებში ეს პროცესი გაშიშვლებულია, პირდაპირაა მოწოდებული.

როგორც ჩანს, დავითს პიროვნების ფსიქოლოგიური ანალიზი, პიროვნების რღვევის პროცესი იმდენად აინტერესებდა, რომ ამ თემაზე დრამატული პიესის შექმნაც განუზრახავს.

იმავე დღიურში გვხვდება საყურადღებო ჩანაწერი სათაურით: „ჰეროსტრატი. მონოლოგი“[14].

რატომ გაიხადა თავისი დაკვირვების საგნად დ. კლდიაშვილმა ძველ ბერძენთა ეს ნახევრად ლეგენდარული, ტრაგიკომიკური პერსონაჟი, პატივმოყვარეობისა და ფუჭი დიდების განსახოვნება?

ეს მისი ძიებების ლოგიკური შედეგი უნდა ყოფილიყო. ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტების პატივმოყვარე გმირი უნებისყოფობამ, საქმის ბოლომდე მიუყვანლობამ, პესიმიზმმა, საკუთარი თავისადმი რწმენის დაკარგვამ სრულ

[12] დ. კლდიაშვილის ფონდი, № 14747.

[13] დ. კლდიაშვილის ფონდი, № 14748.

[14] დ. კლდიაშვილის ფონდი, № 14748.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპრესიამდე მიიყვანა. დასაშვები იყო მეორე შესაძლებლობაც — შური. აქედან კი ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა პართენონის გადაწვამდე, ჰეროსტრატეს ბოროტმოქმედებამდე. მოვიყვანთ ამ მონოლოგის ამონაწერს.

„ჰეროსტრატი. მონოლოგი“. „დღენი მირბიან, მე კი ისევ ის უცხო კაცი ვარ, რაც აქამდინა ვიყავი. ღმერთნო, მოვა დღე და მიწა შთანთქამს და გაქრება შენი სახე, სახელი შენი, ვინაობა! რა უნდა დავრჩეს სიკვდილის შემდეგ, რომ მოგიგონებენ — ხუთი, ათი წელიწადი და გამხსენებელიც არავინ გეყოლება... უნდა გათავდეს ეს ნაწვალები ცხოვრება არარაობით, შედეგი მისი — არაფერი... ოჰ, ნეტარ თქვენ, დიდებულნო, რომელთ სახელს გაიძახიან მათი სიკვდილის შემდეგაც, არ წაიშლებიან კაცთა ჭკუაში, სანამ კაცი დედამიწაზედ არ განქრება... მშურს თქვენი ბედნიერება... თელი ცხოვრება სახელის ძებნაში გამიტარებია, ჩემი ძალ-ღონე მასზედ დამილევია!.. ბუნებას ჩემთვის არ ურგუნებია ბედი თურმე, მაგრამ მე მაგით ვერ დამამშვიდებ, ბუნებავ! ბრძოლას შენ გამოგიცხადებ და თუ მით ვერას გავხდები, ოჰ, მაშინ ჩემს ტვინს ჩემივე ხელებით დავაქცევ! ღონე მელევა!. ძალა აღარა მაქვს! თანდათან რაღაც წყდება ამ გულში. (შემოდის ცოლი) მიკვირს, როგორ ცხოვრობენ უმეტესი ნაწილი კაცობრიობისა დღითი დღეთ და არც კი აწუხებთ მათ მისი მოგონება, (რომ) სიკვდილთან ერთად განქრება მათი სახელიც და ხსენებაც... რა ამორჩილებს მათ ამგვარ უსინათლო ხვედრს, რა არიგებს ორი საათის ცხოვრებასთან?!“...

რკალი შეიკრა: უნებისყოფო, პატივმოყვარე ინტელიგენტი ჰეროსტრატედ იქცა. სიკეთე ბოროტებად იქცევა, თუ იგი ჯანსაღ საწყისებზე არაა დამყარებული, — ასეთია, ალბათ, დავით კლდიაშვილის დასკვნა, ადამიანის ბუნებაზე დაკვირვებიდან გამომდინარე.

სამწუხაროა, რომ მწერალს არც ერთი ზემოთ მოყვანილი ჩანაფიქრი მხატვრულ ნაწარმოებად არ უქცევია. თუმცაღა ფსიქოლოგიური ანალიზის ჩვევები მას დიდად გამოადგება შემდეგში.

როგორც 80-იანი წლების ხელნაწერებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, დავით კლდიაშვილს ინტერესი პროზისა და დრამატურგიისადმი ერთდროულად უჩნდება. „ჰეროსტრატი“ აშკარად ტრაგედიადაა ჩაფიქრებული, ზოგიერთი პროზაული ვარიანტიც შემდეგ მის პიესებში პოვებს გამოძახილს, მაგალითად, „შთამომავალნი“.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა დავითის ერთი ჩანაწერი, რომელიც დრამის ან ტრაგედიის ვრცელი მონახაზი უნდა იყოს; საყურადღებოა იმით, რომ ახალგაზრდა დავით კლდიაშვილი ინტერესით სწავლობს საქართველოს შორეულ წარსულს, როგორც ჩანს — პირველწყაროებიდან, და იმითაც, რომ სანამ პიესის წერას შეუდგებოდეს, მწერალი ჯერ მის პროზაულ ვარიანტს ჰქმნის, ყურადღებით ამუშავებს სიუჟეტს, ხასიათებს და ა. შ.

განზრახული დრამის სიუჟეტად დავითს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ფარნავაზის, ცხოვრების გარდამტეხი მომენტი აუღია.

ჯერ ჩანაწერი ვნახოთ და შემდეგ გავარკვიოთ, როგორ სარგებლობს დავითი ისტორიული წყაროთი.

„საქართველოს გამგებელი აზონ პატრიკაა. მისგან შეურაცხებამ საქართველოსადმი, ხალხის სარწმუნოების გაბილწვამ და ყოველივე მისი სიპატიოსნის გაქელვამ ქართველები უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანეს. ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი აღელვებულია· დღეს გამოცემულია ბრძანება, რომ ხალხს ეკრძალვის ცეცხლის თაყვანი და მის მაგიერ თაყვანი უნდა სცეს მთვარეს, მზეს და ვარსკვლავებს... მოგვები პატრიკას ნებით უნდა იყვნენ ამორჩეულნი... (პირველი სცენა-განცხადება) გამხეცებული ხალხი მივარდება... და უნდა რომ მოჰკლას იგი და აღელვებული მიეშურება აზონის სასახლისაკენ.

„ფარნაოზ, სამარის ძმისწული, მიღებულია აზონის სასახლეში და ძრიელ პატივცემული. აზონი ყოვლისფრით ცდილობს, რომ იგი გადაიბიროს და დაავიწყოს თავისი სამშობლო, ხალხი და უნდა რომ დაინათესავოს — ცოლად მისცეს თავისი ქალი ისმენა. ეს უკანასკნელი კიდევაც უყვარს ფარნაოზს და მისი გამოისობით ბევრს, რაც ხდება, ყურსაც არ ათხოვებს. დედა ფარნაოზის გულზედ სკდება, რომ აზონმა და ისმენამ ისრე შეიპყრეს მისი შვილი, და დღეს საშინლად ძრახავს შვილს მისი ქცევისათვის, აგონებს მის მამა-ბიძას, თავისუფლებისათვის მოკლულებს, ხალხს, რომელიც საშინელ ტანჯვაშია და ის კი გრძნობას გაჰყოლია და იქ პოვებს სიამოვნებას, სადაც თელი ხალხი იტანჯება. ფარნაოზი საშინელ მდგომარეობაშია. აი, მივიდნენ კიდეც წარმოგზავნილები, რომ ხალხი შემწეობას თხოვს მას, როგორც მამასახლისის ძმისწულს.. ფარნაოზი დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ თანახმაა. ადგილი და დრო დანიშნულია, ხვალ ღამისათვის. დედა ამხნევებს შვილს...

„ღამე. მთვარე. ერთი მეორეზედ მოდიან შემთქმელები... ბასი... აზონს თავს უნდა დაესხნენ და ამოსწყვიტონ მისი მომხრეებით... ხალხი მიდის მიზნის ასასრულებლად·

„არტანუჯიდან მოდის აზონი და სომხეთის ვალი. მცხეთაში დიდი მზადებაა, ხალხი ელოდება თავის დამხსნელს... ტრიუმფალური შემოსვლა.

„ფარნაოზ მიდის აზონთან. ეხვეწება, ნუ ინებებს ხალხის დაჩაგვრას, მისი სიამპარტავნის დამცირებას და თხოვს დაარღვიოს თავისი გადაწყვეტილება და გაანთავისუფლოს ქურუმი ქულაჯა. აზონი ეუბნება, რომ თავს რად იწუხებო, თქვენი ხალხი ღირსი არ არის, რომ მისთვის შენისთანა ყმაწვილმა თავი შეიწუხოს და სხვაც შეაწუხოსო, შენ ხომ არა გევნება რაო, და თუ გასაჭირში იქნები, იგი, აზონი, მზად არის მისდა მისაშველებლად... აზონი უშვერი სიტყვებით ახსენებს ქართველებს (მხეცებს, გაუნათლებლებს, უგნურებს, ბლუებს). ფარნაოზი გულგახსნილად ეუბნება, რომ თელი ხალხი მისგან დაჩაგრულია, რომ თუ ბერძნებმა სპარსელების წინაამდეგ თავი გამოიდვეს, თერმოპილაში სამასმა კაცმა მილიონს გაუძლო — ქართველები გაუმაგრდებიან თავიანთ მტარვალებს, მტანჯველებს და ვაის დღე შორს არ არის — მალე მოაღწევს...

„ — ვისთვის იქნება ის ვაის დღე? — სიცილით კითხავს აზონი.

„ — ვნახოთ... — ეუბნება ფარნაოზი... — ყმაწვილი ხარ, მეტათ გულუბრყვილოთ იქცევით... — ეუბნება აზონი... მოთმინებიდან გამოსული ფარნაოზი გარბის სასახლიდან სიტყვებით, რომ ცეცხლი, გამწმენდი ყოვლის, განწმენდს საქართველოს, რაც მასში უხეიროა“[15].

ხელნაწერი აქ მთავრდება, მთავრდება იქ, როდესაც ფარნაოზმა გადამწყვეტი მოქმედება უნდა დაიწყოს. ფარნაოზი გარბის სასახლიდან ყვირილით: „ცეცხლი, ყოვლისა გამწმენდი, გაწმენდს საქართველოს, რაც მასში უხეი-

[15] დ. კლდიაშვილის ფონდი, № 14748.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როა!“ და ეს სიტყვები უშუალოდ მოსდევს აზონისაგან ქართველების უშვერად ხსენებას, მათი ზნეობისა და თვითმყოფობის შეურაცხყოფას.

რას ნიშნავს, რისაგან უნდა განწმინდოს ცეცხლმა საქართველო? უცხოელ დამპყრობთაგან თუ უზნეობისაგან, მორალური გადაგვარებისაგან? თუ შეჩერდა, რატომ შეჩერდა დავითი აქ? შემდეგ ვნახავთ, რომ ერთ თავის ნოველაში, „თავადი პეტრე“, დავით კლდიაშვილი ისტორიულ წარსულში ზნეობრივი გადაგვარების მაგალითებს გამოარჩევს, ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებული ფეოდალური წარსულის იდეალიზაციას ამ წარსულისადმი მკაცრ რაციონალისტურ მიდგომას დაუპირისპირებს.

„ფარნაოზის“ ჭაბუკურ ჰეროიკას „თავადი პეტრეს“ დაღვინებული ირონია შეცვლის. მაგრამ ეს შემდეგ, 900-იან წლებში.

ახლა კი, 80-იან წლებში, დავითი გაწაფვისა და განსწავლის პროცესშია. „ფარნაოზი“ აქ საინტერესო მასალას გვაძლევს, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ მომავალი დიდი მწერლის შემოქმედებითს ძიებებს.

„ფარნაოზი“ აშკარად ჰეროიკულ-პატრიოტული შინაარსის დრამა უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს დავითის ჩანაწერიც და ისტორიული წყაროც, რომელიც მას უნდა ჰქონოდა ხელთ. ეჭვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ დავითს „ფარნაოზზე“ მუშაობისას მე-11 საუკუნის ისტორიოგრაფის ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებით“ უსარგებლია.

ფარნაოზი „მატიანე ქართლისაის“ ფარნავაზია, „რომელი იყო პირველი მეფე ქართლისა, ქართლოსიანი“; აზონ პატრიკა, მატიანის მიხედვით, ქართლში ალექსანდრე მაკედონელმა დასვა მას შემდეგ, რაც დაამარცხა და დახოცა ფარნავაზის მამა და ბიძა, ქართლის მამასახლისი სამარი. ეს პირები დასახელებულია „ქართლის ცხოვრებაში“ სწორედ ამგვარი სახელდებით. ქართლის ცხოვრების მიხედვით, ფარნავაზის დედა სპარსელი ქალია. მისი სახელი არ იცის მემატიანემ და არც დავითმა. მატიანის მიხედვით, ფარნავაზის უახლოესი თანამებრძოლია ერისთავი ქუჯი, რომელმაც წააქეზა კიდევაც იგი აზონის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, დავითის ჩანაწერში ვხვდებით ქურუმ ქულაჯას, რომელიც აზონს შეუპყრია და ფარნაოზმა უნდა გაათავისუფლოს, ქუჯის სახელი კი საერთოდ ნახსენები არაა. თუმცა სახელი ქულაჯა — ქუჯი უცნაურად ესიტყვება ერთმანეთს. ასევე, აზონ პატრიკას ბოროტი ქმედებანი მემატიანესაც და დავითსაც ერთნაირად აქვს აღწერილი.

დანარჩენი დავითის შეთხზულია. საინტერესოა, რას თხზავს დავითი.

დავითს აზონ პატრიკასა და ფარნავაზ-ფარნაოზის დაახლოების მოტივირებისათვის საკმარისად არ მიუჩნევია მემატიანის ცნობა: „შეიყუარა იგი აზონმან მონადირეობისათვის“[16]. დავითის მიხედვით, „აზონი ყოვლისფრით ცდილობს, რომ იგი გადაიბიროს და დაავიწყოს თავისი სამშობლო, ხალხი...“ აქ გამოჩნდება აზონის ქალიშვილი ისმენა, რომელიც მამამ ცოლად უნდა მისცეს ფარნაოზს თავისი შორს გამიზნული პოლიტიკური ზრახვების გამო. გაღრმავდა აზონის ხასიათი: იგი ფანატიკოსი მტარვალიდან, როგორც მატიანეშია დახატული, და მონადირე ფილანტროპიდან მტარვალ პოლიტიკოსად იქცა. სახელი „ისმენა“ დავითის შეთხზულია, ასეთ ქალს საერთოდ არ იცნობს ძველი ქართული მატიანეები. დრამამ სხვა მხრივაც მოიგო: სიუჟეტში

---

[16] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიდა სასიყვარულო ინტრიგა. ფარნაოზს უყვარს ისმენა და მისი გამოისობით აზონმა ლამის საწადელს მიაღწიოს — შეყვარებული ფარნაოზი ყრუა საქვეყნო საქმეების მიმართ. აქ გამოჩნდება დედა. ესეც საინტერესოდ აქვს მოფიქრებული დავითს. მატიანის მიხედვით, ფარნავაზის დედა ჩვეულებრივი დედაა, რომელსაც მშობლის ინსტინქტი კარნახობს, განარიდოს შვილი უცხოელ მტარვალს: „შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს და ნურა-რას იჩინებ თავისა შენისა სიკეთისა, ნუ უკუე მოგკლან შენ“. დედამ კვლავ შესთხოვა: „შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსა ასპანს, ძმათა ჩემთა თანა, და განერე შენ ცოცხალი ხელისაგან აზონისა“[17]. ფარნავაზი დაჰყვა დედის შიშს და დაამტკიცა წარსლვა, მით უფრო, რომ სასწაულებრივი სიზმარიც ნახა. მაგრამ მეორე დღეს, ნადირობისას, ფარნავაზმა დიღმის ველიდან მარტომ სდია ირემს, ტფილისის სანახებამდე მიჰყვა და ისარი სტყორცნა. დაჭრილი ირემი ერთი კლდის ძირას დაეცა. ამ კლდის ძირას გამოქვაბული ყოფილა, სიძველისაგან მორღვეული ქვებით დახშული. ამ დროს გაწვიმდა კიდეც. ფარნაოზმა ჩუგლუგი ჰკრა ქვებს და „შევიდა ქუაბსა მას. და იხილა მუნ-შიგა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვერცხლი“. აქ გადაწყდა ქართლის ბედი. გამდიდრებული ფარნავაზი შეეკრა ქუჯი ერისთავს. ესენი ერთად „ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა“, მიიმხრეს აზონისაგან გაბოროტებული ათასი მხედარი, სხვა მრავალნიც, — ზოგნი ძღვენით, ზოგნი თანამზრახველობით, და შეებმებიან აზონს, სასტიკად დაამარცხეს და მოკლეს კიდეც. ამგვარად ფარნავაზი „უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“[18].

დავითი დრამას თხზავს. ამიტომ მას შეშინებული დედა არ იზიდავს. ფარნაოზის დედა, უპირველეს ყოვლისა, პატრიოტია, თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული ქმრის ღირსეული მეუღლეა. მას არ შეუძლია გულგრილად უყუროს სიყვარულისაგან გაბრუებულ შვილს და „საშინლად ძრახავს შვილს... აგონებს მის მამა-ბიძას, თავისუფლებისათვის მოკლულებს, ხალხს, რომელიც საშინელ ტანჯვაშია, და ის კი გრძნობას გაჰყოლია და იქ პოვებს სიამოვნებას, სადაც თელი ხალხი იტანჯება“. დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ ფარნაოზი თმობს სასახლის ფუფუნებას, სიყვარულს, ყურს მიუგდებს ხალხის წარმოგზავნილებს და, დედისაგან გამხნევებული, იწყებს მოქმედებას. ასე აქცია ახალგაზრდა მწერალმა მემატიანის შიშნეული დედა, სპარსელი ქალი, გმირ ქართველ დედად!

ასეთი იყო ქართული მწერლობის იდეალი.

„დედავ! ისმინე ქართლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძლვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“[19].

ასე მოუწოდებდა დავითის უფროსი თანამედროვე, დიდი ილია ჭავჭავაძე იქვე:

„ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა:

---

[17] იქვე.

[18] იქვე, გვ. 24.

[19] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1977, გვ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა"...

საერთოდ, დიდი ილიას გავლენა გამოსჭვივის „ფარნაოზის" მთლიან იდეურ-თემატიკურ ჩანაფიქრში. ი. ჭავჭავაძის ცნობილი პოემის მე-19-20 თავებში იგივე სურათია დახატული, რაც დავითის „ფარნაოზში". აქაც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელისაგან ქართლის დაპყრობა, მისი სიძულვილი ყოველივე ქართულისადმი, შეურაცხყოფა ერის სიკეთისა, ნიჭიერებისა, ენისა... ისევე როგორც „ფარნაოზის" აზონს, მაკედონელსაც ერი მორჩილებდა შიშითა და სიძულვილით, ხოლო „თვალთმიმქცევი კრძალულებით" ზღვევის წადილს დღე-და-ღამ ჰზრდიდა. მე-20 თავი მთლიანად ეძღვნება ხალხის შურისძიებას, რომელსაც სათავეში ჩაუდგება „ფარნავაზ ჰაეროვანი", „გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა... მან იდვა თავსა სახელოვანი ის დიდი საქმე შურის-გებისა".

„ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაყმა შვილმა.
გადგა და დასცა თავზარი მტერსა,
დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა
ვით მზე, მოჰფინა თავისუფლება..."[20]

აი, ასეთი ფარნავაზი სჭირდებოდა ილიასა და დავითის თანამედროვეებს.

მაშ, დავითი შთაუგონებია არა მარტო ძველ ქართველ მემატიანეს, არამედ მის დიდ თანამედროვესაც, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურს ილია ჭავჭავაძეს.

მივუბრუნდეთ „ფარნაოზს". როგორც ვნახეთ, დავითმა „შეასწორა" ისტორია: ახალი შტრიხები შეიტანა და გაამდიდრა აზონ პატრიკას ხასიათი, დედის ხასიათი და უფრო რთული, მრავალწახნაგოვანი გახადა მთავარი გმირის, ფარნაოზის სახეც.

დავითმა უკუაგდო მემატიანის სასწაული სიზმარიც, ასევე სასწაულებრივი გამდიდრების ამბავიც, რასაც კი უნდა მოეხიბლა ახალგაზრდა მწერლის პოეტური წარმოსახვა, და ფარნაოზის ქმედებათა წარმმართველად დედა და ხალხი აქცია. უფრო მეტიც: პიესის სიუჟეტი რომ გაძძაფრდეს, დავითის ფარნაოზს არც ისე ადვილად ეთმობა მისი პატივისმცემელი აზონ პატრიკა და ისმენა. უფრო, ალბათ, ისმენა. ფარნაოზი, უკვე ამხედრებული ხალხის წინამძღოლი, ერთხელ კიდევ მიდის სასახლეში და შესთხოვს მტარვალს ხალხისადმი გულმოწყალებას, ხან ემუდარება, ხან ემუქრება; მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც აზონისაგან ხალხის ლანძღვასა და დაცინვას მოისმენს, გარბის სასახლიდან. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ დავითმა ფარნაოზის მოკავშირედ სომხეთის ვალი გამოიყვანა. თავისუფლებისათვის ბრძოლაში მოძმე სომხეთი უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის მოკავშირე. ასეთი იყო მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამა.

ასეთი დრამა უნდა შეექმნა ახალგაზრდა დავით კლდიაშვილს. სამწუხაროა, რომ ამ დრამის მხოლოდ პროზაული ვარიანტი შექმნა.

[20] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 1, გვ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითის ინტერესები სხვა გზით წარიმართა, წარსულის რომანტიკას აწმყო-სინამდვილემ სძლია. როგორც ჩანს, ეს გზა უნდა გაევლო დავითს, რომ შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, ფეოდალური წარსულისათვის რეალისტი ანალიტიკოსის თვალით შეეხედა. ამ თვალსაზრისით „ფარნაოზი“ ძალზე საყურადღებო მასალას იძლევა. დაუმთავრებელი თუ განუხორციელებელი დრამის პროზაულმა ვარიანტმა დავითის შემოქმედებითი პროცესის, მისი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მრავალი მხარე წარმოაჩინა.

ახალგაზრდა დავით კლდიაშვილის შემოქმედებითს ძიებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დავითს აინტერესებს: პიროვნების ზნეობრივი რღვევის პროცესი („უიმედო“, „ჰეროსტრატი“), საერთოდ ქალის სახე და ქალის ბედი მემამულურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში („შთამომავალნი“, „კოსტა ძალიძე“), წოდებათა დაპირისპირების საკითხი („კოსტა ძალიძე“), გმირული წარსული („ფარნაოზი“).

შეიმჩნევა, რომ პრობლემა ყველგან ზნეობრივ ასპექტშია ჩაფიქრებული. ახალგაზრდა მწერალს, უპირატესად, პერსონაჟთა ქმედებისა თუ უმოქმედობის „ფსიქოლოგიური მექანიზმი“ აინტერესებს.

Б. К. БАРДАВЕЛИДЗЕ

К ИСТОКАМ ТВОРЧЕСТВА Д. КЛДИАШВИЛИ

Резюме

В статье выявлены и рассмотрены неопубликованные материалы из архива классика грузинской реалистической прозы Д. С. Клдиашвили. Показано, что в начале своего творческого пути, в 80-е годы XIX века, Д. Клдиашвили интересовался разнообразными темами современной ему литературы: разложение личности («Отчаявшийся»), социальные отношения («Потомки»), героическое прошлое («Парнаоз»), любовь и мораль («Коста Дзалидзе»), судьба женщины в дворянско-буржуазном обществе.

Эти незавершенные рассказы, фрагменты и зарисовки показывают, что молодой писатель ставит себе хотя и не оригинальные, но всегда трудные задачи, решая их в основном в психологическом и моральном плане.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა სანაძე

ილია ჭავჭავაძის პიესების ბეჭდვის ისტორიიდან

ილია ჭავჭავაძის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შედარებით მცირე ადგილი აქვს დათმობილი პიესებს. ჩვენთვის ცნობილია ილიას პიესები: „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“ და „მაჭანკალი“. ეს უკანასკნელი შექმნილია ილიას ცნობილი მოთხრობის „კაცია-ადამიანის“ ერთი ნაწილის (VI—VIII თავების) გადაკეთების შედეგად. კერძოდ, კომედიაში აღწერილია ლუარსაბ თათქარიძის ძმის — დავითის — დაქორწინების ამბავი და მაჭანკალ სუტ-კნეინას მონაწილეობა ამ საქმეში.

„გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“ პირველად 1867 წლის 18 აგვისტოს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ (№ 33), შემდეგ კი იგი 1892 წელს კრებულ „ჩანგში“ შეიტანა ვასილ აბაშიძემ[1], იმავე წელს ეს პიესა ილიას თხზულებათა მესამე ტომშიც დაიბეჭდა. აქ იგი მოთავსებული იყო ილიას პროზაულ ნაწერებთან ერთად ქრონოლოგიური რიგით, განყოფილებაში „მოთხრობანი“. დაბეჭდა აღნიშნული პიესა მიხ. გედევანიშვილმაც 1914 წელს მის მიერ გამოცემულ ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ ტომში.

საბჭოთა პერიოდის გამოცემებშიც თავდაპირველად „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“ მხატვრული პროზის განყოფილებაში იბეჭდებოდა. ასე დაიბეჭდა იგი ინგოროყვა-აბაშელის ორივე გამოცემაში — ცხრატომეულსა[2] (1925—1929 წწ.) და ხუთტომეულში[3] (1937—1962 წწ.).

„გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების“ მოთხრობების განყოფილებაში ბეჭდვის ეს დამკვიდრებული ტრადიცია დაარღვია პ. ინგოროყვამ. მან ეს ნაწარმოები ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის მეორე ტომში 1950 წელს კომედია „მაჭანკალთან“ ერთად დაბეჭდა განყოფილებაში: „სცენები. პიესა“. ჩანს, სცენებში იგი „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენებს“ გულისხმობდა, ხოლო პიესაში „მაჭანკალს“.

ჩვენ არასწორად გვეჩვენება სათაურში თხზულებების ასეთი კლასიფიკაცია და ვთვლით, რომ „მაჭანკალსაც“ ისევე შეიძლება ეწოდოს პიესა, როგორც „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენებს“, რადგან არც მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით, არც ჟანრობრივად მათ შორის სხვაობა არ არის. მაგრამ აქვე ისმის მეორე საკითხი, რამდენად მართებულია ილიას ნაწერების კრებულში „მაჭანკალის“ შეტანა დამოუკიდებელი თხზუ-

---

[1] იხ. თ. ნაკაშიძე, ნ. კორძახია, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფია, თბ., 1966, გვ. 19, 156.

[2] ეს გამოცემა თავდაპირველად ცხრა ტომად იყო ნავარაუდევი, მაგრამ შემდეგ იგი ათ ტომად გამოვიდა.

[3] ხუთტომეულის პირველი ტომი, რომელშიაც დაბეჭდილია „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, ინგოროყვა-აბაშელის რედაქციით გამოვიდა ხოლო შემდეგ ალ. აბაშელის გარდაცვალების გამო (1954 წ.) ხუთტომეულის გამოცემა პ. ინგოროყვამ განაგრძო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების სახით? „მაჭანკალი“ ხომ „კაცია-ადამიანის“ ერთი ნაწილის გადმოკეთებას წარმოადგენს. ჩანს, ეს საკითხი აფიქრებდა ილიას ცნობილ გამომცემლებს პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელს. ამიტომ იყო, რომ მათ ამ პიესის პირველი პუბლიკაციისას 1937 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომში „მაჭანკალი“ მხატვრული პროზის განყოფილებაში შეიტანეს ასეთი ქვესათაურით: „გადმოკეთებული პიესა“. შემდეგ გამოცემაში კი (ტ. II, 1950 წ.), როგორც მივუთითეთ, პ. ინგოროყვამ მოხსნა ეს ქვესათაური და იგი „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენებთან“ ერთად დაბეჭდა რუბრიკით: „სცენები. პიესა“.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ანგარიში უნდა გაეწიოს კომედიის „მაჭანკლის“ აღმომჩენისა და პუბლიკატორის ი. გრიშაშვილის აზრს. აქ ყურადღება უნდა შევაჩეროთ შემდეგ გარემოებაზე: თუმცა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ქართველი მკითხველი აღნიშნულ კომედიას პირველად გაეცნო ინგოროყვა-აბაშელის მიერ მომზადებული ილ. ჭავჭავაძის ხუთტომეულის პირველი ტომით 1937 წელს, მაგრამ კომედიის ხელნაწერს მიაკვლია ი. გრიშაშვილმა და მანვე მოამზადა იგი გამოსაცემად, რომელმაც დაბეჭდა კიდეც ეს თხზულება მეტად საინტერესო გამოკვლევასთან ერთად („ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“) ილ. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულში 1939 წელს. ეს კრებული 1937 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მისი გამოცემა დაგვიანდა. ამის პარალელურად იმ დროს მზადდებოდა ილიას სრული კრებულის ახალი გამოცემა (ხუთტომეული), რომლის პირველი ტომი უფრო ადრე დაისტამბა, ვიდრე საიუბილეო კრებული. ი. გრიშაშვილმა აღნიშნული კომედიის მის მიერ დასაბეჭდად გამზადებული ტექსტი გადასცა ხუთტომეულის პირველი ტომის რედაქტორებს. ამ ფაქტზე მადლიერების გრძნობით მიუთითებენ კიდეც ხუთტომეულის პირველი ტომის გამომცემლები. ამრიგად, როგორც უკვე მივუთითეთ, ი. გრიშაშვილი იყო ილ. ჭავჭავაძის „მაჭანკლის“ ტექსტის აღმომჩენი და პირველი მკვლევარი. ამიტომ ჩვენ მიერ ზემოთ დასმულ საკითხზე — შეიძლება თუ არა ილიას „მაჭანკალი“ ჩაითვალოს მის დამოუკიდებელ თხზულებად? — საინტერესოა ი. გრიშაშვილის აზრი. აი, რას წერს იგი ამის თაობაზე: „ილიას პიესა „მაჭანკალი“, თუ არ მივიღებთ მოთხრობიდან („კაცია-ადამიანიდან“. — ლ. ს.) ზოგიერთი მონოლოგის უსიტყვოდ გადმომღერებას, შეიძლება, დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩაითვალოს“[4].

როგორც ვნახეთ, საკითხი — წარმოადგენს თუ არა „მაჭანკალი“ ილიას დამოუკიდებელ თხზულებას? — აფიქრებდა მის გამომცემლებსა და მკვლევრებს. შესაძლოა, ამ საკითხმა კვლავ დააფიქროს ილიას მომავალი გამომცემლები, მითუმეტეს, რომ თვით ილია „მაჭანკალს“, როგორც ჩანს, დამოუკიდებელ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და არც შეუტანია იგი თავისი ნაწერების კრებულებში. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კომედია არ იქნეს შეტანილი ილიას თხზულებათა გამოცემებში, — აქ საკითხი ისმის გამოცემაში მისი ადგილის შესახებ. ჩვენ სარწმუნოდ გვეჩვენება ინგოროყვა-გრიშაშვილის მოსაზრება ამ საკითხზე და ვთვლით, რომ „მაჭანკალს“ შესაძლებელია მიეკუთვნოს თანაბარი ადგილი ილიას სხვა ორიგინალურ თხზულებათა შორის.

---

[4] „ილია ჭავჭავაძე“, საიუბილეო კრებული, თბ., 1939, გვ. 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები", როგორც აღვნიშნეთ, ავტორის სიცოცხლეში სამჯერ გამოქვეყნდა: გაზ. „დროებაში" 1867 წელს, კრებულ „ჩანგში" 1892 წელს და ილია ჭავჭავაძის „თხზულებათა" III ტომში იმავე წელს.

„დროებისა" და „თხზულებანის" ტექსტი თითქმის იმეორებს ერთმანეთს, რაც შეეხება „ჩანგს", აქ პიესის ტექსტს საკმაო ცვლილებები განუცდია; მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმეს: „ჩანგში" პიესის სათაურია „გლახა ჭრიაშვილი", ხოლო „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები" ჩატანილია ქვესათაურში, რასაც ემატება სიტყვები — „ერთ მოქმედებად". მოქმედ გმირებში ყველგან „ქვრივის მაზლის" ნაცვლად წერია — „მაზლი", „გლახა ჭრიაშვილის" ნაცვლად — „ჭრიაშვილი", „შაიაშვილის" ნაცვლად — „შაიშვილი", „მოხუცი მებატონის" ნაცვლად — „მებატონე"; გარდა ამისა, ვხვდებით ასეთი ტიპის სწორებებს: „ყალანია" შეცვლილია სიტყვით „ფულია", ჩატარებულია სტილისტური სწორებები რემარკებში და სხვა.

როგორც ვხედავთ, სხვაობები არ არის ცოტა, მაგრამ, უდავოა, პიესის ძირითად ნაწილს აქ იდეურ-შინაარსობრივი, არც სტილისტური ცვლილება არ განუცდია; სწორებათა უმეტესობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პიესის გარეგნული მხარის მოწესრიგებას, მის „გალამაზებას" ემსახურება. თითო-ოროლა კი ძნელად გასაგებ სიტყვებს ცვლის ადვილად გასაგებით.

ჩვენი აზრით, ყველა ზემოხსენებული სწორება „ჩანგის" რედაქციას ეკუთვნის და მასში ილია ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ მიუღია. კიდევ მეტიც, ილიას არ გაუზიარებია ეს შესწორებები. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თავის თხზულებათა მესამე ტომში ილიამ „დროების" ტექსტი შეიტანა და არა „ჩანგისა". თუ „ჩანგის" ტექსტში სწორებები ილია ჭავჭავაძის მიერ იყო შეტანილი, რატომ არ გადაიტანა მან ეს სწორებების თუნდაც უმცირესი ნაწილი „თხზულებათა" მესამე ტომის ტექსტში? ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ მთლიანად უგულებელყო „ჩანგის" ტექსტი მიხ. გედევანიშვილმაც, რომელიც ყველა სხვა გამომცემელთან შედარებით ზედმიწევნით იცავს ავტორის ნებას.

ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოითქვას ეჭვი: „ჩანგისა" და „თხზულებათა" ტექსტი ხომ ორივე 1892 წელს გამოვიდა და ეგების „ჩანგის" ტექსტის გამოსვლას დაასწრო „თხზულებათა" ტექსტმა, მაშინ, რა თქმა უნდა, „თხზულებანში" ვერ შეიტანდნენ „ჩანგის" სწორებებს. ეს ვარაუდი საკმაოდ ბუნებრივია. მაგრამ საკითხის ღრმად შესწავლა საწინააღმდეგოზე მიუთითებს.

საქმე ის არის, რომ როგორც „ჩანგი", ისე ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულები ქართველთა ამხანაგობის გამოცემებია, ეს უკანასკნელი კი ყველა თავის გამოცემას უსვამდა რიგით ნომერს. აი, როგორია ამ ნომრების თანამიმდევრობა: ი. ჭავჭავაძის „თხზულებათა" პირველი ტომი ქართველთა ამხანაგობის გამოცემათა შორის მე-10 ნომრით მოიხსენიება, „თხზულებათა" მეორე ტომი — მე-11 ნომრით; ხოლო ჩვენთვის საინტერესო მესამე ტომს (რომელშიაც დაიბეჭდა „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები") უზის № 15; კრებული „ჩანგი" კი ამ ნუმერაციაში მე-12 ნომრით მიდის. ამასვე ადასტურებს ცენზურის ნებართვაც. „ჩანგი" ცენზურის მიერ დასაბეჭდად ნებადართულია 1892 წლის 30 იანვარს, ხოლო ილიას „თხზულებათა" მესამე ტომი კი 5 მარტს. ამრიგად, ილიას საშუალება ჰქონდა „ჩან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის“ სწორებები „თხზულებათა“ ტექსტში გადაეტანა, თუკი საამისო სურვილი ექნებოდა.

საფიქრებელია ისიც, რომ, ეგების, ილიამ არც არაფერი იცოდა ამ ცვლილებების შესახებ, თუკი „ჩანგის“ რედაქციამ საჭიროდ არ მიიჩნია ეს სწორებები ავტორთან შეეთანხმებინა. ერთი კი უდავოა, შეუძლებელია, თვენახევრის წინ ილიას პიესის ტექსტი ჩაესწორებინა და ამის შესახებ არაფერი ეცნობებინა „თხზულებათა“ მესამე ტომის მომმზადებლებისათვის.

როგორც უკვე მივუთითეთ, მიხ. გედევანიშვილმაც თავის გამოცემაში („თხზულებანი“, ტ. I, 1914 წ.) ამ პიესას „დროებიდან“ მომდინარე ტექსტი დაუდვა საფუძვლად.

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდის გამომცემლებს, ისინი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას რაიმე აზრი გამოეთქვათ ილიას აღნიშნული სცენების „დროებისა“ და „ჩანგის“ ტექსტებზე იმის გამო, რომ არც ერთი ეს გამოცემა მათთვის ცნობილი არ იყო.

საბჭოთა პერიოდში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის სამი გამოცემა განხორციელდა, ესენია: ცხრატომეული (შემდეგ იგი ათ ტომად გამოვიდა), ხუთტომეული და ათტომეული. მაგრამ, როგორც უკვე მივუთითეთ, არც ერთი ამ გამოცემის რედაქტორისათვის ცნობილი არ იყო საკვლევი პიესის „დროებისა“ და „ჩანგის“ ტექსტი. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა უკანასკნელი გამოცემის მეორე ტომში (1950 წ.): „სცენები პირველად გამოიცა ცალკე წიგნად 60-იანი წლების მეორე ნახევარში. შემდეგ იგი მეორედ დაიბეჭდა ქართველთა ამხანაგობის გამოცემაში 1892 წელს“[5]. ამ ვითომდა პირველი ცალკე გამოცემის შესახებ, როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, მისთვის ცნობა მიუწოდებია ნ. ნიკოლაძეს. პ. ინგოროყვა წერს: „ცნობა ამ პირველი გამოცემის შესახებ გადმოგვცა განსვენებულმა ნ. ნიკოლაძემ; ეს გამოცემა ნიკოლაძეს უნახავს 1869 წელს, როცა იგი ევროპიდან საქართველოში ჩამობრუნდა, ზედმიწევნითი თარიღი ამ გამოცემისა ნ. ნიკოლაძეს არ ახსოვდა. მისი ცნობით, იგი დაბეჭდილი იყო 1865—1868 წლებს შორის“[6]. მაგრამ „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების“ არავითარი ცალკე გამოცემა არ არსებობს. ნ. ნიკოლაძის ამ არაზუსტი განცხადების ასახსნელად ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას. 1867 წელს, როდესაც ეს პიესა „დროებაში“ დაიბეჭდა, ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ მან ილიას აღნიშნული პიესა რუსულად თარგმნა და დაბეჭდა კიდეც 1883 წელს „Изящная литература“-ში (№ VI, გვ. 270). თარგმნისას ნ. ნიკოლაძეს, რა თქმა უნდა, ხელთ ექნებოდა „დროების“ ტექსტი, რადგან ამ თხზულების არავითარი სხვა გამოცემა იმდროისათვის არ არსებობდა. იმის ასახსნელად, თუ რატომ ასახელებს ნ. ნიკოლაძე რაღაც ცალკე გამოცემას და არა გაზეთს, ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ გარემოებას: „დროების“ რედაქციამ, რომელსაც, რა თქმა უნდა, ეჭვი არ ეპარებოდა ილიას პიესის პოპულარობაში, თხზულების ტექსტის „დროებიდან“ ამონაბეჭდი ცალკე აკინძა და წიგნის სახით გაავრცელა იმავე 1867 წელს. აი, როგორ არის ეს „გამოცემა“ მოხსენიებული „ქართული წიგნის“ I ტომის 115 გვერდზე:

---

[5] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1950, გვ. 633.

[6] იქვე, გვ. 600, სქოლიო 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„*** [ილია ჭავჭავაძე], „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, ტფილისი, 1867 წელი... ცალკე ამონაბეჭდი გაზ. „დროების“, 1867 წ. № 33-დან“[7]. ეჭვგარეშეა, აი, ეს წიგნის სახით აკინძული ამონაბეჭდი შემორჩა ნ. ნიკოლაძის მეხსიერებას, როგორც ცალკე გამოცემა. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ იგი საზღვარგარეთ იყო 1867 წელს და ეგების არც არაფერი იცოდა პიესის „დროებაში“ გამოქვეყნების შესახებ.

ნ. ნიკოლაძის აღნიშნული მცდარი ინფორმაციის საფუძველზე პ. ინგოროყვა შედგომია „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების“ ცალკე გამოცემის ძებნას, მაგრამ, რა თქმა უნდა, უშედეგოდ. იგი წერს: „ამ პირველი გამოცემის ეგზემპლარები ვერსად ვიპოვეთ, თბილისის მუზეუმებში (!) იგი არ აღმოჩნდა“[8].

ასეთია მოკლედ ი. ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების“ ბეჭდვისა და ტექსტის ისტორია. რაც შეეხება კომედია „მაჭანკალს“, მის შესახებ ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა საუბარი, როცა შევეხეთ „კაცია-ადამიანთან“ მის ურთიერთობას. დამატებით უნდა ითქვას, რომ „მაჭანკალი“ ილ. ჭავჭავაძემ 1881 წელს დაწერა სპეციალურად ნ. გაბუნიას საბენეფისო საღამოსათვის. იგი პირველად 1881 წლის 31 მაისს დაიდგა. კომედიის დადგმას თუმცა დიდი წარმატება არ ჰქონია, მაგრამ ამ თხზულების გაცნობა საინტერესოა ილიას შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლისათვის.

„მაჭანკლის“ ხელნაწერი ავტოგრაფი, რომელიც ადრე შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური მუზეუმის საკუთრება იყო, ამჟამად დაცულია ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. ავტოგრაფი წარმოადგენს სუფთად გადაწერილ ცალს. მას, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მიაკვლია ი. გრიშაშვილმა, რომელმაც შემდეგ პიესის დასაბეჭდად გამზადებული ტექსტი გამოსაცემად გადასცა პ. ინგოროყვასა და ა. აბაშელს. მათ იგი დაბეჭდეს კიდეც 1937 წელს ილიას თხზულებათა I ტომში, მაგრამ არც მაშინ და არც შემდგომ ეს ტექსტი გამომცემლებს დედნისათვის აღარ შეუდარებიათ. ამიტომ მოხდა, რომ ყველა ის არამართებული შესწორება, რომელიც გრიშაშვილმა ამ ტექსტში შეიტანა, და მის მიერვე დაშვებული უნებლიე შეცდომები დღემდე მეორდება გამოცემებში. ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს, რომელთაგან მოვიყვანთ ერთს, ყველაზე თვალსაჩინოს.

ყველა ნაბეჭდში წერია:

„ხ ო რ ე შ ა ნ ი: არა, მოდგმით კი მოსდგამთ, მაგრამ... (ლაპარაკია გძელაძეანთ ქალების უშვილობაზე. — ლ. ს.) მოსე გძელაძე თქვენის მაზლისათვის არ გაიმეტებს თავის ქალს...“[9].

ავტოგრაფში კი ეს ადგილი ასე იკითხება:

„ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, მოდგმით კი მოსდგამთ, მაგრამ...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაგრამ რა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მოსე გძელაძე თქვენის მაზლისათვის არ გაიმეტებს თავის ქალს...“

გარდა ამისა, გრიშაშვილმა „მაჭანკლის“ ტექსტში თითქმის ყველგან ჩაასწორა ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც ილიასთან ყოველთვის

---

[7] საგულისხმოა, რომ ხელმოწერით —*** დაიბეჭდა ეს პიესა “დროებაში“.

[8] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 600, სქოლიო 2.

[9] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 387. საიუბილეო კრებული, თბ., 1939.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„თანით“ იყო წარმოდგენილი, ასევე შეცვალა ზმნისწინები („მა“ „მო“-თი) ამოიღო ორმაგი პირის ნიშნები („ჰს“ შეცვალა „ხანით“). სიტყვა „ქრმის“ ნაცვლად ყველგან „ქმარი“ დაბეჭდა, ხოლო „შეკმაზულის“ ნაცვლად „შეკაზმული“ და სხვა. ყოველივე ამას ზედ დაერთო შემდგომ გამოცემებში დაშვებული ახალი შეცდომები. ამის გამოა, რომ თანამედროვე მკითხველი არ იცნობს ამ კომედიის ზუსტ, ილიასეულ ტექსტს.

ეს და „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენების“ ბიბლიოგრაფიაში დაშვებული ზემოხსენებული შეცდომები ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ ამოცანის სირთულესა და სერიოზულობაზე, რომლის წინაშეც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი გამოცემის მომზადებლები დგანან.

Л. Г. САНАДЗЕ

ИСТОРИЯ ПЕЧАТАНИЯ ПЬЕС ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

И. Г. Чавчавадзе является автором двух пьес. Это «Сцены из раннего периода освобождения крестьян» и комедия «Сваха», в которой использован сюжет рассказа «Человек ли он?!».

В ранних изданиях собрания сочинений И. Чавчавадзе «Сцены...» печатались в хронологическом порядке в разделе «Рассказы». Эту традицию нарушил П. И. Ингороква в 1950 году, когда эту пьесу поместил во II т. собрания сочинений И. Чавчавадзе вместе со «Свахой» в разделе — «Сцены. Пьеса». Это представляется необоснованным, т. к. оба эти произведения одного и того же жанра и оба должны быть под общей рубрикой «Пьесы». В комментариях к пьесе «Сваха» должно быть указано об отношении ее к рассказу «Человек ли он?!».

Тексты вышеупомянутых произведений тоже требуют поправок. Текст «Сцены...», как правило, печатается, следуя последним прижизненным изданиям писателя. Несмотря на то, что решение это вполне закономерно, ввиду того, что текст пьесы ни одним издателем не был сверен с самым первым печатным текстом (советским издателям не были известны другие издания пьес, кроме последнего прижизненного), в текст произведения прокрались кое-какие ошибки.

Текст «Свахи» в собрании сочинений печатался с ошибками, т. к. все издания повторяли тот, который был найден и подготовлен для издания поэтом И. Г. Гришашвили. Долгом будущих издателей «Свахи» является правка текста пьесы с учетом текста автографа.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ კილანავა

ვახტანგ ორბელიანის ადრეული შემოქმედებიდან

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში აქამდე არ არის შესწავლილი თუ როდის გამოვიდა პოეტი სამწერლო ასპარეზზე. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ვ. ორბელიანის მსოფლმხედველობის, პოეტური მრწამსისა და შემოქმედების გაგებისათვის, არამედ — ქართული რომანტიზმის ისტორიის შესწავლისათვისაც.

საკითხის გარშემო დღემდე ორი შეხედულება არსებობს. პირველის მიხედვით, ვ. ორბელიანს სამწერლო მოღვაწეობა უნდა დაეწყო გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, კერძოდ 1857 წელს, როცა გამოქვეყნდა მისი ლირიკული ლექსი „ბულბულის“ სახელწოდებით[1]; მეორე შეხედულებით, პოეტის შემოქმედება დაიწყო 1834 წელს; ვითომცდა ვ. ორბელიანს ლექსი „გამოსალმება“ დაეწეროს ამ წელს, როცა პოეტი რუსეთში გადაასახლეს[2]. არც ერთი ეს შეხედულება სწორი არ არის.

ვ. ორბელიანის მიერ 1831 წელს დაწერილი ორი თხზულება გახდა ჩვენთვის უკვე ცნობილი: ორიგინალური ლექსი „ორი შენობა“ და პოეტური თარგმანი „ზნაკომიე ნეზნაკომცი“. ეს უკანასკნელი პოეტის სხვა, ადრინდელ ნაწერებთან ერთად დაკარგულად ითვლება.

„ორი შენობა“. ლექსში, ორი სხვადასხვა დროის შენობათა დაპირისპირების ფონზე, მხატვრულად არის ახსნილი უპირატესობა ძველი შენობის ნანგრევებისა. აწმყოთი უკმაყოფილო რომანტიკოსი ძველს უფრო მეტად აფასებს; მიაჩნია, რომ ახალი შენობა შედარებით უვარგისია და ადრეწარმავალი, ხოლო ძველის ნანგრევებიც კი კვლავ იარსებებს.

„ორი შენობა“ პოეტისათვის ჩვეული სითბოთი და უშუალობით არის დაწერილი; მიზანსწრაფულად იხსნება მისი იდეური ჩანაფიქრიც. ლექსი საერთოდ მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის პირველ ყოვლისა მისი დაწერის თარიღია საინტერესო.

ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში გაბატონებული შეხედულებით, „ორი

---

[1] პ. უმიკაშვილი, მაჩვენებელი როდის დაწერილა ან რა გამოცემაში დაიბეჭდა პირველად ლექსები, კრებული: ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, ტფილისი, 1894, გვ. 175. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნისა, თბ., 1917, გვ. 119; Г. Туманов, Характеристики и воспоминания, Тб., 1902, გვ. 119—120; სილ. ხუნდაძე, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, III, ვახტანგ ორბელიანი, ქუთაისი, 1918, გვ. 4.

[2] ვ. ორბელიანი, ლექსები, თბ., 1928, გვ. 3; ვ. კოტეტიშვილი, სარედაქციო შენიშვნები, იქვე, გვ. 165—166; ვახტანგ ორბელიანი, რ. გვეტაძის რედაქციით, თბ., 1949; მ. ზანდუკელი, ლიტერატურული ნარკვევები 1, თბ., 1957. გვ. 147; ნ. ალანია, ვახტანგ ორბელიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 244; გ. ყღენტი, ნარკვევები ქართული რომანტიზმის ისტორიიდან, თბ., 1970, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობა“ დაწერილია 1881 წელს. მას საფუძვლად დაედო ვ. ორბელიანის ლექსების კრებული, გამოცემული 1881 წელს („ლექსნი თქმული თ. ვ. ო“). კრებულში (გვ. 33) „ორი შენობა“ დათარიღებული არ არის, მაგრამ იგი პირველად აქ გამოქვეყნდა. პოეტის თხზულებათა სრული კრებულისათვის („ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“), თანდართულ „ქრონოლოგიურ მაჩვენებლებში“ პ. უმიკაშვილმა „ორი შენობა“ 1881 წელს დაწერილად გამოაცხადა. «„ლექსნი თქმული თ. ვ. ო“ გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1881», — მიუთითებდა პირველი პუბლიკაციის წყაროს მკვლევარი[3].

ამ თარიღით დაიბეჭდა „ორი შენობა“ ვ. ორბელიანის თხზულებათა როგორც 1928 წლის ვ. კოტეტიშვილისეულ გამოცემაში[4], ასევე 1949 წელს რ. გვეტაძის რედაქციით გამოსულ ვ. ორბელიანის თხზულებათა კრებულში[5]. 1881 წელს დაწერილად იცნობს ამ ლექსს დღემდე მკითხველიც და პოეტის შემოქმედების თითქმის ყველა მკვლევარი. მაგრამ 1881 წელი „ორი შენობის“ მხოლოდ პირველი პუბლიკაციის თარიღია და მისი დაწერის თარიღად გამოცხადება შეცდომაა. ამ ლექსის დაწერის დრო დღემდე დადგენილი არ არის.

ირკვევა, ლექსი 1831 წელს არის დაწერილი. ამ თარიღის თაობაზე, ჩანს, ვ. ორბელიანისაგან მომდინარე ყრუ ცნობები ადრეც არსებულა. „ეს ნაწარმოები, — წერდა პროფ. შ. რადიანი, — ავტორმა დაწერა 1831 წელს, წინანდალში, სადაც იმ დროს შენდებოდა ა. ჭავჭავაძის ახალი სასახლე, სწორედ ძველისძველი ტაძრის ნანგრევების პირდაპირ. კონტრასტმა ამ ნანგრევებსა და ახალ შენობას შორის შთააგონა პოეტი, შეექმნა ხსენებული ლექსი“[6]. მაგრამ მკვლევრის ეს აზრი ჩვენს მწერლობაში არავინ გაიზიარა; — ალბათ, იმიტომ, რომ პროფ. შ. რადიანი აღნიშნული ცნობების შესახებ არავითარ წყაროს არ უჩვენებდა. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, მიგვეკვლია ცნობებისათვის აღნიშნული „ლექსის“ დაწერის შესახებ, რომელიც თვით ვ. ორბელიანისაგან მომდინარეობს.

გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ 1885 წლის 2 (14) აპრილის ნომერში (№ 435) დაბეჭდილია მორიგი «Местное обозрение». წესისამებრ, წერილი შეიცავს ცნობებს უკანასკნელად მომხდარი თუ გამოვლენილი ფაქტებისა და მასალების შესახებ. მათ შორის აქ არის საუბარი 31 მარტს ჩატარებულ ორგანყოფილებიან ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოზე, გამოქვეყნებულია ვ. ორბელიანის ლირიკული ლექსის — „ორი შენობის“ ი. თხორჟევსკისეული თარგმანი, მითითებულია ლექსის დაწერის თარიღი — 1831 წელი და მოცემულია ცნობები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი საკითხისათვის.

«В этот-же вечер, — ვკითხულობთ „მიმოხილვაში“, — слушатели, незнающие грузинского языка, имели счастливый случай ознакомиться с некоторыми произведениями грузинских лириков в переводах И. Ф. Тхоржевского. Между прочим, он почитал перевод стихотворения кн. Вахтанга Орбелиани, **написанного более полувека тому назад, в 1831 г. при посе-**

---

[3] ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, თბ., 1894, გვ. 176.

[4] ვახტანგ ორბელიანი, ლექსები, თბ., 1928, გვ. 39.

[5] ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1949, გვ. 38.

[6] შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბ., 1954, გვ. 109—110.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

щении знаменитого села Цинандали, где в то время возводились новые постройки как раз против развалин старого храма» (ხაზი ჩემია. ნ. კ.).[7]

რაღა თქმა უნდა, ის ცნობები, რომლებიც ვ. ორბელიანის „ორ შენობას“ შეეხება, რედაქციას ლექსის მთარგმნელისაგან უნდა აეღო. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ ი. თხორჟევსკის ყოველივე ეს ვ. ორბელიანისაგან აქვს გაგებული. ორი პოეტის ურთიერთობისა და ნათქვამის სისწორის გასათვალისწინებლად საკმარისია მოვიგონოთ ი. თხორჟევსკის (1843—1910) პოეტურ-მთარგმნელობითი და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა საერთოდ, კერძოდ საქართველოში. რუსული დემოკრატიული პრესის ნიჭიერი წარმომადგენლის უანგარო სიყვარული ჩვენი ხალხისა და ქართული პოეტური კულტურისადმი, მისი დაუცხრომელი ინტერესი, გაეცნო ქართული ლიტერატურული ნიმუშები რუსი მკითხველისათვის[8].

არ არის საეჭვო, რომ ი. თხორჟევსკი ადრიდანვე უნდა გასცნობოდა ჩვენს პოეტს, მით უმეტეს, ვ. ორბელიანი 1881 წელს სამხედრო სამსახურიდან გამოვიდა და თბილისში ცხოვრობდა[9]. არც ის არ არის საეჭვო, რომ მათ შორის თავიდანვე დამყარებულიყო მეგობრული ურთიერთობა, რასაც ბუნებრივია, ი. თხორჟევსკი ყველა წარჩინებულ ქართველთან ესწრაფოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, არც თარგმანი გვექნებოდა.

უდავოა ისიც, რომ პოეტებს შორის არაერთხელ უნდა გამართულიყო გულითადი საუბარი საერთოდ, მათ შორის „ორი შენობის“ გარშემოც, მთარგმნელი უთუოდ უნდა დაინტერესებულიყო ლექსთან დაკავშირებული ყველა საკითხით. ვ. ორბელიანისაგან უნდა გაეგო მთარგმნელს „ორი შენობის“ დაწერის თარიღი— 1831 წელი, მისი შექმნის ისტორია და დანარჩენი ცნობები. 50 წლის შემდეგ მაინც ეს ყველაფერი მხოლოდ ვ. ორბელიანს უნდა სცოდნოდა. მხოლოდ ვ. ორბელიანის სიტყვებს უნდა დაერწმუნებინა ი. თხორჟევსკი, რომ მას ეს სანდო ცნობები გამოეტანა საღამოზე და მიეწოდებინა რედაქციისათვის. პოეტი თვითონ ესწრებოდა საღამო-კონცერტს, სადაც ი. თხორჟევსკიმ, ვიდრე თავის თარგმანს წაიკითხავდა, საზოგადოებას გააცნო, რომ ვ. ორბელიანის „ორი შენობა“ დაწერილია ნახევარი საუკუნის წინ და რომ პოეტმა წინანდალში დაწერა იგი; რომ ალ. ჭავჭავაძის მშენებარე ახალი სახლისა და იქვე, ძველი ტაძრის ნანგრევების კონტრასტმა შთააგონა პოეტს ამ ლექსის შექმნა: «Маститый поэт присутствовал на вечере и имел приятный случай убедиться, что красоты поэтического вдохновения вечны не менее воспетых им развалин, —აცხადებდა გაზეთი[10].

აშკარაა, „ორი შენობის“ დაწერის თარიღი—1831 წელი და სხვა ცნობები სწორი რომ არ ყოფილიყო, ვ. ორბელიანი იქვე, საღამოზევე უარყოფდა მათ. გარდა ამისა, ამის შემდეგ პოეტმა მთელი ხუთი წელი იცოცხლა და სრული საშუალება ჰქონდა გამოეთქვა თავისი აზრი ამ ცნობების უსწორობის შესახებ.

---

[7] გაზ. «Новое обозрение», 1885, № 435.

[8] И. Ф. Тхоржевский, газ. «Кавказ», 1910, № 78; Б. А. Пирадов, Грузинская поэзия в переводах И. Ф. Тхоржевского, сборник «Литературные взаимосвязи», т. VII, Тб., 1978, გვ. 183.

[9] «Указ об отставке...» კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S ფონდი, № 4906—გ.

[10] გაზ. «Новое обозрение», 1885, № 435.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოს, ლიტერატურული წყაროები ამტკიცებენ, რომ 30-იან წლებში „... გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები წინანდლის ხშირი სტუმრები იყვნენ“[11]. ამას ხელს უწყობდა ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან მათი ნათესაობაც. დადგენილია აგრეთვე, რომ ალ. ჭავჭავაძის მიერ წინანდალში 30-იან წლებში აშენებული სასახლე შამილის რაზმებმა დაწვეს 1854 წელს. „ბევრი ქართული სოფელი გავიარეთ, — წერს მაშინ ლეკებისაგან გატაცებული ფრანგი ტყვე ქალი ანა დრანსე, — ამ სოფელთა მთელი წყება ცეცხლის ალში იყო გახვეული... მცირე ბორცვს რომ გადავადექით, თვალთა მზერა მომტაცა უზარმაზარი ხანძრის ლაპლაპმა... შეძრწუნებულმა წამოვიყვირე. ლეკებმა ამიხსნეს, რომ იწვოდა წინანდლის სასახლე“[12].

ამრიგად, ამიერიდან დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ვ. ორბელიანის ლირიკული ლექსი „ორი შენობა“ დაწერილია არა 1881 წელს, როგორც ეს დღემდეა მიღებული, არამედ 1831 წელს, სოფელ წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში.

ვახტანგ ორბელიანის „ლიტერატურული წრე“ და „ზნაკომიე ნეზნაკომცის“ მისეული თარგმანი. ნაავადმყოფარი „ოტსტავნი პაჟი“, 1832 წლის შეთქმულების პეტერბურგის უჯრედის წევრის[13] — ვ. ორბელიანი საქართველოში 1829 წლის 6 ოქტომბერს დაბრუნდა[14]. სამშობლოში პოეტი „მალე მოკეთებულა“[15]; შინ დაბრუნებულს „მხიარულობა და საზოგადოებაში ყოფნა ჰყვარებია“[16]. უნდა ვიფიქროთ, რომ „მალე მოკეთებული“ ვ. ორბელიანი ლიტერატურულ მუშაობას მომდევნო, 1830 წელს მაინც შესძლებდა. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ცნობები იმის შესახებ, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებული იგი ბევრს კითხულობდა, „ნამეტნავად საფუძვლიან, გამოჩენილ წიგნებს“[17], ეუფლებოდა, ფრანგულ ენას, სწავლობდა ფორტეპიანოზე დაკვრას. «По утрам, как тебе известно, голову ломаю, — ხუმრობანარევი ტონით წერდა იგი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელს, — после 3 часов с пальцев шкуру сдираю»[18].

პოეტის ეს ჯანსაღი განწყობილება და მებრძოლი მისწრაფებები განპირობებული იყო უმთავრესად იმ ახალი ვითარებით, რომელიც ოქროპირ ბატონიშვილის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დამყარდა მაშინდელ მოწინავე საზოგადოებრივ წრეებში. ვ. ორბელიანმა სამშობლოში 1832 წლის შეთქმულების პეტერბურგის უჯრედის დირექტივები ჩამოიტანა. ეს დიმიტრი ბატონიშვილის მიერ თბილისში დასთან — თამარ ბატონიშვილთან გამოგზავნილი წერილებით არის დადასტურებული[19]. აქ მას შეთქმულებაში მუშაობისათვის

---

[11] ნ. ხომერიკი, ლიტერატურული ჩანაწერები, თბ., 1964, გვ. 47.

[12] ანა დრანსე, შამილის ტყვე ქალები, 1978, გვ. 27.

[13] გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, თბ., 1935, გვ. 105—107. (ქვემოთ ყველგან: გ. გოზალიშვილი, I).

[14] გ. გოზალიშვილი, 1932 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 234. (ქვემოთ ყველგან: გ. გოზალიშვილი II).

[15] მ. ორბელიანი, მოგონებანი, „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 5, ნაკვეთი პირველი, თბ., 1949, გვ. 64, (ქვემოთ ყველგან ლიტერატურის მატიანე, 5/I).

[16] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, თბ., 1953, გვ. 232 (ქვემოთ ყველგან: ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III).

[17] იქვე, გვ. 232—233.

[18] საქართველოს სცია, განსაკუთრებული საქმეთა ფონდი, საქმე № 171, ფ. 271. შდრ. ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, 1971, წიგნი 25—26, გვ. 77.

[19] გ. გოზალიშვილი, 1, გვ. 105—109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზა პირობები დახვდა. 1829 წლის სექტემბერში ოქროპირ ბატონიშვილი „უკვე თბილისში იმყოფებოდა“[20]. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, 1829 წლის ბოლოსა და 1830 წლის დამდეგს, ჩამოაყალიბა ოქროპირ ბატონიშვილმა შეთქმულების თბილისის ორგანიზაცია. 1830 წლიდან შეიქმნა შეთქმულების თბილისის ცენტრი ელიზბარ ერისთავის, ალექსანდრე ორბელიანისა და სოლომონ დოდაშვილის შემადგენლობით. ადგილებზე ამ დროისათვის უკვე მუშაობდნენ „სათანადო ორგანიზატორები“[21]. ბუნებრივია, ვიფიქროთ, ვ. ორბელიანი უფროს ძმასთან — ალ. ორბელიანთან ერთად პირადადაც შეხვედროდა ოქროპირ ბატონიშვილს და სხვებთან ერთად მასაც მიეღო სათანადო მითითებები.

ცხადია, ფრთა ესხმოდა ჭაბუკი პოეტის სანუკვარ ოცნებას: ცარიზმისაგან სამშობლოს განთავისუფლების მიზნით ირაზმებოდა ქვეყნის მოწინავე ძალები; განუზომლად აღაფრთოვანებდა ვ. ორბელიანს არა მხოლოდ ის, რომ მისი უფროსი ძმა მეთაურობდა შეთქმულებას, არამედ ისიც, რომ მათი მბრძანებელი დედა — თეკლე ბატონიშვილიც (1776—1846) ენერგიულად ერეოდა „საქართველოს გამოხსნისათვის“ ბრძოლის საქმეში. ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად პოეტი მთელი არსებით ჩაება შეთქმულებაში.

ვ. ორბელიანი იმთავითვე გახდა შეთქმულების თბილისის ცენტრის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანდო, დასაყრდენი პიროვნება. ამით აიხსნება, რომ მის გარეშე არ მომხდარა შეთქმულთა არც ერთი ოდნავ მნიშვნელოვანი შეკრება, არ განხილულა თითქმის არც ერთი საკითხი, რომლის გადაჭრაში შეთქმულების ხელმძღვანელობასთან ერთად მას არ მიეღოს მონაწილეობა. აჯანყების მიზნებსა და ამოცანებს დაუმორჩილა ამიერიდან ვ. ორბელიანმა თავისი პოეტური შემოქმედება და ადამიანური შესაძლებლობა.

გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ შეთქმულების ხელმძღვანელობას პოეტისათვის თავიდანვე მიუცია საგანგებო დავალება: შეექმნა კონსპირაციული ჯგუფი, რომელიც დასაყრდენი იქნებოდა შეთქმულებათა ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობისათვის. ამ წრის მეშვეობით უპირველეს ყოვლისა ვ. ორბელიანს შეთქმულებაში უნდა ჩაება ახალი წევრები და, რაც ასევე მთავარია, უნდა გაეჩაღებინა პოლიტიკური აგიტაცია „სამშობლოს სიყვარულის გასავრცელებლად“, როგორც ს. დოდაშვილი ამბობდა[22].

დავალების სერიოზულობა თავისთავად მოითხოვდა მკაცრ კონსპირაციას. შეთქმულთა სახელმძღვანელო მეთოდის თანახმად, პოეტს გადაუწყვეტია, შეენიღბა დავალების ნამდვილი აზრი და პირველ რიგში ჩამოეყალიბებინა ლიტერატურული წრე. ცხადია, ვ. ორბელიანს, რომელიც „ყოველთვის ირჩეოდა თურმე მაშინდელ ყმაწვილ-კაცთა შორის თავისი ცოდნით და გონებაგახსნილობით“[23], არ გასჭირვებია, შემოეკრიბა იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი. „რადგან ვახტანგ ორბელიანს ვიცნობდი, — წერს მისი ბავშვობის მეგობარი ზ. ავთანდილაშვილი, — ამიტომ ზოგჯერ დავიარებოდი... მასთან დროს გასატარებლად, სადაც... ერთად ხშირად

---

[20] გ. გოზალიშვილი, II, გვ. 236

[21] გ. გოზალიშვილი, I, გვ. 31.

[22] გ. გოზალიშვილი, II, გვ. 80.

[23] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვკითხულობდით ხოლმე მის მიერ პეტერბურგიდან ჩამოტანილ საუკეთესო ნაწარმოებებს, რომელთა შესახებ მსჯელობას ვმართავდით"[24].

უდავოა, ზ. ავთანდილაშვილი მარტო არ ყოფილა. ლიტერატურული წრე უკვე 1831 წელს ჩამოყალიბებულა. პოეტის სკოლის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი გადმოგვცემს: „1830—1831 წლებში... პატარა ჯგუფი ახალგაზრდობისა, რომელსაც ვახტანგი მეთაურობდა, ხშირად იკრიბებოდა ხან ერთთან, ხან მეორესთან, უფრო ხშირად ბატონიშვილ თეკლესთან და დროს მხიარულად და სიამოვნებით საუბარში ატარებდნენო", — შეგნებულად ფარავდა შეთქმულთა წრის ნამდვილ მიზანს კ. მამაცაშვილი[25].

წრეში გაერთიანებული ყოფილან: ზ. ავთანდილაშვილი, დ. ყიფიანი, გ. დ. ერისთავი, დ. ჯორჯაძე და სხვები. წრის მუშაობაში ხშირად მონაწილეობდნენ თვით ელ. ერისთავი და ალ. ორბელიანი. ისინი ძირითადად თ. ბატონიშვილის სასახლეში იკრიბებოდნენ[26]. კონსპირაციის მიზნით საქვეყნოდ ყოფილა გამოცხადებული, რომ თითქოს ლიტერატურული წრე ამზადებდა წარმოდგენას და ახლო მომავალში (ყველიერში) ნაჩვენები იქნებოდა კომედია — ვოდევილი „ზნაკომიე ნეზნაკომცი". ამ სახით შენიღბული „ლიტერატურული წრე" დიდხანს განაგრძობდა მუშაობას; პოლონეთის დამარცხების შემდეგაც, ვიდრე შეთქმულება ჩავარდებოდა, წრის წევრები ვ. ორბელიანთან, თ. ბატონიშვილის სასახლეში იკრიბებოდნენ.

პიესა „ზნაკომიე ნეზნაკომცი" საგანგებოდ იყო შერჩეული. მას უკვე იცნობდა მაშინდელი თბილისის არისტოკრატიის ერთი ნაწილი. ცოტა ხნით ადრე, 1831 წელს, პრაპორჩიკ მათე აველის ძე გამაზოვის (1811—1893) ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით განხორციელდა „ზნაკომიე ნეზნაკომცის" დადგმა რუსულ ენაზე; როგორც ცნობილია, წარმოადგინეს თბილისში, ბოროდინოს გმირის ძმის — რომან ივანეს ძე ბაგრატიონის ოჯახში[27]. ამასთან, რაც მთავარია, იდგმებოდა ისეთი ნაწარმოები, რომელიც თითქოს შეთქმულების იდეებს არაფრით არ უკავშირდებოდა. ეს კი, ცხადია, თავის მხრივ ხელს უწყობდა კონსპირაციას.

როგორც ცნობილია, პეტრე ანდრიას ძე კარატიგინის (1805—1879) „ზნაკომიე ნეზნაკომცი" ერთმოქმედებიანი პიესაა. მოქმედება წარმოებს ერთერთ ვაგზალში, მოსკოვის გზაზე. თითქოს ყოფითი ინტრიგაზე აგებულ ნაწარმოებში ნიჭიერადაა გახსნილი III განყოფილების აგენტის, რეაქციონერი ბულგარინის საძულველი სახე.

ცოცხალი დიალოგი, სასიმღერო კუპლეტების არტისტიზმი, სათქმელის

---

[24] გ. გოზალიშვილი, I, გვ. 152.

[25] კ. მამაცაშვილი, გენერალ-მაიორი ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი (რუსულად), გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერების ფონდი, № 3440/4, ფ. 2, შდრ. „ლიტერატურის მატიანე", 5/1 გვ. 112; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1969, გვ. 244; გ. ჟღენტი, ნარკვევები ქართული რომანტიზმის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 32.

[26] ეს სასახლე მდებარეობდა ძველი თბილისის მაშინდელ ცენტრში. ე. წ. ანჩისხატის უბანში, სიონსა და ანჩისხატს შორის, დღევანდელ ერეკლე II-ის მოედანზე, ივანიძის (36) და ერეკლე II-ის (№ 5) ქუჩების კუთხეში. ამჟამად მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქცია.

[27] რ. საყვარელიძე, ქართული თეატრის ისტორიიდან (ერეკლე მეორის თეატრიდან გიორგი ერისთავის თეატრამდე), თბ., 1966, გვ. 60—61; И. Богомолов, Грузия в жизни и творчестве Матвея Гамзатова, „მაცნე", 1966, № 3, გვ. 185—197 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორისტულ-კომიკური გააზრება და მიგნებული სარკაზმი სცენურ მომხიბვლელობას ანიჭებდა ვოდევილს. იგი პირველად დაიდგა პეტერბურგში 1828 წლის 12 თებერვალს[28]. ვოდევილმა საერთო მოწონება პოვა. „აღფრთოვანებული ვიყავით“, — იგონებდა შემდეგ გამარჯვებული ავტორი[29]. პიესა დიდხანს არ ჩამოსულა იმპერიის დედაქალაქის სცენიდან. ცხადია, 1828—1829 წწ. პეტერბურგის პაჟთა კორპუსში მყოფ ვ. ორბელიანს კარგად უნდა სცოდნოდა ასე გახმაურებული თხზულების მნიშვნელობა მასების ყურადღების მისაპყრობად და ცარიზმის სატრაპების თვალის ასახვევად. ცხადია, ამიტომ „ზნაკომიე ნეზნაკომცი“ ქართულად უთარგმნია პოეტს. უფრო საფიქრებელია, ეს მოხდა 1830 წელს, თუმცა ოფიციალურად თარგმანის არსებობა 1831 წელს არის დადასტურებული.

1831 წლის „დასაწყისში თავად ვახტანგ ორბელიანმა გვთხოვა მე და მასწავლებელ ყიფიანოვს, აგვეღო როლები მის მიერ რუსულიდან ქართულად გადათარგმნილი კომედია «Знакомый незнакомец»-დან. მაშინ ჩვენ ხშირად დავიარებოდით რეპეტიციებზე, რომლებიც შეწყდა იმის გამო, რომ არ აღმოჩნდა თანხა მის დასადგმელად“,—უმალავდა სიმართლეს გამომძიებას პატიმარი ზ. ავთანდილაშვილი[30].

სხვა ცნობა რომ არ გვქონოდა, აქედანაც ცხადია, რომ 1831 წელს უკვე არსებობდა ვოდევილის ვ. ორბელიანის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი. ზ. ავთანდილაშვილის ამ ცნობას ადასტურებს აგრეთვე სხვა არაერთი წყარო, კერძოდ, დ. ყიფიანის სიტყვით, განზრახული იყო 1831 წლის ყველიერში ეთამაშათ კომედია-ვოდევილი «Знакомые незнакомцы», ქართულ ენაზე გადათარგმნილი ვახტანგ ორბელიანის მიერ. დაიწყო რეპეტიციები და მით ჩვენ დავახლოვდით, თუმცა კომედია არ დადგმულა“[31].

გ. დ. ერისთავის თქმით, ვარშავის დამარცხების შემდეგ შეთქმულთა საქმიანობა მინელდა, მაგრამ ვ. ორბელიანთან ისევ „ხშირად დაიარებოდნენ. მე, ავთანდილოვი, ყიფიანი და თავადი დავით ჯორჯაძე და **ჩვენ ვთამაშობდით კომედიას, განზრახულობაზე საუბარს კი არავინ მოითხოვდა და არც გაგვიახლებიაო“** (ხაზი ჩემია. — ნ. კ.), — გ. დ. ერისთავიც ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა ძიება[32].

ერთი სიტყვით, ვ. ორბელიანს 1831 წელს ქართულ ენაზე უთარგმნია პ. ა. კარატიგინის კომედია-ვოდევილი „ზნაკომიე ნეზნაკომცი“. მიმდინარეობდა რეპეტიციებიც ქართული თარგმანის მიხედვით. პოეტის ამ დროის ორიგინალურ ნაწერებთან ერთად იგი დღემდე დაკარგულად ითვლება.

პ. ა. კარატიგინის პიესის თარგმნა და მისი სააჯანყებო მიზნის სამსახურში ჩაყენება შეთქმულთა ვ. ორბელიანის ამ ჯგუფის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ერთი მხარე იყო. ბუნებრივია, წრის უკვე დაპატიმრებული წევრები ყოველნაირად ეცდებოდნენ, დაეფარათ ძიებისათვის თავიანთი საქმიანობა. ამით აიხსნება, რომ არც ერთ ჩვენებაში, არც ერთ განმარტებაში ვ. ორბელიანი კრინტს არ ძრავდა აღნიშნულ წრეზე და „ზნაკომიე ნეზნაკომცის“ თარგმანზე.

---

[28] П. Каратыгин, Записки, I—II, Л., 1929—1930, გვ. 301.
[29] იქვე, გვ. 303.
[30] გ. გოზალიშვილი, 1, გვ. 153.
[31] დ. ყიფიანი, მემუარები, ს. ხუნდაძის რედაქციით, თბ., 1930, გვ. 137—138.
[32] გ. გოზალიშვილი, II, გვ. 550.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე მკაცრად ფარავდა ვ. ორბელიანი მის ადრინდელ, საკუთრივ 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებულ, პოეტურ მოღვაწეობას. ამიტომ დღესაც არაფერი ეცოდინებოდა ლიტერატურის ისტორიას ვ. ორბელიანის აღნიშნული თარგმანის ირგვლივ, რომ გამოძიების ძუნწ მასალებს არ შემოენახათ ცნობა „ზნაკომიე ნეზნაკომცის“ მთარგმნელის ვინაობის, თარგმანის მიზანდასახულობისა და წრის არსებობის შესახებ.

ჩანს წრეში ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა წარმოებდა. წრის ხელმძღვანელი ლიტერატურულ ნიმუშებს, ს. დოდაშვილის ზემოთ დამოწმებული სიტყვებით რომ ვთქვათ, იყენებდა „სამშობლოს სიყვარულის გასავრცელებლად“, ცარიზმისადმი სიძულვილის გასაღვივებლად.

ძიებას დადგენილი აქვს, რომ ვ. ორბელიანის წრეში განუხილავთ იოსებ მამაცაშვილის პატრიოტული იდეებით გაჟღენთილი თხზულება „სიყვარული სამშობლოსადმი“. გ. დ. ერისთავს ერთ-ერთ დაკითხვაზე წამოსცდენია თხზულების სახელი, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ იგი უკვე მოსპობილი ჰქონდათ შეთქმულთ. გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის გ. დ. ერისთავისათვის „კითხვითი პუნქტებით“ მოუთხოვია განმარტება ამ თხზულებაზე.

გ. დ. ერისთავი პასუხში ცდილობს გაუუფასუროს იგი ვოლხოვსკის: „ერთხელ საღამოს მივედი, — წერს გ. დ. ერისთავი, — ვახტანგ ორბელიანოვთან, სადაც დამხვდნენ ავთანდილოვი, დ. ყიფიანოვი... საუბრის შემდეგ ვახტანგმა სიცილით მითხრა: ...წაკითხული გაქვს თუ არა მამაცოვის თხზულება „სიყვარული სამშობლოსადმი“... აიღო და გადმომცა... მე დავიწყე კითხვა... ავთანდილოვმა თქვა... ეს ყველაფერი კარამზინიდან უთარგმნიაო... შევწყვიტე..., რადგან დავრწმუნდი... ამოწერილი იყო ბიძაჩემ მიტროპოლიტ ვარლამის თხზულებიდან... დავაგდე რვეული მაგიდაზე და ვთქვი, რომ იოსებისაგან ამას არ მოველოდი, ამას თავისი არაფერი აქვს... იმ დღეს ქალაქში გავედი... მამაცოვთან. მას ყველაფერი ვუამბე... მითხრა: დამიბრუნეთ..., სირცხვილია, დაიბეჭდოს ჟურნალშიო... მე წამოვედი მისგან და არ მახსოვს, დავუბრუნე მას თხზულება თუ ჩემთან დარჩაო... მიზანი კი ის იყო, რომ ჩვენ ყველანი ვცდილობდით, რამე შეგვეთხზა ან გადმოგვეთარგმნა და ჟურნალში დაგვებეჭდა. მასაც სურდა თავის გამოჩენა“, — სიმართლეს უმალავდა ძიებას გ. დ. ერისთავი[33].

კომისიას ნაწარმოები ვერ აღმოუჩენია, მაგრამ ელ. ერისთავის ჩვენებით დაუდგენია, რომ ამ თხზულების („სიყვარული სამშობლოსადმი“) შესახებ მას ელაპარაკა გ. დ. ერისთავი და რომ „იგი აქებდა მას“ (თხზულებას). „მიპასუხა, **რომ მამაცოვს გადაუთარგმნია კარამზინისაგან**“[34] (ხაზი ყველგან ჩემია. ნ. კ.).

ცხადია, „სიყვარული სამშობლოსადმი“ ერთ-ერთი თხზულება იყო სხვა მრავალ ნაწარმოებს შორის, რომელნიც ვ. ორბელიანის წრეში განიხილეს. იგი მოუწონებიათ კიდეც, მაგრამ შეთქმულების გამჟღავნების გამო მოუსპიათ.

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ვ. ორბელიანის წრეში სხვა შეთქმულთა, კერძოდ, თვით ხელმძღვანელის პატრიოტული თხზულებებიც უნდა წაკითხულიყო, მაგრამ მათაც ასევე არ მოუღწევიათ ჩვენამდე ან დღემდე არ არის მიკვლეული.

---

[33] გ. გოზალიშვილი, 1, გვ. 524—525.

[34] გ. გოზალიშვილი, 1, გვ. 526.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეში, როგორც ითქვა, წარმოებდა, საორგანიზაციო მუშაობაც. გ. დ. ერისთავმა ვ. ორბელიანს, ალ. ორბელიანთან და ელ. ერისთავთან ერთად, აქ წაუკითხა ფ. კიკნაძის „აქტი გონიური“, რომელიც მან 1831 წელს ჩამოიტანა კახეთიდან[35]. ვ. ორბელიანმა აღნიშნული წრის მეშვეობით შეიყვანა შეთქმულებაში ზ. ავთანდილაშვილი და დ. ყიფიანი.

„1831 წლის უკანასკნელ მესამედში, — წერდა ზ. ავთანდილაშვილი, — თვე და რიცხვი არ მახსოვს, თ. ვახტანგ ორბელიანმა მითხრა: მე მჯერა, რომ შენ ჩემი მეგობარი ხარ... იცი თუ არა, ჩემო კარგო, რომ არიან ისეთი ხალხი, რომელთაც სწყურიათ ჩვენი სამშობლოსათვის თავისუფლება“[36]. იგი შემდეგ აღნიშნავდა: „ამ განზრახულობის ჩემთვის გაზიარების დროს, რაც ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში ვისმე დაუსწრებლად მოხდა, ვახტანგმა გამომიცხადა აგრეთვე, რომ შეთქმულება ოქროპირ ბატონიშვილმაც იცისო“[37].

შეთქმულების შესახებ დ. ყიფიანს პირველად გ. დ. ერისთავი გაენდო. მის მიერ თქმა და გაქცევა ერთი ყოფილა. გაოგნებული დარჩენილა დ. ყიფიანი, თითქოს ვერც გარკვეულა, რა უთხრეს[38]. „რამდენიმე დღის შემდეგ, — წერდა თვითონ დ. ყიფიანი, — ამავე ამბავს მიცხადებს თავის სახლში თავადი ვახტანგ ორბელიანი“[39]. დ. ყიფიანის თქმით, შეთქმულებაში მისი შეყვანის მონაწილეა მასწავლებელი ავთანდილოვიც, „რომელმაც თ. ალექსანდრე და მისი ძმა ვახტანგ ორბელიანი გამაცნოო“[40]. იასე ფალავანდიშვილი წერდა: „სოვეტნიკმა ორბელიანოვმა ჩამჩურჩულა: შენ ამ ახალგაზრდა ყმაწვილებს, ავთანდილოვსა და ყიფიანოვს, არ იცნობ, ორივე საკმაოდ ჭკვიანი ხალხია და ჩემმა ვახტანგმა მათ ჩვენი განზრახულობა გაუზიარაო“[41].

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ 1832 წლის შეთქმულების თბილისის ცენტრის მითითებით ვ. ორბელიანმა 1831 წელს თავის ბინაზე, თ. ბატონიშვილის სასახლეში შექმნა ლიტერატურული წრე. იგი მალე გადაიქცა აჯანყებისათვის მზადების დასაყრდენ პოლიტიკურ წრედ, შეთქმულთა ერთ-ერთ კონსპირაციულ კერად. მისი მეშვეობით შეთქმულებაში შეყვანილ იქნენ ახალი წევრები.

წრეში წარმოებდა შეთქმულების ინტერესებით განპირობებული ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა. 1831 წელს, უფრო კონსპირაციის მიზნით, ვ. ორბელიანმა თარგმნა პ. ა. კარატიგინის ცნობილი კომედია-ვოდევილი „ზნაკომიე ნეზნაკომცი“. თხზულების ამ თარგმანმა საშუალება მისცა შეთქმულთ, რომ რეპეტიციების საბაბით უშიშრად შეკრებილიყვნენ თ. ბატონიშვილის სასახლეში, რომელიც მაშინ შეთქმულთა შტაბი გახდა.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ არც 1857 წელი და არც 1834 წელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვ. ორბელიანის შემოქმედების დასაწყისად. პოეტის სამწერლო მოღვაწეობის სათავეები გაცილებით უფრო ადრე არის საძიებელი. ვ. ორბელიანის ლექსი „ორი შენობა“ დაწერილია 1831 წელს, ამავე 1831 წელს უთარგმნია მას პ. ა. კარატიგინის „ზნაკომიე ნეზნაკომცი“.

---

35 გ. გოზალიშვილი, II, გვ. 380.
36 იქვე, I, 1935, გვ. 153.
37 იქვე, II, 1970, გვ. 253.
38 გ. გოზალიშვილი, II, გვ. 250—251.
39 დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 139.
40 გ. გოზალიშვილი, II, გვ. 250.
41 იქვე, გვ. 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. Д. КИЛАНАВА

ИЗ РАННЕГО ТВОРЧЕСТВА ВАХТАНГА ОРБЕЛИАНИ

Резюме

В очерке опровергаются традиционные даты начала литературной деятельности грузинского романтика Вахтанга Вахтанговича Орбелиани (1812—1890 гг.), согласно которым поэт начал писать с 1834 или 1857 года (мнение П. Умикашвили, А. Хаханашвили, В. Котетишвили, Р. Гветадзе и др.).

Показано, что начало литературной деятельности В. В. Орбелиани следует отнести к более раннему периоду, т. к. уже в 1831 году поэт пишет оригинальное стихотворение «Два здания» и переводит пьесу К. А. Каратыгина (1805—1872) «Знакомые незнакомцы».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირა ბეკიევა

გრიგოლ ბაგრატიონის ანთოლოგიები

ქართველი ემიგრანტი მწერლებისათვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ისინი არ კმაყოფილდებოდნენ „თანა წარტანილი“ წიგნებითა თუ ხელნაწერებით და უმატებდნენ საკუთარი ხელით შედგენილ კრებულებს. ამით კი უთუოდ დიდ საქმეს აკეთებდნენ. ამრავლებდნენ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, ამდიდრებდნენ ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. კრებულთა შემდგენნი, ქართული მწერლობის ეს დიდი მოამაგენი, დროსა და ენერგიას არა ზოგავდნენ, რათა მოსმენილი ან წაკითხული „ლექსი თუ ამბავი“ ჩაეწერათ ან გადაეწერათ, თვითაც ჰქონოდათ, სხვათათვისაც გაეცნოთ. მრავალი ძეგლი ქართული მწერლობისა ასეთ კრებულთა წყალობით შემოენახა დღევანდელობას.

ამ კრებულის შემდგენლები მასალას ძირითადად იღებდნენ მასზე ადრე შექმნილი სხვა ამგვარივე კრებულიდან, ცალკეული ხელნაწერიდან, უმატებდნენ საკუთარ ნაღვაწს (თუ ასეთი ჰქონდათ) და ქმნიდნენ ქართული მწერლობის უძვირფასეს ძეგლებს.

ქართულ სიძველეთსაცავეებში XVII—XVIII საუკუნეების არა ერთი და ორი ხელნაწერი კრებულია შემონახული. ეს კრებულები „ერთგვარობას არ ამჟღავნებენ არც მასალის სისრულითა და მისი გადმოცემის სისწორით, არც ავტორთა შერჩევითა და არც მათზე მითითების სიზუსტით“[1]. კრებულთა სხვადასხვაგვარობას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მათი შემდგენელნი ზოგჯერ არაკომპეტენტური, ამ საქმისათვის შემთხვევითი პირები იყვნენ, რომელთა მიზანი ვიწრო, ინდივიდუალური ხასიათისა იყო — ჰქონოდათ საკითხავად ის ნაწარმოებები, ლექსები თუ სიმღერები, რომლებიც მათ მოსწონდათ, რომელზედაც მათ ხელი მიუწვდებოდათ. ამ პირთა ნაწერი შეცდომებისაგან დაზღვეული ვერ იქნებოდა. მათთვის ძირითადი იყო ნაწარმოები და ამიტომ ხშირად ავტორის მოხსენიების გარეშე შეჰქონდათ მასალა კრებულში. ზოგჯერ უთითებდნენ ავტორს, თუმცა ხშირად ავტორთა დასახელებაშიც ცდებოდნენ. მიუხედავად ამისა, „ჩვენ მათიცა გვეამების“, რადგან ესეც ჩვენი მწერლობის გარკვეული ფურცელია.

ზოგიერთი კრებულის შემდგენელს უფრო ფართო მისია ჰქონდა — შეეკრიბა ქართული მწერლობისა თუ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები გარკვეული მიზანდასახულობით — არ დაკარგოდათ ქართველებს მათი წინაპრების მიერ ნათქვამი „ყურთა და გულთა საამო“ ლექსი, ამბავი თუ ყურადსაღები აზრი, რომ არ „აღხოცილიყო ენა ქართველთა“. ამ კრებულთა შემდგენნი მასალის შეკრებასთან ერთად მის ავტორსაც ასახელებენ შეძლებისდაგვარად. თუმცა შეცდომები, ამ მხრივ, აქაც გვხვდება. ასე მაგ.: დავით რექტორის (1745—1824

[1] ლ. ქუთათელაძე, დავით რექტორისეული ანთოლოგია 1821—1823 წწ., „მრავალთავი“, IV, თბ., 1975, გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წწ.) ანთოლოგიაში თეიმურაზ მეორის ლექსი მიკუთვნებული აქვს თეიმურაზ პირველს, მასვე მეფე ვახტანგისათვის მიუკუთვნებია გიორგი თუმანიშვილის ერთი ლექსი[2]. ასევე შეცდომითაა რამდენიმე ლექსი სხვა ავტორს მიკუთვნებული გრიგოლ ბაგრატიონის (1789—1830 წწ). კრებულებში (ამაზე ქვემოთ)

ორივე კატეგორიის შემდგენლები მასალის შერჩევა-დალაგებაში საკუთარ (ან სხვა შემთხვევაში დამკვეთის) გემოვნებასა და სურვილს ემყარებიან. ამდენად ხელნაწერი კრებულები მეტ-ნაკლებად მეტყველებენ შემდგენელთა ლიტერატურულ გემოვნებაზე. თუმცა ზოგჯერ სასურველ მასალას მოკლებულნი იყვნენ და კრებულში შეჰქონდათ ის მასალა, რასაც პოვებდნენ, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ. დავით რექტორი გადმოგვცემს: „მეცა შევჰკრიბე, რომელიც ვჰპოვე და აქა ერთად შევჰკრიბე და აღვსწერე"[3]. გიორგი ავალიშვილიც აღნიშნავს: კრებულში ის მასალა შევიტანე, „რაც ოდენ ვჰპოვე თქმულებით"[4].

კრებულებში დაცულ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა პოეტთა თხზულებების მეცნიერულად შესწავლისა და გამოცემის საქმეში.

ძველი ქართული მწერლობის გარდამავალ პერიოდში ხელნაწერი კრებულები შეუდგენიათ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონს (1818 და 1825 წწ.), დავით რექტორს (1821 და 1825 წ.), გიორგი თუმანიშვილს (1825 და 1826 წწ.) და სხვ.

ქართული მწერლობის „გარდამავალი ხანის" მოღვაწეს გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონს შეუდგენია ორი ხელნაწერი კრებული, რომელიც გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ 1880 წელს, მისმა ვაჟმა იოანე გრუზინსკიმ (1826—1880 წწ.) სხვა მრავალ წიგნსა თუ ხელნაწერთან ერთად მიჰყიდა ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას. ამ ხელნაწერების ნაწილი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. 29 აგვისტოს დადგენილებით 1923 წლის 13 ივნისს საბჭოთა საქართველოს გადმოეცა[5]. გრიგოლ ბაგრატიონის ერთი ხელნაწერი კრებული, რომელიც შეკინძულია ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის" მე-19 ცალთან, მოხვდა ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში; მეორე — შედარებით სრული კრებული გრიგოლისა — დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H № 2130).

გრიგოლ ბაგრატიონის მიერ შედგენილი კრებულები წარმოადგენს ხელნაწერ ანთოლოგიებს, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან[6].

---

[2] S № 1512, 40 г. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ. ე. მეტრეველის რედაქციით თბ., 1968, გვ. 261—262.

[3] S № 1512, 246 г.

[4] S № 303, V.

[5] ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მე-19 ცალი და გრიგოლ ბატონიშვილის მარგინალიები. წიგნში: შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 277.

[6] ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი ანთოლოგია ზომით, მასალის შემცველობით შედარებით მცირეა, ამიტომ მას პირობით ვუწოდეთ მცირე ანთოლოგია, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ანთოლოგიას— დიდი ანთოლოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე ანთოლოგიის აღწერილობა გამოაქვეყნა ა. აბრამიშვილმა[7], რომელიც ხანგრძლივად მოღვაწეობდა ლენინგრადში. მცირე ანთოლოგია შედგენილი და ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანთან“ შეკინძული უნდა იყოს 1818—1819 წლებში. „ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, გრიგოლ ბატონიშვილის ხელით წიგნზე დასმული თარიღი 1818 წელი და მეორე მხრივ, წიგნთან აკინძული და მისი აღდგენისას მასზე დახარჯული ქაღალდის ფურცლების ჭვირნიშნები: „AO 1816», «AO 1817», «PRO PATRIA» და კიდევ ადამიანთან ზურგშექცევით უკანა ფეხებზე წამომჯდარი ლომის ფიგურა, რომლებიც აღნიშნავს ფაბრიკის მფლობელების ინიციალებს, მათ ღერბსა და თვით ქაღალდის გამოშვების წლებს[8].

მცირე ანთოლოგია მოიცავს 40 გვერდს[9]. მასში მოთავსებულია ოცდათოთხმეტი ლექსი. აქედან ცხრამეტი თვითონ გრიგოლისაა, თხუთმეტი — სხვადასხვა ავტორისა. კრებულში შეტანილია დავით რექტორის, ბესიკის, საიათნოვას, იოანე მროველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და სხვათა ლექსები. ლექსების გვერდით გვხვდება მოსწრებული თქმანი (ხორგუაშვილის), რაც კრებულის მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს.

მცირე ანთოლოგიაში მოთავსებული ლექსებიდან ზოგიერთი ცნობილია და დაბეჭდილია სხვადასხვა შრომაში[10].

რაც შეეხება თვითონ გრიგოლ ბატონიშვილის აქ მოთავსებულ ლექსებს, ნაწილი ცნობილია და დაბეჭდილი (თუმცა სხვა ავტორის დასახელებით), ნაწილი კი უცნობია.

კერძოდ, ამ კრებულში მოთავსებული გრიგოლის ცხრამეტი ლექსიდან გამოქვეყნებულია ორი:

1. „თქმული გრიგოლ ბატონიშვილის მიერ დავით ბატონიშვილის ლექსის ხმაზე „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“ რომ იყო თქმული („დროცვლილო ბულბულო, იგლოვდი მწარედ[11])“.

2. „მისგანვე თქმული მუსტაზადი („სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები[12])“.

ეს ლექსები 1863 წელს გამოუქვეყნებია დავით ჩუბინაშვილს თავის ქრესტომათიაში. აქ ორივე ლექსის ავტორად პეტრე ლარაძეა (ყარიბი) მიჩნეული.

1895 წელს იგივე ლექსები გამოაქვეყნა გ. სკანდაროვმა „სალხინო საზანდარში“. მან პირველი ლექსი „დროცვლილო ბულბულო“ მიაკუთვნა პეტრე ლარაძეს, ხოლო მეორე — „სევდამ მომხვია“ — შიო მეჭიანურეს (ყარიბს).

მუსტაზადის („სევდამ მომხვია“) ერთი სტროფი ალ. ხახანაშვილს ქართული სიტყვიერების ისტორიაში გამოუქვეყნებია, როგორც ილია ბატონიშვილის ლექსი[13].

---

[7] იქვე გვ. 286—288.

[8] ა. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 281—282.

[9] ნუმერაცია გვერდების —1—40 მიუწერიათ 1947 წელს (იხ. მცირე ანთოლოგია, გვ. 40).

[10] ამის შესახებ იხ.: ა. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 288.

[11] დ. ჩუბინოვი, ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, ნაწ. მეორე, სანკტ-პეტერბურღი, 1863, გვ. 21, გ. სკანდაროვი, სალხინო საზანდარი, ანუ უქმ-დროების შემაქცევარი სიმღერების კრება ძველთა და ახალთა მწერლებისა, ტფ., 1895, გვ. 263—264.

[12] დ. ჩუბინოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123; გ. სკანდაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—62.

[13] ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბ., 1904, გვ. 541.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი მრავალფეროვნებაა ავტორთა დასახელებაში ბეჭდურ გამოცემებში. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ხელნაწერებში? სამწუხაროდ, იქაც არაა ერთგვარობა. „დროცვლილო ბულბულოს“ ავტორობის შესახებ ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ წერილში „ერთი ქართული ლექსის გამო“[14]. ამიტომ აქ ამაზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლექსი „დროცვლილო ბულბულო“ ეკუთვნის გრიგოლ ბაგრატიონს.

რაც შეეხება მუსტაზადს „სევდამ მომხვია“, ეს ლექსი მოთავსებულია მცირე ანთოლოგიაში, დიდ ანთოლოგიაში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში E 131, ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში — იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 44, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3686 (აქ სათაურში, მართალია, ილიაა ავტორად დასახელებული, მაგრამ შემდეგ გადაუშლიათ ფანქრით).

ამ ხუთი ხელნაწერიდან სამი, კერძოდ, დიდი ანთოლოგია, ხელნაწერები E 131 და იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 44, ილია ბატონიშვილს ასახელებს ლექსის ავტორად.

აქ შემდეგი გარემოებაა: დიდ ანთოლოგიაში ეს ლექსი („სევდამ მომხვია“) მოყვანილია გრიგოლის ერთ-ერთი ლექსის („თქმული პეტრებულსა შა გრიგოლისაგან ანასტასიაზედ მუსტაზადი“) შემდეგ. სათაურად სწერებია „თქმული მასზედვე (ე. ი. ანასტასიაზე — ნ. ბ.) მისგანვე (ე. ი. გრიგოლისაგან. — ნ. ბ.) მუხამბაზი“. ეს ლექსი ხელნაწერის სამ გვერდზეა მოთავსებული და სათაური სამივე გვერდზე ამ სახით ჰქონია. ეს დასათაურება წაშლილია და ზემოდან აქვს დაწერილი „მეფის ძის ილიასაგან“. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ გრიგოლს ჩაუწერია თავისი ლექსი (სათაურში ავტორად თვითონ იგულისხმება). სათაურის წაშლა და ილიას ავტორად მიწერა შემდეგი დროისაა და არა პირვანდელი ჩანაწერი.

ლექსი „სევდამ მომხვია“ რომ გრიგოლს ეკუთვნის, ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ ლექსის ერთი სტროფი დიდ ანთოლოგიაში მოთავსებული გრიგოლის სხვა ლექსშია („მისგანვე მასზედვე მუხამბაზი“ — „წითელს ბაგეზედ გშვენის ხალები“ (H № 2130, 70r), ხოლო ერთი სტროფი — მის სხვა ლექსში („მასზედვე მისგანვე მუხამბაზი თქმული“ — „პირსა მთვარესა შვენის ქებანი. (H № 2130, 79v). ორივე ზემოდასახელებული ლექსი გამოცემულია[15].

არა გვგონია გრიგოლი ისე შორს წასულიყო ლექსის ყალბისმქნელობაში, რომ სხვისი მიესაკუთრებინა და შემდეგ ის დაენაწევრებინა და თავის სხვა ლექსებში ჩაერთო. აქ პოეტს თავისი ლექსის ვარიანტული გამეორება მოუხდა სხვა ლექსებში — ეს ჩვეულებრივი მოვლენაა შემოქმედი პიროვნებისათვის.

ე. ი. მუსტაზადი „სევდამ მომხვია“ უცილობლად გრიგოლ ბაგრატიონისაა და არა სხვა ავტორისა, როგორც ამ ლექსის გამომცემელთ მიაჩნიათ. ამას მოწმობს მცირე ანთოლოგია, რომელიც გრიგოლის მიერაა შედგენილი და ამ ლექსის სტრიქონების გაბნევა გრიგოლის სხვა ლექსებში.

სხვა ლექსები გრიგოლ ბაგრატიონისა ამ კრებულიდან გამოქვეყნებული არაა.

შედარებით მოგვიანო ხანისაა დიდი ანთოლოგია. იგი შედგენილი უნდა

---

[14] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 86, № 1, 1977, გვ. 221—224.

[15] ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 145—148.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს არა უადრეს 1825 წლისა (ამას მოწმობს ქაღალდის ჭვირნიშანი 1825) და არა უგვიანეს 1830 წლისა (გრიგოლის გარდაცვალების თარიღი).

დიდი ანთოლოგია მოიცავს 180 ფურცელს. აქედან 149 ფურცელი ნაწერია, ხოლო 30 ფურცელი დაუწერელია. იმ 149 ფურცელზეც შიგადაშიგ გვხვდება დაუწერელი გვერდები: 1r — 3r, 76v —-77v, 80v — 81v, 89r — 92r, 99v—101v, 114r—117v, 124r—129r, 138r—141v.

კრებულში წარმოდგენილია ოცდახუთზე მეტი ავტორი. სულ კრებულში 120-ზე მეტი თხზულებაა შეტანილი. აქედან საკუთრივ გრიგოლისაა ოცდათხი. ნაწერია გრიგოლ ბატონიშვილისთვის დამახასიათებელი წვრილი, გაკრული ხელით. მხოლოდ ერთგან (111v—112r) ვხვდებით განსხვავებულ ხელს, ესაა ლამაზი მხედრულით ნაწერი ლექსი, რომელიც სხვას ჩაუწერია (შესაძლებელია ავტორის თხოვნისამებრ).

კრებულში შეტანილია თეიმურაზ I-ის, ბესიკის, პეტრე ლარაძის, დავით რექტორის, ქეთევან ბატონიშვილის, მაჩაბელა საზანდრის და სხვათა ლექსები თუ ხუმრობები.

კრებულში ყველაზე ვრცლად გრიგოლ ბატონიშვილი წარმოგვიდგება. მეტ-ნაკლები სისრულით არიან წარმოდგენილნი სხვა პოეტები. პეტრე ლარაძის თორმეტი ლექსია, ბესიკის — ათი, თეიმურაზ I-ის — ხუთი და ა. შ.

კრებულში ლექსების გვერდით შეტანილია სახუმარო თქმები, სიტყვამოსწრებული თქმანი.

კრებული შეკრულია და ჩასმული მუყაოს ყდაში. კრებულს დართული აქვს წინასიტყვაობა. გრიგოლ ბაგრატიონს კრებულის შედგენისას გარკვეული მიზანი დაუსახავს, რაც კრებულის წინასიტყვაობაში ნათლად მოჩანს: „მე მეფის ძის ძე გრიგოლ, დიდის გულისმოდგინებით ვეცადე, რომ შემეკრიბა ძუჱლთაგან თქმული მუნასიბნი ანუ სიმღერისა ლექსნი, ანუ ზმანი, ანუ იამბიკონი ანუ ოხუნჯობანი, რაცა ძალმედვა — ვეცადე, ან ვის რა უთქუამს ერთმანერთისათვის ხუმრობა-ოხუნჯობა, მასხარაობა და თქვენცა გევედრებით, კითხუჱლ-მსმენელნო, თუ გაგონებით ანუ იცოდეთ ლექსი ანუ ზმანი, ანუ ოხუნჯობა, ჩასწეროთ წიგნსა ამას შინა, რათა არ დაეკარგოსთ ქართუჱლთა ენა და ლექ[ს]ი ანუ ხუმრობა თვისი... ვინაიდგან იქნება წიგნსა შინა შთაწერილი, ამისთვის არღა შესაძლებელ არს დაკარგუად ლექსისა, გინა ხუმრობისა, გინა ოხუნჯობისა. ამის გამო გთხოვთ გულსმოდგინებით, რათა არა უარჰყოთ მოხსენება ჩემი და ლექსი იგი ანუ ხუმრობაები იგი ჩთაწერეთ და ვისგანცა იყოს ნათქჳამი ანუ ნაოხუჯარი, გთხოვთ, სახელისა იმის მოიხსენოთ, ვითარცა არს წიგნსა ამას შთაწერილი“ (4r).

ამ პერიოდის არც ერთ კრებულს ასე ნათლად ჩამოყალიბებული წინასიტყვაობა არ აქვს დართული. ამ წინასიტყვაობით მისი შემდგენის მიზანდასახულობა გამოკვეთილადაა ჩამოქნილი და წარმოდგენილი. ამ წინასიტყვაობით ნათლად ჩანს, რომ გრიგოლ ბაგრატიონს ფრიად საპატიო მოვალეობა უკისრია — შეუკრებია ლექსები, ოხუნჯობანი თუ სხვა „რაჲცა ძალედვა“ და სხვებისთვისაც უთხოვია, თქვენც ჩაწერეთ თუკი რაიმე უწყითო· ეს ყოველაფერი პატრიოტული მიზნისათვის დაუქვემდებარებია: „რათა არა დაეკარგოსთ ქართუჱლთა ენა და ლექსი ანუ ხუმრობა“.

დამახასიათებელია, რომ გრიგოლი აქვე აფრთხილებს ყველას: „უკეთუ ინებეთ მოხსენება ჩემი და ლექსი იგი ანუ ხუმრობაები იგი ჩთაწერეთ“, უეჭ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველად მოიხსენიეთ ავტორი „ვისგანცა იყოს ნათქუამი, ანუ ნახუმარი, ანუ ნაოხუჯარი“ (4r).

თვითონ გრიგოლი რამდენად კეთილსინდისიერად იცავს ავტორის დასახელების ტრადიციას, ეს კარგად ჩანს მისი ანთოლოგიიდან. 111r — 112v გვერდებზე საფიქრებელია გრიგოლის თხოვნით ჩაუწერიათ ლექსი „საათლამას გუარზედ თქმული ლექსი იარალისაგან“. ამ სათაურის შემავსებელი ცნობები გრიგოლს მიუწერია: „შაშიაშვილის, გიორგი პაიჭაძეზე“. აქ უკვე გარკვეულია, რომ ლექსი ეკუთვნის იარალი შანშიაშვილს, მიძღვნილია გიორგი პაიჭაძისადმი.

თავის მიერ შეტანილი ლექსების ავტორს გრიგოლი ასახელებს. იშვიათად, მაგრამ გვხვდება შემთხვევა, როცა ავტორი ლექსისა არაა მოხსენიებული. გრიგოლი ამის მიზეზს ზოგჯერ გვიწმარტავს. ასე მაგ.: „სხუა და სხუა იამბიკო („მბადმან არსთამან თვით არვისგან ბადულმან) **ვერ ვსცან ვისი თქმულია“** (12v). **„ესეც არ ვიცი ვისი ნათქვამი იამბეკო არის** („დამწყები აწლა შაირი სიტყუაობის“) (15v). **„არ ვიცი ეს ლექსით შესხმა ვისგან არის მე**ფის ძის იოანესადმი მირთმეული დღესა ქრისტესშობისას“ („ქონებისა ხარ საუნჯე ელვის მომფენი ზეცითა“) (44v).

ზოგჯერ კრებულში ავტორის მცდარად დასახელების შემთხვევაც გვხვდება. ასე მაგ.: მაჯამა მეფის ვახტანგისაა, — გვაცნობს გრიგოლი (2r), სინამდვილეში კი ეს მაჯამა ეკუთვნის არა ვახტანგს, არამედ თეიმურაზ I-ს და შეტანილია მის თხზულებათა კრებულში[16]. ვახტანგსვე მიეკუთვნება თეიმურაზის „ანბანთქება“ („ალახუე ჩემნი ბაგენი“)[17] და სხვ.

შესაძლებელია, გრიგოლამდე შეცდომით იყო ავტორის გვარი და სახელი მოტანილი და ეს არევ-დარევა ამან გამოიწვია. თვითონ გრიგოლი არათუ ავტორს ასახელებს ნაწარმოებისას (შეძლებისდაგვარად), არამედ ავტორთან თუ მის ნაწერთან დაკავშირებულ სხვადასხვა ცნობასაც იძლევა.

ასე მაგალითად: „თელავს ოდეს მეფე თეიმურაზმა აღდგომა დღეს წირვა მოისმინა და პური მიირთო და ქალაქ[ს] წამობძანდა და გომბორზე რომ მობ[რ]ძანდა, ერთი თელაველი გლეხის ქალი წინ შემოეყარა, მოეწონა, მეტათ ლამაზი იყო და ჴელშიაც იმ ქალის კალათა ეჭირა და უბრძანა ლექსი ესე:

ა, ქალო, ვაშლი წითელი, ჴელთ რომ გიჭირავს კალათა,
შენმა წარბმა და წამწამმა მე გული მომიკალათა“. (12 r)

ანდა: „ოდეს ბესარიონ გაბაშვილსა და ჭაბუა მდივანბეგსა ლაპარაკი და სამდურავი მოუხდა ერთმანეთთანა, მაშინ რადგან ჭაბუა კუზიანი იყო და ურიგოდ აგებული, ბესარიონმა ეს ანბანთქება დაუწერა და მეფე გიორგის მიართო“ (24r — 25v).

ანთოლოგიაში ძვირფას ცნობებს იძლევა გრიგოლი თავის თანამედროვეთა შესახებ: „ჭაბუა მდივანბეგი დიდი საპატიო და მეცნიერი და შემაქცევარი კაცი იყო და მეფე ირაკლის დიდათ უყვარდა და ხუმრობაებიც იცოდა და მოსწრობა სიტყვისა მსწრაფლად და მარდად იცოდა და ამის გამო კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ უბრძანა: „ჭაბუავ, რატომ ბესარიონს მაგიერს ლექ[სს] არას დაუწერო? — და მაშინვე, იმავ წამს მოახსენა: შენი ჭირიმე, ბლიაძეს რა ლექსი გაეწყობაო. იქ მყოფთა დია ბევრი იცინეს“ (27r).

---

16 თეიმურაზ პირველი, თხზულებანი, ალ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1934, გვ. 113.

17 იქვე, გვ. 149.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლი ადამიანის შინაგან თვისებასთან ერთად ზოგჯერ მის პორტრეტსაც წარმოგვიდგენს, ეს „დიდი საპატიო და მეცნიერი“ ჭაბუა იყო „დიდათ სქელი, კუზიანი, ავსახე“ და „ურიგოდ აგებული“ (24r და 27r).

საკმაოდ დიდ და მრავალფეროვან განმარტებებს ურთავს გრიგოლი საკუთარ ლექსებს: „ბატონიშვილები მეფის ძე მიხაილ, ილია და ო[ქ]როპირ იდგნენ ვასილის ოსტროვაში და იქიდამ აიყარნენ და მეშანცკში დადგნენ და ფარსადან ციციშვილი და ბანცულაშვილი იოსებ თან ახლდნენ. ვინადგან ოქროპირს დარია ნიკიტიჩნა უყუარდა და ალექსანდრე ბაგრატიონსაც უყუარდა იგი (დარია იყო რუსის ქალი და თეიმურაზ ბატონიშვილმა თავისი მეუღლისათვის მოჯამაგირედ შეიყუანა სახლში) და ოდეს გამოვიდნენ მეფის ძენი მეშანცკში სახლსა კუბცისა ვარვარინასასა, მაშინ მივსწერე მე მეფის ძის ძემ გრიგოლმა ხუმრობა ესე ლექსით“ (67v — 68v).

ხშირად ლექსის დაწერის დრო, ვითარება თუ სხვა მასთან დაკავშირებული საკითხი სწორედ ასეთი კომენტარის საშუალებით ხდება ცნობილი: „გრიგოლ ბატონისშვილის ნათქვამი მუსტაზადი, ოდეს პეტრეზაოდს იჯდა ტუსაღათ, ქართველთადმი მისწერა“. ამ დასათაურებიდან ირკვევა ავტორის ვინაობა, ლექსის დაწერის დრო, ადგილი და ლექსის ადრესატი. ასეთ და სხვა მრავალ ძვირფას ცნობას შეიცავს გრიგოლ ბაგრატიონის დიდი ანთოლოგია.

ისმება კითხვა: რა ურთიერთმიმართებაშია მცირე და დიდი ანთოლოგიები ერთმანეთთან? განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან თუ ერთი (მცირე) წარმოადგენს მეორის (დიდის) ნაწილს, ანუ მეორდება თუ არა მცირე ანთოლოგია უცვლელად დიდ ანთოლოგიაში?

ამ ორი ხელნაწერი კრებულის ურთიერთშედარებისას გამოირკვა, რომ მცირე ანთოლოგიის მასალა ძირითადად ნაცნობია დიდი ანთოლოგიისათვის, თუმცა მცირე ანთოლოგია დიდისათვის უცნობ მასალასაც შეიცავს.

მცირე ანთოლოგიაში მოთავსებული ოცდათოთხმეტი ლექსიდან დიდ ანთოლოგიაში შეტანილია ოცდათერთმეტი ლექსი. სამი ლექსი დიდ ანთოლოგიაში არ გვხვდება. ეს სამივე ლექსი გრიგოლისაა:

1. «მუხამბაზი მისგანვე თქმული: „რის მესმა სახის სილამაზე და მშვენებანი“» (5 სტროფი) (21r — 22r).

2. «ოდეს მივწერე უკანასკნელი წიგნი ჩემს საყვარელს ეკატერინეს ეს ჩახრუხაული ფისტიკაურად: „ეკატერინავ, მყნოსელ-ზმირინავ, მე შენი ეშხით ვიწვი წყენითა“» (ერთი სტროფი) (35r).

3. «თქმული ბატონიშვილის გრიგოლისაგან — ანზე. ვისი ყმა ხარ „ასურეთით ამერიკას მოვინებე მიმოსვლანი“» (31 სტროფი) (36r—40r).

მოკლედ შევეხებით ამ ლექსებს. პირველი ორი ლექსი სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა. გრიგოლი სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკაში ბესიკის სკოლის ერთ-ერთი მიმდევართაგანია. იგი ძირითადად კმაყოფილდება უკვე არსებული მრავალგზის ნაცადი და საბოლოოდ ჩამოყალიბებული მხატვრული საშუალებებით“[18]. გრიგოლი „მუხამბაზში“ სატრფოს სილამაზის შემკობისას უხვად სარგებლობს ბესიკისებური ეპითეტებით. აი, როგორ ამკობს იგი სატრფოს:

„ბულბულო ტკბილო, შაშპრა-სოსანო,
იავ, ზამბახო, სურნელოსანო,

[18] ლ. კეკელიძე, გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება, „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, თბ., 1973, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავ-ზილფო-ნაზო, ნარგისოსანო,
ლოყაზედ ხალო ალერსისანო,
ბანოვანთ შორის უტურფოსანო“ (21 r).

გრიგოლი წარმოგვიდგება ამქვეყნიური, ხორციელი სიყვარულის მოტრფიალედ. ამ ლექსში მისთვის უცხოა ის მარადიული ფაქიზი გრძნობა, რომლის მოწოდებაცაა „გული ერთსა დააჯეროს“. სატრფოსთან გრიგოლს აკავშირებს წამიერი ტკბობის სურვილი:

„თუმცა მხვედროდა ერთხელ ღამით შენთან შევბანი,
ანუ მეყნოსა შენის გვამის სურნელებანი,
რადგან ფშვნი, ვარდო გაფურჩვნილო, გვიყ ავ ხმობანი“.

აღნიშნულ ლექსში გრიგოლი ევედრება სატრფოს შეიბრალოს იგი და ნუ შეუმოკლებს მას სიცოცხლის დღეებს:

„მზეო, ეცადე ჩემს შებრალებას,
რომე მაღირსო მე შეწყალებას,
ანუ კვლავ ერთხელ თქვენთანვე ხლებას“.

ეს ლექსი მხოლოდ ამ ხელნაწერში, მცირე ანთოლოგიაში გვხვდება. აქედან ერთი სტროფი გრიგოლს ჩაურთავს სხვა ლექსშიც (მუხამბაზი), რომელიც დიდ ანთოლოგიაშია მოთავსებული (79v). ლექსი მიძღვნილია ანა ასტრახანელისადმი და გამოცემულია ტ. რუხაძის მიერ[19].

მეორე ლექსი („როს განგიცადე“) მიძღვნილია ვინმე ეკატერინესადმი. პოეტი აქაც წამიერ მიჯნურად წარმოგვიდგება:

„როს განგიცადე, გულს განუცხადე, შეხებად შენდა მყავსა წვევნითა,
როგორც ამბობდა შესანიშნავი ნოველისტი კ. პაუსტოვსკი, „ნოველა შეიძლება შევადაროთ შუა საუკუნეებში გაკეთებულ წარწერებს ქვებსა და ბეჭდებზე, ე. ი. პატარა ფართობზე უნდა მოთავსდეს მრავალმეტყველი შინაარსი“.

საინტერესოა თვალი მივადევნოთ, თუ როგორ აგებს ნოველას უილიამ ფოლკნერი. ამისათვის ჩვენ გავაანალიზებთ რამდენიმე ნოველის კომპოზიციას.

ფოლკნერის ნოველა ძირითადად ფსიქოლოგიურია. ფოლკნერის მისწრაფებაა გადასცეს დროის დენადობა, დროის მოძრაობა გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღწერით. ადამიანის სულში მუდამ ცოცხლობს წარსული, რომელიც აწმყოსთან არის გადახლართული, მასთან ურთიერთშეფარდებული. გმირი შეიგრძნობს წარსულის გავლენას აწმყოზე, წარსულის ერთგვარად მეტ წონადობას; წარსული ისეთი რეალური სურათებით, ისეთი რეა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლური გრძნობებით არის აღსავსე, რომ აღიქმება აწმყოზე უფრო ობიექტურად („ღირსება“, „ვარდი ემილიასთვის“, „გამარჯვება“, „ფეხი“).

შეიძლება თხრობა მიმდინარეობდეს რეტროსპექტულად. რეტროსპექტულადაა გადმოცემული პერსონაჟის აღქმაში მოცემული გმირის სუბიექტური თვალსაზრისიც, რაც აიხსნება ავტორის მიერ გარემოს ცოდნით, იმ წანამძღვრების ცოდნით, რომლებიც წინ უსწრებდნენ აწმყოში მომხდარ ფაქტს: „მოგვიანებით, ოცი წლის შემდეგ, ამას რომ იხსენებდა, ბიჭი ფიქრობდა: „მე რომ მეთქვა, ისინი მხოლოდ ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას ეძიებენმეთქი, მამა კვლავ ჩამარტყამდა“[1].

და კვლავ ხდება დროის გადატანა უკან, ე. ი. ხდება დროების აღრევა: „მაგრამ მაშინ ბიჭს არაფერი უთქვამს· არც უტირია. იგი ჩუმად იდგა“[2].

აწმყოს და წარსულის ეპიზოდები, მოგონებები და გმირთა ნაამბობი ერთმანეთს ენაცვლება: „ის გველაპარაკებოდა და გვიყურებდა ისე, თითქოს ხმაც და თვალიც მისი არ იყო, თითქოს ცხოვრობდა სადღაც სხვაგან, ელოდებოდა იქ რაღაცას. იგი ქოხის გარეთ იყო, ხოლო მისი ხმა და სხეული იყო აქ, ქოხის შიგნით. აქ იყო ის ნენსი, რომელიც უწონადი საჰაერო ბურთისებურად მოცურავე ფუთით თავზე ღობის ქვეშ გაძვრომას ახერხებდა, მაგრამ მხოლოდ ეს იყო და ეს“[3].

პირველი წინადადება ასახავს წარსულს. წარსული და აწმყო დაპირისპირებულია სიტყვებით გარეთ და შიგნით, იქ და აქ, სიტყვები შიგნით და აქ გამოხატავენ აწმყოს, ხოლო გარეთ და იქ — წარსულს.

ფოლკნერისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია არასაკუთარი პირდაპირი მეტყველების გამოყენება, როდესაც ამბავი მოყოლილია არა უშუალოდ, არამედ მესამე პირის მეშვეობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფოლკნერი თვლის, რომ ასე გადმოცემულ ამბავს მეტი დამაჯერებლობა ენიჭება.

ამ მხრივ ინტერესს წარმოადგენს ნოველა „სამართლიანობა“. ეს არის ნაამბობი, რომელსაც აცნობს 12 წლის კვენტინ კომპსონს მეტისი (ინდიელასა და ზანგის ნაჯვარი) სემი, „ორი მამის შვილი“, როგორც თავისი დაბადების ისტორიას, მოთხრობილს მისთვის კალათის მწნელის მიერ. ასე რომ, ნოველა წარმოადგენს სამმაგ ნაამბობს: მეტის სემს მოუთხრობს ამას კალათის მწნელი, სემი მოუთხრობს კალათის მწნელის ნაამბობს კვენტინ კომპსონს, ხოლო ჩვენ ვიგებთ ამ ამბავს 12 წლის კვენტინ კომპსონისაგან. ამბავი მოთხრობილია რეტროსპექტულად: „აი, როგორ ყვებოდა ამას კალათის მწნელი, როდესაც საკმარისად წამოვიზარდე, რომ გამეგო რასაც ის ამბობდა“, — იგონებს სემი.

კალათის მწნელი ჩვეულებრივ ამბავს გადმოსცემს მესამე პირით, მაგრამ ზოგჯერ ამ თავის მონაყოლში სხვის შესახებ თავის საკუთარ თავსაც გულისხმობს, ე. ი. აქ წარმოდგენილია მისი არასაკუთარი პირდაპირი მეტყველება. კალათის მწნელის აქტიური მონაწილეობა თხრობაში ამბავს უფრო რეალურს ხდის: „ხოლო შვიდი წლის შემდეგ მან გამოგვიგზავნა საჭდე შეტყობინებით“[4].

---

[1] უ. ფ ო ლ კ ნ ე რ ი, ცეცხლისწამკიდებელი, ალმანახი „საუნჯე“, 1976, № 2 გვ. 11, (თარგმანი ანა რატიანისა).

[2] იქვე, გვ. 11.

[3] W. F a u l k n e r, That Evening Sun, Selected Short Stories. N. Y. The Modern Library, გვ. 92—93 (თარგმანი ჩვენია. — მ. დ.).

[4] უ. ფ ო ლ კ ნ ე რ ი, სამართლიანობა (თარგმანი ჩვენია. — მ. დ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლკნერის ნოველებში ხშირად პერსონაჟის ხმას ერთვის ავტორისეულიც. რისთვისაა ეს საჭირო? ფოლკნერი არ თვლის საკმარისად მხოლოდ პერსონაჟის შეხედულების გადმოცემას. მისი აზრით, აუცილებელია, კიდევ განიმარტოს პერსონაჟის ცხოვრებაში მომხდარი ესა თუ ის ფაქტი და ამისათვის იგი აქტიურად იჭრება ნოველის ფაბულაში. ჩვენი აზრით, ავტორის პოზიციის სიმკვეთრე აშკარად არღვევს ნოველის ჟანრის სპეციფიკას. ნოველის დინება, რომელიც გმირის ემოციების გადმოცემაში გამოიხატება, ირღვევა, როდესაც ავტორი იჭრება გმირის განცდებში: „იგი გულადია. ომში იბრძოდა. პოლკოვნიკ სარტორისის ცხენოსან ჯარში იყო! — ყვიროდა ბიჭი. მან არ იცოდა, რომ მამამისი მოხალისედ წავიდა ომში, ისევე, როგორც ევროპელი ლანდსკნეხტები მიდიოდნენ წინათ. მამამისი არ ატარებდა ფორმას, თავის უფროსად არავის თვლიდა, თავისი თავი არ მიაჩნდა შებორკილად რომელიმე არმიის ან დროშის ერთგულებით. იგი ომში წავიდა იმ მიზნით, რა მიზნითაც ოდესღაც წავიდა მალბრუკი: ნადავლის ხელში ჩასაგდებად. ხოლო თუ ვის ძარცვავდა — მტერსა თუ მოყვარეს, — მისთვის სულერთი იყო“[5].

ფოლკნერის ნოველების მნიშვნელოვანი ელემენტია ქვეტექსტი, ე. ი. ჩვეულებრივი, თითქოს არაფრის მეტყველი სიტყვების ქვეშ დაფარული, ნაგულისხმევი აზრი. ქვეტექსტის გამოყენების ნათელ მაგალითს იძლევა ნოველა „წითელი ფოთლები“. აქ ქვეტექსტი იგულისხმება ნოველის მე-3 ნაწილში. ის მჟღავნდება ორი ინდიელის, „სამი კალათასა“ და ლუი კენკრას შორის დიალოგში ისეტიბეჰას სიკვდილის გამო.

ფოლკნერის ქვეტექსტი ფაქიზია, შენიღბული:

— „ახლა შეუძლია ქოშები ჩაიცვას, — თქვა კენკრამ. — კაცის თვალწინაც შეუძლია ატაროს.

— ცოტა უნდა მოიცადოს, ჯერ ვერ ჩაიცვამს, — თქვა კალათამ. კენკრამას შეაცქერდა, — დევნას უნდა გაუძლევს.

— მოკეტაბე? — ჩაეკითხა კენკრა, შენ გგონია, თავს შეიწუხებს? კაცს, რომელსაც ლაპარაკის დროსაც კი ჯაფა ადგება.

— მეტი რა დარჩენია? თუ დროზე არ დამარხეს, მამამისი მალე აყროლდება.

— ეგ სწორია, — თქვა კენკრამ. ფეხსაცმელების საფასური მაინც უნდა გადაიხადოს. ჰო, მართლაც რომ ყიდვა მოუწევს. რას ფიქრობ ამაზე?

— შენ რას ფიქრობ?

— არაფერს არ ვფიქრობ.

— არც მე. ისეტიბეჰას ფეხსაცმელები აღარ დასჭირდება. დაე, მოკეტაბეს დარჩეს; ისეტიბეჰასთვის ახლა სულ ერთია.

— ჰო, კაცი სიკვდილს ვერ გაექცევა“[6].

ფოლკნერის ნოველების ქვეტექსტი ჰემინგუეის პროზის ქვეტექსტს რომ შევადაროთ, დავინახავთ, რომ ჰემინგუეის ქვეტექსტი უფრო ნათელია, უფრო გაშიშვლებულია, უფრო მისახვედრია. მოვიყვანთ მაგალითს ნოველა „თეთრი სპილოებიდან“.

„ — ეს ხომ სულ ადვილი ოპერაციაა, ჯიგ, — თქვა კაცმა.

---

[5] უ. ფოლკნერი, ცეცხლისწამკიდებელი, ალმანახი „საუნჯე“, 1976, № 2, გვ. 22.

[6] უ. ფოლკნერი, წითელი ფოთლები, ალმანახი „ხომლი“, 1971, № 6, გვ. 97. (თარგმანი ვალერი ჭკადუასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოპერაციაც არ არის. ქალიშვილი უყურებდა მაგიდის ფეხს. შენ თვითონ დაინახავ, ჯიგ, ეს სულ უბრალო რაღაცაა, მხოლოდ ნემსს გაგიკეთებენ.

ქალიშვილი არაფერს ამბობდა.

— მე შენთან ერთად წამოვალ და სულ შენს გვერდით ვიქნები.

— ნემსს გაგიკეთებენ და ყველაფერი მოწესრიგდება თავისთავად.

— მერე რა მოგველის?

— მერე ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი წინანდებურად იქნება.

— რატომ ფიქრობ ასე?

— მხოლოდ ეს გვიშლის ხელს. მხოლოდ ამის გამო ვართ უბედურები"[7].

გარკვეული კულმინაციური გადამწყვეტი მომენტის ან მოქმედების გადმოსაცემად ფოლკნერი მიმართავს დინამიკურ თხრობას. ამ დროს ნოველის მშვიდი დინება იცვლება, „წყდება" სწრაფი დინამიკური პერიოდით. ტემპების ასეთი ცვლა დამახასიათებელია ფოლკნერისათვის. ზოგჯერ მის ნაწარმოებებში კომპოზიციური რიტმის აჩქარება უკიდურეს საზღვარს აღწევს, რაც ჩვეულებრივ შეეფერება გმირის შინაგან მდგომარეობას, მის ფსიქიკაში ღრმად შეჭრას.

დინამიზმი მიიღწევა, როდესაც თხრობაში ნერვიული დაძაბულობა იჭრება. ფოლკნერი მიმართავს დინამიზმს პერსონაჟის მღელვარების გამოსახატავად, მოძრაობის გამომხატველი ზმნების დაჯგუფებით: „ხეივანში მირბოდა, საფეთქლებში სისხლი აწვებოდა, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, აი, გზაც, ბიჭი ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა; გაჭენებულმა ცხენმა კინაღამ გადათელა, ის კი სულ გარბოდა და გარბოდა, თითქოს საცაა უზომო მწუხარება და ალტკინება ფრთებს გამოასხამსო... ბიჭი წამოვარდა, გზაზე გაიჭრა; იცოდა, რომ ძლიერ გვიან იყო, მაგრამ მაინც გარბოდა, მაშინაც კი, როდესაც სროლის ხმა გაიგონა. მას კიდევ ორი გასროლა მოჰყვა. მერე, თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ შეჩერდა და დაიყვირა: მამა! მამა! — და კვლავ გაიქცა. ვერც კი გრძნობდა, რომ კვლავ გარბოდა, რამდენჯერმე წაიფორხილა, ხან რას წამოედო და ხან რას, თვითონაც არ იცოდა, სად მიძვრებოდა, შეუჩერებლივ გარბოდა, არც მაშინ გაჩერებულა, როცა უკან მოიხედა და ცაში ავარდნილი ალი დაინახა; წარამარა ხეებს აწყდებოდა, ღამის სიბნელეში რომ არ ჩანდა, სულს ძლივს ითქვამდა, ზლუქუნებდა: მამა! მამა!"[8]

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კომპოზიციური რიტმი ირღვევა და აჩქარებული დინების მსვლელობა ნერვიული დაძაბულობის მოსახსნელად უფრო დუნე, ეპიკური ხდება. ამისათვის ავტორი ნაკლებად იყენებს ზმნებს და მიმართავს სიმშვიდის გამომხატველ შესაფერის ეპითეტებსა და არსებით სახელებს. ამ მხრივ საგულისხმოა პერსი გრიმის დასასრული.

ფოლკნერის ნოველებს ახასიათებს აზრობრივი პოლიფონია — მრავალხმიანობა, დამყარებული მთელი რიგი დამოუკიდებელი ხმების ერთდროულ ჰარმონიულ შეერთებასა და განვითარებაზე. „ავტორის შეხედულება მოიცავს ერთდროულ დროის სივრცეს და ჩანიშნავს და ამწკრივებს ფაქტებს არა დროის რიგში, არამედ მათი მნიშვნელობის მიხედვით ერთგვარ აზრობრივ

[7] ე. ჰ ე მ ი ნ გ უ ე ი, თეთრი სპილოები, (თარგმანი ჩვენია. — მ. დ.).

[8] „ცეცხლისწამკიდებელი", გვ. 21 (თარგმანი ანა რატიანისა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიგში და ამით ქმნის განსაკუთრებულ ქრონოლოგიას, განსაკუთრებულ მოდელს ცხოვრების საკვლევად"[9].

ფოლკნერის წინადადებას ახასიათებს ორი ხმის შერწყმა: ხშირად პერსონაჟისა და ავტორის, რომლებიც ერთმანეთს ისე ჰარმონიულად ენაცვლება, რომ ერთიან შერწყმულ სტრუქტურას ქმნის: „ორი საათის შემდეგ, როდესაც ბიჭი შეშას აპობდა სახლის უკან, სადაც ახლა დედა და დეიდა (არა, დები არა, მან იცოდა ეს — აკი შორიდანაც იგრძნობოდა მათ მაღალ და უსიცოცხლო ხმებში, კედელი რომ ახშობდა, უსაშველო სიზარმაცე) ქურასთან ფუსფუსებდნენ და სადილს ამზადებდნენ. მან გაიგონა ცხენის ფლოქვების თქარუნი და დაინახა ტილოს ტანსაცმელში გამოწყობილი, ლამაზ წაბლა ფაშატზე მჯდომი მხედარი. ბიჭი მიხვდა, ვინც იყო იგი ჯერ კიდევ მანამ, სანამ შეამჩნევდა დახვეულ ნოხს, ნაპატივებ ლაფშაზე შემჯდარ ზანგის ბიჭს რომ შემოედო წინ; ბრაზისაგან ალეწილმა მხედარმა ჩაიქროლა და სახლის კუთხეს მიეფარა, იქ, სადაც ჩამტვრეულ სკამებზე ისხდნენ მამა და უფროსი ძმა. და იმავე წამს მოქნეული ნაჯახის ძირს დაშვება ვერც კი მოასწრო ბიჭმა, რომ კვლავ გაისმა ფლოქვების თქარუნი და წაბლა ფაშატი ისევ გზაზე გაიჭრა ჭენებით"[10]. ამ წინადადებაში ბიჭის ხმას, ბიჭის აღქმას პირველ გამოყოფილ სინტაგმაში თან ერთვის ავტორის ხმა, ფლოქვების თქარუნი, რაც პოლიფონიის ელფერს აძლევს მთელ წინადადებას.

ფოლკნერის ნოველაში გმირის შინაგანი სამყარო შინაგანი მონოლოგით არის წარმოდგენილი. ფოლკნერთან ცნობიერება წარმოდგენილია როგორც შეგრძნებებისა და შთაბეჭდილებების ერთიანი, არადიფერენცირებული დინება. ასეთი გადმოცემისას პერსონაჟის განცდის თანაგანცდა უფრო შესაძლებელია, ვინაიდან მისი ცნობიერების ნაკადი უფრო უშუალოდ განიცდება მკითხველის მიერ და მას მეტი დამაჯერებლობა ენიჭება.

ნოველა „ცეცხლისწამკიდებელი" წარმოადგენს ბიჭის შინაგან მონოლოგს — „ცნობიერების ნაკადს", ე. ი. რეალურ სამყაროსთან ურთიერთობა მოცემულია ბიჭის თვალსაზრისით. მომხდარი ამბების შეფასება ხდება ბიჭის პოზიციიდან. მეტყველება მოცემულია მესამე პირით, პერსონაჟის აღქმით, ხოლო ფორმალურად წარმოდგენილია როგორც ავტორისეული: „მტერი! მტერი! — ფიქრობდა ის. ერთ წამს ის ვერაფერს ხედავდა, ვერ ხედავდა, რომ მოსამართლის სახე კეთილია, ვერ გაარჩია, რომ მოსამართლეს ხმა აუკანკალდა, როდესაც ის შეეკითხა კაცს, სახელად ჰარის:

— მაშასადამე თქვენ გინდათ, რომ მე ეს პატარა დავკითხო?

მაგრამ მაინც ესმოდა. ამის უკან მჭიდროდ გავსებულ ოთახში ხმა არ ისმოდა, — მხოლოდ წყნარი და დაძაბული სუნთქვა. ასე იყო, როდესაც ის გრძელი ვაზით გაქან-გამოქანდა ხევზე და ამ გაქანების დროს მას უცებ დაეწია უსასრულო წამი, გახევებული თავისი მნიშვნელობით, თითქოს დროიდან გამოგლეჯილი.

და დრო ტალღასავით დენადი მოასკდა მას. ყველის სუნსა და დარჩილულ ხორცს შორის მოაწყდნენ ხმები, შიში, სასოწარკვეთილება და ისევ ის ძველი ტკივილი"[11].

[9] Е. А. Стеценко, Художественное время в романах Фолкнера, «Филологические науки», 1977, № 4, გვ. 39—40.

[10] „ცეცხლისწამკიდებელი", გვ. 14 (თარგმანი ანა რატიანისა).

[11] „ცეცხლისწამკიდებელი" (თარგმანი ჩვენია. — მ. დ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოველაში „როცა მზე ჩადის“ წარმოდგენილია ზანგი ქალის შიში ბავშვების ცნობიერების ნაკადის ფონზე. ნოველა წარმოდგენილია უფროსი ბიჭის კვენტინ კომპსონის აღქმით. ბავშვების დიალოგის ფონზე უფრო შთამბეჭდავად არის გადმოცემული შიშის ემოცია. ბავშვები ცუდად ერკვევიან სიტუაციაში და შეუსაბამო შეკითხვებს სვამენ:

„— ჩემთან ჯესონს არ შეეშინდება, — თქვა ნენსიმ. — ხომ მართალია, ჯესონ?

— ჯესონი დედას მოუყვება, — თქვა კედიმ.

. . . .

— ჭიშკრიდან რაღაცა რომ გამოვარდეს, ჯესონი ატირდება.

— სულაც არ ავტირდები! — თქვა ჯესონმა.

ჩვენ გზა განვაგრძეთ. ნენსი ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— რატომ ლაპარაკობ ასე ხმამაღლა, ნენსი? — იკითხა კედიმ.

— ვინ, მე? — იკითხა ნენსიმ. — მოუსმინეთ, რას ლაპარაკობენ, კვენტინი, კედი და ჯესონი, ვითომ მე ხმამაღლა ვლაპარაკობ?

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს აქ კიდევ ვიღაც არის მეოთხე, — თქვა კედიმ. თითქოს მამაც ჩვენთან არის.

— ვინ ლაპარაკობს ხმამაღლა? მე, მისტერ ჯესონ? — თქვა ნენსიმ.

— ნენსიმ ჯესონს „მისტერი“ უწოდა, — თქვა კედიმ.

— მოუსმინეთ, როგორ ლაპარაკობენ, კედი, კვენტინი და ჯესონი, — თქვა ნენსიმ.

— ჩვენ სულაც არ ვლაპარაკობთ, — თქვა კედიმ, ეს შენ მარტო ლაპარაკობ, თითქოს მამა...

— ჩუმად, — თქვა ნენსიმ. ჩუმად, მისტერ ჯესონ.

— ნენსიმ ისევ უწოდა ჯესონს „მისტერი“...

— ჩუმად, — თქვა ნენსიმ“[12].

გმირები, რომლებსაც ავტორი თანაუგრძნობს, აღწერილია შინაგანი თვალსაზრისით, ხოლო უარყოფითი გმირები — გარეგნულით. მაგალითად, სარტი სნოუპსი ნოველაში „ცეცხლისწამკიდებელი“ მოცემულია შინაგანი თვალსაზრისის მიხედვით. ეს ჩანს სიტყვებში: „მას ესმოდა“, „მან გაიგო“, „გაიფიქრა“ (ფიქრობდა) და სხვ. ავტორი თანაუგრძნობს მას და ამბავს გადმოსცემს მისი თვალსაზრისით, იმ დროს, როდესაც მამა — უფროსი აბნერ სნოუპსი აღწერილია გარეგნული თვალსაზრისით. მისი პოზიცია ავტორისათვის მიუღებელია. ამიტომ ის მოცემულია ფოლკნერის მიერ მხოლოდ გარეგნული აღწერის გზით: ბრტყელი, ფართოფარფლებიანი შავი ქუდი, უხეში მაუდის სერთუკი, ხშირი, ჟღალი წარბები, ფოლადისფერი თვალები.

ზოგჯერ ნოველებში მოცემულია ერთი ადამიანის მიერ მეორის შეფასება, ასე ახასიათებს ინდიელ სემს ნოველაში „სამართლიანობა“ კვენტინ კომპსონი: „ლაპარაკობდა სემი, როგორც ზანგი, მაგრამ სიტყვები კი სხვა იყო... ხოლო გარეგნულად სულ არ ჰგავდა ზანგს სიბერეში... და სახეც სულ ყოველთვის წყნარი ჰქონდა, თითქოს სულაც აქ არც იყო, მაშინაც, როდესაც მუშაობდა, და მაშინაც, როდესაც ელაპარაკებოდნენ (თეთრკანიანებიც კი), და მაშინაც, როდესაც მელაპარაკებოდა. იფიქრებდით, თითქოს სახურავზეა სადღაც, სულ მარტო აჰედებს ყავარს. ან უცბად სამუშაოს თავს მიანებებს, რაღაცას არ

---

[12] უ. ფოლკნერი, როცა მზე ჩადის (თარგმანი ჩვენია. მ. დ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოათავებს და დიდხანს ზის და თან ყალიონს აბოლებს და მისტერ სტოქსიც ან თვით ბაბუაც რომ მოვიდეს, სემი არაფრის გულისათვის არ წამოხტება და არ ეძგერება დაუმთავრებელ საქმეს“[13].

ნოველაში „ცეცხლისწამკიდებელი“ მამა აბნერ სნოუპსი დანახულია პატარა აბნერ სნოუპსის თვალით. მამის გარეგნობის აღწერა მოცემულია გარეგნული ნიშნებით, რაც წარმოდგენილია პატარა სარტის აღქმაში: „იქ კი, ზემოთ, როცა მამა შემოტრიალდა, მთლად მოჩვენებას დაემგვანა ვარსკვლავების შუქზე, თითქოს არც სახე აქვსო და არც სხეული, შავ ლანდად, ბრტყელ, სისხლდაშრეტილ ლანდად ქცეულიყო იგი. თითქოს თუნუქისაგან არისო გამოჭრილი, ისე ჩანდა სერთუკის რკინისებურ ნაოჭებში, ნათხოვარივით რომ ედგა ტანზე“[14].

ნოველებში თხრობა მოცემულია მესამე პირში. ერთმანეთს ენაცვლება აბსტრაქტული ავტორისეული პოზიცია და სუბიექტური პოზიცია მთავარი გმირისა, რომლის თვალსაზრისით წარმოდგენილია სიტუაცია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თხრობა წარმოდგენილია ავტორის მიერ და მწერალი იძლევა მას, როგორც ეს შეიძლება წარმოედგინა გმირს, ე. ი. მთავარი გმირის პოზიციებიდან ხდება აბსტრაქტულისა და სუბიექტური თვალსაზრისის შენაცვლება. ავტორის პოზიცია რეალურია. ის აყენებს თავის თავს თავისივე გმირის მდგომარეობაში.

ნოველაში „ცეცხლისწამკიდებელი“ მოცემულია პატარა სარტის აბსტრაქტული ავტორისეული აღწერა: „მობუზული, თავის ასაკთან შედარებით ტანმორჩილი, დაბალი და მამასავით ჩასკვნილი იყო ბიჭი. დაძონძილი, გახუნებული ტანსაცმელი ეცვა, რაც დიდი ხანია დაპატარავებოდა. ჰქონდა შოლიო, დაუვარცხნელი წაბლისფერი თმა, ჭროლა, ველურ თვალებს საავდრო ცასავით აკვესებდა“[15].

ავტორის აბსტრაქტული თვალსაზრისი ერწყმის გმირის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი: „ბიჭმა დაინახა, რომ მაგიდას ჩამოფარებული ხალხი აქეთ-იქით მოდგა და ანაზდად იმასა და მოსამართლეს შორის პირქუში ადამიანების ხეივანი გაჩნდა“[16].

ზოგჯერ ავტორის აბსტრაქტულ ობიექტურ თვალსაზრისში იჭრება გმირის სუბიექტური თვალსაზრისი მოცემული პირდაპირ მეტყველებაში: „ჩვენი მტერი, — ფიქრობდა ბიჭი სასოწარკვეთით. ჩემი და მისი, ეს ხომ ჩემი მამაა!“[17]

ავტორის აბსტრაქტული თვალსაზრისი მოცემულია გმირის აღქმაში: „უცებ აღმოაჩინა, ჯერ კიდევ ვსუნთქავო და გაუკვირდა, რომ სუნთქავდა, ჯერ კიდევ საჭიროებდა ჰაერს... ოდნავ მოელვარე თვალებში წყნარი სინათლე ჩასდგომოდა, ადვილად და მშვიდად სუნთქავდა; მერე თვალი მოჰკრა ლურსმნის კენკრას, რომელიც გარეთ გამოვიდა და ცას ახედა“[18].

ავტორის აღქმაში მოცემულია მაგალითად გმირის დამოკიდებულება სა-

---

13 უ. ფ ო ლ კ ნ ე რ ი, სამართლიანობა (თარგმანი ჩვენია. — მ. დ.).

14 „ცეცხლისწამკიდებელი“, გვ. 11 (თარგმანი ანა რატიანისა).

15 იქვე, გვ. 8.

16 იქვე.

17 „ცეცხლისწამკიდებელი“, გვ. 7 (თარგმანი ანა რატიანისა).

18 „წითელი ფოთლები“ გვ. 102 (თარგმანი ვალერი ჭკადუასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლისადმი: „იმიტომ, რომ არ მინდა სიკვდილი! — თქვა მან. მერე ხმადაბლა გაიმეორა — „იმიტომ, რომ არ მინდა სიკვდილი“ — და წყნარმა განცვიფრებამ მოიცვა, თითქოს აქამდე, ვიდრე სიტყვებმა სათქმელი არ გამოთქვეს, თვითონაც ვერ გრძნობდა ამ სურვილის მთელ ძლიერებას“[19].

ავტორი ერთგვარად სცილდება თავის გმირს, რომელიც თავისივე შეფასების ობიექტი ხდება ირონიის ეფექტის მისაღწევად. ნოველაში „ცეცხლისწამკიდებელი“, სადაც პატარა სარტი გადმოსცემს ავტორის თვალსაზრისს, ეს წარმოდგენილია ბიჭის თვალთახედვით. თვითონ ბიჭი გამოდის შემფასებლად, ის თითქოს სცილდება და შორიდან უყურებს მამამისს, როგორც მისი დაკვირვების ობიექტს: „და კვლავ მის წინ იყო ბრტყელი, ფართოფარფლებიანი შავი ქუდი, უხეში მაუდის სერთუკი, ოდესღაც ისიც შავი, მაგრამ ახლა ბრიალა, ხარაბუზას მომწვანო ფერი რომ გადაკრავდა, წინ გაწვდილი ხელი, ბრჭყალებიანი თათის მსგავსი, და ერთობ განიერი სახელოები, იდაყვზე რომ ეჩაჩებოდა მამას“[20].

ფოლკნერთან გმირის აღქმის პრიზმაშია მოცემული ადამიანის გარეგნობის, დამახასიათებელი თვისებების ან მორალური მრწამსის აღწერა. ასეა ნოველებში „ცეცხლისწამკიდებელი“, „გამარჯვება“, „პერსი გრიმი“, „ვარდი ემილისათვის“.

ზოგჯერ ფოლკნერი წყვეტს თხრობის მსვლელობას და ლირიკულ წიაღსვლას მიმართავს. ეს ჭირდება ავტორს გარკვეული ლირიკული განწყობილების შესაქმნელად. ამ მხრივ ნიშანდობლივია დიალოგი ნოველაში „გამარჯვება“:

„— სერჟანტო კანინჰემ! — წარმოთქვამს ის პოლოს.

— სერ?

— ჩაიწერეთ ამ რიგითი მეომრის გვარი?

სიჩუმე — ის ოდნავ უფრო ხანგრძლივდება, ვიდრე ხანმოკლე წამი, ოდნავ ნაკლებად, ვიდრე ხანგრძლივი წამი... შემდეგ სერჟანტი გამოეხმაურება:

— რომელი რიგითი მეომრის, სერ?

— თქვენი ჯარისკაცის, — ამბობს მეთაური.

ბატალიონი უძრავად დგას. ჩუმად ცრის. წვიმა ეცემა ტალახს, თითქოს მას ძალა გამოელია და აღარ შეუძლია არც უფრო ძლიერად დაუშვას, არც შეწყდეს“[21].

ფოლკნერთან პეიზაჟის აღწერა მოცემულია ხასიათის, განწყობის გადმოსაცემად. პეიზაჟი ლირიკული და პოეტურია: „დასავლეთით, ზეცის დასალიერში მკაფიოდ აბრდღვიალდა საღამოს ვარსკვლავი, ზემოთ, ცის ტატნობზე, თანავარსკვლავედები ამოძრავდნენ“[22].

პეიზაჟი მოცემულია გმირის აღქმაში: „წამით ვარსკვლავებს აეფარა ყალყზე შემდგარი გაეშებული ცხენის ლანდი, რომელმაც გამაყრუებელი თქარათქურით ჩაუქროლა გვერდზე, და კვლავ მშვიდი ღამეული ცა, რომელიც მანამდე, სანამ მხედარი გაქრებოდა, მოულოდნელად და მრისხანედ დაემხო; უცებ წარმოუდგენელმა აზვირთულმა ღრიალმა, მდუმარემ და გაბმულმა, კვლავ დაფარა მისგან ვარსკვლავები“[23].

---

[19] იქვე, გვ. 108.

[20] „ცეცხლისწამკიდებელი“. გვ. 13 (თარგმანი ანა რატიანისა).

[21] უ. ფ ო ლ კ ნ ე რ ი, გამარჯვება (თარგმანი ჩვენია-მ. დ.).

[22] „წითელი ფოთლები“, გვ. 107 (თარგმანი ვალერი ჭკადუასი).

[23] „ცეცხლისწამკიდებელი“ (თარგმანი ჩვენია. — მ. დ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინა შიოშვილი

ქართული მითოლოგიური პერსონაჟები — წყლის დედა, კუდიანი

(თედო სახოკიასეული მასალების მიხედვით)

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე, როცა ჩვენში უკვე ინტენსიურად მიმდინარეობდა ეროვნული საუნჯის შეკრება-პუბლიკაცია, თედო სახოკია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც სიყვარულით მოჰკიდა ხელი ამ დიდსა და საპატიო ეროვნულ საქმეს და მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად და ხალისით ემსახურებოდა მას. განუზომელია თ. სახოკიას ამაგი ქართული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების ფიქსირებაში. საქართველოს მრავალ კუთხეში იმოგზაურა თავისი ერის ამ მხურვალე მოჭირნახულემ და უამრავი ძვირფასი ნიმუში გადაარჩინა დავიწყებას.

თედო სახოკიას განსაკუთრებით აინტერესებდა მისი მშობლიური კუთხის —სამეგრელოს ზეპირსიტყვიერება. მის ინტერესს ამ მხრივ ისიც აცხოველებდა, რომ სამეგრელოს ფოლკლორი იმხანად თითქმის შეუსწავლელი იყო. ამას მოწმობს 1891 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 22) თ. სახოკიას მიერ გამოქვეყნებული მოწოდება „ხალხური ნაწარმოების მოყვარულთა მიმართ“, რომელიც, სამეგრელოს ზეპირსიტყვიერების შეკრების თვალსაზრისით, ერთგვარად ავსებდა ხალხური ნაწარმოების შემკრებთათვის ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილის მიერ 1882 წელს შედგენილ პროგრამას. მოწოდებაში ნათქვამია: „მას აქეთ, რაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა შეუდგა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვაობის მოგროვებას, თითქმის ყოველ კუთხიდგან ბანი მისცეს, ყველამ შეძლებისადაგვარად თავისი წვლილი მიაწოდა. საქართველოს ერთი კუთხეთაგანი, სამეგრელო კი მივიწყებული დარჩა, თითქოს მეგრელებში ზეპირსიტყვაობის ჭაჭანება არ იყოსო. ახლა ჩვენ განვიზრახეთ ეს ნაკლი მცირედაც არის შევავსოთ. ამიტომ გულ-მხურვალედ ვთხოვთ ყველას, ვისაც ასე თუ ისე რაიმე დამოკიდებულება აქვს ხალხთან, ნამეტურ სოფლის მასწავლებელთ, — რომ შეგვიგროვონ მეგრული ხალხური ზღაპრები, შაირები, ანდაზები, ლექსები, შელოცვები, გამოცანები, თქმულებანი ალ-ქაჯებზე და სხვ. და სხვ. ყველა ეს მასალა მეგრულ ენაზე იყოს დაწერილი (რა თქმა უნდა, ქართულის ასოებით), ხოლო მათს ქართულ გამოცემას ჩვენა ვკისრულობთ.

ამასთანავე ვთხოვთ ყველას, გადმოწერის დროს ნებით ან უნებლიედ თავისი არა ჩაუმატონ-რა, არამედ ჩასწერონ ისე, როგორც გაიგონებენ. აგრეთვე აღნიშნონ ის სოფელიც, სადაც გაიგონებენ ჩასაწერ მასალას...“

სამეგრელოში თ. სახოკიამ ჟანრობრივად მრავალფეროვანი ფოლკლორული ნიმუშები ჩაიწერა. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა მითოლოგიური თქმულება-გადმოცემები, რომლებიც მან გაანალიზა ნარკვევში „სამეგრელოს მითოლოგიიდან“[1]. ეს ნაშრომი ამდიდრებს და ავსებს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გამოთქმულ შეხედულებებს ტყის მეფის, მესეფის, ოჩოკოჩის, კუდიანის, წყლის დედის, ადგილის დედის, ჭინკას, ეშმაკის და სხვათა შესახებ. ამ მასალათაგან ამჯერად განვიხილავთ ორი მითოლოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური პერსონაჟის — წყლის დედისა და კუდიანის — შესახებ ხალხში გავრცელებულ ზეპირსიტყვიერებასა და რწმენა წარმოდგენებს.

ა) წყლის დედა. ეთნოგრაფიულ ნარკვევში „სამეგრელოს მითოლოგიიდან“ ქვესათაურით „წყლის დედა ანუ დედა იგივე მეფე წყლებისა“[2] თ. სახოკია მოგვითხრობს სამეგრელოში გავრცელებულ რწმენაზე წყლის დედის შესახებ. წყლის დედა, მეგრელთა წარმოდგენით, ლამაზი ქალია, გრძელი შავი თმებით. ის დიდ მდინარეებში ბინადრობს, მთვარიან ღამეებში გამოჩნდება ხოლმე და უდარაჯებს მგზავრებს. „მდინარის შუაგულში წყლის დედა პირაღმაა ჩაწოლილი, ცხენის აღვირს ხელს წაავლებს და ცხენოსანს არც წინ უშვებს და აღარც უკან. ბოლოს და ბოლოს, წყლის დედა მგზავრს ცხენიანად ჩაითრევს, საცა უფრო ღრმაა“. მებადურებს ხშირად უხდებათ მასთან შეხვედრა, „საქმის დაჭერა“, რაც მათი დაღუპვით მთავრდება. წყლის დედისაგან ადამიანთა დაღუპვას კოკისპირული წვიმა მოჰყვება და არ გადაიღებს მანამდე, სანამ დამხრჩვალს „წყლის დედა თავის მკერდიდან არ მოიშორებს... და ამ უკანასკნელს მდინარის პირას არ გამოჰრიყავს“.

სერგი მაკალათიას ცნობით, „წყარიში დიდა“ თეთრი ქალიშვილია, რომელიც ილტვის მამაკაცისაკენ და, თუ დაიჭირა ვინმე, ხიბლავს და იმორჩილებს. ასეთი მამაკაცი გულს ვეღარ უდებს ოჯახს, „გატაცებულია წყლის დედის სიყვარულით“[3].

რწმენა წყლის დედის შესახებ ზოგადქართულია და ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ივანე ჯავახიშვილი წერს: „... ალი კი ქართლშიაც და კახეთშიაც მშვენიერ ქალად მიაჩნიათ. მას მშვენიერი გრძელი გაშლილი თმები აქვს და კაცს სილამაზითა ჰხიბლავს. ალი წყალშიაცა ცხოვრობს და ასეთს „წყლის ალი“ ჰქვია“[4].

ერთ-ერთი ქართლური თქმულება მოგვითხრობს ოქროსფერთმიან წყლის ქალზე, რომელიც მდინარის პირას ზის, თმებს ივარცხნის და მონადირეებს სიყვარულს სთავაზობს[5].

რწმენა წყლის დედაზე კარგად შემოინახა აფხაზურმა გადმოცემებმა. ი. ჯავახიშვილის ცნობით, „ალ-ქაჯები... აფხაზებსაცა სწამთ, მეტადრე წყლის ალქაჯები, რომელთაც „წ ყ ლ ი ს დ ე დ ა“-ს, „აძითოუ“-ს ანუ წყლის მფლობელს „ძინძლან“-ს ანუ წყლის ქაჯს ეძახიან. ამ წყლის მფლობელთ შეავედრებენ ხოლმე ოჯახის ყოველ ახალ წევრს, რომ ისინი მისი მფარველ-მწყალობელნი იყვნენ“[6].

აფხაზთა ამ რწმენაზე ვრცლად მოგვითხრობს კ. მაჭავარიანი 1885 წელს გაზეთ „დროებაში“ (№№ 19, 20) გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიულ ნარკვევში „აფხაზეთი“. მას მოჰყავს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთში განთქმულმა თავადმა — თამშუგმა სძლია წყლის დედას, რომელიც მასთან ინტიმურ კავშირს ესწრაფოდა. ამ გადმოცემაში წყლის დედის თმას მაგიური ძალა აქვს. თმის რამდენიმე ღეროს დაკარგვაც კი პატრონის დაუძლურებას იწვევს.

როგორც მასალებიდან ჩანს, ქართველ ხალხს სწამდა არსებობა წყლის დედისა, წყალთა მეფისა. ეს რწმენა უძველესი, წარმართობის დროინდელია. წყლის დედის ფუნქციები დღეს ისე ნათლად აღარ ჩანს, რადგანაც ქრისტიანული ფენის გამოვლის შედეგად გაბუნდოვანებული, დაკნინებულია და „ბოროტ“ სულად არის ქცეული. სხვადასხვა კუთხის მასალათა შედარებითი შესწავლის შედეგად შესაძლებელი ხდება აღვადგინოთ წყლის დედის სახე, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელიც წარმართ ქართველებს წყლის ღვთაებად, მდინარეთა გამგებლად უნდა ჰყოლოდათ დასახული.

თედო სახოკიასეული გადმოცემით, წყლის დედა თვალყურს ადევნებს მდინარეში თევზის გამრავლებას და მართავს წყალთა მდინარებას. თვით ნარკვევის ქვესათაურიდანაც ნათლად ჩანს, რომ ხალხს იგი წყალთა მეფედ ჰყავს წარმოდგენილი. ამავე ნარკვევის მიხედვით, წყლის დედას კავშირი აქვს ამინდთანაც.

წყლის დედა ახლად მოპოვებულ მასალებში ავ, ბოროტ სულად არის მიჩნეული. ხალხი გაურბის მასთან შეხვედრას და მისი სამფლობელოდან წყლის ამოღებას. მასთან მიახლოებულ კაცს წყლის დედა აგიჟებს[7].

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წყლის დედაზე გავრცელებული თქმულებების მიხედვით აშკარად ჩანს მისი კავშირი ნადირთ პატრონ ქალთან, მონადირეობის ღვთაებასთან. ელენე ვირსალაძე წერს: „ნადირთ პატრონი ქალის, ხოლო შემდეგ მონადირეობის ღვთაების სახემ... შეითვისა და შეიწოვა კავკასიელ ტომთა სინამდვილეში ბუნების მრავალ მოვლენათა: კლდეთა, მცენარეთა და წყლის მფარველ ღვთაებათა კულტები...“[8]

წყლის დედისა და ნადირთ პატრონი ქალის თვისება-ფუნქციათა სიახლოვე აშკარაა დღემდე შემორჩენილ მრავალ თქმულება-გადმოცემაში. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის მიერ 1971 წელს გურიაში მოპოვებული მითოლოგიური თქმულება. იგი მოგვითხრობს მონადირის შეხვედრაზე წყალში მდგომ ქალთან. ტყეში მიმავალი მონადირე ხედავს: „რაცხა შუა წყალში დგას ბზესავით და ანათებს. უყურა ამ კაცმა, უყურა, გაშტერდა... ამ დროს რაცხამ იკივლა. გაალო ამ კაცმა თვალები და დეინახა ქალი, ოქროსფერი თმაი ქონდა, ხელში დიდი წაბლის ბურძგალი ეჭირა და თმას ივარცხნიდა...“ ქალის თმა მზესავით ანათებდა არემარეს. მან მონადირე გამოქვაბულში შეიტყუა და დალრჩობა მოუნდომა. განწირულ მონადირეს ქომაგად მოევლინა პატარა ბავშვი, რომელიც თავის თავს მონადირისა და ამ ქალის შვილს უწოდებს. მონადირის შეკითხვაზე: „შვილო, ვინა ხარ შენაო,/ან რით მიხსენი შენაო?“ — ბავშვი უპასუხებს: „მე შენი შვილი ვარ, მამაო. აი ქალია, მაგას ალქაჯის გული უდგას და ლომის ფაფარივით მაგარი თმაი აქ. აი იგია, შენ მისი თმისაგან მშვილდებს რომ აკეთებდიო. მერე ტყეში რომ გაგექცა, შენგან ორსული იყო. შენ ნაგლეჯ თმებზე ამისი თმაი ამოუდის და ყველა მონადირეს ახრჩობს შენ ჯიბრზეო და აი შენც კინაღამ დაგახრჩოვო...“.

საინტერესოა, რომ ამ თქმულების მიხედვითაც ქალის თმა, რომელიც მზესავით ანათებს, მაგიური ძალისაა. ქალმა მოიჭრა თმა ძირში, დაუყარა მონადირეს ფეხქვეშ და უთხრა:

აი, წაიღე ეს თმაო
და მოჰკალ დევი ბერთაო,
თუ გინდა, ცოლად წამოგყვე
და გყავდეს შვილი ბეგთაო.

მონადირე უარს ეუბნება: „—არა, ქალო, აი თმაიც შენ გქონდეს და აი შვილიც შენ გყავდესო, იყაი ტყეში და გახდი მონადირეების ქალათ, მე შენთან არაფერი მაქ საერთოო. ქალს იმ წუთს გეეზარდა თმაი, — აი რატომ მითხარიო, — გოუბრაზდა მონადირეს. მოხვია კიდო თმაი და გადოუშვა დიდ კდეში და ყავს ასე ჩაკიდული. დედამიწაზე რომ ღრუბელი დადგება და ბზეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც წარმართ ქართველებს წყლის ღვთაებად, მდინარეთა გამგებლად უნდა ჰყოლოდათ დასახული.

თედო სახოკიასეული გადმოცემით, წყლის დედა თვალყურს ადევნებს მდინარეში თევზის გამრავლებას და მართავს წყალთა მდინარებას. თვით ნარკვევის ქვესათაურიდანაც ნათლად ჩანს, რომ ხალხს იგი წყალთა მეფედ ჰყავს წარმოდგენილი. ამავე ნარკვევის მიხედვით, წყლის დედას კავშირი აქვს ამინდთანაც.

წყლის დედა ახლად მოპოვებულ მასალებში ავ, ბოროტ სულად არის მიჩნეული. ხალხი გაურბის მასთან შეხვედრას და მისი სამფლობელოდან წყლის ამოღებას. მასთან მიახლოებულ კაცს წყლის დედა აგიჟებს[7].

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წყლის დედაზე გავრცელებული თქმულებების მიხედვით აშკარად ჩანს მისი კავშირი ნადირთ პატრონ ქალთან, მონადირეობის ღვთაებასთან. ელენე ვირსალაძე წერს: „ნადირთ პატრონი ქალის, ხოლო შემდეგ მონადირეობის ღვთაების სახემ... შეითვისა და შეიწოვა კავკასიელ ტომთა სინამდვილეში ბუნების მრავალ მოვლენათა: კლდეთა, მცენარეთა და წყლის მფარველ ღვთაებათა კულტები...“[8]

წყლის დედისა და ნადირთ პატრონი ქალის თვისება-ფუნქციათა სიახლოვე აშკარაა დღემდე შემორჩენილ მრავალ თქმულება-გადმოცემაში. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის მიერ 1971 წელს გურიაში მოპოვებული მითოლოგიური თქმულება. იგი მოგვითხრობს მონადირის შეხვედრაზე წყალში მდგომ ქალთან. ტყეში მიმავალი მონადირე ხედავს: „რაცხა შუა წყალში დგას ბზესავით და ანათებს. უყურა ამ კაცმა, უყურა, გაშტერდა... ამ დროს რაცხამ იკივლა. გაალო ამ კაცმა თვალები და დეინახა ქალი, ოქროსფერი თმაი ქონდა, ხელში დიდი წაბლის ბურძგალი ეჭირა და თმას ივარცხნიდა...“ ქალის თმა მზესავით ანათებდა არემარეს. მან მონადირე გამოქვაბულში შეიტყუა და დაღრჩობა მოუნდომა. განწირულ მონადირეს ქომაგად მოევლინა პატარა ბავშვი, რომელიც თავის თავს მონადირისა და ამ ქალის შვილს უწოდებს. მონადირის შეკითხვაზე: „შვილო, ვინა ხარ შენაო,/ან რით მიხსენი შენაო?“ — ბავშვი უპასუხებს: „მე შენი შვილი ვარ, მამაო. აი ქალია, მაგას ალქაჯის გული უდგას და ლომის ფაფარივით მაგარი თმაი აქ. აი იგია, შენ მისი თმისაგან მშვილდებს რომ აკეთებდიო. მერე ტყეში რომ გაგექცა, შენგან ორსული იყო. შენ ნაგლეჯ თმებზე ამისი თმაი ამოუდის და ყველა მონადირეს ახრჩობს შენ ჯიბრზეო და აი შენც კინაღამ დაგახრჩოვო...“.

საინტერესოა, რომ ამ თქმულების მიხედვითაც ქალის თმა, რომელიც მზესავით ანათებს, მაგიური ძალისაა. ქალმა მოიჭრა თმა ძირში, დაუყარა მონადირეს ფეხქვეშ და უთხრა:

აი, წაიღე ეს თმაო
და მოჰკალ დევი ბერთაო,
თუ გინდა, ცოლად წამოგყვე
და გყავდეს შვილი ბეგთაო.

მონადირე უარს ეუბნება: „—არა, ქალო, აი თმაიც შენ გქონდეს და აი შვილიც შენ გყავდესო, იყაი ტყეში და გახდი მონადირეების ქალათ, მე შენთან არაფერი მაქ საერთოო. ქალს იმ წუთს გეეზარდა თმაი, — აი რატომ მითხარიო, — გოუბრაზდა მონადირეს. მოხვია კიდო თმაი და გადოუშვა დიდ კდეში და ყავს ასე ჩაკიდული. დედამიწაზე რომ ღრუბელი დადგება და ბზეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეიმალება, მაშინ მონადირე მოჩანს ქვეყნად, ბზეი რომ გამოჩთება და სიცხე დადგება, დალი მოჩანს, მაშინ ნადირობაც კაია და ნადირიც ბევრია ტყეში“[9].

როგორც ვხედავთ, ამ თქმულებაში წყლის ქალი იგივე მონადირეობის ქალღმერთი დალია, რომელსაც სურს მონადირესთან ინტიმური კავშირი და ამ ნიადაგზე კონფლიქტი მონადირის დაღუპვის მიზეზი ხდება.

წყლის დედის კავშირი ნადირთ პატრონ ქალთან შესანიშნავად არის გადმოცემული კ. მაჭავარიანის ეთნოგრაფიულ ნარკვევში „აფხაზეთი“. აფხაზთა შორის გავრცელებულია რწმენა, რომ წყლის დედა შემხვედრს აჯადოებს, ხელებს უდუნებს და შემდეგ ინტიმურ კავშირს სთავაზობს. მეგრულ ტყაშმაფასა და მონადირის საუბრის მსგავსად, წყლის დედისა და მამაკაცის დიალოგი აფხაზური მასალების მიხედვითაც „სხეულის ენით“ წარმოებს. აქაც წყლის დედა ჯერ ათ თითს აჩვენებს და ამით ანიშნებს, ათი წლით იყავით ჩემი მეუღლე. კაცი, უარის ნიშნად, თავს გააქნევს, ქალი თანდათან უკლებს და ბოლოს უჩვენებს ნეკა თითს, რაც იმის ნიშანია, რომ ერთ წელზე მაინც დათანხმდეს. ამ დროს წყლის დედას ისეთი საშინელი გამომეტყველება აქვს, რომ მამაკაცი აუცილებლად თანხმდება. ნარკვევის ბოლოს ავტორი ასეთ კომენტარს ურთავს: „მაგრამ ან როგორ უნდა ეთქვა უარი „წყლის დედასთან“ ცხოვრებაზედ, როდესაც, აფხაზების წარმოდგენით, იგი აძლევს კაცს საკვირველ ძალსა, მრავალს ფულს, ცხენებს, კამბეჩებს, თხებს, ცხვარსა და იცავს იმგვარად, რომ თავის დღეში ქურდობაზედ ვერავინ მიასწროს. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ შემდგომ ვადის გათავებისას, „წყლის დედასთან“ შეუღლებული კაცი ხესავებ ჰხდება და ყოველთადმი სიძულვილს გრძნობს“.

როგორც ე. ვირსალაძე მიუთითებს, „აქაც სავსებით დაცულია წყლის ან ტყის დედის მიერ რჩეული მამაკაცის იღბლიანობის მოტივი, თუმცა იგი აღარ უკავშირდება უშუალოდ ნადირობაში იღბალს, როგორც ქართულ მასალებში... აქაც მონადირისა და ნადირთ პატრონის სიყვარულის ტრაგიკული ბოლოა დაცული, თუმც შერბილებული სახით“[10].

ამრიგად, წყლის დედაზე არსებული თქმულება-გადმოცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი წარმართობის დროინდელი წყლის მფარველი ღვთაებაა. მისი კულტი დიდ მსგავსებას ავლენს ნადირთ პატრონი ქალის, მონადირეობის ღვთაების კულტთან. წყლის დედის სახე ქრისტიანიზაციის შედეგად თანდათანობით დაკნინდა: სამეგრელოს მითოლოგიაში „წყლის დედად“, „წყალთა მეფედ“ წოდებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში „წყლის ქალად“, შემდგომში კი „წყლის ალად“, „ალად“, „ალქაჯად“ იქცა; წყლის დედა ზოგადქართული ღვთაებაა და მარტოოდენ მეგრული ზეპირსიტყვიერების კუთვნილებად ვერ ჩაითვლება.

თედო სახოკიასეული გადმოცემის მიხედვით, წყლის დედას ნაწილობრივ აქვს შენარჩუნებული ძველი ღვთაებრივი ფუნქციები. იგი განაგებს წყლის მდინარებას და მდინარეში თევზის გამრავლებას. საინტერესოა მისი კავშირი ამინდთანაც.

ბ) კუდიანი. ნარკვევში „მზაკვარი (მაზაკვალი) იგივე კუდიანი, გრძნეული“ თედო სახოკია მოგვითხრობს სამეგრელოში ფართოდ გავრცელებულ რწმენაზე კუდიანების შესახებ და გვაცნობს მათზე არსებულ ხალხურ თქმულება-გადმოცემებს.

მეგრელთა წარმოდგენით, კუდიანი (მზაკვარი) ჩვეულებრივი ადამიანია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესად—ქალი, რომელიც აღჭურვილია „თვალცემულობის ძალით და ცდილობს მოსპოს, გააქროს ყველა და ყოველივე, ვისთანაც და რასთანაც შეერთებულია წარმოდგენა ყოველისავე სიკეთისა, ბედნიერებისა, სილამაზისა, კმაყოფილებისა...“[11] „ავ თვალთან“ ერთად, მაზაკვალს „ცუდი ფეხი“ აქვს და მასთან შემხვედრს მარცხი და ზარალი მოელის. იგი ბუნებით ავი, შურიანი და, ამავე დროს, მოხერხებულია. თითოეულ სოფელში შეიძლება ორი-სამი მაზაკვალი იყოს, მეტი არა.

პირველი წერილობითი ცნობა მაზაკვალებზე გვხვდება XVII საუკუნის ცნობილი იტალიელი მისიონერის — არქანჯელო ლამბერტის შრომაში „სამეგრელოს აღწერა“. ავტორი „მაზაკვალს“ უწოდებს გრძნეულს, მისანს, რომელსაც ძალუძს გამოიცნოს მეთევზეთა წარუმატებლობის მიზეზი და აღმოაჩინოს მთვალავი. როგორც ჩანს, „მაზაკვალის“ ლამბერტისეული გაგება მკითხავის, წინასწარმეტყველის ტოლფასია და სრულიად განსხვავდება ამ სიტყვის ნამდვილის შინაარსისაგან. აქვეა ცნობა ავი თვალის მქონე ადამიანთა არსებობაზე, რომელთაც საკადრისად სჯიან[12]. რწმენა კუდიანებზე ზოგადქართულია და საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. ისინი უმთავრესად ქალები არიან; იშვიათია მამაკაცი კუდიანი. ი. ყიფშიძის ცნობით, მაზაკვალები ორივე სქესისანი არიან[13]. ფშავლების რწმენით, „კუდიანები... ეშმაკების მოციქულები არიან... დედაკაცი ეშმაკს გაუჩენია და ამიტომ კუდიანობაც დედაკაცის ხელობაა“[14].

სამეგრელოში სჯერათ, რომ მზაკვარს უყვარს მსხვერპლის გულის ჭამა, განსაკუთრებით — ჩვილის, ყრმის გულისა. გულის ჭამას ღამით ახერხებენ, როცა ოჯახში ყველას ძინავს[15]. ი. ყიფშიძისეული ცნობით, მათ იშვიათი მადა აქვთ და შეუძლიათ ჯერზე მთელი ბატკანი შეჭამონ; „В них сидит голодный бес“. აქვე მას მოაქვს ერთ-ერთ მაზაკვალზე გამოთქმული გამოსაჯავრებელი ლექსი:

გიორგი პაპა მაზაკვალი, უჩონგუროთ მასხაპალი[16].	(გიორგი მღვდელი კუდიანი, უჩონგუროთ მოცეკვავე)

ამ ლექსის მიხედვით მაზაკვალი მამაკაცია. საინტერესოა ლექსის სოციალური მხარეც: მასში ნათლად ჩანს სამღვდელოებისადმი მშრომელი ხალხის დამოკიდებულება.

კუდიანებს მაქციაობის უნარი აქვთ. „მზაკვარი იმის მზაკვარია, რომ შეუძლია ადამიანის მოსატყუებლად კატად გადაიქცეს და ამ სახით შეძვრეს სხვის სახლში, სადაც მსხვერპლი ჰყავს შეთვალიერებული. კიდეც იმიტომაა, რომ მეგრელთ კატა მაინცდამაინც არ უყვართ“[17].

კუდიანთა მაქციაობა საერთოა საქართველოს ყველა კუთხის რწმენა-წარმოდგენებში. ი. ჯავახიშვილი წერს: „კუდიანებს შეუძლიათ ცხოველად, მეტადრე კატად, იქცნენ და განსაკუთრებით ღამ-ღამე დანავარდობენ და ადამიანთა სულს ჰღუპავენ“[18]. ერთ-ერთი ფშაური თქმულების მიხედვით, კუდიანს შეუძლია ბუზად იქცეს.

მეგრელებს სწამთ, რომ მაზაკვალი კატის სახეს ღებულობს. ამიტომაც, როცა უცნობ კატას შენიშნავენ, იჭერენ და მუგუზლით უწვავენ სხეულის რომელიმე ნაწილს. მეორე დღეს, როცა მაზაკვალი კვლავ ადამიანის სახეს იბრუნებს, დანაწვავის კვალი რჩება და ამით იგებენ, ეჭვმიტანილი მართლა ავი სულია თუ არა. ასეთივე წარმოდგენა აქვთ „მღალავებზე“ გურიაში[19].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზაკვალები იშვიათი ექიმბაშებიც არიან. სხვადასხვა ბალახებისაგან ისინი საიდუმლო მალამოს ამზადებენ, იღლიაში ამოისვამენ და იმდენად მსუბუქდებიან, ფრენას იწყებენ[20]. ფშავში ამ მალამოს „კვინტილას“ უწოდებენ.

კუდიანებს აქვთ საკუთარი „ტრანსპორტი“, რომლითაც ღამღამობით მიეშურებიან ავი საქმეების ჩასადენად. ფშავლებს კუდიანი ცოცხზე ამხედრებულად წარმოუდგენიათ, ხევსურებს—კატაზე ან ცოცხზე, სვანებს—ცოცხზე, მგელზე ან ქვევრზე, გურულებს — კატაზე, ცოცხზე ან მგელზე და სხვ. თ. სახოკიასეული გადმოცემით, მაზაკვალთა ერთი ნაწილი ცოცხზეა შემომჯდარი, ზოგი კი საწნახლებით მოგზაურობს; უმთავრეს შემთხვევაში კი კუდიანის „სრულ განკარგულებაშია“ მგელი. „როცა ღამით შორი მანძილი ექნება გასავლელი, მზაკვარი გამოვა გარეთ, შეულოცავს და თვალის დახამხამებაში გაჩნდება მგელი... კიდეც ამიტომაა,რომ მზაკვარს მეორე სახელიცა ჰქვიან — ნგერიშ გიმახვენჯი, ე. ი. ვინც მგელზე ზის, ანუ მგელზე შემჯდომი“[21]. ს. მაკალათიას ცნობით, კუდიანები მგზავრობდნენ საწნახლებით, რომლებშიაც თეთრი მგლები იყო შებმული. ზოგიერთი კი პირდაპირ თეთრ მგელზე ამხედრდებოდა[22].

ავ, ბოროტ სულებს თავიანთი უფროსი, მეუფე ჰყავთ. კუდიანებსაც ჰყავთ თავიანთი მბრძანებელი, რომელსაც სამეგრელოში „როკაპს“ უწოდებენ. ივი წარმოუდგენიათ ბებერ, დასახიჩრებულ დედაკაცად, რომელსაც გრძელი, შავი კბილები და დიდფრჩხილებიანი წვრილი თითები აქვს. მისი რეზიდენციაა ტაბაკონას მთა, რომელიც აღმოსავლეთ სამეგრელოში მდებარეობს. როკაპი გაუნძრევლად ზის ერთ ადგილას და გარშემო მსახურები ახვევია[23]. კუდიანთა მეუფის უძრაობის თაობაზე მეტად საინტერესოა ი. ყიფშიძის ცნობა, რომლის მიხედვითაც როკაპი წმ. გიორგის მიერ არის ტაბაკონას მთაზე მიჯაჭვული[24].

როკაპის მიჯაჭვამ მკვლევრებს საფუძველი მისცა გამოეთქვათ მოსაზრება ამირანთან მისი მსგავსებისა. ალ. ხახანაშვილი ვარაუდობდა, რომ როკაპი სახეცვლილი ამირანია[25]. მიხ. ჩიქოვანის აზრით კი, მიუხედავად იმისა, რომ „როკაპ-რომპაპი“ ამირანის ორეულია, სიუჟეტური დამთხვევა მეორადია; როკაპი სულ სხვა წარმოშობისაა და არავითარი კავშირი არა აქვს ამირანის სახესთან[26].

კუდიანებს თავიანთი დღესასწაულიც აქვთ. ისინი წელიწადში ერთხელ იკრიბებიან და ანგარიშს აბარებენ როკაპს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ დღესასწაულს „კუდიანობას“, „კუდიანობა ღამეს“, „ჭიაკოკონობას“, „ჭიაკოკონა ღამეს“, „შეცვა ღამეს“ უწოდებენ. სამეგრელოში ეს რიტუალი ცნობილია „ჭეჭეთობის“ სახელწოდებით.

ჭეჭეთობაზე, ანუ მაზაკვალთა დღესასწაულზე, ადრინდელი ცნობები დაცულია „აკაკის კრებულში“ (1899, ტ. VII, განყ. II, გვ. 42). აქ მოთავსებულ ანტ. ქანდარიას ეთნოგრაფიულ ნარკვევში „სოფ. ჯუმი, ზუგდიდის მაზრა“ ვეცნობით მეგრელთა უძველეს წარმოდგენებს კუდიანებისა და მათი დღესასწაულის შესახებ.

კუდიანთა დღესასწაული „ჭეჭეთობა“ მჭიდროდ უკავშირდება სამეგრელოში საყოველთაოდ გავრცელებულ ჩვეულებას — ილიაობას („ეჲობა“). ილიაობაც, მასალათა უმრავლესობის მიხედვით, ავი სულების, კუდიანების დღესასწაულია. ანტ. ქანდარიას მასალების თანახმად, ჭეჭეთობა მოდის 14 აგვისტოს ღამით, ხოლო ილიაობა — ოც ივლისს, ი. ყიფშიძის ცნობით, ჭე-

ჭეთობა 15 აგვისტოს სრულდება, ელიობა კი — 20 ივლისს[27]. თ. სახოკიას გადმოცემით კი ილიაობა 20 ივლისს არის, ხოლო ჭეჭეთობა სამეგრელოს ზოგ რაიონში ილიაობის წინაღამეს (ე. ი. 19 ივლისს) ემთხვევა, ზოგ რაიონში კი — 15 აგვისტოს[28]. ბოლო ხანს მოპოვებულ მასალებში[29] ჭეჭეთობის დღედ გამოცხადებულია როგორც 21 ივლისი, ასევე 14 (15) აგვისტო. როგორც ჩანს, ჭეჭეთობისა და ილიაობის რიტუალთა და ფუნქციათა მსგავსების შედეგად მათი ქრონოლოგიური საზღვრები ერთმანეთში გადადის.

მაზაკვალები თავიანთ მსხვერპლს გულს ამოაცლიან, რათა ძვირფას ძღვნად მიართვან როკაპს. გულთან ერთად მათ მიაქვთ რაიმე ნაწილი მსხვერპლის სხეულისა (თმა, ტანსაცმლის ნაჭერი და სხვ.). ამას ეწოდება „ჩ ხ ი ბ ი ანუ სამოწმებელი იმისა, რომ მზაკვარი ამა თუ იმ სახლს ეწვია და იქიდან ხელცარიელი არ გამოსულა“. ჩხიბის დანიშნულება, ვფიქრობთ, მსხვერპლის მოჯადოება იყო.

თედო სახოკიას მოაქვს ვრცელი გადმოცემა, რომლითაც სრულად აგვიწერს ჭეჭეთობა ღამეს[30].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მზაკვრები ადამიანები (უპირატესად ქალები) არიან. თ. სახოკიას ცნობით, თუკი ვინმეზე ეჭვი მიიტანეს—მზაკვარიაო, სასტიკად განუდგებიან, ახლოს აღარ გაიკარებენ. ხშირად ისინი ულმერთოდ უცემიათ და მათი სახლ-კარიც გადაუწვავთ[31].

საინტერესოა კუდიანობაში ეჭვმიტანილის გამოცდა წყალში ჩაგდებით. თუ მზაკვარი წყალში ჩაიძირა, უდანაშაულოდ ჩაითვლება, ხოლო თუ მოტივტივდა, „ეს პირდაპირი მაჩვენებელი იქნება იმისი, რომ წყალში ჩაგდებული კუდიანია“ და მას ჩააქვავებენ[32]. კუდიანთა გამოცდის მსგავსი ჩვეულება ცნობილია გურიაში, აფხაზეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში. აფხაზები სასტიკად უსწორდებიან წყალზე მოტივტივებულთ. მათ „ან დახოცავენ, ან დაუდაღავენ თეძოებს გახურებული რკინით, ბოროტი სულის გასაშორებლად, ან ჩამოჰკიდებენ და რუჯავენ ძლიერის ცეცხლის ალით“, — წერს კ. მაჭავარიანი[33].

კუდიანთაგან თავდასაცავად ხალხი სხვადასხვა მანიპულაციას მიმართავს. „ეზოსა და ყანებში, თვალსაჩინო ადგილას, მიწაში ჩარჭობილია სარი, რომელსაც თავზე გაკეთებული აქვს ჯვარი და ზედ ჩამოცმულია ეკლის გვირგვინი. როცა მზაკვრის ავი თვალები ამ სარს მოხვდება, ყოველივე მავნებლური ძალა ეკარგვის“[34]. მზაკვართა მავნებლობის ასაცდენად გამოიყენება სხვადასხვა ავგაროზები, რომლებსაც ატარებენ როგორც ადამიანები, ისე — საქონელი. ხალხი თმებზე ცვილის პატარ-პატარა სანთლებს იწებებს, ხოლო კარების თავზე ნახშირის ჯვრებს ხატავენ. ამ ღამით ყველა ფხიზლობს. სოფლის შუაგულში მოიყრიან თავს, დაანთებენ დიდ კოცონს და იმართება ცეკვა-თამაში. ცეცხლს ყველა უნდა გადაახტეს, რათა გამოიწვან კუდიანები[35].

ცეცხლს, როგორც ავი, ბოროტი ძალებისაგან დამცველ საშუალებას, მსოფლიოს მრავალი ხალხის რწმენა-წარმოდგენა იცნობს. კუდიანთა ზიანის თავიდან ასაცილებლად ქართველებმაც მიმართეს ამ ყოვლისშემძლე ძალას. კახეთში „კუდიანობა ღამეს“ სოფლის ამაღლებული ადგილიდან, კუდიანთა დაფრთხობის მიზნით, ცეცხლმოკიდებულ საგნებს დააგორებენ.

1903 წელს გაზ. „კავკაზში“ (№ 87) დაბეჭდილ ნარკვევში „Чиакокона (костры страстной среды)“ გრ. ჩურსინი, აღწერს რა ჭიაკოკონობის წეს-ჩვეულებებს, მიუთითებს, რომ ჭიაკოკონა ცეცხლთაყვანისმცემლობიდან მომდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარეობს; ძველთაგანვე ცეცხლით თავს იცავდნენ ავი სულებისაგან, რომლებიც ქართველთა გადმოცემებში იალბუზზე ბინადრობენ და კატებზე შემსხდარნი ავი საქმეების ჩასადენად ჩამოდიან ბარად. ავტორის აზრით, ქართული ჭიაკოკონა და სომხური „ჩრაგალუი“ ერთი და იგივეა.

ცეცხლის თაყვანისცემასა და გაღმერთებაზე მიუთითებს აგრეთვე კახეთში დარჩენილი გამოთქმა „ცეცხლი მოასვენეო“[36].

საინტერესოა რკინის მაგიური რწმენა და მისი გამოყენება კუდიანთა წინააღმდეგ. ჭეჭეთობა ღამეს მეგრელებს ყველაფერი სახლში შეაქვთ და საგულდაგულოდ ინახავენ. მხოლოდ ნაჯახსა და ცულს სტოვებენ გარეთ, რადგანაც მათი ეშინიათო კუდიანებს[37].

თავისებურია კუდიანობა ღამის ხევსურული რიტუალი, რომელსაც „კუდიანთ წუხრას“ უწოდებენ. ამ ღამით დედაკაცები „ბუნაგს დაღბეჭდიან“, ყველა ნივთს ნახშირით ჯვარს დაახატავენ და იტყვიან: „ქრისტემ დაღკრას ბეჭედი, ქრისტის დედამ მარიამამო“; შემდეგ ასკილის ეკალს მოიტანენ, ერთ ცალს ნეხვზე დაასობენ და იტყვიან: „კუდიანს ფეხშეკრულს“; ერთს კარის თავზე, ერთსაც ბუხრის თავზე შემოსდებენ და დაიწყევლებიან: „კუდიანს შახმას ფეხიო“. ამის შემდეგ სახლის წინ დაანთებენ კოცონს იმ რწმენით, რომ მავნე სულებს დააფრთხობენ. ბავშვები ისარივით დამზადებულ ფრთებს— „ოკას“ გაუკეთებენ ეკალს, წაუკიდებენ ცეცხლს და შორს გადააგდებენ ამ სიტყვებით: „ჩვენს ნურას წაიღებთ, თავისი შასვით, შაჭამეთო“. ოჯახის უფროსი მუგუზლებს გადაისვრის სამ მხარეს და იტყვის:

„რიტი, რიტი, კუდიანო,
ნუმცა არა მოგაქვის
ჩემი სისხლისანი
ქვის მეტი, ხის მეტი, რკინის მეტიო.

თავისი შასვი და შაჭამე,
თავისი შაიოთხშაბათეო.
დახკრას ლახვარი კოპალამა გულჩიო,
მაგაგდების გულჩიო“.

ბოლოს ცეცხლზე გადახტებიან, ცეცხლს ფეხით გასრესენ და იტყვიან: „ესემც დაიწვებით ცეცხლშიო“[38]. აქაც ხაზგასმულია რკინის, ქვისა და ხის მაგიური ძალის რწმენა.

ფშავში კუდიანობა ღამეს, პროფილაქტიკის მიზნით, გამოიყენება თხილის, ასკილისა და მუხის ტოტები, რომლებსაც სახლისა და გომურის კარებზე მიაკრავენ, ბეღელში და საკვამლე მილზე დააწყობენ და თან თითო ნახშირსაც ჩაატანენ; საქონლის ბაგაში კი რკინეულსა და ნახშირს ჩასდებენ[39].

როგორც ვხედავთ, რკინასა და ქვასთან ერთად კუდიანთა წინააღმდეგ გამოიყენება ნახშირიც. ნახშირისათვის პროფილაქტიკური მაგიური ფუნქციის მინიჭების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ იგი ხის დაწვის შედეგია და, ამდენად, „სუფთაა“, განწმენდილია ბოროტი ძალებისაგან. საინტერესოა, რომ იგივე ფუნქცია ნაცარსაც ეკისრება. ჯავახეთში ჭიაკოკონობა ღამეს, როცა ცეცხლი ჩანაცრდებოდა, ოჯახის უხუცესი წევრი რაიმე ჭურჭლით აიღებდა ცხელ ნაცარს, გარს შემოუვლიდა ბანს და ნაცარს ყრიდა იმ რწმენით, რომ კუდიანები და ეშმაკები ოჯახს განერიდებოდნენ[40].

ჭეჭეთობა ღამეს სამეგრელოში ისვრიან თოფებსა და დამბაჩებს, რითაც კუდიანებს „აშინებენ“ და თან ხმამაღლა ამბობენ:

„შორს ჩემგან, მზაკვარო, შორს!
შენი სვი და შენი სჭამე,
ჩემსას ჯვარი დამიწერე!“[41]

ანტ. ქანდარიას მასალებში ვხვდებით ამ ტექსტის მცირედ განსხვავებულ ვარიანტს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯვარი აქა, ჯვარი იქა,
შენი სვი და შენი სჭამე,
ჩემს კი ჯვარი დამიწერე"[42].

ამის თქმას წინ უძღოდა საცხოვრებელი სახლების წინ და ყანებში ეკლიანი და ქვიანი ჯვრების დასობა. როგორც ლ. ბერძენიშვილი შენიშნავს, „...ეს წესები და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი შემოქმედება პროფილაქტიური მაგიის რწმენაზეა დაფუძნებული, რაც... აგრარული დანიშნულებისა იყო"[43].

საინტერესოა ჭეჭეთობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი რიტუალი, რომლის შესახებაც თ. სახოკიას ნარკვევში არაფერია ნათქვამი. ი. ყიფშიძის ცნობით, მაზაკვალები წინასწარმეტყველნიც არიან. ჭეჭეთობა ღამეს ისინი სოფლის მახლობელ სერზე ადიან და იქიდან უგდებენ ყურს, თუ რა ხდება მცხოვრებთა ბინებში. საიდანაც ცულის ხმა გამოვა, იმ სახლში ერთი წლის განმავლობაში რომელიმე მამაკაცი მოკვდება. თუ ცულის ხმა ძლიერია, ახალგაზრდას მოელის სიკვდილი, თუ ჩუმი — მოხუცს. ღომის ცეხვის ხმა ქალის სიკვდილს მოასწავებს[44]. ზოგიერთი ახლად მოპოვებული მასალის მიხედვით, ამ მოქმედების შემსრულებლებად თვით კუდიანებიც გვევლინებიან: „კუდიანებმა სადაც შეშის დაპობა დაიწყეს, იქ კაცი მოკვდა და, სადაც ნაფოტის აკრეფა („ნახაფულუა"), — ქალი[45]. ხევსურთა რწმენითაც, კუდიანები წყვეტენ, წლის განმავლობაში ვინ უნდა მოკვდეს და ვისი ოჯახი გაუბედურდეს[46].

კუდიანთა საიდუმლოს გაგება ჩვეულებრივ ადამიანებსაც შეუძლიათ. სამეგრელოში ელიობის წინა ღამეს რამდენიმე ქალი და კაცი ჩუმად გაიპარებოდნენ, მაღლობ ადგილზე დასხდებოდნენ და განაბულნი სმენად გადაიქცეოდნენ. თუ რომელიმე ოჯახიდან შეშის ჭრას გაიგონებდნენ, იქ იმ წლის მანძილზე მამაკაცი უნდა მომკვდარიყო, თუ ღომის ცეხვის ხმა მოესმებოდათ, მაშინ ქალი მოკვდებოდა იმდენი წლის შემდეგ, რამდენჯერაც საცეხველს დაჰკრავდა. ამ რიტუალს „გინოჩქილაფა"-ს უწოდებენ[47].

ხევსურეთში კუდიანობა ღამეს სამი კაცი, რომელთაც „მესმინაე" ეწოდებათ, წავა, გზაჯვარედინზე ნახშირით წრეს შემოხაზავს და განაბული დაჯდება. „მესმინაე" შეიძლება ერთი კაციც იყოს; მაშინ ის თითისტარს წაიღებს და ისე ჩაჯდება. მალე მავნე სულებიც გამოჩნდებიან და მოჰყვებიან, ვის რა უბედურება ელის[48].

ავ სულთა საიდუმლოს გაგებას ფშავლებიც ცდილობენ. ამ ოპერაციის შემსრულებლებს „მისნებს" უწოდებენ. ისინიც გზაჯვარედინზე სხდებიან, მათ იარაღი ან რაიმე რკინეულობა არ უნდა ჰქონდეთ ტანზე. „მისნებში" ერთი სიყრმის შვილიც უნდა ერიოს, თორემ ისე ვერაფერს გაიგონებენ. ისინი ქალამნებს უკუღმა იცვამენ, ზურგშექცევით მიდიან და უკუღმა, პირით დასავლეთისაკენ, სხდებიან. თუ იმ ღამეს ვარცლი ახმაურდა, ქალი მოკვდება, თუ იარაღი — კაცი[49].

ავსულებზე, მზაკვრებსა და კუდიანებზე სამეგრელოში გავრცელებულ რწმენასა და მათ საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ რიტუალებსა და მანიპულაციებზე მოგვითხრობს თედო სახოკია აგრეთვე მემუარულ ნაშრომში „როგორ ვიზრდებოდით ძველად" (1955, გვ. 6, 17, 22, 55, 146 და სხვ.). კუდიანების შესახებ გურიაში გავრცელებულ რწმენას აგვიწერს მკვლევარი ნარკვევში „გურია" („მოგზაურობანი", 1950, გვ. 49—51). კუდიანობა ღამეს გურულები „შეცვა ღამეს" უწოდებენ. მზის ჩასვლიდანვე მთელ სოფელში თოფებს ისვ-

რიან და ხმამაღლა ყვირიან: „ჰაუჰო! შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე...“ ავი თვალის წინააღმდეგ იყენებენ ეზოს შუაში დასობილ „პაპაჯვარს“ — ჯვრითა და ეკლის გვირგვინით შემკულ ჯოხს; თაფლის სანთლის პატარ-პატარა ჯვრებს აწებებენ ადამიანებსა და ცხოველებს. ამ სახით „შებეჭდილთ“ ავი თვალი არ გაეკარებათ. აქვე მკვლევარი გვაცნობს მღალავთა მეუფეს — როკაპს და ქვეშევრდომებთან მის ურთიერთობას.

ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული რწმენა-წარმოდგენების კუდიანები ერთგვარ ნათესაურ დამოკიდებულებაში არიან ქართული ჯადოსნური ზღაპრის კუდიან დედაბრებთან. ამ პერსონაჟთა შედარება-შეპირისპირება მათი გენეზისის საკითხის გარკვევის საშუალებას იძლევა. ალ. ღლონტი ზღაპრული დედაბრის საფუძველს წეს-ჩვეულებათა კუდიანი დედაბრის კულტში ეძიებს[50]. თ. ოქროშიძის აზრით კი კუდიანობის კულტი როგორც შუა საუკუნეების მოვლენა, ზღაპრული კუდიანის წინაპრად ვერ ჩაითვლება. ჯადოსნური ზღაპრის დედაბრის გენეზისის საკითხს იგი უკავშირებს მატრიარქატს და ასკვნის, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს წეს-ჩვეულების კუდიან დედაბერთან[51].

ჩვენი აზრით, კუდიანობის, როგორც ბუნების ავი, ბოროტი ძალების, რწმენა უფრო ადრინდელი მოვლენაა, რომელიც შუა საუკუნეებში საზოგადოების გარკვეული ფენის ხელში თავისებურ იარაღად იქცა და ფართო განვითარება ჰპოვა. ამ მხრივ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ე. ვირსალაძის მოსაზრება, რომ როკაპებისა და კუდიანების სახეში „ძველ წარმართულ წარმოდგენათა და ქრისტიანული დემონოლოგიის გადანაშთებთან გვაქვს საქმე“[52]. ვფიქრობთ, საზღაპრო ეპოსის კუდიანი დედაბრის თუნდაც პირველადობა არ გამორიცხავს მის კავშირს ეთნოგრაფიულ როკაპებთან და კუდიანებთან. მათ მრავალი მსგავსი თვისებები და ფუნქციები გააჩნიათ და მთელ რიგ მასალებში ხშირად ჭირს მათი გამიჯვნა.

ამრიგად, ბუნების ავი, ბოროტი ძალების ერთ-ერთი სახეობაა კუდიანი, მზაკვარი, რომლის რწმენაც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 7-22.
2. იქვე, გვ. 15.
3. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ, 1941, გვ. 337.
4. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ, 96.
5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, 1926, № 84.
6. ი. ჯავახიშვილი, დასახ. შრ., გვ. 96-97.
7. თსუფა № 21015.
8. ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 112.
9. თსუფა, № 10439.
10. ე. ვირსალაძე, დასახ. შრ., გვ. 98.
11. თ. სახოკია, დასახ. შრ., გვ. 18.
12. ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 149-150.
13. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, Спб., 1914, გვ. 387.
14. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1934, გვ. 165-166.
15. თ. სახოკია, დასახ. შრ., გვ. 18.
16. ი. ყიფშიძე, დასახ. შრ., გვ. 235—236 (თარგმანი ჩვენია).
17. თ. სახოკია, დასახ. შრ., გვ. 18.
18. ი. ჯავახიშვილი, დასახ. შრ., გვ. 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. თ. სახოკია, გურია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 50.
20. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 18.
21. იქვე, გვ. 18-19.
22. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 318.
23. იქვე.
24. ი. ყიფშიძე, დასახ. შრ., გვ. 388.
25. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბ., 1919, გვ. 31.
26. მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 120.
27. ი. ყიფშიძე, დასახ. შრ., გვ. 387, 231.
28. თ. სახოკია, დასახ. შრ., გვ. 19.
29. თსუფა №№ 13508, 15103.
30. თ. სახოკია, დასახ. შრ., გვ. 20-21.
31. თ. სახოკია, დასახ. შრ., გვ. 21.
32. იქვე.
33. კ. მაჭავარიანი, აფხაზეთი. გაზ. „დროება“, 1885, № 19.
34. თ. სახოკია, დასახ. შრ., გვ. 19.
35. იქვე, გვ. 21.
36. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. III, თბ., 1955, გვ. 109.
37. თსუფა № 11134.
38. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 226.
39. ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 167.
40. მასალა მოგვაწოდა ს. მელიქიძემ, 1975 წ.
41. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 20.
42. ანტ. ქანდარია, სოფ. ჯუმი, ზუგდიდის მაზრა, „აკაკის კრებული“, 1899, ტ. VII, გვ. 42.
43. ლ. ბერძენიშვილი, ზეპირსიტყვიერების საკითხები „აკაკის კრებულში“, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1972, გვ. 51-52.
44. ი. ყიფშიძე, დასახ. შრ., გვ. 387.
45. თსუფა № 11134.
46. ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 226.
47. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 318.
48. ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 226-227.
49. ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 167.
50. ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1963, გვ. 151.
51. თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის მხატვრული სახეები (დედაბერი), ქართული ფოლკლორი, I-II, თბ., 1964, გვ. 86-89.
52. ე. ვირსალაძე, მითი, ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, თბ., 1960-გვ. 352.

Т. ШИОШВИЛИ

ПЕРСОНАЖИ ГРУЗИНСКОЙ МИФОЛОГИИ — «ЦКЛИС ДЭДА», «КУДИАНИ»

(По материалам Т. Сахокиа)

Резюме

В очерке «Из мегрельской мифологии» Т. Сахокиа проанализировал мифологические предания о «Цклис Дэда» (матери-покровительнице воды) и «Кудиани» (хвостатой ведьме).

«Цклис Дэда» — общегрузинское языческое божество. Ее культ близок культу хозяйки зверей — богине охоты. Под влиянием христианских представлений образ «Цклис Дэда» постепенно трансформировался и превратился в злой дух.

«Кудиани» относится к злейшим духам природы. Ее культ распространен во всех уголках Грузии.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ქურდოვანიძე

ქართული კუმულატიური ზღაპარი

მსოფლიო საზღაპრო ეპოსი იცნობს ზღაპართა ერთ სახეს, რომლის ცალკე ერთეულად გამოყოფა განპირობებულია მისი კომპოზიციის განსაკუთრებულობით. ამ ტიპის ზღაპართა სახელი წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან cumulare (დახვავება, გაძლიერება).

საბჭოთა ფოლკლორისტიკაში კუმულატიური ზღაპრის არსის წარმოჩენისა და რუსული მასალის კლასიფიკაციის ინიციატივა ეკუთვნის ვლადიმერ პროპს. მანვე განმარტა, რომ «основной художественный прием этих сказок состоит в каком-либо многократном повторении одних и тех же действий или элементов, пока созданная таким способом цепь не порывается или же не расплетается в обратном порядке»[1].

ადრე კუმულატიური ზღაპარი ცალკე არ განიხილებოდა, არამედ პერსონაჟთა გამო ცხოველთა ეპოსში იყო გაერთიანებული. მ. ჩიქოვანი სწორედ მათ ანალიზს უძღვნის ზღაპარზე თავისი გამოკვლევის რამდენიმე გვერდს[2]. კუმულატიური ზღაპრისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშანზე (ერთმანეთთან გადაჯაჭვული ეპიზოდების აკინძვა) აქვს მითითებული ე. ვირსალაძეს[3].

კომპოზიციის, სიტყვიერი მასალის, შესრულების ფორმისა და სტილის მიხედვით კუმულატიური ზღაპარი ორი სახესხვაობითაა ცნობილი. ერთი აგებულია მოკლე, ერთტიპობრივ ფრაზებზე, რომლებიც ფორმულებს უახლოვდება. ზღაპრის ტექსტში მეორდება ერთმანეთის მსგავსად გაფორმებული სინტაქსური წყვილები. ზღაპართა ამ ჯგუფს უპირატესად ლექსის ფორმა აქვს და შეიძლება მათი სიმღერით შესრულება. ქართულ საზღაპრო ეპოსში ამგვარი კუმულაციის კლასიკური ნიმუშებია „რწყილი და ჭიანჭველა“ და „თხა და ვენახი“. კუმულატიური ზღაპრის მეორე სახესხვაობა თხრობის წესით თითქმის არ განსხვავდება ზღაპრის სხვა სახეებისაგან, თუმცა მისთვისაც წარმმართველია ეპიზოდების ჯაჭვისებური ასხმა. ამ ტიპის ზღაპრებში (მაგ.: „მელიას ეშმაკობა“, „მგლის ბერად შედგომა“), პირველის საპირისპიროდ, ერთმანეთთან ლოგიკურად თუ მექანიკურად დაკავშირებულ ეპიზოდებში შედარებით უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული ამბავი[4].

კუმულატიური ზღაპრის კომპოზიციის ძირითად ბირთვს ქმნის მოტივირებულ ან არამოტივირებულ ამბავთა ერთმანეთთან ჯაჭვისებური აკინძვა—

---

1 В. Я. Пропп, Кумулятивная сказка, в кн.: Фольклор и действительность, М., 1976, გვ. 241-257.

2 მ. ჩიქოვანი, ქართული ზღაპარი, წიგნში: ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1938, გვ. XLV-XLVII.

3 ე. ვირსალაძე, ზღაპარი, წიგნში: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, თბილისი, 1960, გვ. 384.

4 ვ. პროპი მათ ყოფს „ფორმულიან“ და „ეპიკურ“ ჯგუფებად. იხ. დასახელებული შრომა, გვ. 243-244.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუმულაცია. ძირითადი ამბის წინ, ექსპოზიციაში, მოთხრობილია რაიმე სიტუაციის შესახებ. ზღაპარი უშუალოდ ძირითადი ამბის შემდეგ მთავრდება.

ქართულ მასალაში კუმულატიური ზღაპრის ევროპულ და რუსულ ფოლკლორში ცნობილ ყველა ტიპს ვერ ვხვდებით. საქართველოში გავრცელებული ტიპოლოგიური კუმულატიური ზღაპრების ბადალი ზღაპრები მოკლებული არ არიან ეთნიკურ თავისებურებებს.

პერსონაჟთა მრავალრიცხოვნების მიუხედავად, მარტივია „რწყილი და ჭიანჭველას“ კომპოზიცია. ამ ზღაპარში მოქმედების განვითარებას საფუძვლად უდევს რწყილის მოგზაურობა სხვადასხვა პერსონაჟთან. პერსონაჟთა თანდათანობითი ზრდა გამოწვეულია რწყილის თხოვნის შეუსრულებლობით. დამმობილებულ რწყილსა და ჭიანჭველას გარდა, ზღაპარში მოქმედებენ ღორი, მუხა, ყვავი, კრუხი, ორმო, თაგვი, კატა, ძროხა, მინდვრის ბალახი.

ზღაპარში წარმოდგენილ სიტუაციათა აკინძვას ერთ მთლად ხელს უწყობს რწყილის თანდათანობითი გადასვლა ერთი პერსონაჟიდან მეორესთან ახალ-ახალი თხოვნით. ტრადიციით შემუშავებული ნორმის თანახმად, ამ ზღაპარში ადგილი აქვს ნათქვამის თავიდან გამეორებას — რეტარდაციას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ეპიზოდს, რომელშიც თავმოყრილია რწყილის ყველა თხოვნა:

„— ძროხავ, მომე რძე,
რძეს მივუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა.
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა.
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა—ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ჭინჭველსა ძმობილსა“[5].

გამეორებისათვის გამოყენებულია რიტმულად ორგანიზებული ან ნაწილობრივ შერითმული მიმართვები პერსონაჟთადმი. ეს ადგილები თავისი ფორმის წყალობით სასიამოვნო მოსასმენია. მათი ხშირი გამეორებით მიიღწევა ნათქვამის მსმენელის მეხსიერებაში განმტკიცება.

ზღაპარში გარკვეული კანონზომიერებით მეორდება ერთი და იგივე ტიპობრივი ფრაზა-ფორმულები. პირველში — „რწყილი ახტა, დახტა, მივიდა... და სთხოვა“ — მხოლოდ ახალი პერსონაჟი ჩნდება, მეორეში — „შენ რომ ჩემთვის...„ — ერთმანეთს ენაცვლებიან ზმნები „მოგიტანია“ — „მოგიშორებია“ და ახალ პერსონაჟთან დაკავშირებული საგანი.

„რწყილსა და ჭიანჭველაში“ კუმულაცია მთავრდება კვანძის გახსნით— რწყილმა იშოვა ჯაგარი ბაწრისათვის და გადაარჩინა ჭიანჭველა. ზღაპრის ფინალს მთქმელი საგანგებოდ აფორმებს, რაც ამ ტიპის ზღაპართათვის ყოველთვის არ არის ნიშანდობლივი.

ტიპობრივ ფრაზათა განმეორებაზეა აგებული ზღაპარი „თხა და ვენახი“. ზღაპრის ექსპოზიციაში დასმული კითხვა: „მოდი, ვნახო ვენახი, რამ შეჭამა ვენახი?“ და პასუხი: „მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი“ დასაბამს აძლევს კუმულაციას. პირველ რგოლს თანმიმდევრობით მოსდევს დანარჩენები. იმავე ტიპობრივ კითხვა-პასუხში უკვე ცნობილი წევრების (ვენახი,

---

[5] ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. 75-78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხა) გვერდით ჩნდება ახალი წევრი (მგელი). ახალი რგოლი იკვრება ფრაზით: „მგელმა — თხა. თხამ ვენახი შეჭამა“. ეს ფრაზა უკვე რაოდენობრივად გამრავალფეროვნებული კანონზომიერად მეორდება ყოველი ახალი ამბის შემდეგ, ვიდრე არ ჩამოითვლება ზღაპარში წარმოდგენილი ყველა დანარჩენი პერსონაჟი — თოფი, ჟანგი, მიწა, თაგვი, კატა.

აი, როგორ გამოიყურება ეს განმეორებები ზღაპრის ფინალში:

„...მოდი, ვნახო თაგვი,
რამ შეჭამა თაგვი?
მიველ, ვნახე თაგვი,
კატამ ჭამა თაგვი.
კატამ — თაგვი,
თაგვმა — მიწა,
მიწამ — ჟანგი,
ჟანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჭამა“[6].

განმეორებათა ფორმა ხელს უწყობს მის სწრაფადწარმოსათქმელივით გადმოცემას, რასაც მრავალფეროვნება შეაქვს ზღაპრის ტექსტში.

ეგევე კომპოზიციური პრინციპი უდევს საფუძვლად ზღაპარს „ღამურა და ბალახი“. ღამურამ გრძელი ბალახი იპოვა, დაჯდა ზედ იმ იმედით, რომ ბალახი აქანავებდა, მაგრამ ბალახი არც შეინძრა. გამწყრალმა ღამურამ იფიქრა: წავალ, ციკანს მოვიყვან, ციკანი შეაშინებს ბალახს და კარგად მაქანავებსო. მოვიდა ციკანი, მაგრამ არ შეჭამა ბალახი. ციკნის შესაშინებლად მგელი მოიყვანა ბალახმა. მაგრამ არც მგელმა დაუშავა რამე ციკანს. ღამურა დასახმარებლად აქლემთან მიდის. „აქლემო, ბალახმა არ მაქანავა, ციკანმა ჩემი მაქანულა ბალახი არა სჭამა, მგელმა ციკანს პირი არ დააკარა, მოდი, შენა სჭამე მგელიო“, —შესჩივლა ღამურამ აქლემს.

აქლემმა დააღო პირი, მაგრამ ვერ შეჭამა მგელი. ახლა გლეხთან წავიდა ღამურა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ გლეხმაც უარით გამოისტუმრა. მაშინ ცეცხლს სთხოვა ღამურამ გლეხს სახლი დაუბუგეო, მაგრამ ცეცხლმა ვერაფერი დააკლო გლეხის სახლ-კარს. მხოლოდ წყალმა უშველა ღამურას[7].

კუმულატიური ზღაპრის ტრადიციის თანახმად, აქ ვერ ვხვდებით სიტუაციათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ან ლოგიკურ მოტივირებებს. ზღაპარში ჯაჭვი ყოველგვარი შინაარსობრივი აუცილებლობის გარეშე ისხმება, გათვალისწინებულია პრინციპი ყოველ ახალ პერსონაჟთან მისვლისას წინა პერსონაჟებთან დაკავშირებული ამბის გამეორებისა. არც ზღაპრის ფინალში ღალატობს მთქმელი ძველ გზას და დასასრულსაც ისევე წარმოადგენს, როგორც მთელი ზღაპარი გამართა. წყალი და ღამურა დაძმობილდნენ, მაგრამ შემდეგ ღამურას წინადადებით თავ-თავის გზას ეწივნენ. „დაღამდა და გათავდა“ — გვაუწყებს მთქმელი.

ზღაპრის პერსონაჟთა თანდათანობითი გამოჩენით ჯაჭვის ასხმის მაგალითს იძლევა „ჩარექა“[8], რომელშიც პერსონაჟთა შეკრებისათვის გამოყენებულია ერთი და იგივე ტიპობრივი სიტყვიერი მასალა. ზღაპრის მიხედვით, ჩარექას ღვინო მოუნდა და ერთი ბებრისკენ გასწია. გზაში მას შეხვდნენ მამალი, კვერცხები, ფილთაქვა, მახათი, ვირი. პერსონაჟთა გაცნობისა და შეთანხმებისათვის მთქმელი მარტივ დიალოგს ქმნის:

---

[6] ხალხური სიბრძნე, IV, ქს. სიხარულიძის რედ., თბილისი, 1965, გვ. 268.

[7] რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, I, ე. ვირსალაძის შედგენილი, თბილისი, 1949, გვ. 67-68.

[8] ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 79.

„— გამარჯობა, ჩარექავ!
— გაგიმარჯოს, მამალო!
— სად მიდიხარ, ჩარექავ?
— ბებრისას, უნდა ღვინო დავლიოვო.
— მეც წამიყვანეო.
— ძალიან კარგიო! გამიძეხ წინა და წავიდეთო".

ეს დიალოგი ყოველი ახალი პერსონაჟის გამოჩენის წინ ჩნდება. ზღაპარში მოქმედების შემდგომი განვითარება არ არის ან თითქმის არ არის მოტივირებული (ჩარექას სურვილი — დალიოს ღვინო — არ ქმნის მოხუცის თავისი ოჯახიდან განდევნის საფუძველს), მაგრამ ეს ვითარება არ არღვევს კუმულატიური ზღაპრის ტრადიციას. „ჩარექამ ფილთაქვა მაღლა ჩამოჰკიდა, მამალი ქანდარაზედ შესვა, მახათი ლეიბში გაურჭო, ვირი დერეფანში დააბა, თვითონ ქვევრში ჩაჯდა, კვერცხები ცეცხლში შეფლა... მივიდა ბებერი ცეცხლთან, დაუწყო ნთება. გასკდა კვერცხი და თვალებში ეცა, თავში ფილთაქვა დაეცა. მაღლა აიხედა, — მამალმა თვალში ჩაასკინტლა; მახათი ბარძაყში შერჭო. გამოვარდა ბებერი გარეთ, ვირმა წიხლები უტყუპა. თავგადაგლეჯილი ბებერი სულ გადაიკარგა. დასხდნენ ძმობილები და ქუდი ჭერში ჰკრეს. სხედან ეხლაც იქა და ქეიფობენ".

ზღაპარში „მგლის ბერად შედგომა" გვხვდება კუმულაციის საინტერესო შემთხვევა. იერუსალიმის გზას დამდგარი მგელი რიგრიგობით შეხვდება მოზვერს, ორ ერკემალს, ვირს, მაგრამ სულის სიწმინდეზე ფიქრით შთაგონებული არ მიეკარება მათ. იერუსალიმში ჩასულ მგელს სანანებლად გაუხდება თავისი თავშეკავება. „ამ იერუსალიმში რომ მოველი, საყდარში ხომ არავინ შემიშვებს, იტყვიან მგელიაო, და რა ჭკუა დავირქვი, რომ არც არაფერი მოზვერს ვუყავ და არც არაფერი ერკემლებსა და ვირსაო"[9]. ამ ფიქრით მგელი გამოემართა უკან მათ საძებნელად. ნახა ვირი და მიუხდა შესაჭმელად. ვირმა ეშმაკობა იხმარა, ნალების აყრა სთხოვა მგელს და კბილები ჩაუმტვრია. ახლა ერკემლებთან მივიდა მგელი. იმათაც გააბრიყვეს, „დაეჯახნენ და კინაღამ გამოჭყლიტეს". მოზვერმა „ამოჰკრა რქები და გადააგდო კლდეზე".

დალეწილ-დამტვრეული მგელი მივიდა სოროში და დაიწყო თავისი თავის ლანძღვა: „რა მრჯიდა, რა ჩემი საქმე იყო სულზედ დადგომა; ან რა ნალბანდი ვიყავ, რომ ნალების ყრა დავუწყე ვირს: ან რა მედიატორე ვიყავ; ან რა მომღერალი და მოსაკრავე მე ვიყავ, რომ მოზვერს დავუჯერე და გავყევიო. ეხლა რო ერთი კაცი იყოს აქ და ერთი კარგა მიმბერტყოს, რა მადლი იქნებოდაო". იმ დროს მგლის სოროში ჩაფრებისაგან გამოქცეული მამასახლისი ყოფილიყო დამალული. იმანაც მიუმატა მგელს და გააგდო სოროდან.

ეს ზღაპარი იმით არის საგულისხმო, რომ მასში ჯერ ჯაჭვისებურად აისხმება ეპიზოდები ერთმანეთზე (A+B+C+D), ხოლო შემდეგ ჯაჭვი უკვე საწინააღმდეგო რიგით იშლება (A+D+C+B). კუმულაციის ასეთი ხერხი იშვიათად გვხვდება საზოგადოდ საზღაპრო ეპოსში, კერძოდ — ქართულში.

არანაკლებ საინტერესოა ეს ზღაპარი სიტყვიერი მასალის გაფორმების თვალსაზრისით, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კუმულატიური ზღაპრის,

---

[9] ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, 1911, № 25. საქართველოში ამ ზღაპრის მრავალი ვარიანტია ცნობილი. იხ. „ძველი საქართველო", II, გვ. 183; ქართული ხალხური ზღაპრები, I, № 17, № 30 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ბავშვთათვის განკუთვნილის, მხატვრულობისათვის. მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს:

მგელი „გზაზე ორ ერკემალს შეჰხვდა, ყანას სძოვდნენ, დიდი დუმები ჰქონდათ, მაგრამ მგელს მაინც დასძლია ეშმაკმა.

— გამარჯვებათ, ერკემლებო! — დაუძახა მგელმა.

— გაგიმარჯოს, მგელო! — უპასუხეს ერკემლებმა. — სად გამგზავრებულხარ, რა გზა მიგელისო?[10]

— იერუსალიმს მივდივარ, ერკემლებო, სული უნდა ვაცხონო, ამთენმა ცოდვებმა წელი მომწყვიტაო.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოსო! — დაუძახეს ერკემლებმა“[11].

„დალეწილ-დამტვრეული მგელი წავიდა და მიეხირა თავის სოროში...“ „მგელი დააფრინდა კბილებით ფეხზე ვირს და დაუწყო ნალების ყრა. ვირმა უტყუპა, გააგორა ჩვენი ბერი კბილებჩამტვრეული და გათხდა“.

ეპიზოდთა ჯაჭვისებური ასხმისა და შემდეგ საპირისპირო რიგით (ნაწილობრივი ვარიაციით) დაშლის ნიმუშს იძლევა ზღაპარი „კაცი, ტურა, მელიე, კატა, დათვი და მგელი“[12]. ზღაპარს საფუძვლად უდევს ამბავი ცხოველთა მიერ ერთმანეთის დაჭმისა. მასში მხატვრულ ფორმაშია განხორციელებული ცხოველთა სამყაროში გამეფებული პრინციპი — ძლიერი ჭამს სუსტს.

ზღაპრის მიხედვით კაცი რიგრიგობით ხვდება ტურას, მელიას, კატას, დათვს, მგელს და ქალიშვილის ქორწილში პატიჟებს. ისხმება ჯაჭვი — A+B+A+C+A+Д+A+E+A+F.

მეორე დღეს სტუმრები შემდეგი რიგით მოდიან: B+Д+C+F+E.→მათ ცალ-ცალკე უშვებს მასპინძელი ოთახში. ყოველი ახალი სტუმრის მოსვლამდე გარკვეული დრო გადის. ოთახში ტურა ჭამს კატას, მელია — ტურას, მგელი — მელიას, დათვი — მგელს. სტუმრებიდან მხოლოდ დათვი გადარჩება, რომელსაც მასპინძელი კლავს.

ზღაპარში ჯაჭვი ორჯერ ისხმება და ერთხელ იშლება. ჯაჭვის დაშლა თანხვდება მისი მეორედ ასხმის თანმიმდევრობას. ცხოველების კაცთან შეხვედრის რიგში დაშვებული მექანიკური შეცდომა უნდა მივიჩნიოთ განსხვავების წყაროდ.

კუმულაციური კომპოზიციის ზღაპრებისათვის უცხო არ არის კონტამინაცია. ამ მხრივ საგულისხმო შემთხვევა გვხვდება ზღაპარში „მელიას თავის კუდზე ჯავრი მოსდიოდა“[13].

სოფელში მოხვედრილი მშიერი მელია ძაღლების შიშით თავზე ხოჯის სარულს მოიხვევს და აუჩქარებლად მიუყვება გზას. შემოეყრება მამალი, რომელსაც დაარწმუნებს, რომ ქაბეში მიდის ცოდვების მოსანანიებლად. გაჰყვა მამალი, ახლა ბატებმაც მოინდომეს მათთან დამგზავრება. გზად ორი კრავი შემოხვდათ. მელიამ ვერ მოითმინა და კრავებთან მივიდა, მაგრამ მეცხვარის ძაღლებს ძლივს დააღწია თავი.

---

[10] ვარიანტი: „სად მიექანები, რა საქმე გამოგჩენია?“

[11] ვარიანტი: „ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მგელო, თუ იზამ ბერობასო!“ — დაუძახა მოზვერმა.

[12] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, გურული ფოლკლორი, თბილისი, 1937, გვ. 274. ვარიანტი: იხ. პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, III, თბილისი, 1964, გვ. 285.

[13] ჯ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, ბათომი, 1936, გვ. 106—107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ წყდება ჯაჭვი. ზღაპარი დასრულდა, რადგან ამ ტიპის მოთხრობათა კვალობაზე, მთავარი გმირი ხახამშრალი დარჩა, ვერ მიაღწია საწადელს. ზღაპრის კომპოზიცია სრულია — ექსპოზიცია: მშიერი მელია სოფელში დადის; ძირითადი ამბავი: მელია შეხვდა მამალს, კრავებს, ბატებს; ფინალი: ძაღლები დაედევნებიან და მელია სოროში შეასწრებს.

მთქმელი პირველ სიუჟეტთან შემოქმედებითად აკავშირებს თავისუფალ მოტივს, რომელშიც აგრეთვე დასტურდება კუმულაციის ელემენტები. ეს თავისუფალი მოტივია „მელია და მისი კუდი“ (აარნე — ანდრეევის კატალოგში იგი ცალკე ტიპადაა გამოყოფილი — AA 154, II), რომლის მიხედვითაც ნადავლის დაკარგვით გულმოსული მელია თავისი სხეულის ნაწილებს დაუწყებს გასამართლებას: ჯერ ფეხებს ჰკითხავს, როგორ მომეხმარეთო? შემდეგ თვალებს, მერე ყურებს. მათი პასუხის სიმართლეში დარწმუნებულმა მელამ ბოლოს კუდს მიმართა კითხვით.

— შენ რომ გამოეჭენე, ფეხებში გაჩეჩე, გაგეფინე, რომ ფეხები შეგშლოდა და ძაღლს დაეჭირეო, — უპასუხა კუდმა.

მელია კუდს გაუბრაზდა, სოროდან გამოყო და ძაღლებს მოუხმო. ძაღლებმა მელია გარეთ გაითრიეს.

როგორც დავინახეთ, კონტამინაციის განხორციელებისათვის მეზღაპრე ამავე ტიპის კომპოზიციურ მასალას არჩევს, რადგან სხვაგვარი მასალის გამოყენების შემთხვევაში დაირღვეოდა კონტამინირებული ზღაპრის კომპოზიციურ-სტილისტური მთლიანობა. საანალიზო ზღაპარში შემოქმედებით კონტამინაციასთან გვაქვს საქმე. მეზღაპრე ისე იაზრებს ამბავს, რომ ზღაპარი ერთ მთელად აღიქმება და ძნელდება კიდეც იმის წარმოდგენა, რომ ამ ზღაპარში ძირითად სიუჟეტთან შერწყმულია სხვა მასალა.

საქართველოში გავრცელებულია ისეთი ზღაპრებიც, რომლებშიც კუმულაცია განხორციელებულია საგანთა „გაცვლის“ გზით.

ზღაპარი „ერთ-ციდა ქმარი და ორ-ციდა ცოლი“[14] მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ცოლმა როგორ გაატანა ქმარს შალ-აბრეშუმი გასაყიდად. კაცმა შალ-აბრეშუმი გაცვალა ხარში, ხარი — მამალში, მამალი — სამ ნემსში. ბოლოს ეს ნემსებიც დაეკარგა. თითქოს აქ უნდა დამთავრებულიყო ზღაპრის თხრობა, მაგრამ რაკი მისი იდეა მდგომარეობს კეთილი, მაგრამ მოსულელო კაცის გამდიდრებაში, ამიტომ ზღაპრის მეორე ნაწილში იმართება დავა ერთ-ციდა კაცსა და ვაჭარს შორის. ვაჭარი დარწმუნებულია, რომ კაცს მოკლავს ცოლი ასეთი საქციელისათვის და დაენაძლევება (გამარჯვების შემთხვევაში თავის ჯორკიდებულს ჰპირდება).

ზღაპარში საინტერესოდაა გაფორმებული ორ-ციდა ქალსა და ვაჭარს შორის გამართული დიალოგი. ვაჭარმა უთხრა ცოლს: „— ამისთანა იქნება, შენ ქმარს შალ-აბრეშუმი ხარში გაუცვლიაო. — იჰ! ნეტა ხარს მოიყვანდეს, თუ არა... შიმშილი ჰკლავს, მოხნავს რამეს და პურს მოიყვანსო! — ხარი მამალში გადუცვლიაო... — იჰ! ნეტაი მამალს მოიყვანდეს, თუ არა... ამდენ ღამეს ძილი ჰკლავს, ქე მაინც გაგვაღვიძებსო. — მამალი ნემსში გადაუცვლია... — იჰ! ნეტაი ნემსს მოიტანდეს, თუ არა... ტანისამოსი სუ კია-კია გვაქ, ხორცი გვიჩანს, ქე მაინც დავიკერავთო. — გამომხტარა სამ ღელეს და სამივე დაუკარგიაო... — ნეტაი, თვითონ მოვიდეს და...“

---

14 ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, თბილისი, 1938, № 262.

დიალოგს გამომსახველობას ანიჭებს კონტრასტის ხერხის გამოყენება. ინფორმაციის მიწოდებისას ვაჭარი ცდილობს გამოიყვანოს მდგომარეობიდან ქალი, მაგრამ ქალი ყოველი ფაქტის მოსმენის შემდეგ პოულობს ვაჭრისა და მკითხველისათვის სრულიად მოულოდნელ პასუხს.

„გაცვლის“ პრინციპი უდევს საფუძვლად კუმულაციას ზღაპარში „მელია“[15]. ამ სიუჟეტურ ტიპში ეპიზოდთა ჯაჭვისებური ასხმა ხორციელდება მელიას ოინების წყალობით. ზღაპრის მიხედვით, მელია სტუმრად მივიდა ერთ ოჯახში და გუდით ხორბალი მიიტანა. როცა ყველამ დაიძინა, მელია შევიდა საქათმეში და ხორბალი ქათმებს დაუყარა. მეორე დილით მოიკითხა თავისი ხორბალი, მაგრამ რაკი შეჭმული დაუხვდა, მასპინძელს ეჩხუბა და სამაგიეროდ მამალი მისცეს. ახალ ოჯახში მისულმა მელიამ დაკლა მამალი და ცხვრის ქვეშ ამოდო. ამ ოჯახიდან ცხვარი წამოიყვანა და სხვაგან ხარი მოიპოვა ამავე გზით. ერთ სოფელში ქორწილში მოხვდა მელია, ხარი დაკლა და სისხლიანი დანა პატარძალს ჩაუდო ჯიბეში. მეორე დილით იმდენი იჩხუბა, რომ პატარძალი წაართვა მექორწინეებს, ჩაისვა გუდაში და გაუდგა გზას სიმღერით.

„კური გავცვალე მამალზე,
მამალი — ცხვარზე,
ცხვარი — ხარზე,
ხარი — პატარძალზე,
ბანი პატარძალო! ი, ი, ი, ი!“

გზად მელია მეგუთნეებს შეხვდა, რომლებმაც ცხრილით წყლის მოტანა სთხოვეს. ვიდრე მელია ცხრილს წყლით აავსებდა, მეგუთნეებმა პატარძალი სახლში გააპარეს, მელიას გუდაში ძაღლი ჩაუსვეს და შიგ პურის ნამტვრევები ჩაუყარეს. წავიდა მელია თავის გზაზე იმავე სიმღერით, მაგრამ ძაღლმა ბანის მაგივრად ღრენა დაიწყო. მელიამ მოხსნა გუდას და ძაღლის ლუკმად იქცა...

ამავე სიუჟეტური ტიპის ინგილოურ ვარიანტში —„წარაბაკანა“[16]— ჩიტი დედაბერს მიაბარებს ეკალს, რომლითაც მოხუცი თონეს გაახურებს. ჩიტი ეკალში დედაბერს ხუთ პურს გამოართმევს, რომელთაც მეცხვარეს მიაბარებს და სანაცვლოდ ხუთ ყოჩს მოსთხოვს. ჩიტს ყოჩებს ქორწილში დაუკლავენ და სანაცვლოდ პატარძალს გაატანენ, რომელსაც ჩიტი ჩონგურში ცვლის. რაკი ჩონგური იშოვა ჩიტმა, ხეზე შემოჯდა და დაამღერა თავისი თავგადასავალი, მაგრამ ჩონგური ძირს ჩამოუვარდა და დაიმსხვრა. ჩიტი კი გადაიკარგა იმ ადგილიდან.

კუმულაციის ხერხი ზღაპრის გარდა დიალოგიური ფორმის პოეტურ ტექსტებშიც დასტურდება. მაგალითისათვის დავასახელებთ საყმაწვილო ლექსს „ჩიტო-გვრიტო“, რომლის პირველი ნაწილი ზღაპრის ტრადიციული პოეტური დასასრულის ვარირებული ნიმუშია, მეორე ნაწილში წარმოდგენილი დიალოგი კი კუმულაციის პრინციპს ითვალისწინებს:

„ჩიტო-გვრიტო, მარგალიტო,
შენი დედა ჩვენსა იყო,
ერთი ფეხა მასტეხიყო,
მეორითაც კოჭლა იყო;
ჭერში შავდევ — დამბალიყო,
ჩამოვიღო — გამხმარიყო;

დიდსა ქვაბჩი არ ჩავიდა,
ცოტინაში მალიკლიკდა;
ათმა კაცმა ვერ შეჭამა,
ჭინჭველამა ლუკმად იგდა.
— ის ჭინჭველა სა წავიდა?
— მთასა შეუჭამიაო.

[15] იქვე, № 250.
[16] ძველი საქართველო, II, გვ. 194—196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისი მთაი სა წავიდა?
— თაგვსა დაუხვრეტიაო.
— ისი თაგვი სა წავიდა?
— ციცას შეუჭამიაო.
— ისი ციცა სა წავიდა?
— ძაღლსა შეუჭამიაო.
— ისი ძაღლი სა წავიდა?
— მგელსა შეუჭამიაო.
— ისი მგელი სა წავიდა?
— დათვსა შეუჭამიაო.

ასეთ სურათს წარმოგვიდგენს საქართველოში გავრცელებული კუმულატიური ზღაპრის ძირითადი ტიპები. როგორც ვნახეთ, ქართული ფოლკლორი იცნობს კუმულატიური ზღაპრის როგორც „ფორმულიან“, ისე „ეპიკურ“ სახეებს. გარდა კომპოზიციის განსაკუთრებულობისა, რითაც ეს ზღაპრები იქცევენ ყურადღებას, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მათი ენობრივ-სტილისტური თავისებურებებიც. უმნიშვნელო არ უნდა იყოს იმაზე მითითებაც, რომ კუმულაცია, როგორც კომპოზიციური ხერხი, საერთოდ გავრცელებულია საზღაპრო ეპოსში. ზემოთქმულის დასტურად გამოდგება ზღაპრები „ცერა“, „ცეროდენა“, „გლეხი და ქილა ერბო“, „გერისა და დედინაცვლისა“, რომლებშიც ცალკეული ეპიზოდებია გამართული კუმულაციის გზით, მთელი ზღაპარი კი ტრადიციულ კომპოზიციურ კანონებს ექვემდებარება.

როგორც მაგალითებმა დაგვანახვა, კუმულატიური ზღაპრისათვის არ არის აუცილებელი მოქმედებათა მოტივაცია და ფაბულის ჩამოყალიბების დროს ამბავთა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დაცვა. ეს ფაქტი კუმულატიური ზღაპრის სიძველის აშკარა დასტურად უნდა ჩავთვალოთ.

Т. Д. КУРДОВАНИДЗЕ

ГРУЗИНСКАЯ КУМУЛЯТИВНАЯ СКАЗКА

Резюме

Изучение грузинской кумулятивной сказки показало, что в ее репертуаре встречаются не все типы, известные в международном фольклоре. В грузинском сказочном эпосе, подобно европейскому и русскому, встречаются кумулятивные сказки двух типов — формульные и эпические.

Для формульных кумулятивных сказок характерно закономерное повторение типических фраз с появлением новых и новых персонажей. Иногда эта цепь неожиданно разрывается, порой же звенья цепи расплетаются в обратном порядке, после чего сразу наступает развязка. В эпических сказках кумуляция достигается посредством обмена одного предмета на другой, чем создается возможность продлить рассказ до бесконечности, но кумулятивная сказка любит лаконичность.

Основное ядро композиции кумулятивных сказок создается нанизыванием цепи, составленной мотивированными или немотивированными событиями. Экспозиция сказки основывается на какой-либо ситуации. Сказка кончается непосредственно после основного события. Композиционная простота и краткость, предельная образность, языково-стилистическая отточенность и ритмичность придают им особую выразительность. Формульные кумулятивные сказки из-за своей стихотворной формы могут петься, эпические же сказываются наподобие других видов сказки.

---

[17] ხალხური სიბრძნე, IV, გვ. 265—266.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი ათანელიშვილი

რამდენიმე კრიპტოგრაფიული წერილის შესახებ

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული დოკუმენტების ფონდში დაცულია რამდენიმე საბუთი, რომელთა ამოკითხვა სპეციალური ანბანის ცოდნის გარეშე არ ხერხდება. საბუთები შესრულებულია ქართული საიდუმლო დამწერლობით. ეს დოკუმენტებია: Hd — 11940, Sd — 1533, Sd—1534, Hd—7007.

ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ანუ კრიპტოგრაფიის მრავალი ნიმუში შემოგვინახეს ქართულმა ხელნაწერებმა, მაგრამ კრიპტოგრაფიული ანბანებით ნაწერ უძველეს ისტორიულ დოკუმენტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. შესაძლოა, ასეთი საბუთების განადგურების ერთ-ერთი მიზეზი იყო მათი პოლიტიკური ხასიათიც. ჩვენს ხელთ არსებული კრიპტოგრაფიულად ნაწერი დოკუმენტები ამ თვალსაზრისითაც საინტერესო ჩანს.

აღნიშნული დოკუმენტების გაშიფრვის შედეგად გაირკვა, რომ ისინი საიდუმლო წერილებია. არც ერთ კრიპტოგრაფიულ წერილს არ უზის თარიღი. მათი დათარიღება მხოლოდ ხელის მიხედვითაა შესაძლებელი. ყველა წერილი XIX ს-ში ჩანს დაწერილი. ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს აგრეთვე ამ წერილების შინაარსი.

კრიპტოგრაფიული წერილები ხელით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისინი სხვადასხვა პირის მიერაა დაწერილი. არც ერთ წერილში არ არის აღნიშნული არც წერილის გამგზავნი და არც ადრესატი. ხელის შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა მათი ვინაობის დადგენა. გაირკვა, რომ კრიპტოგრაფიული წერილები დაუწერიათ ზურაბ და გრიგოლ წერეთლებს, ერთი კი დავით დადიანს.

წერილების ავტორები რომ ნამდვილად დასახელებული პირები უნდა იყვნენ, ეს შემდეგიდანაც ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ორი კრიპტოგრაფიული წერილი, რომლებიც ზურაბ წერეთელსა და მის ვაჟიშვილს გრიგოლს ეკუთვნის[1]. ზურაბ და გრიგოლ წერეთლებისა და დავით დადიანის ავტორობას ადასტურებს შემდეგი ფაქტიც: ყველა წერილი, როგორც ამოხსნამ გამოავლინა, დაწერილია ერთი კრიპტოგრაფიული სისტემის — ანჯანურის ანბანით. ქართულ ხელნაწერებში ამ სისტემის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში შემორჩენილა, რომლის მცოდნენი, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, იყვნენ სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის შვილები: გრიგოლ, სვიმონ, მართა; ზურაბ წერეთლის შვილიშვილი დავით დადიანი, ძე მართა წერეთლისა და ლეონ დადიანისა, აგრეთვე XIX ს. მოღვაწე იაკობ ზუბალოვი. ქართულ ხელნაწერებში დაცული ანჯანური სისტემის ნიმუშებიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საიდუმლო დამწერლობის ეს სისტემა სცოდნიათ და ამ ანბანით უსარგებლიათ ზურაბ წერეთლის ოჯახის წევრებს.

---

1 გ. მ ი ქ ა ძ ე, ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კრიპტოგრაფიული წერილები (ახალი ცნობები იმერეთის 1810 წლის აჯანყებაზე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი წერილები კრიპტოგრაფიულია, ცხადია, სასურველი იქნებოდა, მათი შინაარსი დამწერისა და ადრესატის მეტს არავის არ სცოდნოდა. საინტერესოა, ამ თვალსაზრისით რა ხასიათისაა აღნიშნული წერილები და რა ამბავია საიდუმლოდ გადმოცემული? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ორი კრიპტოგრაფიული წერილი, რომელთა ავტორები იყვნენ ზურაბ და გრიგოლ წერეთლები. როგორც გარკვეულია, ამ წერილებში კრიპტოგრაფიულად გადმოცემულია იმერეთის პოლიტიკური ვითარება XIX ს. 10-იან წლებში. განვიხილოთ ჩვენ მიერ გაშიფრული წერილები.

ზურაბ წერეთლის წერილი Hd — 11940 (სურ. 1) მცირე მოცულობისაა, შეიცავს სამ სტრიქონს. მისი ადრესატი გრიგოლ წერეთელი უნდა იყოს. ასევე სამსტრიქონიანია გრიგოლ წერეთლის წერილი Sd — 1533 (სურ. 2). სავარაუდოა, რომ გრიგოლი ამ წერილს მამას უგზავნის. ორივე წერილი კერძო ხასიათისაა. რაც შეეხება გრიგოლ წერეთლის წერილს Sd — 1534 (სურ. 3), მისი ადრესატიც ისევ ზურაბ წერეთელი უნდა იყოს. ყურადღებას იქცევს წერილის შინაარსი. ამ წერილშიც, გ. მიქაძის მიერ გამოქვეყნებული გრიგოლ წერეთლის საიდუმლო წერილის (Sd — 1532) მსგავსად, იმერეთის პოლიტიკური ამბებია გადმოცემული, კერძოდ, მეფის რუსეთის წინააღმდეგ იმერეთის აჯანყების გამო შექმნილი ვითარებაა აღწერილი. გრიგოლ წერეთელი ურჩევს ზურაბ წერეთელს, უფრო მეტად ჩაუკვირდეს შექმნილ ვითარებას და ფრთხილად იმოქმედოს, რაც კარგად ჩანს წერილის შემდეგი ადგილიდან: „როდესაც ქუთაისს ჩაბძანდეთ, ეცადე, რომ სვიმონოვს კარგი მადლობა უთხრა შენთვის, და თუ ნახო ვისიმე იმგვარი წყალობა და [თ]უ შენ არ გიამოს, არ შეიმცნიო და არც არავის გა[ა]გონო უგემ[უ]რად. ვინც მტერნი არიან, იმათ უმფრო მხიარულად ეჩვენე, ამისთვის რომ ვინც შენსას კავალერიას ნახამს, დიდათ შეწუხდება და იქნება ავშიაც გაერიოს".



სურ. 1

ამრიგად, გრიგოლ წერეთლის საიდუმლო წერილი (Sd — 1534) იმავე პერიოდშია დაწერილი და იმავე ამბებს ეხება, რაც აღწერილი იყო დღემდე ცნობილ გრიგოლ წერეთლის ერთ კრიპტოგრაფიულ წერილში (Sd — 1532).

განვიხილოთ კიდევ ერთი წერილი Hd — 7007 (სურ. 4). ეს საბუთიც იმავე ანჯანური სისტემის კრიპტოგრაფიული ანბანითაა ნაწერი, უთარიღოა, უცნობია მისი ავტორიც. ადრესატია ვინმე მიშამო. ხელის მიხედვით შესაძლებელი გახდა მისი ავტორის ვინაობის დადგენა. იგი დავით დადიანი უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერებშიც შემორჩენილია დავით დადიანის კრიპტოგრაფიული მინაწერები. დავით დადიანი სთხოვს თავის ადრესატს

ეროვნული ბიბლიოთეკა





სურ. 2, 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობების მიწოდებას: „წერილათ მომწერე... ვინ ვის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ან ღუბერნატორი ვისკენ არისო", — წერს დავით დადიანი.

ამრიგად, ქართული ისტორიული დოკუმენტების ფონდში დაცული ოთხი კრიპტოგრაფიული საბუთი კერძო ხასიათის საიდუმლო წერილებია, რომელთა ავტორები ყოფილან ზურაბ და გრიგოლ წერეთლები და დავით დადიანი.

კრიპტოგრაფიულ წერილებს ვაქვეყნებთ ფოტოტიპურად, მათ ერთვის თითოეული მათგანის ამოხსნილი ტექსტი.



სურ. 4

ა მ ო ხ ს ნ ა

Hd—11940 (სურ. 1)[2] თუე[ი]ს ჯამაგირი სრულათ ასოცი თ[უ]მანი. ეგ[ებ]ის გა[ა]ვალო საღ(!) კაცზე თუ[მ]ანი აბ[ა]ზათ.

Sd—1533 (სურ. 2)[3] ასი ოქრო მარტო სუდიასთვის უთქვამს სხვას გარდა. თითონ მითხრა[4] და ძალიან მპირდება.

Sd—1534 (სურ. 3)[5] წერილის დასაწყისი სტრიქონი არაკრიპტოგრაფიულია: „თუ ჩვენს ამბავს აკითხამ, მშვიდობით გახლავართ". ამის შემდეგ ტექსტი კრიპტოგრაფიულადაა ნაწერი:

„როდესაც ქუთაისს ჩაბძანდეთ, ეცადე, რომ სვიმონწოვს[6] კარგი მადლობა უთხრა შენთვის, და თუ ნახო ვისიმე იმგვარი წყალობა და [თ]უ[7] შენ არ გიამოს, არ შეიმცნიო და არც არავის რა გა(ა)გონო უგემ(უ)რად. ვინც მტერნი არიან, იმათ უმჯრო მხიარულად[8] ეჩვენე, ამისთვის რომ ვინც[9] შენსას კავალერიას ნახამს[10], დიდათ შეწუხდება და იქნება ავშიაც გაერიოს. ეს **ჩემი მოხსენება**

სულ[11] ანონი (?) ერისთოვისათვის[12] არის. მაგათ ეგონათ, ერთობით რაჭა მიეცემოდათ და კავალერია. და რადგან ესენი დააკლდათ, უთუოთ შეორგულდებიან, თუ ნახეს რამე.

თქვენს დასთან გაგზავნა ამ[13] წიგნისა ტყუილათ მოგწერე[14].

Hd—7007 (სურ. 4)[15]. მიშაშო! ვგონებ, ეს წიგნი ღუბერნატორს უჩვინო, ურიგო არ იქმნება. წვრილათ მომწერე, ვინ როგორ მომ(...)ნე[16] არის. ვინ ვის სასარგებლოდ ლაპა(რა)კობს, ან[17] ღუბერნატორი ვისკენ არის, ან მისი ც(...),[18] ან კრუხ ცვედანა, ან მაია. გთხოვ, რომ ყოველივე წვრილად და გარკვევით მომწერო, ჩემო მიშაშო, უწინდლურათ[19] არ მოგვივიდეს ცუნდრუკებით საქმე. გაფრთხილდი, ჩემი იმ წიგშიდ მოწერილობა მგონია უმგვანი არ იყოს არც ერთი, და ამასაც გთხოვ, რომ ამ საგანზედ[19] ღუბერნატორთან მორჭმ (?) სხვასთან[19] არ ვისთან იუბნო ამ საგანზედ. ხომ იცი კრუხ ცვედანას საქმე, მისი ენამბ(უ)ლობა, ხოლო დიაცთ მიმოთქმა ცუდი და ხენეში. მოველი თქვენგან წვრილად პასუხსა. ვინც ჩემი[19] ცოლი იქმნება ყველა ღედოფლი იქმნება და[19] მაგისი ქმარი კი ყველა მთავარი არ იქმნება. ასე ჩემო ბატონო, ელასა, მელასა, ქიქა მეკიდა ყელასა. ამისა მაყურებელსა ძილი გაამოს ყველასა[19];

- წერილი დაწერილია ზურაბ წერეთლის მიერ. შდრ. Sd-1342.

[3] წერილი დაწერილია გრიგოლ წერეთლის მიერ. შდრ. Sd—1532.

[4] კრიპტოგრამაში ავტორს შეცდომით ჩაუწერია „მათხრა“.

[5] წერილი დაწერილია გრ. წერეთლის მიერ. შდრ. Sd—1533.

[6] წერილში მოხსენებული სვიმონოვი უთუოდ ფ. ფ. სიმონოვიჩია, გენერალ-მაიორი, რომელიც ხელმძღვანელობდა მეფის რუსეთის ჯარებს იმერეთში XIX ს. დასაწყისში. იხ. ე. გ. ვეიდენბაუმის კარტოთეკა (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).

[7] კრიპტოგრამაშია „დ˜სუ“. აქ არაკრიპტოგრამულად მივიჩნიეთ დ, უ ასოები, ვინაიდან ტექსტში სხვაგანაც არის დატოვებული ასოები და არ არის შეცვლილი საიდუმლო ანბანით. ამავე დროს ს შეცდომითაა ჩაწერილი.

[8] კრიპტოგრამაში არაკრიპტოგრამულია ლ.

[9] კრიპტოგრამაში არაკრიპტოგრამულია ც.

[10] კრიპტოგრამაში შეცდომით ჩაწერილია „გახამს“.

[11] ხაზგასმული სიტყვები არაკრიპტოგრამულია.

[12] კრიპტოგრამულ სიტყვაში პირველი ს არაკრიპტოგრამულია.

[13] არაკრიპტოგრამულია მ.

[14] არაკრიპტოგრამულია მ.

[15] წერილი დაწერილია დავით დადიანის მიერ.

[16] წერილის კიდე მოხეულია,

[17] ა არაკრიპტოგრამულია.

[18] წერილის კიდე მოხეულია.

[19] ხაზგასმული სიტყვები არაკრიპტოგრამულია.

Л. А. АТАНЕЛИШВИЛИ

О НЕКОТОРЫХ КРИПТОГРАФИЧЕСКИХ ПИСЬМАХ

Резюме

В статье рассмотрены криптограммы, хранящиеся в коллекциях исторических документов Института рукописей (Hd—11940, Sd—1533, Sd—1534, Hd—7007). Выяснилось, что эти криптограммы по содержанию являются письмами, а их авторами — Зураб и Григол Церетели, а также Давид Дадиани. В криптографических письмах отражается политическое положение Грузии первой половины XIX века.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი შანიძე
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ლექსიკოლოგიური შენიშვნები

მსხოვარი, მემცხვარე

„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VII ტომში (გვ. 98—159) 1927 წელს გამოვაქვეყნე გამოკვლევა „ხანმეტი მრავალთავი“, სადაც დავბეჭდე ხანმეტი ტექსტები, ამოკითხული პალიმფსესტის ფურცლებიდან ყოფილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმის ერთი (№ 3902) ხელნაწერის მიხედვით. პალიმფსესტის პირველ ნაწერში მოიპოვება ხანმეტი მრავალთავის ნაწყვეტები, რომლებიც ეკუთვნის III—V საუკუნეთა ავტორებს. ერთი მათგანია იოანე ოქროპირის სანათლისღებო სიტყვა (გვ. 130—132), სადაც შემდეგი იკითხება: „აწ ესრე შუენის აღსრულებად ყოველი სიმართლჱ, რამეთუ მ ს ხ ო რ ა დ ნათესავისა მის კაცთაჲსა მოსრულ ვარ, რაჲთა თანა-ნადები იგი მათი გარდავიჴადო და ვითარცა კრავი ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოვედ დაკლვად“.

ამ ნაწყვეტში რომ მ ს ხ ო რ ა დ გვხვდება, ამის შესახებ მე ვწერდი (გვ. 123): „მ ს ხ ო რ ა დ. ასე უნდა იყოს მრავალთავში. რა ვიცი, თითქო არ შეიძლება სხვანაირად წაკითხვა. მერმინდელ მრავალთავებში ამის ადგილას სულ სხვადასხვა ვარიანტი გვაქვს: C მაცხოვრად, D მსტოვრად, E მსახურებად. სწორი არც ერთი უნდა იყოს, რადგანაც თავდაპირველად, ალბათ, „მსახურად“ იყო, რომელსაც ყველაზე უფრო A და E უახლოვდება“.

აქ ნაჩვენები ლიტერები ამას ნიშნავს: A — ხანმეტ მრავალთავს, C — სვანურ მრავალთავს, D — პარხლის მრავალთავს, E — მე-11 საუკუნის მეტაფრასს.

ამიტომ, როცა იოანე ოქროპირის „ნათლისღებისათჳს“ ჩემს „ძველი ქართულის ქრესტომათიაში“ გადავბეჭდე (1935 წ.), იქ „მსხორად“ სიტყვის ნაცვლად „მსახურად“ დავბეჭდე (გვ. 20). მაშინ არ ვიცოდი, რომ იოანე ოქროპირის სანათლისღებო სიტყვა სინურ მრავალთავშიც მოიპოვება. როცა ვაშინგტონიდან კონგრესის ბიბლიოთეკისაგან მივიღეთ მიკროფირები ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც ამ ბიბლიოთეკამ გადააღებინა 1950 წ. იერუსალიმსა და სინას მთაზე (სხვა ენებზე არსებულ ხელნაწერებთან ერთად), ძველი ქართული ენის კათედრამ გამოსცა მთლიანად სინური მრავალთავი[1]. აღმოჩნდა, რომ სინური ხელნაწერის 74—77 ფურცლებზე მოიპოვება იოანე ოქროპირის „ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა“ (გამოცემის გვ. 79—82). ზემორე მოყვანილი ნაწყვეტი აქ ოდნავი ცვლილებით იკითხება ხანმეტი მრავალთავის ტექსტთან შედარებით:

„აწ ესრე შუენის აღსრულებად ყოველი სიმართლჱ, რამეთუ მ ს ხ ო ვ რ ა დ ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოსრულ ვარ, რაჲთა თანა-ნადები იგი მათი

[1] სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5), თბილისი, 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გარდავიჴადო, ვითარცა კრავი ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოვედი დაკლვად“.

მაშასადამე, თუ ხანმეტ მრავალთავში „მსხორად ნათესავისა მის კაცთაჲსა“ არის, სინურ მრავალთავში იკითხება: „მსხოვრად ნათესავისა კაცთაჲსა“, ე. ი. იქ **მსხორად**, აქ კი **მსხოვრად** (მეხუთე ვარიანტი). ამ ვარიანტთაგან გამოსარიცხავია **მსტოვრად**, რადგანაც იგი უთუოდ გაჩნდა დედნის **მსხოვრად** ფორმის ნაცვლად. პარხლის ოთხთავი, რომელშიც მსტოვრად იკითხება, ნუსხურად დაწერილი ძეგლია, ნუსხურივე იყო, უთუოდ, დედანიც, საიდანაც ის გადმოიწერეს და, **ტ** და **ხ** (ⴒ და ⴞ) ასოების მსგავსების გამო ნუსხურში, მსხოვრად სიტყვა რომ ვერ გაუგიათ, იგი უფრო გასაგები სიტყვით შეუცვლიათ. მაშასადამე, პარხლის მრავალთავის ვარიანტი არსებითად იგივეა, რაც სინური მრავალთავისა (მსხოვრად).

სამი წლით ადრე, ვიდრე სინურ მრავალთავს დავბეჭდავდით, 1956 წელს, ცნობილმა ქართველოლოგმა პროფ. იოზეფ მოლითორმა[2] გამოსცა წიგნი, რომელშიც გადაბეჭდა ყველა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტი, რაც კი მანამდე ცნობილი იყო, დაურთო ლათინური თარგმანი, შენიშვნები და ლექსიკონი: Monumenta Iberica antiquiora. Textus chanmeti et haemeti ex Inscriptionibus, S. Bibliis et Patribus collegit et in linguam latinam convertit addito Glossario Joseph Molitor (C S C O, Vol. 166. Subsidia, Tomus 10), Louvain, 1956. შიგ მოხვდა ჩემ მიერ გამოცემული ხანმეტი მრავალთავის ტექსტებიც, მათ შორის ზემოთ ხსენებული იოანე ოქროპირის „ნათლისღებისათჳს“, სადაც მოლითორმა მსხორად დაბეჭდა, sic მიუწერა ფრჩხილებში, ხოლო შენიშვნაში, ჩემს ქრესტომათიაში დაბეჭდილ ტექსტზე მითითებით, აღნიშნა: ne legas მს[ა]ხურად (cf. Chrestomathia pag. 20), sed probabiliter ცხო[ვ]რად („არ წაიკითხო მს[ა]ხურად, არამედ უფრო სავარაუდებელია ცხო[ვ]რად“), ხოლო რთული წინადადება „რამეთუ მსხორად ნათესავისა მის კაცთაჲსა მოსრულ ვარ, რაჲთა თანა-ნადები იგი მათი გარდავიჴადო“ ასე თარგმნა: quia ut ovis generis illius hominum veni, ut debitum illud eorum reddam. შენიშვნაში კი დააზუსტა: ut ovis (ცხოვრად) generationis illius hominum ventus sum.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ი. მოლითორის თარგმანს, მაგრამ რაც შეეხება ქართულ სიტყვას (მსხორად), მას შესწორება (ცხოვრად) არ სჭირდება, უნდა დარჩეს მსხორად, რომელიც ხანმეტ მრავალთავშია და რომელსაც მხარს უჭერს სინური მრავალთავისა და პარხლის მრავალთავის მსხოვრად[3].

მსხორად და **მსხოვრად** ფორმები ისე მიემართება ერთიმეორეს, როგორც ძველი ქართულის ცხორებაჲ და ცხოვრებაჲ, ან შორის და შოვრის (წარმოდგ. შოვრის, მარკ. 3,3 ჰაემ.). ამათგან უფრო სრულია ცხოვრებაჲ და შოვრის, ხოლო ცხორებაჲ და შორის ფორმები ფონეტიკური ცვლილების შედეგია: **ვ** ჩავარდნილია **ო**-ს შემდეგ. მსგავსი მოვლენა გვაქვს გაჴსოს ფორმაში, რომელიც წარმომდგარია გაჴსოვს ფორმისაგან: „არა გაჴსოსა, რაჟამს-იგი ვსხდით ერთობით და ვიკითხვიდით წამებასა წმიდათასა და გჳკჳრნ მოთმინებაჲ იგი მათი“? („მოსრვაჲ სინა-რაითის მამა-

---

[2] პროფ. ი. მოლითორი (1903—1978) 1960 წლიდან იყო Oriens Christianus ჟურნალის გამომცემელი და CSCO-ს ქართული სექციის გამგე, აგრეთვე Revue de Kartvélologie-ს სამეცნიერო საბჭოს წევრი და სხვა. მას დამბლა მოუვიდა გულის ავადმყოფობისაგან და გარდაიცვალა 1978 წლის 24 ივლისს.

[3] პარხლის მრავალთავში მსტოვრად სწერია, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი შეცდომაა გრაფიკულ ნიადაგზე წარმომდგარი ნაცვლად მსხოვრად ფორმისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაჲ“; სინური მრავალთავი, 274,7—8); გაჴსოსმცა, რომელსა ნიჭსა ღირს გყო შენ მოწყალემან ღმერთმან! (ხანმეტი მრავალთავი. ი. ოქროპირის „შობისათჳს“).

საინტერესოა აგრეთვე, რომ **ამბორ**-ის პარალელურად გვხვდება **ამბოვრ**-იც პარხლის ოთხთავში (E) და პალესტინურში (G): ამბოვრის-ყოფაჲ (ლ. 7, 45 EG), ამბოვრის-ყოფითა (ლ. 7, 45; 22, 48 EG), ამბოვრის-ყოფად (ლ. 22, 47 EG), მე ამბოვრ-უყო (ლ. 22, 47 E), მე ამბოვრს-უყო (ლ. 22, 47 G).

მსხოვარ-ი თავისი მნიშვნელობით იგივე იყო, რაც **ცხოვარ**-ი, რომელიც ჩვეულებრივია ძველ ქართულში. ამას ისიც ამტკიცებს, რომ **მსხოვარ**-ის კოლხური (ჭანურ-მეგრული) შესატყვისია **მშხურ**-ი, რომელიც **მჩხურ**-ის სახით შემონახულია ჭანურში, ხოლო მეგრულში დღეს გვაქვს **შხური**, რომელსაც ჩამოშორებული აქვს თავკიდური მ. ამ შესატყვისობაზე სწორად მიუთითა ბაქარ გიგინეიშვილმა, რომელმაც **მსხორად**||**მსხოვრად** ფორმათაგან საწყის ფორმად აღადგინა **მსხორი**||**მსხოვრი**[4]. თავკიდური მ ბგერისა (და, საზოგადოდ, ბაგისმიერი თანხმოვნების) დაკარგვის შესახებ ჩქამიერთა წინ მეგრულში ტ. გუდავას საყურადღებო წერილი დაიბეჭდა გ. მაჭავარიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში[5], სადაც ნაჩვენებია, რომ თავკიდური მ (დაკარგული მეგრულში და შემორჩენილი ჭანურში) „იწვევს **ო** ხმოვნის გადასვლას **უ**-ში“, **ო**-სი, „რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ქართულის ა ხმოვნისა“ ისეთ სიტყვებში, როგორიცაა **მჯარი** (დღეს **მხარი**), **მსხალი**, **მხალ**-ი და სხვ. ამათი ამოსავალი ფორმა მეგრულისთვის არის ***მჯოჯ**-ი > > ***მხოჯ**-ი, ***მსხოლ**-ი, ***მხოლ**-ი, რომელთაც დაკარგული თავკიდური მანის გავლენით მოგვცეს: **ხუჯ**-ი, **სხულ**-ი, **ხულ**-ი.

მსხოვარ-ი და **ცხოვარ**-ი ერთისა და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის გამო ისე წარმოუდგებოდათ ჩვენს ძველებს, როგორც პარალელურად ხმარებული დიალექტური ფორმები, რომელთაგანაც **ცხოვარ**-ი სალიტერატურო ფორმად იქცა, საყოველთაოდ გავრცელდა და დამკვიდრდა, **მსხოვარ**-ი კი ცოცხალ კილოებში უნდა შემორჩენილიყო.

ცხოვარ-ისაგან შემდგომი ფონეტიკური ცვლილების შედეგად მივიღეთ ცხუარ-ი, როგორც **მთოვარე**-საგან — **მთუარე**. მსგავსად ამისა, **მსხოვარ**-ისაგან უნდა მიგვეღო **მსხუარ**-ი.

ხელობის სახელები ქართულში ნაწარმოებია **მე — ე** პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით: მე-ქათმ-ე, მე-ღორ-ე, მე-ტივ-ე, მე-ნავ-ე, მე-ბაღ-ე, მე-ხრ-ე (ძველად მე-ჴრ-ე), მე-ისრ-ე, მე-ნახშირ-ე, მე-ფუტკრ-ე, მე-დუქნ-ე, მე-ურმ-ე და მისთ. არსად ასეთ ფორმებში **მე** პრეფიქსის შემდეგ ძირეული სახელის წინ **მ** არა გვაქვს, მაგრამ ჩვეულებრივია მე-მ-ცხვარ-ე (მე-მ-ცხორ-ე), მართლაც, თუ მივხედავთ ქართულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებს, ვნახავთ, რომ ასეთი ფორმა საკმაოდ გავრცელებულია ცოცხალ კილოებში. მაგალითები:

თ. უთურგაიძეს (თუშური კილო, 1960) ახსნილი აქვს: **„მემცხვარეჲ** — მეცხვარე“. დამოწმებულ ადგილას (137, 3) იკითხება ლექსი:

---

[4] ბ. გიგინეიშვილი, ცხვრის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვა: საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გივი მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე, თბილისი, 1979, გვ. 52—61.

[5] ტ. გუდავა, ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში, საენათმეცნიერო კრებული, გვ. 81—88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ კარგი ხარ, ფარსმაო, მთას; თოლო, გადაზდიოდე;
ქალაჯს ჩაზდიოდ, ყირვნებო, გორს, მწვანილო, ამოზდიოდეთ.
ლაროან, ცხვარო-დ' **მემცხვარევ**, ჟივილით ამოზდიოდეთ.

მაგრამ იმავე თ. უთურგაიძის ჩანაწერ ტექსტებში სხვაგან **მეცხვარე** გვხვდება: ხანში შესულო მეცხვარევ (№ 170, 1), მეცხვარეებს, მეცხვარეებისად (№ 8, სტრ. 5, 7), მეცხვარეობა (№ 68, 2), მეცხვარის ჩივილი̆ (ლექსების სათაური, №№ 107, 123).

პავლე ხუბუტიას თავის „თუშურ ლექსიკონში" (1969) შეტანილი აქვს: **„მემცხჳარე** — მეცხვარე". თანაც მოჰყავს დასამოწმებლად ხალხური ლექსი:

გორს უკუენ გადავიხედე,
ცხჳარი ეხვევა ფერდასა.
მ ე მ ც ხ ჳ ა რ ე ხყუდავ გრძელ ჯოხზედ,
ძაღლებ ცხჳარს უდგას გვერდასა.

მას იქვე მოჰყავს:

„მემცხჳარის ჭამაჲ — მეცხვარის საჭმელი: ქუმელი, ყველი, კალტი, ხორცი".

მაგრამ იმავე ლექსიკონში შეტანილია უმანო ფორმაც:

„მეცხვარე ძაღლი — ცხვრის ძაღლი".

„მეცხვარული ანგარიში" (მოსდევს ახსნა 12 სტრიქონად).

წოვათუშურში ქართული თუშურიდან (ან კახურიდან) შესულია **მემცხორ**, რაც ნიშნავს მეცხვარეს. მაგალითად, **მემცხორი ბავბარ** — მეცხვარეების დახოცვა. ჲა ჯგუფის შემცველი ქართული სიტყვები წოვათუშურში ო-ს სახით არის წარმოდგენილი: მოძღორ („მღვდელი"), ტკორ („მტკვარი"), ღორ („ღვარი") და სხვ. ამიტომ გასაგებია, რომ ქართ. **მემცხუარე** წოვათუშურში **მემცხორ**-ად იქცა.

ნათელა როსტიაშვილის „ინგილოური ლექსიკონის" მიხედვით (1978), საინგილოში ცხვარს **ცხორ** ჰქვია, ხოლო მეცხვარეს — **მემცხრö̈ჲ**, რომელიც ასეა ახსნილი: **მემცხრö̈ჲ** — მემცხვარე, მწყემსი: „მარიამ დედაჲ მემცხრö̈ვმა დამალეს ცხრö̈ ფაგაში". მაშასადამე, ავტორისთვისაც „მემცხვარე" ჩვეულებრივ სახმარი სიტყვა ყოფილა.

იმავე ინგილოურში, როგნედა ლამბაშიძის ლექსიკონის მიხედვით (ეს ლექსიკონში ჯერ არ არის დაბეჭდილი), იხმარება როგორც **მემცხორეჲ**, ისე **მემცხრö̈ჲ** და **მö̈მცხრö̈ჲ**.

სტეფანე მენთეშაშვილს თავის „ქიზიყურ ლექსიკონში" (1943) **მემცხვარე** არ შეუტანია, მაგრამ მას ჩაუწერია ერთი ზღაპარი („ქურდი დასვი, სამართალი თქვიო"), რომელიც დაბეჭდილია ი. გიგინეიშვილისა, ვ. თოფურიას და ი. ქავთარაძის „ქართულ დიალექტოლოგიაში" (1961) 190 ნომრად, გვ. 222—224, და იქ **მემცხვარე** ცხრაჯერ გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით: გადმოხტა მემცხვარე (223, 3 ქვ.): მემცხვარემ გაიარა (222, 8 ქვ.); მემცხვარეე ტყუილი ვათქმევინე (223, 2); უჩვენა ბინა იმ მემცხვრისა (223, 6), აქ მო, მემცხვარეო (222, 7 ქვ.) და სხვა[6].

კახეთში, ს. მატანში, იქაური ივანე ტურაშვილის სიტყვით, **მემცხვარე**-ს ამბობენ: „ბიძაჩემისაგან გამიგონია: შენ რა მემცხვარე ხარო? ამას გარდა, **მცხვარი**-ც გამიგონია, მაგალითად, ამბობენ: მცხვრის ტყავი".

---

[6] ამ ადგილზე ი. ტურაშვილმა მიმაქცევინა ყურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფშავში გ. შეთეკაურს ასეთი ფორმები ჩაუწერია: „მემცხვარე იყო სხვათა შვილად გაზრდილი“; „მემცხვარემ ცხვარი გაშალა, შემოეფინა ჩრდილსაო“ (გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, 1978, გვ. 90). იმავე გ. შეთეკაურს ფშავში **მემძროხე**-ც ჩაუწერია: „ბარამი მემძროხე იყო“. ამ ფორმების შესახებ გ. ცოცანიძე ასე მსჯელობს: „**მე—ე**-თი ნაწარმოებ **მემცხვარე, მემძროხე** ფორმებში **მ** ჩანართია განვითარებული, მას რაიმე მორფოლოგიური ფუნქცია არ უჩანს“ (გვ. 90). შეიძლება გ. ცოცანიძეს „მემძროხის“ ახსნაში დავეთანხმოთ, „მემცხვარ“-ისაში კი — არა.

გუდამაყრულში **მემცხორე** იხმარება („ქართული დიალექტოლოგია“, 1961, გვ. 573), მთიულურშიც აგრეთვე **მემცხორე** (ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, 1967). რადგანაც გუდამაყრულსა და მთიულურში ჟა ჯგუფი საზოგადოდ **ო**-ს გვაძლევს (ცხორი, თოლი, ჯორი, ე. ი. ჯვარი, და სხვ.), ამიტომ მთიულურ-გუდამაყრული **მემცხორე** უთუოდ **მემცხუარე** ფორმისაგან მოდის.

ქართლშიც არის დადასტურებული **მემცხვარე** ფორმა: შ. ძიძიგურისა, ნ. კეცხოველისა და პ. ხუბუტიას „ქართლური ლექსიკონის“ რამდენიმე თაბახი დაიბეჭდა, მაგრამ წიგნი არ გამოსულა. შიგ შეტანილი ყოფილა **მემცხვარე**.

ქეთევან ძოწენიძის „ზემოიმერულ ლექსიკონში“ (1974) იკითხება: „**მემცხვარე** — მეცხვარე. ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ერთ მემცხვარეს (ღარისხევი); გამოუდენა მემცხვარიდან 100 სული თხა-მცხვარი“ (ხიდარი)[7].

აქ რომ **მცხვარი** იკითხება, ამნაირი ფორმა ზემოთ ვნახეთ, კახურში. ამგვარივე ფორმა გაუგონია ს. მაკალათიას თუშურშიც: „შემოტრიალდნენ ვაცები, სულ შეაგუბენ მცხვარია“ (ს. მაკალათია, თუშური ლექსები, 1937, გვ. 11. იმოწმებს თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 70). არ ჩანს, რომ აქ მოყვანილი ზმნის ფორმები თუშური იყოს, მაგრამ შეიძლება კი, რომ „მცხვარი“ მართლაც გაეგონოს ს. მაკალათიას.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ ძველ ქართულში ცხვრის სახელად დადასტურებულია როგორც **ცხოვარი**, ისე **მსხოვარი**, რომელთაგან **ცხოვარი** ჩვეულებრივი სალიტერატურო სიტყვაა. ოთხთავის ენაში **ცხოვარი** 40-ზე მეტად გვხვდება ორივე რიცხვისა და სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, **მსხოვარი** კი — არც ერთხელ. **მსხოვარი** დადასტურებულია მხოლოდ ერთხელ იოანე ოქროპირის სანათლისღებო სიტყვაში, რომელიც მრავალთავებისაგან არის ცნობილი. იგია, როგორც იტყვიან, ჰაპაქს ლეგომენონ. მიუხედავად ამისა, უეჭველია, რომ ძველად **მსხოვარი** ჩვეულებრივი სიტყვა უნდა ყოფილიყო ზოგიერთ კილოში, ეს იქედან ჩანს, რომ მისი შესატყვისია კოლხური ***მშხური**, რომელსაც თავკიდური **მ**ანი ჩამოკვეცილი აქვს მეგრულში (**შხური**), ხოლო **შ**ინი **ჩ**ინად არის ქცეული ჭანურში (**მჩხური**). ესენი კი (მ. **შხური**, ჭ. **მჩხური**) დღესაც ჩვეულებრივი სიტყვებია. ეს ერთი. მეორე: რომ **მსხოვარი** უთუოდ გავრცელებული სიტყვა იყო სხვადასხვა კილოში, ეს იქედან ჩანს, რომ მისგან მოდის **მემცხვარე** (ან **მემცხორე**), რომელიც საკმაოდ გავრცელებულია დღეს კილოებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქარ-

[7] ღარისხევი, ხიდარი სოფლებია ზემო იმერეთში, სადაც ავტორს ეს ფრაზები ჩაუწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოში. მისი მეორე **მ** ჩანართი კი არ არის, არამედ ფუძის კუთვნილებაა **მსხოვარ** სიტყვისა. ჩანართია უთუოდ შინაგანი **მ** ფშაურ **მემძროხე**-ში, რომელშიც **მ** განვითარებულია უთუოდ **მემცხვარე** სიტყვის გავლენით.

მოსალოდნელი იყო, რომ **მსხოვარ**||**მსხუარ** ფუძისაგან ნაწარმოები იქნებოდა **მემსხუარე**, მაგრამ **ცხუარ**-ის გავლენით იგი **მემცხუარე**-დ (**მემცხვარე**-დ) ქცეულა.

რაც შეეხება **მცხვარ** ფორმას, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ ზემო იმერულიდან, კახურიდან და თუშურიდან, ამჟამად ჭირს იმის მტკიცება, **მსხოვარ** ფორმისაგან მოდის იგი, თუ ნელად განვითარებულია **მემცხვარ**-ის გავლენით.

ჯერ ცოტაა გამოცემული ძველისა და საშუალი ქართული ენის ძეგლები. აგრეთვე ცოცხალი დიალექტები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მომავალში, როცა მეტი სანდო მასალა მოგროვდება ამ უბნებზე, მ ს ხ ო ვ ა რ სიტყვის ისტორია უფრო ნათლად დაჩნდება.

А. Г. ШАНИДЗЕ

ЛЕКСИКОЛОГИЧЕСКИЕ ЗАМЕТКИ

msxovar-i («овца»), memcxvare («овцевод»)

Словом, обозначающим «овцу», в древнегрузинском языке служит вообще cxovar-i, встречающееся в тексте Четвероглава в разных падежных формах обоих чисел (единственного и множественного) более, чем сорок раз. Между тем, в грузинской версии Слова Иоанна Златоуста на Крещение, известного из многоглавов, с тем же значением употреблено другое слово, данное в форме модального падежа ед. числа msxorad (в фрагменте ханметного многоглава), или msxovrad (в синайском многоглаве 864 года). И. Молитор, собравший и издавший в 1956 г. все ханметные тексты, известные до того времени (в том числе и изданное мною в 1927 г. Слово Иоанна Златоуста на Крещение), в форме msxorad правильно усмотрел значение «овцы», предположив (впрочем, неверно), что вместо него следовало бы читать cxovrad.

Из наличных форм msxorad и msxovrad я восстанавливаю начальную форму слова в именительном падеже в виде msxovar-i, имеющую точное соответствие в колхском, как это отметил Б. Гигинейшвили: мегр. šxur-i (из mšxur-i) «овца» и лазское mčxur-i (из mšxur-i) с тем же значением.

С другой стороны, в живых диалектах современного грузинского языка (главным образом, в восточных) обычной формой слова, обозначающего «овцевода», является memcxvare. Поскольку для образования слов, обозначающих профессию, в грузинском служит префикс me- вкупе с суффиксом -e (me—e), например, me-nav-e «лодочник» (nav-i «лодка»), me-ḳar-e «привратник», «вратарь» (ḳar-i «дверь»), me-puṭḳr-e «пчеловод» (puṭḳar-i «пчела») и т. п., то встает вопрос: откуда взялся согласный после префикса me-, раз слово образовано как будто от cxvar-i, восходящего к древнегрузинскому cxovar-i «овца»? Исследователь пшавского диалекта Г. Цоцанидзе полагал, что этот m является простым наращением, тогда как на самом деле me-mcxvar-e («овцевод») образовано правильно от mcxvar-i, восходящего к древнегрузинскому слову hapax legomenon msxovar-i («овца»), испытавшему на себе влияние обычного cxvar-i, созвучного с ним и имеющего одинаковое с ним лексическое значение.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენერა ჯანგიძე

ქართული ლექსიკა თურქული ენის დიალექტებში

ანკარასა და სტამბოლში გამოცემულ თურქულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში[1] ფიქსირებულია დიდი რაოდენობა ქართული ლექსიკური ელემენტებისა, რომლებიც განიხილებიან როგორც თურქული დიალექტური ლექსიკა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისინი ამოკრებილია თურქი დიალექტოლოგების მიერ მოპოვებული თურქული მეტყველების ნიმუშებიდან.

ჩვენ მიერ თურქულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში დაძებნილი ქართული ლექსიკური მასალა, რომლის რაოდენობაც აღემატება 400 ერთეულს, განიყოფება ორ ჯგუფად: 1. სუბსტრატული ლექსიკა და 2. ნასესხობანი.

სუბსტრატულად მიგვაჩნია გათურქებულ ქართველთა მეტყველებაში შერჩენილი ქართული ლექსიკა; ნასესხობებს წარმოადგენენ წარმოშობითაც თურქი მოსახლეობის მეტყველებაში დამკვიდრებული ქართული სიტყვები — შედეგი მათი უშუალო ენობრივი კონტაქტისა ქართულ მოსახლეობასა და გათურქებულ ქართველებთან.

ქართული ლექსიკის ამგვარი გამიჯვნისას ვემყარებით ისტორიულ სტატუსსა და სიტყვათა ფონეტიკურ გარსს. ისტორიულ სტატუსში შემდგომს ვგულისხმობთ: ქართული ლექსემები, რომლებიც ფუნქციონირებენ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების (შავშეთი, კლარჯეთი, ტაო) და ყარსის ვილაიეთის ძველ ქართულ მიწა-წყალზე მცხოვრებ ამჟამინდელი თურქი მოსახლეობის (გათურქებული ქართველების) მეტყველებაში, მიგვაჩნია ქართულ სუბსტრატულ ფენად. ჩვენს ვარაუდს ზოგ შემთხვევაში ამაგრებს ამ ლექსემებში შემონახული ქართული ფონეტიკური გარსიც.

ეს ტერიტორია იმდენად ძველი ქართული მიწა-წყალია, რომ ტრადიციულად უკავშირდება ლეგენდარულ ქართლოსსა და მის შთამომავლობას. სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი მოგვითხრობს: ქართლოსის შვილმა მცხეთოსმა „განუყო სამთა ძეთა თჳსთა წილი თჳსი და... ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკურის დასავლეთი ვიდრე ზღუამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლივანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკეტი, ოლთისი და ტაო“[2] და შემდგომ ამ რეგიონის მკვიდრთა შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი 1622 წლამდე სარწმუნოებით იყვნენ „სრულიად ქრისტეანენი ქართველთათანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, იგინიცა უმწყესელნი არიან... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყჳან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტიანენი ვითარცა ბერძენნი“[3].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარი ენობრივი ვითარება სუფევდა ჩვენს საკვლევ რეგიონში ჯერ კიდევ XVIII ს-ის პირველ ნახევარში (ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი შრომა ხომ 1745 წელს დაასრულა). და სავსებით მოსალოდნელია, რომ დღეისათვის ნაწილი უძველესი ქართული მიწა-წყლის ქართული მოსახლეობისა გათურქებულია და თურქულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებშიც ქართული ლექსიკური სუბსტრატი მათი მეტყველებიდან არის შესული.

სუბსტრატული ლექსიკის დიდი ნაწილი შავშეთ-ართვინ-არტანუჯსა და არტაანზე მოდის.

ართვინი, რომელიც ბათუმიდან 50 კმ-ითაა დაშორებული, ფეოდალური საქართველოს ისტორიული პროვინციის კლარჯეთის ქალაქი იყო. იგი ძველთაგანვე წარმოადგენდა კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიის მნიშვნელოვან კერას. ართვინი თავდაპირველად ქართველთა საკურაპალატოს ეკუთვნოდა, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდგომ ართვინი ითვლებოდა სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვან ქალაქად. XVI ს-ში მას თურქეთი დაეპატრონა, 1878 წლიდან ართვინი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია, ხოლო 1918 წლიდან ისევ თურქეთის საზღვრებში მოექცა[4]. იგი ამჟამად ართვინის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრია.

არტანუჯი — ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. აქ ციხე ვახტანგ გორგასალს აუგია და დაუსვამს პირველი ერისთავი. VIII ს. პირველ ნახევარში ციხე არაბებს დაუნგრევიათ. IX ს-ში აშოტ I კურაპალატს ეს ციხე-სიმაგრე განუახლებია და თავის რეზიდენციად უქცევია. მასვე დაუარსებია ქალაქი და აუგია ეკლესია. არტანუჯი უკვე X ს-ში კლარჯეთის დედაქალაქი იყო. XIII ს-დან არტანუჯი სამცხის სამთავროსთან ერთად ათაბაგების გამგებლობაში შედის. 1553 წელს იგი თურქებმა დაიპყრეს[5] და ამჟამად ართვინის ოლქის ქალაქსა და რაიონს წარმოადგენს.

შავშეთსაც, ამ ძველ ქართულ ისტორიულ მხარესაც, ისეთივე ბედი ეწია, როგორიც წინახსენებულ ისტორიულ ქართულ მიწა-წყალს. ამჟამად შავშეთიც ქალაქი და რაიონია ართვინის ოლქში.

გრიგოლ ხანძთელის ცნობით შავშეთში მის დროს, ე. ი. VIII—IX სს., ყოფილა ტბეთის მონასტერი, რომელიც აშოტ კუხს (გ. 918 წ.) საეპისკოპოსო კათედრად უქცევია და, როგორც ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, „იჯდა აქ ეპისკოპოზი მწყემსი ანაკერტს ზეითისა, სრულად შავშეთისა და არტანუჯისა“[6]. ტბეთის პირდაპირ მდინარის გაღმა ყოფილა თუხარისის ციხე, რომლის აშენებასაც ტრადიციით მცხეთოსის ძეს ოძრახოსს მიაწერენ. შავშეთში მოღვაწეობდნენ ჩვენი სახელოვანი მწიგნობარი წინაპრები. აშოტ კუხის შეკვეთით აქ სტეფანე მტბევარს დაუწერია მნიშვნელოვანი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი „მიქელგობრონის წამება“[7].

არტაანი. XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თანახმად არტაანის ციხე-ქალაქი აუშენებია ლეგენდარული მცხეთოსის ძეს ჯავახოსს. ფარნაოზ I-ს (ძვ. წ. III ს.) იგი წუნდის საერისთავოში გაუერთიანებია, ხოლო ვახტანგ გორგასალს არტაანში საეპისკოპოსო დაუარსებია. თამარ მეფის დროს არტაანი სანაპირო საერისთავო ყოფილა. შემდგომში იგი სამცხის ათაბაგთა სამთავროში შედიოდა. მე-16 ს-ში დაიპყრეს თურქებმა და გაყვეს ორ ადმინისტრაციულ ნაწილად: 1. დიდი არტაანი (შედიოდა გურჯისტანის ვილაიეთში) და 2. პატარა არტაანი (შედიოდა ყარსის ვილაიეთში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1878 წ. არტაანი რუსეთს შეუერთდა. უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დროს ორჯერ (1918 და 1921) მიიტაცა თურქეთმა[8]. ამ დროიდან თურქეთის მფლობელობაშია. ქალაქი და რაიონია ყარსის ოლქში.

რაც შეეხება ყ ა რ ს, იგი ხან საქართველოს საზღვრებში შედის და ხან კი საქართველოს ფარგლებს გარეთაა. საქართველოს სსრ ატლასის თანახმად ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულს II ნახევარში კარის ტერიტორია იბერიაში შედის (ატლასი, 245).

კარი საქართველოს საზღვრებშია XIII (ატლასი 251—252) — XVI (ატლასი 253—54) საუკუნეებში, ხოლო XVIII ს-ში ყარსი თურქეთშია (ატლასი 257—258), XIX ს-ში ყარსის ოკრუგი რუსეთის იმპერიაშია (1878 წლიდან) და შედის თბილისის გუბერნიაში (ატლასი 261—262).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით კარი VIII ს-ში ქართლის ერისმთავრის არჩილ სტეფანოზის ძის განმგებლობაშია (ვახ. გვ. 126), ხოლო XI ს-ში იყო ქართველი პოლიტიკური მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის ძის განმგებლობაში. მან 1072—73 წ. კარი და მისი მიმდებარე მიდამო მეფე გიორგი II-ს გადასცა. „მაშინ მეფემან დაუტევნა კარს აზნაური შავშელნი და თვით წამოვიდა“ (ვახ. 154).

XVII ს-ის ცნობილი თურქი გეოგრაფი და ისტორიკოსი ქათიბ ჩელები „ყარსის ვილაჲეთზე, სხვათა შორის, შენიშნავს, რომ ის ქართული ვილაჲეთია და მოჰყავს რამდენიმე ცნობა ამ ვილაჲეთის თურქთა მიერ დაპყრობის ისტორიიდან“[9].

არტაანის რაიონის, კოლას, კარის და სხვ. შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე წერს, რომ მთელი ამ კუთხის დაბა, სოფლები და ქალაქები ქართველი ხალხით იყო დასახლებული, რომ ამ მხარეს თურქები XVI ს-ში იპყრობენ და რომ „არტაანელ ქართველთა გათათრება იწყება 1940 წლიდამ და 1670 წლიდამ სასტიკად ძლიერდება. 1680 წლიდამ იწყება არტაანის ქართველთა აშლილობა, ასევე ოლთისის, კარის და სხვათა“[10].

როგორც აღვნიშნავდით, თურქული დიალექტების ქართულ ლექსიკაში ჩვენ განვასხვავებთ სუბსტრატულ ფენასა და ნასესხობებს. ამჯერად ვეხებით მხოლოდ ერთ ნაწილს სუბსტრატული ლექსიკისა და მას განვიხილავთ იმ თანამიმდევრობით, როგორითაც წარმოდგენილია თურქულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში.

a č̣ r i l აჭრილი რძე (არტანუჯ-ართვინი) (DS, I). ქართული ლექსემის „აჭრილი“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ამჟავების გამო წამხდარი,—აქვეთილი (რძე, საჭმელი)“ (ქეგლ, I). სწორედ „აჭრილი რძის“ მნიშვნელობით შერჩენილა ač̣ril არტანუჯ-ართვინის თურქულ მეტყველებაში. ქართ. č̣ აბრუპტივი ინლაუტში აქ ჰომორგანულ და ჰომოგენურ č̣ ყრუ-ხშულშია გადასული. მოკვეცილია ნომინატივის აფიქსი.

გ. კლიმოვი č̣r-ფუძეს განიხილავს საერთო ქართველურ დონეზე და აღნიშნავს, რომ ალ. ცაგარელი და ნ. მარი აიგივებენ ამ ფუძის ქართულ და ზანურ მასალას (Клим., 256).

a h̬ o ტყეში, ბუჩქნარში გატეხილი ყანა (არტანუჯი, შავშეთი, ართვინი) (DS, I). თითქმის იდენტური მნიშვნელობით არის წარმოდგენილი „ახო“ ქართული ენის ლექსიკონებში, რომლებშიც იგი მიჩნეულია ქართულ ლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემად: 'საყანური გაკაფული' (საბა), 'სახნავად გაკაფული ჭალაა' (ნ. ჩუბ., 146); დ. ჩუბინაშვილიც „ახო"-ს ქართულად მიიჩნევს და რუსულად თარგმნის როგორც лог (დ. ჩუბ.).

„ახო" ქართულში მოხსენებული ყოფილა ეფრემ მცირეს წერილში ბერძენ კვირიკესადმი (XI ს.)[11].

„ახოს" სუბსტრატულობას შავშეთ-ართვინ-არტანუჯის თურქულ მეტყველებაში გვიდასტურებს მისი ფონეტიკური გარსიც: თურქულ ენებში ღია ბაგისმიერი ხმოვანი o პირველი მარცვლის შემდეგ უჩვეულოა და, როგორც წესი, ნასესხობებში ვიწრო ბაგისმიერ u ხმოვანში გადადის, aho-ს შემთხვევაში კი II მარცვალში შემორჩენილია ქართული **ო** ხმოვანიც.

სიტყვა „ახო" axu ფორმით, ასევე, როგორც ლექსიკური სუბსტრატი, დასტურდება საინგილოს ტერიტორიაზე გავრცელებულ აზერბაიჯანულ მეტყველებაში[12].

მეტად საყურადღებოა აგრეთვე აკაკი შანიძის ცნობა, რომელიც მას ს. ჯიქიასათვის მიუწოდებია, რომ ნუხის რაიონში არსებობს ტოპონიმი ახიები[13].

arnat ართვინის სამი სოფლის თურქულ მეტყველებაში: კალოზე ხორბლის ერთ ადგილას მოსაგროვებელი იარაღი, ბზის მოსახვეტი ხელსაწყო, ხოლო შავშეთის, არტაანის, არტანუჯისა და ასევე ქ. ართვინის თურქ. მეტყველებაში აღნიშნავს ორთვლიან, ფართოფიცრიან ერთგვარ ურემს, რომელიც გამოიყენება ზვინის დადგმის დროს (DS, I).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად არნადი/არნაბი 'ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი კალოზე', ხოლო „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" — არნადი 'კალოს იარაღი, ერთიმეორეზე ძგიდეებით მიმაგრებული ორი ფიცარი, შუაში ტარი უკეთდებოდა. იყენებდენ ბზისა და ხვავის ერთ ადგილზე მოსახვეტად. დიდი ზომის არნადს ზოგჯერ ბორბლებს უკეთებდნენ'.

არნადი /არნავი საქართველოში მეტად გავრცელებული იარაღი და ტერმინია. იგი გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში: კახეთში, მთიულეთში, ხევსურეთში, ქსნის ხეობაში, ზემო იმერეთში, ლეჩხუმში, აჭარაში (ამ უკანასკნელში „არნაბი" ფორმითაა).

საბა **არნაბსა** და **არნადს** განმარტავს, როგორც „ბზის გასახვეტელი".

ნ. ჩუბინაშვილის თანახმად არნადი, არნაბი 'ტარიანი ფიცარი ბზისა და ხუავის სახვეტი კალოზედ'. დ. ჩუბინაშვილიც არნაბ/არნად სიტყვებს, ისევე როგორც ყველა სხვა ლექსიკოგრაფი, ქართულად მიიჩნევს და უწერს განმარტებას грабли, орудие деревяннсе для сгребления сена (დ. ჩუბ.).

ქართული „არნადი" arnat ან სხვა შესაბამისი ალოფორმით თურქულ სალიტერატურო ენებსა და დიალექტებში არ იხსენიება. ვფიქრობთ, ეს სიტყვა ზემოაღნიშნულ არეალში, რომელიც ისტორიულად ქართულ ტერიტორიას წარმოადგენდა, ქართულ სუბსტრატულ ფენას უნდა განეკუთვნებოდეს.

arona ქ. არტაანსა და ქ. ფოცხოვში: 'ოქაქა, აჩაჩა'. aruna ფორმით ქ. არტანუჯსა და შავშეთში—გუთანი (DS, I).

ქეგლ-ში „არონასთვის" მოყვანილია საბასეული განმარტება „ყევარი ხარის სახვნელი". ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით „არონა" — პატარა გუთანი. დ. ჩუბინაშვილი „არონას" ლათინურ- aratrum-დან მიღებულად მიიჩნევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილმა ჩვეული გულმოდგინებით გამოიკვლია „არონა“ — როგორც იარაღი და ტერმინი. იგი „არონას“ ოქაქასა და აჩაჩას მომდევნო საფეხურად თვლის (ჯავახ. I, 183), მიაკუთვნებს ადრინდელ ხანას V ს-მდე და დაბადების ქართულ თარგმანში მის მოუხსენებლობას ხსნის იმით, რომ „იმ დროისათვის, როდესაც დაბადება ქართულად უთარგმნიათ, საქართველოში დიდი ხანია უკვე გაუმჯობესებული, რთული აგებულების სახვნელი „ერქუანი“ იხმარებოდა. ამ გარემოებას ქართველ მთარგმნელთაგან ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობით ხმარებაც ამტკიცებს... ცახდია, რომ საღმრთო წერილის ქართველ მთარგმნელებს უცხო ენითგან გადმოთარგმნის დროს ისეთი ტერმინების ხმარება, რომელთაც უკვე ზოგადი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდათ და მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში გამოსაყენებელ იარაღებადღა იყვნეს ქცეულნი, არ შეეძლოთ“ (ჯავახ. I, 201).

დიდი მეცნიერი ნათელყოფს, რომ ტერმინი „არონა“ ანუ „არუნა“ „ნასესხები უნდა იყოს ბერძნულითგან“ (ჯავახ. 1, 217) და, რომ ჯავახელ სომხებს ქართულიდან აქვთ შეთვისებული (ჯავახ. 1, 246). თურქ. arona/aruna-ს გავრცელების არე გვაფიქრებს, რომ ეს არაქართული, წარმოშობით ბერძნული, სიტყვა არტაანის, არტანუჯისა და შავშეთის თურქულ მეტყველებაში ქართულიდან არის შესული. ამ მხრივ ყურადსაღებია მეორე მარცვლის o ხმოვნიანი ქართული ფორმის არსებობა ქ. არტაანის თურქულ მეტყველებაში.

asdam/astam ‘აქანდაზი ცეცხლისათვის’ (ateş küreği), გავრცელებულია შავშეთ-ართვინის თურქულ მეტყველებაში (DS, 1).

სალიტერატურო ქართულში: ასტამი—რკინის პატარა ნიჩაბი ცომის ასაფხეკი ან თონიდან პურის ამოსაღები (ქეგლ, 1).

„ასტამი“ საბას განმარტებით—ცომის მოსაფხეკი; ნიკო ჩუბინაშვილი: ასტამი—ტარიანი ფართო რკინა ცომის ასაფხეკი, скобка (ნ. ჩუბ.); დ. ჩუბინაშვილი ასტამ-ს რუსულად თარგმნის როგორც скобель, скребок, скребло, подчищальная лопатка და ლათინურ ascia-ს უკავშირებს (დ. ჩუბ.).

„ასტამი/ ჰასტამი“ მნიშვნელობით: 1. ცომის ასაფხეკი ან თონიდან პურის ამოსაღები პატარა ნიჩაბი და 2. ნაკვერჩხლის ასაღები აქანდაზი დადასტურებულია სვანურ ენაში[14].

სიტყვა „ასტამი“ ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში და უმრავლეს შემთხვევაში იხმარება ქეგლ-ში მოცემული განმარტებით. ასევეა ინგილოურ დიალექტშიც.

„ასტამი“ თონიდან პურის ამოსაღები რკინის ხელსაწყო, როგორც სუბსტრატული ლექსემა დასტურდება საინგილოს, კერძოდ კახბაშის აზერბაიჯანულშიც[15].

„ასტამის“ შავშეთ-ართვინისეულ სემანტემას ესადაგება ამ სიტყვის მნიშვნელობა რამდენიმე ქართულ დიალექტში, მათ შორის მთიულურში — კეცზე ცეცხლ-ნაცრის დასაყრელი რკინის ხოწი[16], ფშაურში — დიდი ნიჩაფი რკინისა (კეცში) პურზე ნაცრის დასაყრელად[17], რაჭულში — ბრტყელი, კუთხედი პირის მქონე რკინის იარაღი, რითაც ცხელ ნაცარს აყრიან კეცში გამოსაცხობად ჩასმულ მჭადს ან პურს[18], აჭარულში — მცირე ზომის ნიჩაბი ლითონისა, კიდეებამოწეული — ნაკვერჩხალის ასაღებად — აქანდაზი[19]. ასევე ნაკვერჩხლის ასაღები აქანდაზის მნიშვნელობა აქვს „ასტამი/ჰასტამს“ სვანურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავშეთ--ართვინის თურქულ მეტყველებაში დამკვიდრებულ „ასტამთან“ თავისი სემანტემით აგრეთვე ახლოს დგას ძველი ქართული, „შუშანიკის წამებაში“ ფიქსირებული „ასტამი“, რომელსაც ილია აბულაძე შემდეგნაირად განმარტავს: ცეცხლის ასაღებ-დასაღები აქანდაზი[20]. ეს კი კიდევ ერთი არგუმენტია „ასტამის“ სუბსტრატულობისა შავშეთ-ართვინის თურქულ მეტყველებაში.

askil ასკილის ნაყოფი (ართვინი, DS, I) ქართ. ასკილი ‘ტყის ვარდი’ (საბა).

„ასკილი“ იხსენიება ზაზა ფანასკერტელის კარაბადინში[21] (XV ს). ეს ფაქტი ყურადსაღებია, რადგან ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი სამხრეთ საქართველოს, ტაოს მკვიდრი იყო.

„ასკილი“ (მცენარე) გვხდება ბატონიშვილ ვახუშტისთან (ვახ. 635). ნ. ჩუბინაშვილი ასკილს ველურ ვარდად განმარტავს, დ. ჩუბინაშვილი щиповник-ად თარგმნის.

არნ. ჩიქობავას თანახმად ფუძე ასკილ- საერთოა ჭანურისა და ქართულისათვის (ჩიქობ., 132).

ქართლურში აქვს ფორმა — ასყილი (ქდ., 634), ხოლო ფშაურს, ხევსურულს, მოხეურს, მთიულურსა და თუშურში — ესკალაი (მაყ. 13).

ქართული „ასკილი“ აღნიშნავს როგორც ნაყოფს, ასევე თვით მცენარესაც (ქეგლ, 1), ხოლო ართვინის თურქულ მეტყველებაში askil ფორმით მხოლოდ ნაყოფის სახელად დაკონკრეტებულა.

„ასკილის“ ალოფორმა äzgil სპარსულში „ზღმარტლ“-ს ნიშნავს[22], „ზღმარტლ“-ადვე განმარტავს äzgil-ს ვ. ვ. რადლოვი და მისი გავრცელების არედ ოსმალურსა და აზერბაიჯანულს მიუთითებს[23]. ლ. ბუდაგოვის მიხედვით კი äzgil ‘название дерева, похожего на сливу’, თურქულშიაო გავრცელებული[24].

თანამედროვე სალიტერატურო აზერბაიჯანულში ეწოდება ზღმარტლის ხესაც და ნაყოფსაც[25], ხოლო თანამედროვე სალიტერატურო თურქულში ezgil წვრილ ნაყოფიან ზღმარტლის სახეობას აღნიშნავს[26].

ქართული „ასკილი“ შეიძლება ეტიმოლოგიურად ლათინურ Scillia-ს ან სემიტურ ფორმას[27] უკავშირდებოდეს, მაგრამ ართვინში ფიქსირებული askil-ის ფონეტიკური გარსი მის ქართულობაზე მიგვანიშნებს, რადგან ამ სიტყვის ქართული ალოფორმა საკუთრივ ქართულია, გამორჩეული ლათინური, სემიტური და თურქული ფორმებისაგან.

bitne გავრცელებული ყოფილა ართვინში, განმარტებულია, როგორც ერთგვარი ბალახი (DS, 11).

ვფიქრობთ, ეს არის ქართული „პიტნა“ (იხ. ქეგლ, 1, გვ. 234). საბა, ნიკო ჩუბინაშვილი და ყველა ქართველი ლექსიკოგრაფი მას ქართულად მიიჩნევს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „პიტნა“ ქართულია, იგი „უფრო ძველი ჩანს“, ვიდრე სპარსული پودنه (ჯავახ. II, 250). ილია აბულაძის თანახმად, „პიტნაკი“ დასტურდება ისეთ ძველ ხელნაწერებში, როგორიცაა: შატბერდული „სახარება ლუკაჲსი“ და „ექუსთა დღეთა“ (აბულ., 342). ასევე ქართულად მიიჩნევენ “პიტნას“ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, როცა აღნიშნავენ, რომ ქართულმა პიტნამ მეგრულში პიტინა მიგვცა (სსაქე, 123).

თურქული bitne ფორმა ქართ. „პიტნას“ კანონზომიერი ფარდია, რადგან „პ“ აბრუპტივი, თურქულში, როგორც წესი, ჰომორგანულ და ჰომოგენურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

b-ში გადადის, ხოლო უკანაენისმიერი ხმოვანი ა პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად (მაასიმილირებელია i) e ხმოვანშია გადასული.

ვ. აბაევი ოსურ biṭna-ს ქართულიდან შესულად განიხილავს პ>ბ-ს ხსნის დისიმილაციური გამჟღერებით და დასძენს, რომ Груз. p'it'na (из *pinta) примыкает, в свою очередь, к средиземноморским и европейским названиям мяты: гр. μινθη, лат. mentha, русск. мята (из *menta) (Аб. I, 263).

borbal/barbal წისქვილის ქვის ფრთები, რომელსაც წყალი ეცემა, წყლის ტურბინა (შავშეთ-ართვინი) (DS, II).

ქეგლ-ში „ბორბალ"-ს პირველ მნიშვნელობად უწერია — რკალისებური საგანი, რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო და ამოძრავებს გადასაზიდ საშუალებებს... მეოთხე მნიშვნელობა კი იგივეა, რაც — ბორბალ ქარი.

საბასთან მხოლოდ ორ მნიშვნელობას ვხვდებით: „წისქვილისა და მისთანას საბრუნებელი, გინა საყამნის ბორბალი; ქარი ძლიერი და მბრუნავი ბორბლად ითქმის". ამავე მნიშვნელობის შემცველია „ბორბალი" ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში.

ძველ ქართულში რეგისტრირებულია ამ სიტყვის მხოლოდ მეორე მნიშვნელობა (იხ. აბულ., გვ. 33), თუმცა ძირითადი ჩანს მისი პირველი მნიშვნელობა.

თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ბორბალ ფუძეს ქართულ რედუპლიცირებულ ძირად განიხილავენ (საქ. 314).

bunbul ართვინში ეწოდება პატარა ყურთბალიშს, ხოლო ჩანაკალესა და ბალიქესირში — ფუნჩულა, მსუქან ქალს ან ქალიშვილს (DS, 11). პირველ შემთხვევაში სუბსტრატს წარმოადგენს, მეორე შემთხვევაში კი — ნასესხობას.

პირველი მნიშვნელობა მიღებულია ქართ. „ბუმბულისაგან", რომლითაც იზადდება ყურთბალიში, ხოლო მნიშვნელობა 'ფუნჩულა', ვფიქრობთ, მოდის ყურთბალიშიდან, რომელიც რბილი და ფუნჩულაა.

„ბუმბული" ყველა ქართულ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც — ნაკრტენი ან გემა.

არნ. ჩიქობავას თანახმად ფუძე ბუმბულ- საერთოა ჭანურ-მეგრულ-ქართული ენებისთვის: „ძირეულია ბუმბ- ; -ულ — დეტერმინანტი სუფიქსია. მნიშვნელობა არსებითად ერთია" (ჩიქობ. 102).

გ. კლიმოვი აღნიშნავს, რომ bumbul შეიძლება მოდის ქართულ-ზანურ ენობრივ ეპოქიდან (Клим. 55).

čala მეტად გავრცელებული სიტყვა-ფორმაა თურქულ ენებში. ასე მაგ., უიღურულში čala დაუმთავრებელი, დაუსრულებელი, არასრულად; სალიტერატურო აზერბაიჯანულში შესულია სპარს. چال 'ორმო', ხოლო ნუხის დიალექტში čala 'ბრინჯის კვალი'. სალიტ. თურქულში čala 1. ძველი, გაცვეთილი; 2. მომენტი, დროის მონაკვეთი.

დიდად არის გავრცელებული ასევე თურქულის დიალექტებში: იზმირის, სტამბოლის, მალათიის, მარაშის, კონიის, ანკარას, სპარტას და სხვ. მაგრამ არსად არ გააჩნია ქართულში არსებული მნიშვნელობა.

რადლოვის თანახმად čalā უიღურულში, ტელეუტურში, ალთაურში, ყუმანურში, ყირგიზულში, ყაზანურში, თობალურში, ჩაღათაურში გავრცელებულია მნიშვნელობით — 'არასრულად, არამთლიანად, დაუმთავრებელი, დაუსრულებელი', ხოლო შორულში — 'მამლის ბიბილო'; ბუდაგოვის მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ჩაღათაურში 'ობობას ქსელში გაბმული ბუზის ფრთა'; 2. უზბეკურში 'მუგუზალი'.

ზემომოტანილ ლექსემათა სემანტიკა ძალიან შორს არის ქართულ „ჩალასგან“, რომელიც სალიტერატურო ქართულში: 1. სიმინდის, ღომის ბრინჯისა და მისთ. ღერო და ფოთლები, მეტწილად ხმელი. 2. ჭაობის ან წყლის ნაპირის მაღალი ბალახია მეტწილად ერთლებნიანთა კლასისა (ქეგლ).

თურქ. მეტყველებაში მნიშვნელობით 'თავთავის ღეროები, სიმინდის ღერო და ფოთლები, რომელსაც საქონელს აჭმევენ გვხვდება ქ. არტანუჯში, ართვინის რ-ის რამდენიმე სოფელში, ჭორომში, თოკათში, ყარსის, ერზინჯანის, რიზეს და ტრაპიზონის რაიონების თითო-თითო სოფელში. ვფიქრობთ, აღნიშნულ არეალში 'ჩალა' ქართული სუბსტრატული ფენიდან უნდა იყოს შესული. ქ. არტანუჯში, ართვინის ოლქის რამდენიმე სოფელში, არტაანში და ყარსში სუბსტრატს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო დანარჩენ რამდენიმე სოფელში ნასესხობაა.

რაც შეეხება ადრე ჩამოთვლილ თურქულ ენებსა და დიალექტებს, იქ მხოლოდ ბგერით დამთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე, ამას ადასტურებს ისიც, რომ საერთოდ Čala სიტყვა-ფორმა ძველ თურქულში XIII ს-ის ჩათვლით არ ჩანს.

რაც შეეხება ქართულ „ჩალას“, იგი 5-ჯერ იხსენიება „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო სულხან-საბას ლექსიკონში შედის კომპოზიტებშიც: ჩალამგელა, 'საჭმელი ჭილი', ჩალამბარა (მცენ.), ჩალახეში 'ჩვილის საგებელი'. ეს უკანასკნელი იმავე მნიშვნელობით გავრცელებული ყოფილა ქიზიყურსა და მესხურში. კახურსა და მთიულურში „ჩალა“ იგივეა, რაც „კაპრაში“ (ქეგლ). ინგილოურში „ჩალა“ 'ლელ·კალამი, ისლი', იყენებენ სახლის სახურავად, აჭარულში გვხვდება კომპოზიტებში **ჩალა-ვაშლი** და **ჩალის ღერი** 'გადანაჭერი სიმინდის, მცენარის ღერო, რომელიც მიწაში რჩება' (ნიჟ.).

არნ. ჩიქობავას თანახმად **ჩალა** საერთოა ჭანურის, მეგრულისა და ქართულისათვის. ჭანურში ჩალ- ზმნის ფუძეცაა მნიშვნელობით — 'ჩალის მოჭრა', ხოლო მეგრულში დარჩენილია ნა-ჩალ-ი 'სიმინდის ყანა ჩალის მოჭრის შემდეგ'.

ქართულივე უნდა იყოს Čala მნიშვნელობით 'უგემური, უმარილო საჭმელი', რომელიც მხოლოდ შავშეთსა და ართვინში დასტურდება (DS, 111) შდრ. ქართული ფრაზეოლოგიური გამოთქმა „ჩალის გემო“.

შემოკლებანი

აბულ. — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1971.

ატლასი — საქართველოს სსრ ატლასი. თბილისი—მოსკოვი, 1964.

დ. ჩუბ. — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, ტფილისი, 1840.

ვახ. — ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.

მაყ. — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

ნიჟ. — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტ. ლექსიკა, ბათუმი, 1971.

ნ. ჩუბ. — ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

საბა— სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

სსაქე — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქდ. — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ., 1961.

ქეგლ—ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I—VIII, თბ., 1959—1964.

ჩიქობ. — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.

ჯავახ 1, ჯავახ. II — ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, 1930, წიგნი II, 1934.

Клим. — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

DS—Türkiyede Halk ağzından Derleme Sözlüğü, I—VIII, Ankara, 1963—1975.

შენიშვნები

1. Türkiye'de Halk ağzından Derleme Sözlügü, 1—VIII Ankara, 1963—1975; Türkiyede Halk agzındian Söz derleme dergisi, I—III, Istanbul, 1939—1943; Hamit Zübeyr, Ishak Reget, Anadilden derlemeler, Ankara, 1932; A. Caferoğlu, Doğu illerimiz agızlarıtan toplamalar—(Kars, Erzurum, Çoruh ilbaylıkları ağızları), Istanbul, 1942.

2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 656—657.

3. იქვე, გვ. 660—661.

4. გ. ცქიტიშვილი, ართვინი, ქსე, I, თბილისი, 1975, გვ. 563.

5. დ. ბერძენიშვილი, არტანუჯი, ქსე, I, თბილისი, 1975, გვ. 587.

6. ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. შრ., გვ. 679.

7. შ. ბადრიძე, აშოტ კუხი, ქსე, I, თბილისი, 1975, გვ. 69.

8. დ. ბერძენიშვილი, არტაანი, ქსე, I, თბილისი, 1975, გვ. 586—587.

9. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, თბილისი, 1958, გვ. 499.

10. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში აღწერილი ზაქ. ჭიჭინაძესაგან, ტფილისი, 1913, გვ. 227—228.

11. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, ტფილისი, 1930.

12. ვ. ჯანგიძე, ქართული ლექსიკა აზერბაიჯანული ენის ჩრდილო-დასავლეთ კილოკავებში, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1978, № 4, გვ. 126.

13. С. С. Джикия, О грузинско-азербайджанских языковых взаимоотношениях, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II, თბილისი, 1957, გვ. 213.

14. სვანური პროზაული ტექსტები, ტ. III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967, გვ. 61.

15. ვ. ჯანგიძე, დასახ. შრ., გვ. 130.

16. ლ. კაიშაური, მთიულეთის დარგობრივი ლექსიკონი, თბილისი, 1967, გვ. 183.

17. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა, თბილისი, 1969, გვ. 44.

18. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, .I თბილისი, 1961, გვ. 681.

19. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 92.

20. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 11.

21. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი—კარაბადინი, თბილისი, 1959, გვ. 344.

22. Персидско-русский словарь, составил проф. Б. В. Миллер, М., 1953.

23. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, том 1, часть 1, Спб., 1893, გვ. 899.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 Лазарь Б у д а г о в, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, том 1, Спб., 1869, გვ. 36.

25. Азербайджанско-русский словарь, составитель Х. А. Азизбеков, Баку, 1965.

26. Hayat Büyük Türk Sözlüğü, Istanbul.

27. Th. N ö l d e k e, Lehnwörter in und aus dem Ähtiopischen, «Neue Beiträge zur semitishen Sprachwiessenschaft», Strassburg, 1934, გვ. 84.

В. Т. ДЖАНГИДЗЕ

ГРУЗИНСКАЯ ЛЕКСИКА В ДИАЛЕКТАХ ТУРЕЦКОГО ЯЗЫКА

Р е з ю м е

Грузинские лексические элементы, фиксированные в турецких диалектах, бытующих в регионе исторически грузинской территории (Шавшети, Артвини, Артануджи, Артаани, Карси), т. е. грузинская лексика, бытующая в речи отуреченных грузин, считается нами субстратной (так, например: ačril ‘скисшее молоко’, arnat деревянное орудие для сгребания сена’, asdam ‘скребло’, bitne ‘мята’, borbal колесо, bunbul ‘пух’, čala солома).

Это мнение в некоторых случаях подтверждается и грузинской фонетической оболочкой, сохраненной в турецких наречиях исследуемого ареала (так, например., axo ‘пахотная земля из-под леса или кустарника’, arona ‘рало’, askil ‘шиповник’).

Грузинские же заимствования в речи анатолийских турок являются результатом междиалектного контакта исследуемого ареала.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა ქუთელია

ლაზური ვოკალიზმი

ლაზური ვოკალური სისტემა რთულია შედარებით ქართულთან და მეგრულთან[1]. ლაზურ ვოკალიზმს შეადგენენ:

მარტივი ხმოვნები — **ა, ე, ი, ო, უ;**

პალატალიზებული ხმოვნები — **ჲა, ჲე, ჲო, ჲუ;**

ფარინგალიზებული ხმოვნები — **ʻა, ʻე, ʻი, ʻო, ʻუ;**

ნახევარხმოვნები — **ჲ, ჳ.**

რაც შეეხება ასპირირებულ ხმოვნებს — ჰა-ჰე-ჰი-ჰო-ჰუ, რომელთაც პროფ. ს. ჟღენტი გამოყოფს და უწოდებს ფშვინვიერშემართვიან ხმოვნებს, ისინი მართლაც არსებობენ ლაზურის ცოცხალ მეტყველებაში, ოღონდაც ფონოლოგიური ღირებულება არ გააჩნიათ და დისტრიბუციულადაც ძალიან არიან შეზღუდულები. ასპირირებული ხმოვნები ახასიათებს არქაბულსა და ათინურ კილოკავებს (ნაწილობრივ ვიწურსაც) და ისიც ძირითადად ანლაუტის პოზიციაში.

ლაზურის მარტივი ხმოვნები არტიკულაციური თვალსაზრისით არ განსხვავდება ქართულისა და მეგრულის მარტივი ხმოვნებისაგან: **ა** დაბალი აწეულობის შუა რიგის ხმოვანია, **ე, ი** წინა რიგის ხმოვნებია: **ე** — საშუალო აწეულობის, **ი** — მაღალი აწეულობის; **ო, უ** უკანა რიგის ხმოვნებია: **ო** — საშუალო აწეულობის, **უ** — მაღალი აწეულობის.

ლაზურის მარტივ სრულ ხმოვანთა რეალიზაცია ხდება სიტყვის სამივე პოზიციაში. რაიმე განსაკუთრებულ დისტრიბუციულ შეზღუდვებს ისინი არ განიცდიან.

ა: არ <ართ || ართი (ხოფ. ვიწ. არქ.), ა (ათინ) „ერთი“; ნანა „დედა“, შდრ. მეგრ. ნანა, ნანაია, ქართ. ნენა, ნენე (დიალექტ).

ე: ექ (ხოფ), ჰექ (ვიწ. არქ.), ჰექო (ათინ) „იქ“, შდრ. ქართ. იქ, მეგრ. ექი || ექშ, თექი || თექშ, თექინე, ეთექი || ეთექჷ; მეხვერი (ვიწ. არქ. ხოფ.) „ბევრი“; დადე || მდადე „მდადე“.

ო: ორდო „ადრე“; თოლი „თვალი“

ი: ირი „ყველა“, შდრ. მეგრ. ირიხოლო || ირხოლო; თვიი || მთვიი<თვირი || მთვირი „თოვლი, შდრ. ქართ. თოვლი, მეგრ. თირი || თვრი. ი- თავკიდურ პოზიციაში უმეტესად დამახასიათებელია თურქული წარმოშობის სიტყვებისათვის; საკუთრივ ლაზურ ლექსიკაში ი-ს რეალიზაცია ანლაუტში შეზღუდულია.

უ: უმპა „ჭიპი“

---

[1] ლაზური ვოკალიზმის შესახებ. იხ. Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.,-Петербург, 1910, გვ.1; არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 13-შმდ. ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 16 შმდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახევარხმოვანი ჲ. ნახევარხმოვანი ჲ ლაზურში დამოუკიდებელი ფონემაა[2]. ათინურ კილოკავში მაგალითად აორისტის ფორმა შეიცავს მხოლოდ ერთ ფონემას: ჲ (<პჲი<პყვი) „გავაკეთე“, შდრ. ხოფ. პი (<პყი<პყვი). ჲ-ს გაიგივება არ შეიძლება იმ ბგერასთან, რომელიც ე. წ. აღმავალი დიფთონგის პირველ კომპონენტად არის მიჩნეული ლაზურში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლაზურს არ გააჩნია აღმავალი დიფთონგები, ის რაც აღმავალ დიფთონგებად **(ჲა—ჲე—ჲო—ჲუ)** იქნა ჩათვლილი, რთული პალატალიზებული ხმოვნებია.

პალატალიზებულ ხმოვნებში ჲ აღარა გვაქვს. მაგ., **ჲა** სიტყვაში გჲარი „საჭმელი“ არის პალატალიზებული **ა** და არა ჲ+ა-ს მექანიკური ნაერთი. მართალია, პალატალიზებული **ა** უმეტეს შემთხვევაში მიღებულია ჲ+ა (<ია), მაგრამ დღეს ეს არის თვისებრივად სრულიად ახალი ბგერა. ის დამოუკიდებელი ფონემაა და ისევე არ დაიშლება, როგორც არ დაიშლებიან აფრიკატები **ძ—ც—წ—ჯ—ჩ—ჭ**, რომელთა შემადგენლობაში ისტორიულად ივარაუდება დზ (>ძ), თს (>ც), ტს (>წ), დჟ (>ჯ), თშ (>ჩ), ტშ (>ჭ). ნახევარხმოვანი **ჲ** ლაზურში ძალიან არის გავრცელებული. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ **ჲ** დიფთონგების **(აჲ—ეჲ—იჲ—ოჲ—უჲ)** მეორე კომპონენტია. **ჲ**-ს გაჩენის მიზეზები ლაზურში ბევრია. **ჲ** წარმოადგენს მთელ რიგ ბგერათა და ბგერათკომპლექსთა გარდაქმნების შედეგს:

ჲ<ი
ჲ<ე
ჲ<რ
ჲ<ყ
ჲ<ჟ, შ
ჲ<ჯ (სპორადულად)
ჲ<აუსლაუტის პალატალიზაციისაგან, რასაც უშუალოდ მოსდევს აუსლაუტის დიფთონგიზაცია.
ჲ<ჰარმონიულ და სონანტურ კომპლექსთაგან (სპორადულად).

ისტორიულად **ჲ** მიღებულია **ი**-საგან[3]. მაგ., აჲა (ათინ. ხოფ.), ჰაჲა (არქ. ვიწ.) < აია „ეს“; კაჲ<კაი „კარგი“, ხაჲარი<ხაიარი (ათინ.) „ლოყა“. ჲ როგორც დიფთონგის მეორე კომპონენტი მიღებულია უმეტესად **ი**-საგან. მაგ., გოიქთუ>გუჲქთუ „გაბრუნდა“, ქომოიწკუ>ქამუჲწკუ „გაიხადა“, მოიზდუ> >მუჲზდუ „მოსწია“, გოიტუ>გუჲტუ „დადიოდა“ და სხვ.

სავარაუდოა, რომ ისტორიულად **ჲ** მიღებულია არა მარტო **ი**-ისაგან, არამედ **ე**-საგანაც. ამის არა ერთი და ორი მაგალითი გვაქვს, მაგრამ ძირითადად ეს გვხვდება ზმნის პრევერბიან ფორმებში, სადაც დღეს **ჲ** კი აღარ ფიქსირდება, არამედ მის მიერ პალატალიზებული ხმოვანი.

ზმნის პრევერბიან ფორმებში **ი** ხშირად არის მიღებული **ე**-საგან და შემდეგი გარდაქმნა მისი გვაძლევს **ჲ**-ს, რომელიც თავის მხრივ ახდენს მომდევნო ხმოვნის პალატალიზაციას და ვღებულობთ პალატალიზებულ რთულ ხმოვნებს, მაგ.: გეძიცინუ „დაცინვა“: გეაძიცინუ>გიაძიცინუ>გჲაძიცინუ „დასცინა“ (მან); გეკნუ „ხელის მოკიდება, ჩავლება“: გეაკნუ>გიაკნუ>გჲაკნუ „ხელი მოკიდა“ (მან); გეხუნუ „დაჯდომა“: გეოხუნუ>გიოხუნუ>გჲოხუნუ „დასვა“ (მან ის).

ამ მაგალითებში **ჲ** უშუალოდ **ე**-საგან არა გვაქვს მიღებული, არამედ **ი**

---

[2] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი გვ. 13—14. ჲ-ს სონანტურ ბუნებაზე მიუთითებს ს. ჟღენტი, ჭანურ. მეგრულის ფონეტიკა, გვ. 65.

[3] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იქვე, გვ. 13.

(<ე)-საგან, საგულისხმოა, რომ წარმოთქმაში დღესაც ფიქსირდება **ია-იო-იუ** ფორმები. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არ არის სავალდებულო, რომ ყველა შემთხვევაში **ე>ი>ჲ**; ე-ს თავისთავად შეეძლო მოეცა **ჲ** და მოეხდინა მომდევნო ხმოვნის პალატალიზაცია. მაგალითად, ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: გჲოლუ (<გეოლუ) „ჩამოვარდა", გჲოთუ (გეოთუ) „ახურავს, ფარავს", ჲულუნ (<ეულუნ) „ამოდის" **ჲ** უშუალოდ მომდინარეობს **ე**-საგან. **ე>ი**-ს ფიქსირება მთქმელებში არ მოხერხდა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები და ჩემ მიერ ერთი მორფემის ფარგლებში ორწევრა ვოკალური ჯგუფების სტრუქტურის შესწავლის შედეგები საშუალებას მაძლევენ გამოვთქვა ვარაუდი, რომ ვოკალური ჯგუფები **ეა—ეო—ეუ** არაკანონიკურია ლაზურისათვის და ისინი სუპერირდებიან პალატალური ელემენტის შენარჩუნების გზით. ზემოთ მოყვანილ პრევერბიან ფორმებში **ჲ** აღარა გვაქვს; გვაქვს პალატალიზებული რთული ხმოვნები.

თუ ჲ-ს, რომელიც მიღებულია **ი, ე**-საგან, მოსდევს ხმოვანი ის ამ ხმოვანს გადააქცევს რთულ პალატალიზებულ ხმოვნად. თუ **ჲ** მოსდევს ხმოვანს ან აღმოჩნდება ორ ხმოვანს შორის, ის ინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

ჲ<რ: ჲ ენ<რენ „არის", იჲი || იჲ || იი<ირი „ყველა, ყველაფერი"; ფეჲი<ფერი „იერი,-ნაირი". შდრ. ქართ. ამფერ, იმფერი, რაფერი (დიალექტ.) და სხვ. მისთ; სეჲი< სერი „ღამე", ჭეჲი || ნჭეჲი<ჭერი || ნჭერი „ჭერი", ჯიჲეკი<ჯირეკი „ძირი". რ>ჲ გარდაქმნის კანონი ლაზურში თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაზეც ვრცელდება, მაგ., დუვაჲი < დუვარი (თურქ. duvar "კედელი").

ჲ<ყ: ყ-ს გარდაქმნა ჲ-დ ძირითადად ათინური კილოკავისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა'არც ვიწურ-არქაბულისთვისაა ყ—ჲ-ს მონაცვლეობა უცხო მაგალითები: ოჲაზუ (ათინ.)<ოყაზუ „თლა" შდრ. ოყაზუ (ხოფ.) ოხ'აზუ (ვიწ. არქ); ოჲორე (ათინ.)<ყოყორე „კვახი, გოგრა", შდრ. ყოყორე (ხოფ.), ორე (არქ.); ჲონა (ათინ).<ყონა „ყანა", შდრ. ყონა (ხოფ.).

'ონა (არქ.), წონა (ვიწ.); ოჲონუ (ათინ) < ოყონუ „წაყვანა", შდრ. ოყონუ (ხოფ.), 'ონუ (არქ); დიჲო (ათინ.)<დიყო „იდაყვი", შდრ. დიყო (ხოფ.), დიწო (ვიწ.) დი'ო (არქ.), ოჲინდრუ (ათინ.) < ოყირდუ (ხოფ.), „ყიდვა"; მეჲაფერი (ათინ. ვიწ.) || მუჲაფერი, მეყვაფერი (ხოფ.) „მაწონი".

ჲ<ჸ, შ: ლაზურში ხშირია, ჸ, შ-ს გარდაქმნა ჲ-დ ზმნის მეჸა-, მუშა- პრევერბიან ფორმებში. მაგ., მეჲომჩუ<მე-ჸომჩუ „დამწყევლა"; მეჲალაფა (არქ.) <მეჸალაფა (ხოფ.). „გადავარდნა", მეჲატკომილუ (არქ.) <მეჸატკომილუ (ხოფ.), „გადაგდება", მეჲახუნუ (არქ.) < მეჸახუნუ, (ხოფ.). „ჩამოჯდომა", მეჲაკიდუ (არქ.), <მეჸაკიდუ (ხოფ.) „გადაკიდება", მეჲაკლიმუ (არქ.), < მეჸაკლიჸუ (ხოფ.), „მოკიდება" (ცეცხლის.).

ჲ<ჸ უფრო არქაბული კილოკავისთვის არის დამახასიათებელი. ლაზურში დასტურდება ჸურ||ჲურ „ორი" პარალელური ფორმებიც[4], ეჲახუნუ<ეშახუნუ „შემოჯდომა", ქეჲოდუ<ქუშოდუ „ჩადო, ჩარგო" (თავი) და სხვ.

ლაზურის ძლიერი მიდრეკილება იოტიზაციისაკენ თუმცა არაკანონზომიერად, მაგრამ სპორადულად მაინც იწვევს სხვა ბგერათა გარდაქმნასაც ჲ-დ, მაგ., ჯ>ჲ : ჯოხო>ჲოხო „სახელი".

ლაზურის მიდრეკილება პალატალიზაციისაკენ განსაკუთრებით იჩენს თავს აუსლაუტის პოზიციაში. აქ არა მარტო ცალკეული ბგერები, არამედ ორი და სამი წევრისგან შემდგარი ბგერათკომპლექსებიც იოტიზირდებიან, რის შედეგადაც აუსლაუტში წარმოიქმნება დიფთონგები. აუსლაუტის იოტიზაციის ეს ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს ათინურ კილოკავში, მაგ.: მთუჲ<მთუ-

[4] ის. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი „თაგვი“, უკაჲ (ათინ.)<უკაჩხე „მერე“: ჩხუ>ჲ; ჰუჲ (ათინ.)<ჰაწი „ახლა“, შდრ. ქართ. აწი (დიალექტ.); ართეჲ (არქ.)<ართელი „ერთი ცალი“.

ათინურში ხშირია **ს**-ს იოტიზაცია აუსლაუტის პოზიციაში. ზოგჯერ იოტიზირდება არა მარტო **ს**, არამედ მის უშუალო მეზობლობაში მყოფი ბგერებიც, მაგ., დოწოფხეჲ||დოწიფხუჲ<დოწოფხეს „ააშენეს, ააგეს“; იბგაჲ<იბგარს „ტირის“; იქუჲ<იქომს „აკეთებს“; იტუჲ<იტურს „ამბობს“; უკაპეჲ<უკაპეს „ჩახტა“; დინჯირეჲ<დინჯირეს „დაიძინეს“; გური მოგალაჲ<გური მოგალას „გული მოგივიდეს“; ჭოფუჲ<ჭოფუმს „იჭერს, იღებს, ყიდულობს“.

ნახევარხმოვანი ჳ ლაბიო-ველარული ბგერაა. მისი სტატუსის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ისტორიულად **ჳ** მიღებულია **ვ**-საგან. **ჳ** ხშირად მონაცვლეობს **უ**-სთან სახელისა და ზმნის ფორმათა ცვლის დროს.

მაგალითები:

თუმს (ვიწ. არქ. ათინ.), მთუფს (ხოფ.) „თოვს“; მომავ. თჳასერე, მთჳასუნონ; ოსქუ „კვერცხის დადება“; ქოგესქჳამ<ქოგესქუამს (ვიწ. არქ.) „კვერცხს დებს“; მომავ. ქოგესქჳარე, ქოგესქჳასუნონ||გესქჳასუნონ, ქოგესქვასენ||გესქვასენ; ოთქუ||ოტკუ „ლაპარაკი, თქმა“, ბთქუფ „ვამბობ“, aor. ბთქჳი; მომავ. ბთქჳამინონ; ყუა (ხოფ.) კუა||კჳა (ვიწ. არქ. ათინ.) „შუბლი“; ღუა „ლოყა“, აქედან მრ. რ. ღჳალეფე (ვიწ. არქ.); ღჳაფე (ხოფ.); გჳანერი<გვანერი „მსუქანი“; გჳერდი<გვერდი „ნახევარი“; მტჳერი<მტვერი (ხოფ.) „ნაცარი“; მსქჳერი<მსქვერი“ „ირემი“; ქჳა<ქუა „ქვა“. ჩვენ მიერ არაერთგზის შემოწმებული ეს სიტყვა ლაზურ წარმოთქმაში ადასტურებს „ქჳა“ ფორმას და არა ქუა-ს. ეს უკანასკნელი მხოლოდ მეგრულისათვის არის დამახასიათებელი[5]. შქჳითი „შვიდი“, ჩქჳა<ჩქვა „სხვ.“, თქჳანი<თქვანი „თქვენი“.

ჳ-ს რეალიზაციას ლაზურში დისტრიბუციული შეზღუდვები ახლავს, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ფონემის დისტრიბუციული შეზღუდვები არ არის მისი არსის განმსაზღვრელი. ნებისმიერი ფონემა ავლენს სხვა ფონემებთან შეთავსება-შეუთავსებლობის ტენდენციებს. არც ერთ ფონემას არ გააჩნია მაქსიმალური შეთავსების უნარი; ამდენად ყველა ფონემა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია დისტრიბუციულად.

ძნელია **ჳ**-ს ჩათვლა **ვ**-ს ვარიანტად, ვინაიდან ისინი ერთნაირ პოზიციაშიც გვხვდებიან, მაგ. შკჳითი (ათინ. ვიწ.) „შვიდი“ და „ვითი“ „ათი“, გჳერდი „ნახევარი“, და გვერდანი (ვიწ.).

ხშირად ისმის ხოლმე ბგერის მიმართ ასეთი კითხვა — ფონემაა ის თუ არა? გააჩნია მას ენისათვის ფონოლოგიური ღირებულება თუ არა? და ამის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად რატომღაც აუცილებლობად ითვლება, მოინახოს მინიმალური წყვილები, სადაც მოცემულ ბგერას დაუპირისპირდება სხვა ბგერა და მივიღებთ განსხვავებულ სემანტიკურ ერთეულებს ან გრამატიკულ ფორმებს.

რამდენად არის სწორი საკითხისადმი ასეთი მიდგომა?! განა ენის არსს, მის სტრუქტურას, იმ ნიშანდობლივს, რითაც ერთი ენა განსხვავდება სხვა ენებისაგან (ან ერთი დიალექტი სხვა დიალექტებისაგან) მხოლოდ ასეთი კორელატების არსებობა განსაზღვრავს?! ენის საწარმოთქმო ჩვევებს, არტიკულაციურ

---

[5] იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრული ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 187.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებურებებს, ინტონაციას, ენის მელოდიკურ სტრუქტურას, რომელსაც ძირითადად ამ ენის ბგერათა ფიზიკურ-აკუსტიკური თვისებები და მახვილი განაპირობებს, არა აქვს ამ ენისათვის ფონოლოგიური ღირებულება?! ლაზურში ჳ ბგერის არსებობის, მისი ენობრივი ღირებულების დასადგენად აუცილებელია ის დაუპირისპირდეს ვ, უ-ს და განსხვავებული მნიშვნელობანი მოგვცეს?! ცოტაა შემთხვევები, როდესაც ფონემები (**ბ—ფ—პ—მ—დ—თ—ტ—ძ—ც—წ—ჯ—ჩ—ჭ—გ—ქ—კ** და სხვ.). ერთმანეთს უპირისპირდება და სიტყვები კი იგივე რჩება როგორც სემანტიკური, ასევე გრამატიკული კატეგორიის თვალსაზრისით?! შეიძლება ყველგან, სადაც **ვ—უ** გვაქვს, შევცვალოთ **ჳ**-თი?! ან არადა სწორი იქნება თუ ლაზურში ქჳა-ს ნაცვლად ვიტყვით ქუა, ქუა — მეგრულია, ლაზურში კი ქჳა უნდა ვთქვათ. შეიძლება იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი „ჳარესი", „ჳარი" შევცვალოთ ფორმებით „უარესი", „უარი". არ დაირღვევა იმერული დიალექტისათვის ნიშანდობლივი, მისთვის არსებითი ფონეტიკური სახე, რითაც ის განსხვავდება ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან? შეიძლება იმერული დიალექტს მოვაცილოთ **ჳ**, ე-ურობა, ი-ურობა წარმოთქმაში? ჳარესში **ჳ**-ს ნაცვლად **უ** რომ წარმოვთქვათ და „წევიდა"-ს ნაცვლად „წავიდა", იმერელი გაიგებს, მაგრამ იმერული კილო აღარ გვექნება.

ამიტომ არ შეიძლება ირელევანტურად, არაფუნქციონალურად, ენისათვის არაღირებულად გამოვაცხადოთ ყველაფერი ის, რაც ერთი შეხედვით დაპირისპირების ნიშნად არ გამოდგება. მინიმალური წყვილების არსებობა-არარსებობა არ წყვეტს ბგერის ენობრივი ღირებულების საკითხს.

ყოველთვის რელევანტურია მახვილი რუსულში იმ გაგებით, რასაც ახლა ხშირად სდებენ ხოლმე ამ სიტყვაში? რასაკვირველია, არა. მაგრამ შეიძლება რუსულში იქ არ დავსვათ მახვილი, სადაც საჭიროა. ეს საჭიროება ენის შინაგანი სტრუქტურით, მისი ბუნებით არის ნაკარნახევი და მისი რელევანტურობის ნიშანი უკვე ის არის, რომ რუსული ენა უამისოდ არ არის რუსული, ვინაიდან მასში დარღვეულია ამ ენისათვის დამახასიათებელი რითმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა. რუსულად უნდა წარმოვთქვათ **де́вочка, ма́льчик, ко́мната** და არა—**дево́чка, мальчи́к, комна́та**, თუმცა მოცემულ შემთხვევებში მახვილის გადასმა არაფერს ცვლის სიტყვაში.

ბგერის ფუნქცია აბსტრაქცია როდია. ბგერის ფორმა (ფიზიკურ-აკუსტიკური ნიშნები) და ფუნქცია მთლიანობაა. განა შეიძლება გარკვეული ფუნქციის მქონე ბგერა ნებისმიერ ფიზიკურ-აკუსტიკურ ფორმაში მოვათავსოთ? ენის ჩამოყალიბების პროცესში გარკვეული ფიზიკურ-აკუსტიკური ნიშან-თვისების მქონე .ბგერა იძენს ფუნქციას და ყალიბდება, როგორც ერთეული-ფონემა, რომელიც წარმოადგენს სწორედ ამ ფიზიკურ-აკუსტიკურ და ფუნქციონალურ ნიშანთა ერთობლიობას. სწორედ გარკვეული ფიზიკურ-აკუსტიკური თვისებების მქონე ბგერა. ამყარებს მიმართებებს სხვა ბგერებთან და იქმნება ენის ბგერობრივ ელემენტთა, ფონემათა სისტემა, სადაც ყოველი ელემენტი ემორჩილება მათ მიერვე გამომუშავებული ფონემათა დისტრიბუციის გარკვეულ წესებს. ეს ელემენტები ამჟღავნებენ სწორედ შეთავსება-შეუთავსებლობის ტენდენციებს სისტემის სხვა ელემენტებთან. ამ შეთავსება-შეუთავსებლობის ნიადაგზე ხდება ენაში ბგერითი გარდაქმნები — ბგერათცვლილებები. ყველაფერი ეს ერთად ქმნის მოცემული ენის სტრუქტურას და ამ სტრუქტურის შემქმნელ ელემენტთა ურთიერთმიმართებებისა და ურთიერთდაკავშირების გარკვეულ მოდელს, დამახასიათებელს მხოლოდ ამ ენისათვის.

მოცემული ენის ბგერათა წარმოთქმისათვის არსებითი ფიზიკურ-აკუსტიკური თვისებების, ამ თვისებათა ნიუანსების უგულებელყოფა და მათი ირელევანტურად გამოცხადება შეარყევდა თვით ამ ენის, როგორც გარკვეული სტრუქტურული მთლიანობის შემცველი მოდელის, როგორც გარეგან სახეს, ასე მის ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა ხასიათს.

ყველა ენას აქვს გარკვეულ ფონეტიკური თავისებურებანი, რომლებიც მხოლოდ მოცემული ენისათვის არიან დამახასიათებელნი, რომელთა ერთობლიობა, სხვა ნიშნებთან ერთად, ქმნის ამ ენის მოდელს და განაპირობებს მის თავისთავადობას და რომელიმე ნიშნის ამოგდება ნიშნავს ენის როგორც მთლიანობის დარღვევას.

პალატალიზებული ხმოვნები ლაზურში. პალატალიზებული ხმოვნები ლაზურში მეორეული წარმოშობისანი არიან. ესენია **ჲა, ჲე, ჲო, ჲუ**.

ზოგჯერ პალატალიზებული ბგერის ფიზიკურ-აკუსტიკური თვისებები დავას იწვევენ სპეციალისტთა შორის. ზოგს პალატალიზებული ბგერა წარმოუდგენია, როგორც მექანიკური ნაერთი ბგერის თავდაპირველი არტიკულაციისა და ენის შუატანის მოქმედებისა პალატუმის ცენტრის მიმართ.

პალატალიზებული ბგერა თვისობრივად სრულიად ახალი ბგერაა, რომლის არტიკულაცია არ დაიყვანება მოცემული ბგერის თავდაპირველი არტიკულაციისა და პალატალური არტიკულაციის მექანიკურ ჯამზე. პალატალიზაცია, როგორც მეორეული არტიკულაცია, ცვლის მოცემული ბგერის პირველად ფიზიკურ-აკუსტიკურ ნიშნებსაც. ყველა პალატალიზებული ბგერის არტიკულაცია მეტ-ნაკლებად მიისწრაფვის პალატუმის ცენტრისაკენ. შესაბამისად იცვლება მოცემული ბგერის თავდაპირველი საწარმოთქმო ადგილიც. ავიღოთ, მაგალითად რუსული ენის პალატალიზებული თანხმოვნები. თუ ჩვეულებრივი არაპალატალიზებული **ლl**-ს წარმოთქმის დროს წინა ენა ხშვას ახდენს, კბილებთან პალატალიზებული **ლ'l'**-ს წარმოთქმის დროს წინა ენის ხშვა მოიცავს მთელ ნუნას. მოცემულ შემთხვევაში ბგერის წარმოთქმის ადგილი საკმაოდ არის დაცილებული მის თავდაპირველ არტიკულაციურ ცენტრს. **l—l'** ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ფიზიკურ-აკუსტიკურად, ასევე ფუნქციონალურად. ეგევე შეიძლება ითქვას ლაზური პალატალიზებული ხმოვნების შესახებ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ლაზურის პალატალიზებული ხმოვნები წარმოადგენენ **ჲ**+მარტივი ხმოვნის მექანიკურ ნაერთს, ისტორიულად ეს ხმოვნები მიღებულია **ჲ**-ს უშუალო მეზობლობით ა—ე—ო—უ ხმოვნებთან. დროთა განმავლობაში პოზიციური პალატალიზაცია იქცა ფონოლოგიური ღირებულების ფაქტად. დღეს ლაზური პალატალიზებული ხმოვნების დაშლა ე. წ. შემადგენელ ნაწილებად ისევე არ შეიძლება, როგორც არ დაიშლება აფრიკატები, რუსული რთული ხმოვნები **(я—е—ё—ю)**, გერმანულში არსებული უმლაუტიანი ხმოვნები და ნაზალური ხმოვნები ფრანგულში. პალატალიზებული ხმოვანი ლაზურში ერთი ბგერაა, რასაკვირველია რთული, მაგრამ ერთი, როგორც ფიზიკურ-აკუსტიკურად, ასევე ფუნქციონალურად.

პალატალიზებული **ჲა—ჲე—ჲო—ჲუ** რთული ხმოვნებია, რომელთა არტიკულაციური ცენტრი თავს იყრის მაგარი სასის შუა ნაწილში — პალატუმის ცენტრში. ყველა პალატალიზებული ხმოვანი მაღალი აწეულობისაა[6].

---

[6] პალატალიზებულ ხმოვნებს ლაზურში პირველად აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება ნ. მარს მოჰყავს სიტყვა მერგჳ“ (მეროგჲა) „ოხრახუში“, Грамм. чан. яз. გვ. 10. ვიწურისათვის

ჲა: ჲანო (ხოფ. ვიწ. არქ.). „გვიან“, ჲა „ან“, „დუნჲა“ „ქვეყანა“, მკჲაფუ „ტურა“. ჲა მაღალი აწეულობის რბილი პალატალიზებული ხმოვანია. მისი წარმოთქმის დროს ენის შუა ნაწილი უახლოვდება პალატუმის ცენტრს. აკუსტიკურად ის ძალზე რბილია და ჰგავს რუსულ **я**-ს. **ჲა** ფიზიკურ-აკუსტიკურად სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივი ა-საგან, რომელიც ლაზურში ისეთივე დაბალი აწეულობის შუა რიგის ღია, ნეიტრალური ხმოვანია, როგორც ქართული **ა**.

ჲე: ჲენჭუ (ხოფ.) „აწევა“, ჲენ „არის“, ჲესელუ (ხოფ.) „ადგომა“. ჲეტალუ (ხოფ.) „ახტომა“. ჲეფინუ (ხოფ.) „ადუღება“. ჲელუ (ხოფ.) „ასვლა“. **ჲე** მაღალი აწეულობის იოტიზებული ხმოვანია; ჩვეულებრივი ე-საგან იმით განსხვავდება, რომ ჯერ ერთი უფრო მაღალი აწეულობისაა, ლაზური **ე** კი ისევე როგორც ქართული **ე** წინა რიგის საშუალო აწეულობის ხმოვანია, მეორეც — **ჲე** შუა რიგის ხმოვანია, პალატუმის ცენტრისმიერი. მის წარმოთქმაში აქტიურ მონაწილეობას იღებს შუა ენა, რაც გამორიცხულია ჩვეულებრივი ე-ს წარმოთქმის დროს. ლაზური პალატალიზებული **ჲე** აკუსტიკურად რუსულ ჲ-ს მოგვაგონებს.

ჲო: ჲობშა „სავსე“, შდრ. მეგრ. ებშა; გჲოჯგინამ „გაჯობებ“, შდრ. მეგრ. გოჯგინამ და სხვ. ლაზური **ჲო** პრეველარული პალატალიზებული ხმოვანია, მაღალი აწეულობის, ლაბიალური. ჩვეულებრივი ო-საგან იმით განსხვავდება, რომ მის წარმოთქმაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ენის შუა ნაწილი, რომელიც მოქმედებს პალატუმის ცენტრის მიმართ.

ჲუ: ჲულვა „სლვა“, ქჲურდი||ქჲურთი „ქურთი“. **ჲუ** მაღალი აწეულობის პრეველარული პალატალიზებული ხმოვანია. **ჲო**-სთან შედარებით **ჲუ**-ს ლაბიალიზაციისა და ველარიზაციის ხარისხი აქვს მეტი.

პალატალიზებული ხმოვნები ლაზურში სიტყვის ყველა პოზიციაში რეალიზდება და ამ მხრივ მათ მხოლოდ მცირე დისტრიბუციული შეზღუდვები თუ ახასიათებთ.

ჲა ანლაუტის პოზიციაში საკუთრივ ლაზურ ლექსიკაშიც გვხვდება, მაგ. ჲანო (ხოფ. ვიწ. არქ.) „გვიან“, ჲამო “მოძახილი სიმღერის დროს, ჲაზ<ყაზ „თლა, გაშალაშინება“, მაგრამ ძირითადად მაინც თურქული წარმოშობის სიტყვებში გვაქვს, მაგ.: ჲავაშ-ჲავაშ „ნელი-ნელა“ (შდრ. ლაზ. თამო-თამო||ნთამონთამო), ჲაზი „ზაფხული“, ჲაზმა „მოჩითული თავსაფარი“, ჲაილა „იალაღი, ზაფხულის საძოვრები“, ჲაღი „კარაქი, ერბო“.

ანლაუტის პოზიციაში პალატალიზებული ხმოვნების რეალიზაციის სიხშირით ლაზურის კილოკავებს შორის საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ხოფური. ხოფურისათვის კანონზომიერია ხმოვნით დაწყებული ანლაუტის პალატალიზაცია, მაგ., ჲობშა (ხოფ.) „სავსე“; შდრ. ობშა (ვიწ. არქ.); ჲებზა (ხოფ.) „ასანთი“; შდრ. ებზა (ვიწ. არქ.); ჲულვა (ხოფ.) „ასვლა“; შდრ. ულვა (ვიწ. არქ.) და სხვა მისთ.

ხოფურში რეალიზაციის სიხშირით ანლაუტის პოზიციაში გამოირჩევა პალატალიზებული ჲე. ზმნის მაზდარიანი ფორმები დაწყებული **ე** ხმოვანზე ხოფურში, როგორც წესი, განიცდიან პალატალიზაციას. მაგ.: ჲენჭუ (ხოფ.), ენჭუ (ვიწ. არქ.) „აწევა“; ჲეხთუ (ხოფ.), ეხთუ (ვიწ. არქ.) „ავიდა“, ჲედგინუ (ხოფ.),

---

დამახასიათებელ ამ ფორმას მარი ასხვავებს ფორმისაგან ‘მეროგჲა’ (ათინ.). ათინური ‘მეროგჲა’ ნ. მარს მიაჩნია ჲ, ა-ს ნაერთად, ხოლო ა̈-ს ნ. მარი მიიჩნევს პალატალიზირებულ ა-დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედგინუ (ვიწ. არქ.) „ადგომა“; ჲეზდიმუ (ხოფ.), ეზდიმუ (ვიწ. არქ.) „აღება“; ჲებლუ (ხოფ.), ებლუ (ვიწ. არქ.) „დაყრა, მოყრა“. ხოფურში პალატალიზებულ ხმოვნიანი ანლაუტის პარალელურად მარტივ ხმოვნიანი ანლაუტიც დასტურდება. მაგ.: ჲეკიდუ||ეკიდუ „ჩამოკიდება“; ჲესელუ||ესელუ „ადგომა“; ჲეტკოჩუ||ეტკოჩუ „ეგდება“; ჲეტალუ||ეტალუ „ახტომა“; ჲეფუ||ეფუ „ადუღება“; ჲექთინუ||ექთინუ „ტრიალი“; ჲელუ||ელუ „ამოღება“, ჲეყონუ||ეყონუ „აყოლა, აყვანა“; ჲეშქურდინუ||ეშქურდინუ „დაფრთხობა“, ჲეჩქინუ||ეჩქინუ „გაჩენა“; ჲეწკიმუ||ეწკიმუ „ამოძრობა“; „ჲეჭოფინუ||ეჭოფინუ „აღება ყიდვა“; ჲეჭკირუ||ეჭკირუ „აჭრა“; ჲეხუნუ||ეხუნუ „შემოჯდომა“; ჲეხთიმუ||ეხთიმუ „ამოსვლა“.

ჲე ხმოვნის რეალიზაციას ანლაუტის პოზიციაში გარკვეული დისტრიბუციული შეზღუდვებიც ახლავს, სახელდობრ: თუ ე-ს მოსდევს პალატალიზებული ხმოვანი, მისი პალატალიზაცია ანლაუტში გამორიცხულია. ასე მაგ., ეჲოსვარუ „ერთმანეთზე დაწყობა“ და არა ჲეჲოსვარუ, ეჲობლუ „მოყრა, მოპნევა“ და არა ჲეჲობლუ. ეჲათუ (ათინ.) „დაფარება“ და არა ჲეჲათუ, ეჲახთუ „შემოჯდომა“ და არა ჲეჲახთუ; ეჲაბუ „მოსხმა“ და არა ჲეჲაბუ.

პალატალიზებული ხმოვნები **ჲა—ჲო—ჲუ** ლაზურის კილოკავებში ხშირად რეალიზდება ინლაუტის პოზიციაში. მაგ.: მკჲაფუ „ტურა“, გჲათხოზუ „დაედევნა“, თომოლჲარი||თომალჲარი „თმიანი“, პალატალიზებული ხმოვანი ჲე ინლაუტში ისევე, როგორც ანლაუტში ძირითადად ხოფური კილოკავისთვის არის დამახასიათებელი:

ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური
გჲებუ „დასხმა“.	გებუ	ჯებუ[6ა]
გჲებლუ „დაყრა“	გებლუ	ჯებლუ
გჲედგინუ „დადგომა“	გედგინუ	ჯედგინუ || ჯედინუ
გჲედგუმუ „დადება“	გედუმუ	ჯედუმუ
გჲეკირუ „დაკერება“	გეკირუ	ჯეკირუ
გჲეთხოზანუ „დადევნება“	გეთხოზინუ	ჯეთხოზინუ
გჲეკიდუ „ჩამოკიდება“	გეკიდუ	ჯეკიდუ
გჲეკნუ „ხელის მოკიდება“ წავლება	გეკნუ	ჯეკნუ

პალატალიზებულ ხმოვანთა შორის რეალიზაციის სიხშირით აუსლაუტის პოზიციაში გამოირჩევა **ჲა**. მაგ., დუნჲა „ქვეყანა“, პორგჲა||პოგჲა „მუხლი“, პროსკჲა||პოსკჲა (ათინ.), პრასაკა (ხოფ. არქ.), პრასა (ვიწ.) „პრასა“; ნალჲა (ათინ. ვიწ. არქ.) „ნალია“; მერგჲა (ვიწ.) „ოხრახუში“; ლობჲა „ლობიო“; დულჲა „საქმე“. აუსლაუტის პოზიციაში ჲა-ს რეალიზაციის სიხშირე განპირობებულია აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ლაზურში ის სხვათა სიტყვის ნაწილაკია. მაგ., ჲენჲა<რენია: ჰელე სოჲენჲა „აბა სად არისო“. პალატალიზებული ხმოვნები **ჲა—ჲო—ჲუ** ძირითად ხმოვნებთან დაპირისპირებით მინიმალურ წყვილებს ქმნიან ლაზურში.

ა ~ ჲა

გაძიცინუ	გჲაძიცინუ
↓	↓
გაეცინა (მას)	დასცინა (მან მას)
გაკნუ	გჲაკნუ
↓	↓
მოგკიდა (ხელი შენ)	მოკიდა (ხელი, მან მას)

[6ა] ათინური ჯ—ჩ—ჭ<გ—ქ—კ ძლიერ მოქმედი პალატალიზაციის შედეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ~ ჲა

გატახუ	გჲატახუ
↓	↓
შემოეტეხა (მას)	დაატყდა (ის მას)
გალუ	გჲალუ
↓	↓
გავლა	ჩასვლა
განთხუ	გჲანთხუ
↓	↓
გაჭიმა (მან შეძლო გაეჭიმა)	დაეცა, გაიშხლართ

ო ~ ჲო

გონთხუ	გჲონთხუ
↓	↓
გაჭიმა	დაახეთქა, ჩაარტყა
გოთუ	გჲოთუ
↓	↓
შემოახვია	დაახურა
გოქთამს	გჲოქთამს
↓	↓
ატრიალებს	აქცევს, წააქცევს,
მოჭარუ	გჲოჭარუ
↓	↓
დაწერა, მიმოწერა	დააწერა
გოჭამს	გჲოჭამს
↓	↓
კერავს	ზედ აკერებს.
გონწი!	გჲონწი
↓	↓
გაწიე, გაჭიმე ერთმანეთს მოაცილე!	ჩააწე!
გოწკედი!	გჲოწკედი!
↓	↓
ნახე!	ჩახედე!
გობუ	გჲობუ
↓	↓
დაასხა, გადაასხა	ჩამოასხა (ზემოდან)
გოკითხუ	გჲოკითხუ
↓	↓
შეეკითხა, გამოჰკითხა	გალანძღა
გოლუმჯუ	გჲოლუმჯუ
↓	↓
შემოღამდა, მოსაღამოვდა	შემოაღამდა (მას)

უ ~ ჲუ

გულუნ	გჲულუნ
↓	↓
დადის	ჩამოდის
გუზდი!	გჲუზდი!
↓	↓
მოუჭირე!	ჩამოსწიე!
უჭოფან	ჲუჭოფან
↓	↓
დაუჭირონ	გამოართმევენ, წაართმევენ
გოწოფხუმს	გჲუწოფხუმს
↓	↓
ასწორებს (გარშემო)	ასწორებს (ზემოდან ქვემოთ)
გუჩვეს	გჲუჩვეს
↓	↓
გააქციეს, არბენინეს	ჩამორეკეს

ხმოვანთა ფარინგალიზაციისათვის ლაზურში. ფარინგალიზაცია კოარტიკულაციის ისეთსავე სახეობას წარმოადგენს, როგორც პალატალიზაცია,ველარიზაცია, ნაზალიზაცია და ლაბიალიზაცია[7].

ლაზურში ადგილი აქვს ხმოვანთა ფარინგალიზაციას: ხმოვნის ძირითად არტიკულაციას ერთვის ფარინგალური არტიკულაცია, ოღონდ არა მექანიკურად რასაკვირველია. ფარინგალიზებულ ხმოვნის არტიკულაციას, გარდა ძირითადი არტიკულაციისა, თან ახლავს ენის ძირის მოქმედება ფარინქსის კედლის მიმართ, რაც თავისთავად იწვევს ხმოვნის საარტიკულაციო ცენტრის (საწარმოთქმო ადგილის) გადაწევას უკან.

ფარინგალიზებული ხმოვნები **ʻა—ʻე—ʻი—ʻო—ʻუ** ლაზურში მეორეული წარმოშობისანი არიან.

ლაზური არის ერთადერთი ქართველური ენა, სადაც მოხდა სრული დეფარინგალიზაცია თანხმოვანთა სისტემისა. ლაზურს დღეს ფარინგალური კონსონანტი აღარ გააჩნია, **ყ** შემორჩენილი აქვს მხოლოდ ხოფურს და ის ისეთივე ველარული ბგერაა, როგორც ქართული **ყ**[8].

ქართულის ზოგიერთ კილოს (ხევსურული, ქიზიყური, ფშავური...) ფარინგალური წარმოების ორი ბგერა გააჩნია — **ჴ—ყ**. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმ კილოებში, სადაც **ჴ—ყ** შემოგვრჩა მათი არტიკულაცია ფარინგალურია. რაც შეეხება სალიტერატურო ქართულსა და ქართულის ზოგიერთ კილოს (ქართლური, იმერული, რაჭული, გურული...), სადაც ფარინგალური სამეულიდან მხოლოდ **ყ** არის გადარჩენილი, ფარინგალური არტიკულაცია არ არის შენარჩუნებული. დღეს **ყ** სალიტერატურო ქართულსა და მთელ რიგ დიალექტებში ველარული (resp. პოსტველარული) ბგერაა[9].

ლაზურში კონსონანტური სისტემის დეფარინგალიზაციის პროცესი ძირითადად დამთავრდა. მაგრამ ამ პროცესს უკვალოდ არ ჩაუვლია, ფარინგალური კონსონანტი ლაზურში უკვალოდ არ გამქრალა. კონსონანტური სისტემის დეფარინგალიზაციას მოჰყვა ერთგვარი ლინგვისტური კომპენსაცია — ვოკალური სისტემის გართულება ფარინგალიზებული ხმოვნების გაჩენის ხარჯზე.

ფარინგალიზებული ხმოვანი ლაზურში ხუთია **ʻა—ʻე—ʻი—ʻო—ʻუ** და ახასიათებთ ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებს, ე. ი. იმ კილოკავებს, სადაც ფონემა **ყ** პრაქტიკულიც აღარ არსებობს. არქაბულსა და ვიწურში ხმოვანთა ფარინგალიზაცია მოხდა **ყ**-ს უშუალო მეზობლობაში. არქაბულში **ყ**-ს ევოლუცია ორი მხრივ წარიმართა: **ყ>კ** ჰარმონიულ კომპლექსებში, **ჸ<ჸ>** ფარინგალიზებული ხმოვანი (უშუალო მეზობლობაში ხმოვანთან). ვიწურშიც დაახლოებით იგივე სურათია **ყ>კ** ჰარმონიულ კომპლექსებში, **ყ>ჲ>** ფარინგალიზებული ხმოვანი.

ხოფური	არქაბული	ვიწური
ყონა „ყანა“	ʻონა	ჸონა ‖ ʻონა
ყალი „ყელი“	ʻალი	ჸალი ‖ ʻალი
ყოროფელი „შეყვარებული“	ʻოროფელი	ჸოროფელი ‖ ʻოროფელი
ყურძენი „ყურძენი“	ʻურძენი	ჸურძენი ‖ ʻურძენი
ყუჯი „ყური“	ʻუჯი	ჸუჯი ‖ ʻუჯი
ყუჯა „ყრუ“	ʻუჯა	ჸუჯა ‖ ʻუჯა

[7] იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 111. და შმდ.

[8] Н. С. Кутелия, Две системы гармонических согласных в грузинском (автореферат), Тб., 1956, გვ. 7 შმდ.

[9] Hans Vogt, Structure phonemique du Georgien, Oslo, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოყინუ „გაცივება“	ʿოინუ	ოჺინუ ‖ ოʿინუ
ოყაზუ „თლა“	ʿოაზუ	ოჺაზუ ‖ ოʿაზუ
ოყონუ „წაყვანა“	ʿოონუ	ოჺონუ ‖ ʿოონუ
პყორომ „მიყვარს“	პʿორომ	პჺორომ ‖ პʿორომ

ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში **ყ**- ფონემის ნაცვლად არქაბულ-ვიწური მასალა ფარინგალიზებულ ხმოვანს ადასტურებს. ვიწურში პარალელურად **ჺ**-ც არის წარმოდგენილი, ეს უკანასკნელი **ყ**-ს რეფლექსია.

ათინურში ფარინგალიზებული ხმოვნები ძირითადად ანლაუტის პოზიციაში რეალიზდებიან. ვიწურ-არქაბულში ფარინგალიზებული ხმოვნები იქ გაჩნდნენ, სადაც მათ ისტორიულად უძღოდა **ყ**. (ათინურშიც გვაქვს ასეთი წარმომავლობის ფარინგალიზებული ხმოვნები, ძირითადად ზმნურ ფორმებში).

ათინურისათვის დამახასიათებელია ვოკალური ანლაუტის ფარინგალიზაცია. ათინურს აქვს ხუთი ფარინგალიზებული ხმოვანი **ʿა—ʿე—ʿი—ʿო—ʿუ**, რომლებიც წარმოდგენილნი არიან, როგორც წესი, სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, თუმცა არც ისე იშვიათად დასტურდება ინლაუტის პოზიციაშიც. ვოკალური ანლაუტის ფარინგალიზაცია ლაზურის ათინური კილოკავისათვის სისტემატურ ხასიათს ატარებს, განურჩევლად იმისა, სიტყვა საკუთრივ ლაზური წარმოშობისაა, თუ სხვა ენიდან არის ნასესხები.

მაგალითები: ʿირი „ყველა, ყველაფერი“, ʿორა „დრო“, ʿეფუთხინუ „აფრენა“, ʿორთა „შუა“ (თურქ. arta), ʿოფშა „სავსე“, ʿი „ის“, ʿარ‖ა „ერთი“, ʿევედ „ჩქარა, სწრაფად“ (თურქ.), ʿეში „ასი“, ʿიდი „წადი!“, ʿუჯი „ყური“, ʿოშკური „ვაშლი“, ʿოჭოფუ „დაჭერა“, ʿოშქინუ‖ოშკინუ „ცოდნა“, ʿესელუ „ადგომა“, ʿუუ „უჰ“ (შორის.), საʿეთი „საათი“, ჟʿურნეჩი „ორმოცი“, ʿაოროფუ „შეუყვარდა“ და სხვა მისთ.

ასპირირებულ ხმოვანთა საკითხისათვის ლაზურში. საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ლაზურში ასპირირებული ხმოვნები, საკამათოა. სპეციალურ გამოკვლევებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაზურის ვიწურ-არქაბული და ათინური კილოკავებისათვის დამახასიათებელია ასპირირებული ხმოვნები ანლაუტში, სპორადულად გვხვდება ინლაუტშიც[10]. ხოფურს ასპირირებული ხმოვნები არ ახასიათებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა მაგალითს.

ასპირირებული ხმოვნები ფონეტიკურად არსებობენ, თუმცა ძალზე შეზღუდული დისტრიბუციით — თავკიდურ პოზიციაში ძირითადად. ვფიქრობ, რომ ტერმინი „ასპირირებული ხმოვნები“ უმართებულოა, ვინაიდან ფაქტიურად ჩვენ საქმე გვაქვს ხმოვნურ ანლაუტის ასპირაციასთან და არა ასპირირებულ ხმოვანთა სისტემასთან ლაზურში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ანლაუტის სტრუქტურის საკითხი ლაზურში სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ლაზურს მიდრეკილება აქვს ანლაუტის გართულებისაკენ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მარტივხმოვნიან ანლაუტს ლაზური ერთგვარად გაურბის. ლაზურში ჩვეულებრივია ვოკალური ანლაუტის პალატალიზაცია (ხოფური), ფარინგალიზაცია (ათინური) და ასპირაცია (ვიწურ-არქაბული, ათინური, ნაწილობრივ ხოფური), ისევე როგორც ლაზურის ცოცხალ მეტყველებაში იშვიათად თუ დასტურდება ერთკონსონანტიანი ანლაუტი; მას აუცილებლად უნდა განუვითარდეს ნაზალური სონანტი **მ, ნ.** ამ საკითხს

[10] ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ სპეციალური გამოკვლევა მივუძღვენით და ამიტომ უფრო ვრცლად აქ აღარ შევჩერდებით.

ლაზურში ასპირირებული ხმოვნები ანლაუტში გვაქვს:

1. საკუთრივ ლაზური წარმოშობის სიტყვებში (ძირითადად ჩვენებით ნაცვალსახელებში და ზმნიზედებში)[11]. 2. ჰო‖ჰა (<ქო‖ქა) პრევერბიან ზმნურ ფორმებში ხოფურ კილოკავში და 3. თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში.

მაგალითები: ჰაჲა (ვიწ. არქ. ათინ.) „ეს"; შდრ. ხოფ. აჲა; ჰეშო (ვიწ. არქ. ათინ.) „ამდენი, ასე"; შდრ. ხოფ. ეშო, ჰამთეფე‖ჰანთეფე (ვიწ. არქ. ათინ.) „ესენი"; შდრ. ხოფ. ანთეფე; ჰაქ (ვიწ. არქ. ათინ.) ჰაქ‖აქ (ხოფ.) „აქ"; ჰაწი (ვიწ. არქ. ათინ.) ჰაწი‖აწი (ხოფ. „ახლა"; შდრ. ქართ. აწი (დიალექტ.); ჰომეჩუ, ქომეჩუ (ხოფ.) „მისცა", ჰომოხთეს, ქომოხთეს „მოვიდნენ"; ჰოგელადგეს. ქოგელადგეს „დადგეს"; ჰოდიჯეუ (ქუდიჯესუ) „დაიჯერა"; ჰოდუჯოხუ (ქოდუჯოხუ) „დაუძახა".

ათინურში ასპირირებული ანლაუტის საინტერესო ფორმები აქვს ფიქსირებული არნ. ჩიქობავას ისკანდერ ციტაშისთან საუბრის დროს თბილისში 1926 წელს. მაგ., ჰვითი „ათი", ჰვითოში „ათასი", ჰუითოშენერი „მეათასე". ზოგიერთ მაგალითში ასპირირებული ხმოვანი ინლაუტის პოზიციაშია წარმოდგენილი, მაგ., ოთხონეჩდოჰვითი „ოთხმოცდაათი". ყველა მოცემულ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ გვაქვს ნახევარ ხმოვანი **ჰუ̂** (ჰვ).

ვოკალური ჯგუფები ლაზურში. ქართველურ ენათა სიტყვის სტრუქტურის ძირითად მახასიათებლებს შეადგენენ კონსონანტური ჯგუფები. ამ მხრივ ლაზურში სხვა ვითარება გვაქვს — აქ წარმოდგენილია ორწევრა, სამწევრა, ოთხწევრა და ხუთწევრა ვოკალური ჯგუფები; გვაქვს უკონსონანტო ჯგუფებიც, სიტყვები, სადაც არც ერთი თანხმოვანი არ მონაწილეობს. ხმოვანთა ასეთი თავშეყრა უცხოა ქართულისა და მეგრულისათვის.

ვოკალური ჯგუფების წარმოქმნას ლაზურში ძირითადად განაპირობებს პალატალიზაციის ძლიერი ტენდენცია. ამ პროცესს დაექვემდებარა ენის როგორც კონსონანტური, ასევე ვოკალური სისტემები. შედეგმა, რომელიც მოჰყვა პალატალიზაციის ძლიერ მოქმედებას, ლაზურში მთლიანად გარდაქმნა ამ ენის ფონეტიკური სტრუქტურა, სახელდობრ:

1. პალატალიზებული ხმოვნების წარმოქმნა, რომელთაც ფონოლოგიური ღირებულება აქვთ ლაზურისათვის;

2. **რ, ყ** > **ჲ**; ცალკეულ ბგერათა (**ჟ, შ, ს, ლ, ჯ**...) და ბგერათკომპლექსების იოტიზაცია;

3. ვოკალური ანლაუტის პალატალიზაცია;

4. აუსლაუტის პალატალიზაცია, რომელსაც მოჰყვა აუსლაუტის რედუქცია[12] და დიფთონგიზაცია:

5. ჰარმონიულ კომპლექსთა B სისტემის დაშლა ათინურ კილოკავში;

6. უკანაწარმოების თანხმოვანთგადაწევა ათინურში (**მ—ქ—კ** > **ჯ—ჩ—ჭ**);

7. რთული ვოკალური ჯგუფების შექმნა.

პალატალიზაციას ლაზურში ჩვენ მივუძღვენით სპეციალური გამოკვლევა და უფრო ვრცლად აქ აღარ შევეხებით. ჩვენი შესწავლის ობიექტს ამჟამად წარმოადგენენ ვოკალური ჯგუფები.

ორწევრა ვოკალური ჯგუფები. ორწევრა ვოკალური ჯგუფები ერთი მორ-

---

[11] იქვე, გვ. 38.

[12] იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 28—29.

ფემის ფარგლებში რეალიზდება სხვადასხვა წესით: 1. ინარჩუნებს სრულხმოვნობას, 2. გარდაიქმნება დიფთონგებად, 3. გვაძლევს გრძელ ხმოვნებს.

შ. ძიძიგურის მიერ ქართულ დიალექტთა მასალაზე დადგენილია ორწევრა ვოკალური ჯგუფების შეერთების სამი რიგი **A, B, C**, რომელიც გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას ამჟღავნებს[13]. შ. ძიძიგურის მიერ დადგენილი ორწევრა ვოკალურ ჯგუფთა მოდელი სავსებით ესადაგება ლაზურში ორწევრა ვოკალური ჯგუფის სტრუქტურას.

ორი სრული ხმოვანის შეერთება. ორი სრული ხმოვნის შეერთების დროს ერთი მორფემის ფარგლებში ძირითადად დაცულია ღია+დახურულ (ვიწრო) ხმოვანთა თანამიმდევრობის პრინციპი, ე. ი. ორი სრული ხმოვნის ისეთი შეერთება, სადაც პირველი უფრო ღიაა, ვიდრე მომდევნო:

აი: ყვაილი<ყვავილი (ხოფ.) „ყვავილი" (ავადმყ.); შდრ. კვავილი (ვიწ. არქ), ვავილი || ვაილი (ათინ.), კაიკი <არქ. კარიკი (ვიწ. ხოფ.) „პატარა ვარცლი"; კაიში (ხოფ.) „თეთრი ქვახი".

აე: ვაელი || ვარელი „დიდი ქვაბი".

აო: კაობა „სიკეთე" (მორფემათა გასაყარზეა)

აუ: ქაულა || ქაილა „წიწმატი"

ეი: სეი<სერი „ღამე". სრულ ვოკალთა ასეთი თანამიმდევრობა ინლაუტის პოზიციაში შენარჩუნებული და ისიც არა ყოველთვის. ჩვეულებრივ ასეთი ჯგუფი დიფთონგიზაციას განიცდის ეი>ეჲ.

ეუ: ბედეურა „ყავარი", ბერწეული (ხოფ.) „ბროწეული"

ოე: ყოყოე < ყოყორე „გოგრა", „კვახი".

ამ წესიდან გადახვევებიც გვაქვს რასაკვირველია, მაგრამ გარკვეული კანონზომიერება ამ გამონაკლისებშიც შეინიშნება. გვაქვს თანამიმდევრობა ვიწრო+ღია, მაგრამ ერთი მორფემის ფარგლებში ორი სრული ხმოვნის ასეთ შეერთებაში პირველი წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ი. მაგ., **ია:** ანჭკარია||ანჭარია (ვიწ. არქ. ათინ.) „წვრილი თევზი", ბიათი||პიათი, (ათინ. ვიწ.), პატი (ხოფ. არქ.) „ცუდი, ბოროტი", ნალია (ათინ. ვიწ. არქ.) „ნალია", მარიაშინა „მარიამობის თვე, აგვისტო" (შდრ. მეგრ. მარაშინა).

მორფემათა გასაყარზე გვაქვს შეერთებანი — **oა:** (ოალუ<ოვალუ „გაღლება"), **ოუ:** (ოთოუ<ოთორუ „თრევა, ტარება") და **იუ:** (ოშიუ<ოშირუ) ძირითადად კონსონანტთა ამოვარდნის ხარჯზე.

დიფთონგები. ლაზურს ახასიათებს დიფთონგიზაციის ძლიერი ტენდენცია, რომელიც თავის მხრივ ლაზურში მოქმედი პალატალიზაციის შედეგია. პალატალიზაციამ გამოიწვია მთელი რიგი ბგერებისა და ბგერათკომპლექსების იოტიზაცია. ამას, ბუნებრივია, მოჰყვა დიფთონგების წარმოქმნა. დიფთონგები ლაზურში შეიძლება შეიქმნას როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა გასაყარზე. ლაზურში დიფთონგებს პოზიციურად წარმოქმნის სხვადასხვა წყარო აქვთ: 1. ნებისმიერი ხმოვანი+**ი**; 2. ხმოვანი+**რ** (>ჲ); 3. ხმოვანი — **ყ** (>ჲ); 4. ხმოვანი+**ჟ, შ** (>ჲ) ზმნის პრევერბიან ფორმებში; 5. ხმოვანი + აუსლაუტის თანხმოვანი და თანხმოვანთკომპლექსები (**ს, რს, ჩხ...მს...**). ამათგან ზოგი სპორადულ ხასიათს ატარებს.

ლაზურის დიფთონგებია **აჲ—ეჲ—იჲ—ოჲ—უჲ—ეუ̂—აუ̂.**

---

[13] იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", ტ. I, 1946, გვ. 1 შმდ.

აჲ: კაჲ<კაი „კარგი“, მჟაჲ<მჟაი „მჟავე“, წკაჲ<წკარი „წყალი“, იბგაჲ<იბგარს „ტირის“, ოკაჲ < უკაჲ<ოკაჩხე ‖ უკაჩხე „მერე, შემდეგ“, ქოდაჲჯერუ<ქოდაიჯერუ „დაიჯერა“, მღორაჲ (ათინ) < მღორამს „ღრიალებს“ კატუ კრიაჲ < კრიამს „კატა კნავის“.

ეჲ: გეჲღუ „ჩაიტანა“ ,გეჲნჭუ „ჩამოვიდა“, გეჲნჯირუ „დაწვა“. ხცაფეჲ<ხცაფერი „დამპალი“ მგვანეჲ „მსუქანი“, პიპეჲ<პიპერი „წიწაკა“, შდრ. ქართ. პიმპილი (დიალექტ.), დოწოფხეჲ (ათინ)<დოწოფხეს, შუმტეჲ(ათინ.) < შუმტეს „სვამდნენ“, ოშვეჲ (ათინ),< ოშვეს „დალიეს“ და სხვ.

იჲ: დაჩხიჲ (ხოფ.)<„დაჩხირი „ცეცხლი“, თხიჲ (ხოფ.)<თხირი „თხილი“, დიცხიჲ (ხოფ.)<დიცხირი „სისხლი“, ინჭიჲ<ინჭირი ანწლი, მჭიჲ <მჭიმს „წვიმს“, იჲ<ირი „ყველაფერი“.

ოჲ: დოჲგურუ<დოიგურუ „დაისწავლა“ დოჲრდუ დოირდუ „გაიზარდა“; გოჲთირთინუ<გოითირთინუ „ათრთოლდა“ ლალოჲ ლალომს „ყეფს“, იმხოჲ<იმხორს „ჭამს“,

უჲ: მტკუჲ<მტკური „გარეული“ წკუჲ<წკური „წყარო“ ჟუჲ <ჟურ „ორი“. ჰუჲ<ჰაწი „ახლა, აწი (დიალექტ). იქუჲ (ათინ.)<იქუმს „აკეთებს“; ჸილუჲ<ყილუმს „კლავს“; მთუჲ ჭოფუ (ათინ)<მთუგი ჭოფუმს „თაგვი იჭერს“ კვათუჲ (ათინ).<კვათუმს „ჭრის“ და სხვა მისთ.

დიფთონგებიდან აღსანიშნავია აგრეთვე **ეჳ — აჳ.**

ეჳ: ბედეჳრა (ათინ) „ყავარი“, გეჳსქუ „კვერცხის დადება“, „გეჳდუ“.
აჳ: კაჳლი „სანაძლეო“.

ლაზურში გამოიყოფა აგრეთვე ისეთი ორწევრა ვოკალური ჯგუფები, სადაც პირველი წევრი ნახევარ ხმოვანია, ე. წ. აღმავალი დიფთონგები **ჳა—ჳი—ჳე**-ს სახით.

გრძელი ხმოვნები. ლაზურში გრძელი ხმოვანი შეიძლება გაჩნდეს სიტყვის სამივე პოზიციაში, მაგრამ მეტი სიხშირით ინლაუტსა და აუსლაუტში[14]. გრძელი ხმოვნის გაჩენის მიზეზები ლაზურში შემდეგია:

1. ორ ერთნაირ ხმოვანს შორის მოქცეული **რ**, როგორც წესი, ამოვარდება, ხმოვნები შეერთდებიან საზიარო არტიკულაციის[15] წესით და მივიღებთ გრძელ ხმოვანს. ლაზურს საერთოდ აქვს მიდრეკილება ორ ერთნაირ ხმოვანს შორის მოქცეული თანხმოვნის ამოგდებისა. ასე რომ, ამ წესს რ-ს გარდა სხვა თანხმოვნებიც (მაგ., ლ, ვ, პ, ყ) ემორჩილებიან.

აა: ფაა<ფარა „ფული“ პაამითი < პარამთი „ლაპარაკი“, დაა<დაჰა „უფრო“ (თურქ).

ეე: ბეე<ბერე „ბავშვი“, ეე < ეჰე „ეგერ“,

ii: იი<იჲი < ირი|„ყველა, „ყველაფერი“, მთვიი<მთვირი თოვლი“; ფუქიი<ფუქირი „ყვავილი“; მქიი<მქირი „ფქვილი“ მჭკიი< მჭკირი „წილი“, ბძიი ‖ ბწიი<ბძირი „ვნახე“.|

ოო: ტოოჯი < ტოროჯი „მტრედი“, ოკოობუ < ოკრობუ „შეგროვება“, ოომინუ < ოჸომინუ „მოწყურება“; ოოროფუ<ოყოროფუ „შეყვარება“.

უუ: ოგუუ < ოგურუ „სწავლა“, ჸუუ (ვიწ.) ‘უუ (არქ.) < ყურუ „დაიყვირა“, ბეე ‘უუ (<ბერე უურუ) „ბავშვმა დაიყვირა“, ომფუუ<ომფულუ „დამალვა“.

ზოგჯერ გრძელ ხმოვანს ვიღებთ ხმოვანთა სრული ასიმილაციის შედეგად ზმნის პრევერბიან ფორმებში. მაგ., დიიმჭვენ>დოიმჭვენ „დაიფქვება“.

ლაზურში სამწევრა, ოთხწევრა და ხუთწევრა ვოკალურ ჯგუფებს ქმნიან სრული ხმოვნები **ა, ე, ი, ო, უ** და ნახევარხმოვანი **ჲ.** ნახევარხმოვანი **ჳ** იშვიათად მონაწილეობს სამწევრა ვოკალურ ჯგუფებში და ისიც მორფემათა გასაყარზე, სრულიად არ გვხვდება ოთხწევრა და ხუთწევრა ვოკალურ ჯგუფებში,

აღვნიშნოთ სამწევრა ვოკალთა თანამიმდევრობა **abc** სიმბოლოებით: **a** არის პირველი პოზიცია, **b** — მეორე, **c** — მესამე.

---

[14] როდესაც ს. ჟღენტი ხმოვანთა პოზიტიურ სიგრძეს მიმოიხილავს, ის ძირითადად ეხება მეგრულს (ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, გვ. 59 შდრ.).

[15] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწევრა ვოკალურ ჯგუფში ერთი მორფემის ფარგლებში **a** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ხმოვნები **ა, ე, ი, ო, უ. b** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ნახევარხმოვანი **ჲ, c** პოზიციაში — **ა, ე, ი.** მორფემათა გასაყარზე **c** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს **ო, უ.** ერთი მორფემის ფარგლებში ლაბიო-ველარულ ხმოვნებს შეუძლიათ დაიკავონ მხოლოდ **a** პოზიცია. სამწევრა ვოკალური ჯგუფის ასეთი თანამიმდევრობა კანონიკურია ლაზურისათვის.

გამონაკლისის სახით ლაზურში გვაქვს სამწევრა ვოკალთა ისეთი ჯგუფებიც, სადაც **a** პოზიციაში წარმოდგენილია ნახევარხმოვანი **ჳ**, მაშინ **b** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს **ა, ე; c** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ **ი** (resp. ჲ), უ (resp. ო).

თუ მოხდა ხმოვანთა ასეთი დაჯგუფება **უაი, უეი, უაუ||უაო,** ისინი შესაბამისად გარდაიქმნებიან **ჳაი, ჳეი||ჳეჲ, ჳაუ||ჳაო** ჯგუფებად.

ლაზურში გვაქვს ოთხწევრა და ხუთწევრა ვოკალური ჯგუფები როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასე მორფემათა გასაყარზე. ოთხწევრა ვოკალური ჯგუფი სამწევრა ჯგუფის მოდელზეა აგებული, მეოთხე **d** პოზიცია შეიძლება დაიკავოს **ა, ი** ხმოვნებმა.

ხუთწევრა ვოკალური ჯგუფის წევრები მკაცრად იცავენ ხმოვანთა განლაგების შემდეგ წესს. **a** პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ **ა, ი; b** პოზიციაში წარმოდგენილია ყოველთვის მხოლოდ **ჲ; c** პოზიციაში — **ა, ე, ი; d** პოზიციაში — **ჲ||ი** მეხუთე ჲ პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ **ი.**

მაგალითები:

აჲა: აჲა (ხოფ.) ჰაჲა|(ვიწ.'არქ.) „ეს“; მაჲარე (ათინ.), მარი (ვიწ.) მაჲი || მაიი (არქ.) '„ბაყაყი“.
აჲი: წკაჲი (ხოფ.) < წკარი „წყალი“.
აჲე: უკაჲე < უკაჩხე „მერე“.
ეჲა: მეჲაფერი (ათინ. ვიწ.) < მეყვაფერი (ხოფ.) „მაწონი“.
ეჲი: ნჭეჲი „ჭერი“.
იჲა: იჲა, ია (ხოფ.) „ის“, იჲა<ირი (არქ.) |„ყველა“.
იჲი: იჲი<ირი „ყველა, ყველაფერი“.
იჲე: ჯიჲეკი<ჯირეკი „ძირი, ფესვი“, შდრ. ქართ. ჯირკი.
ოჲა: ლოჲა (ათინ.).<ლოყა „ტკბილი“.
ოჲი: ოხოჲი<ოხორი „სახლი“.
უჲა: მუჲაფერი, მუჲა „როგორი“.
უჲი: დაჩხუჲი<დაჩხური „ცეცხლი“.

ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში.

აჲო: ამა ჲონუ (ათინ.) „შეყვანა“, შდრ. ამა'ონუ (არქ.) ამაყონუ (ხოფ).
აჲუ: დომაჲუ: მა ბერე | დომაჲუ „ბავშვი მეყოლა“.
იჲო: მენდემიჲონი: ჰექო არ მა მენდემიჲონი!
იჲუ: ოძი ჲუ<ოძირუ „ნახვა“; ოკიჲუ „ყვირილი“.
ოჲო: ოჲონდინუ(<ოყონდინუ „დაყოვნება“, ოჲონუ<ოყონუ „წაყვანა“.
ოჲუ: ოჲურუ<ოყურუ “ყვირილი“, შედრ. ი'ურუ (არქ.) ოუხე
ეჲო: მედეჲონუ<მედიყონუ (?) „წაყვანა“. ეშეჲონუ<ეშეყონუ „ამოყვანა“.
აჲეჲ: ხაკაჲეჲ<ხაკარელი „ამოფხეკილი“, ხაჲეიჲ<ხაჲეჲ „დახეული“.
იჲეი: უთომოლიჲეი (ხოფ.) „უთმო, მელოტი“.
იჲჲა: იჲჲა<ირრა „ყოველთვის“. ეს უკანასკნელი ასეთ გარდაქმნებს განიცდის: იჲჲა > იჲა || იჲი || იჲ, ყოველთვის ვიღებთ ლაზურისათვის კანონიკურ ვოკალურ ჯგუფს.
ოჲეი || ოჲეჲ: ოკოჭკოჲეი || ოკოჭკოჲეჲ (არქ.) „გაკრეჭილი“. „შემოჭრილი“.
აჲაჲი: მაჲაჲი<მაყაყი „ბაყაყი“,

იჲეჲი: ნჭიჲეჲი „მძინარე“.
იჲაჲი: ღერღიჲაჲი „ღარღიანი“.

ლაზურში არცთუ ისე იშვიათია უკონსონანტო ლექსიკური ერთეულები, სიტყვები, სადაც ვოკალებია მხოლოდ წარმოდგენილი.

Н. С. КУТЕЛИЯ

ЛАЗСКИЙ ВОКАЛИЗМ

В отличие от мегрельского и грузинского языков в современном лазском заметно осложнилась вокалическая система. Ныне лазский вокализм представляют гласные: первичные—აa, ეэ, იi, оo, უu; палатализированные—ჲაja, ჲეjэ, ჲоjo, ჲუju; фарингализированные—ʻაʻa, ʻეʻэ, ʻоʻo, ʻიʻi, ʻუʻu; полугласные—ჲj, ჳw.

В результате дефарингализации консонантной системы в лазском возникла как бы ее лингвистическая компенсация в виде образования фарингализированных гласных с учетом соответствующей позиции.

Благодаря процессу палатализации фонологическая система лазского подверглась серьезным изменениям, как то: 1. возникновение палатализированных гласных фонем—ჲაja, ჲეjэ, ჲოjo, ჲუju; 2. закономерное превращение фонем hz, ყq в ჲj; 3. иотизация отдельных фонем (ჟž, შš, სs, ლl, ჯǯ) и группы фонем; 4. редукция ауслаута путем иотизации, что и повело к образованию дифтонгов; 5. палатализация вокального анлаута; 6. распад гармонических комплексов системы В в атинском говоре; 7. передвижение согласных заднего ряда (გg—ქk—კk̩>ჯǯ—čh—ჭč̣).

В результате превращения ряда фонем в ej в лазском образовались сложные группы гласных комплексов от двух до пяти.

Мы определили позиции гласных фонем символическими знаками a, b, c, d, ε.

В трехэлементном соединении позицию **a** могут занять фонемы აa, ეэ, იi, оo, უu; позицию **b** может занять только фонема ej; позицию **C** в пределах одной морфемы занимают фонемы აa, ეэ, იi; на стыке же морфем могут оказаться и оo, უu.

Четырехэлементные соединения гласных в пределах одной морфемы построены по типу трехэлементных, позицию **d** могут занять только фонемы აa, იi.

Соединения гласных из пяти элементов соблюдают строгий порядок: позицию a занимают фонемы აa, იi; позицию **b** может занять только фонема ej; позицию **C** занимают фонемы აa, ეэ, იi; позицию **d**—ej ‖ იi; позицию e может занять только фонема იi.

В двухэлементных комплексах гласные сочетаются в определенном порядке, учитывая степень раствора (открытости): открытый+ +закрытый, закрытый+открытый (преимущественно на стыке морфем) и комплексы гласных одинакового раствора. Двухэлементные соединения гласных часто образуют дифтонги.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კიზირია

უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაცია ჭანურის ათინურ კილოკავში

ყოველ ენაში მუდმივად მოქმედებენ პროცესები, რომლებიც მის ცვალებადობას იწვევენ. იცვლება ენის ლექსიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ფონეტიკა.

შევეხებით ჭანურის ფონეტიკურ სფეროში მოქმედ ერთ-ერთ ცვლილებას, კერძოდ აფრიკატიზაციას. აფრიკატიზაცია გულისხმობს ერთი რომელიმე ბგერის შეცვლას აფრიკატით. აფრიკატიზაციის ერთ-ერთი მოვლენაა უკანაენისმიერ **გ, ქ, კ** ხშულთა შეცვლა პოსტალვეოლარული ჯ, ჩ, ჭ ბგერებით.

უკანაენისმიერი ხშულის შეცვლა პოსტალვეოლარული აფრიკატით ბუნებრივია ბევრი ენისათვის, მაგ., გავრცელებულია ინდოევროპულ ენებში, სემიტურ ენებში, თურქულ ენებში.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ქართველურ ენებში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აფრიკატიზაციის პროცესი ქართველურ ენებში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ი. ქობალავა, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის საკითხებს იბერიულ-კავკასიურ ენებში, აღნიშნავს: „ქართველურ ენებში ამ პროცესს ფართო გავრცელება არ მოუპოვებია და შესაძლებელია, ის თავიდანვე მხოლოდ დიალექტური მოვლენა ყოფილიყო“[1]. იქვე ავტორი შენიშნავს, რომ უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაცია აღინიშნება სვანურში (ამჟამად ნაწილობრივ ცოცხალია ლახამულურ კილოკავში) და ჭანურის ათინურ კილოკავში. როგორც ავტორს მიაჩნია, „შედარებით ძველი ჩანს უკანაენისმიერთა აფრიკატიზაცია სვანურში. ყველაზე ახალია ეს პროცესი ჭანურში, სადაც იგი თითქმის ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს“[2]. უკანაენისმიერთა აფრიკატიზაციის მოქმედების კვალს პოულობს ი. ქობალავა ქართულშიც, მაგ., სერგი→სერჯი, ქერქეტი→ჩერჩეტი, ფხაკუნი→ფხაჭუნი. საინტერესოა კიდ→ჭიდ შესატყვისობაც — მოეკიდა, კიდია, წაეკიდნენ, მაგრამ წაეჭიდნენ, ჭიდილი, სამჭედური[3].

ქართველურ ენებში უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაციას ეხება ს. ჟღენტიც და აღნიშნავს, რომ აფრიკატიზაცია სვანურში და ჭანურის ათინურ კილოკავში შეიძლება ერთი რიგის მოვლენებად ჩაითვალოს[4].

ჭანურის ათინურ კილოკავში არსებულ აფრიკატიზაციას ეხება ა. ჩიქო-

---

[1] ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX—X, თბილისი, 1958, გვ. 70.

[2] იქვე, გვ. 70.

[3] იქვე, გვ. 69.

[4] ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 174; ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 111—112.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზავა და აღნიშნავს, რომ ათინურში შეიმჩნევა უკანაენისმიერთა პალატალიზაცია მომდევნო **ე**, **ი**-ს გავლენით[5].

გ ბგერის **ჯ** ბგერად ქცევის შემთხვევებს ქართველურ ენებში ეხება ა. შანიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ „ქართულში არა გვაქვს შემთხვევები, რომ **გ** ბგერა **ჯ**-დ ქცეულიყოს"[6]. ავტორის ცნობით, ძველ ქართულში არსებული საკუთარი სახელები, რომელთაც **გ**-ს ნაცვლად **ჯ** აქვთ (სერგი→სერჯი, გერასიმე→ჯერასიმე), არაბულიდან ნასესხები ფორმებია[7].

ქართველი მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აფრიკატიზაციის საფუძველი ქართველურ ენებში ხშულთა მომდევნო პალატალურ ხმოვანთა გავლენაა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაციის შემთხვევები აღინიშნება ჭანურის ათინურ კილოკავში. აფრიკატიზაცია მოსდის **გ**, **ქ**, **კ** თანხმოვნებს წინა რიგის **ი**, **ე** ხმოვნების და **ჲ**-ის წინ. აფრიკატიზაციის პროცესი აღინიშნება როგორც ჭანურ, ასევე ნასესხებ სიტყვებშიც. განვიხილავთ ცალ-ცალკე აფრიკატიზაციის შემთხვევებს ჯერ ჭანურ, ხოლო შემდეგ ნასესხებ მასალაში[8].

I. ჭანური სიტყვები. გ ბგერის აფრიკატიზაციის შემთხვევები:

1. ჯენი — ხბო. ეს სიტყვა ჭანურის ხოფურსა და ვიწურ-არქაბულ კილოკავებში გვხვდება მხოლოდ გენი ფორმით, ათინურში კი არის ორივე ფორმა — გენი და ჯენი. **გ** ბგერის აფრიკატიზაციას იწვევს მომდევნო **ე** ხმოვანი, რომელიც წინა რიგისაა და ამიტომ წინ გადასწევს **გ** ბგერის არტიკულაციას.

2. ბაჯენი — სასიმინდე. ამ სიტყვაშიც მომდევნო **ე** ხმოვნის გავლენით **გ** ბგერის აფრიკატიზაციასთან გვაქვს საქმე. ათინურში დასტურდება ბაგენი ფორმაც.

3. ჯენდღანი — ზეგ. ათინურში ეს სიტყვაც ორი ფორმით გვხვდება გენდღანი და ჯენდღანი. აფრიკატიზაციას იწვევს **გ** ბგერის მომდევნო **ე** ხმოვანი.

4. ბერჯი — თოხი. ამ სიტყვაში აფრიკატიზაციას იწვევს **ი** ხმოვანი. ათინურში დასტურდება ბერგი ფორმაც.

5. ჯარი — საჭმელი. ათინურში არის ამ სიტყვის პარალელური ფორმაც — გჲარი. აფრიკატიზაცია ხდება **ჲ**-ის გავლენით.

6. მჯვერი — მგელი. ამის პარალელური ფორმაა მგეი. ა. ჩიქობავა ფიქრობს, რომ **ე** ხმოვნის გავლენით **გ** გადავიდა **ჯ**-ში, ხოლო **ვ** ბგერა შემდეგ განვითარდა[9].

7. ქოჯეხთუ — ჩავიდა, დავიდა. გვხვდება ქოგეხთუ ფორმი-

---

[5] ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 26—28.

[6] ა. შანიძე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში. აკადემიის მოამბე, 1960, № 2, გვ. 226.

[7] იქვე, გვ. 226.

[8] მასალა ძირითადად შეგროვებულია ა. ჩიქობავას მიერ გამოცემული ათინური ტექსტებიდან, რომელიც ახლავს გამოკვლევას „ჭანურის გრამატიკული ანალიზი". გამოყენებულია აგრეთვე ი. ყიფშიძის „ჭანური ტექსტები" და ნ. მარის «Чанско-русский словарь» (Грамматика чанского (лазского) языка).

[9] ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც. ამ სიტყვაში აფრიკატიზაცია განიცადა პრევერბისეულმა **გ** ბგერამ მომდევნო **ე** ხმოვნის გავლენით.

8. ჯეხედუ — შეჯდა, დაჯდა. დასტურდება პარალელური ფორმაც — გეხედუ. ამ სიტყვაში, ისევე როგორც ზემოთ, აფრიკატიზაცია მოუვიდა პრევერბისეულ **გ** ბგერას.

9. ჯეკუცხუ — გაიღვიძა. შეგვხვდა მეორე ფორმაც — გეკუცხუ. ამ სიტყვაშიც პრევერბისეული **გ** გადავიდა **ჯ** ბგერაში.

10. ჯევოჭარე — დავიწყებ. პარალელური ფორმაა გევოჭარე. **ე** ხმოვანმა **გ** ბგერა **ჯ**-დ გადააქცია.

11. ქოჯებდგი — შევდგი. გვხვდება ქოგჲებდგი ფორმითაც. აქ აშკარაა, რომ **ე** ხმოვნის გავლენით პალატალიზაცია განიცადა პრევერბისეულმა **გ** თანხმოვანმა, რისი მაჩვენებელიცაა **ჲ**. **ჯ** ბგერად ქცევა მომდევნო საფეხურია. ე. ი. მოხდა ასეთი პროცესი — ქოგებდგი→ქოგჲებდგი→ქოჯებდგი.

12. ქოჯევობლით — შევაგროვეთ. ამ სიტყვის პარალელური ფორმაა ქოგჲევობლით. აქაც, ისევე როგორც ზემოთ, **გ** ბგერა პალატალიზდება **ე** ხმოვნის გავლენით.

13. ქოჯჲოჯინეს — დააწვინეს. დასტურდება ქოგჲოჯინეს ფორმითაც. აქაც აფრიკატიზაცია პრევერბისეულ **გ** ბგერას მოსდის, პირვანდელი ფორმა უნდა იყოს ქოგეოჯინეს. **ეო** მიმდევრობამ მოგვცა **იო**, ამის შემდეგ **ი** კიდევ უფრო დავიწროვდა და იქცა **ჲ**-ად, რამაც მოახდინა **გ** ბგერის აფრიკატიზაცია. **ჯ**-ს მომდევნო **ჲ** მიუთითებს **ჯ** ბგერის უკიდურესად დარბილებაზე.

14. ჯჲობუნ — კიდია. შეგვხვდა გჲობუნ ფორმითაც. პირვანდელი ფორმაა გეობუნ, სადაც **გე** პრევერბია. **ეო** მიმდევრობაში, ისევე როგორც წინა მაგალითში, **ეო**-მ მოგვცა **იო**, შემდეგ **ჲ**.

15. ჯოლუ — ჩამოვარდა. პარალელური ფორმაა გჲოლუ. აფრიკატიზაციის პროცესი ასეთი უნდა ყოფილიყო: გეოლუ→გიოლუ→გჲოლუ→ჯოლუ.

16. ჯულუნ — გადის. პარალელური ფორმაა გჲულუნ. ამ სიტყვის პირვანდელი სახეა გეულუნ. **ეუ** მიმდევრობა გადავიდა **იუ**-ში, შემდეგ კი **ი**-სგან მივიღეთ **ჲ**, ე. ი. ასეთი ცვალებადობაა: გეულუნ→გიულუნ→გჲულუნ→ჯულუნ.

17. იჯიბენ — იხარშება. გვხვდება იგიბენ სიტყვაც. აფრიკატიზაცია გამოიწვია **გ** ბგერის მომდევნო **ი** ხმოვანმა.

კ ბგერის აფრიკატიზაციის შემთხვევები:

1. თოჭი — თოკი. პარალელურად გვხვდება ორივე ფორმა — თოჭი და თოკი. აფრიკატიზაცია გამოიწვია კ ბგერის მომდევნო **ი** ხმოვანმა.

2. ლაჭი — ლეკვი. დადასტურდა ლაკი ფორმაც.

3. ჭიბრი — კბილი. ათინურში ეს სიტყვა შეგვხვდა კიბრი ფორმითაც.

4. ბულეჭი — ბოლოკი. ნ. მარს დადასტურებული აქვს ბულეკი ფორმაც[10].

---

[10] Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматьею и словарем, С.-Петербург, 1910, გვ. 132.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. ჭაფუ-ტურა. ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში არის მხოლოდ მკჲაფუ ფორმა, რომელიც ათინურშიც გვხვდება. აფრიკატიზაცია გამოწვეულია კ ბგერის მომდევნო ჲ-ით.

6. ბიჭითხი—ვიკითხავ. შეგვხვდა ბიკითხი ფორმაც. კ გააფრიკატდა მომდევნო ი ხმოვნის გავლენით.

ჩვენს მასალაში ჭანურ სიტყვებში არსად დადასტურდა ქ→ჩ, მაგრამ ეს მასალის სიმცირით უნდა აიხსნებოდეს, რადგანაც ეს გადასვლა ნასესხებ სიტყვებში სრულიად ბუნებრივი ჩანს. ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი.

II. ნასესხები სიტყვები. გ ბგერის აფრიკატიზაციის შემთხვევები:

1. ჯემიჯი—მეზღვაური. ნასესხებია თურქული ენიდან. სალიტერატურო თურქულში არის **gemici**. ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს გემიჯი ფორმაც[11].

2. ჯენჯი—ახალგაზრდა. ნასესხებია თურქულიდან. სალიტერატურო თურქულში ეს სიტყვა წარმოდგენილია genç ფორმით.

3. ჯერი—უკან. შეგვხვდა გერი ფორმაც. სალიტერატურო თურქულში geri იმავე მნიშვნელობის მატარებელია.

4. ჯული—ვარდი. თურქულის გზით შემოსული სპარსული სიტყვაა. სალიტერატურო თურქულში არის gül ფორმა.

5. ჯურჯეფე—ქართველები. ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს გურჯეფე ფორმაც[12]. სალიტერატურო თურქულში გვაქვს gürcü—ქართველი.

6. ჯჲუნახ—ცოდვა. თურქულის გზით შემოსული სპარსული სიტყვაა. სალიტერატურო თურქულში გვხვდება günah ფორმა.

7. ჯჲაური—ურწმუნო. ი. ყიფშიძეს დასახელებული აქვს გჲაური ფორმაც[13]. სალიტერატურო თურქულში არის gâvur. ამ სიტყვაში g ბგერა რბილია, რადგანაც მას მოსდევს â ბგერა, რომელიც თურქულში იწვევს g, k, l ბგერების დარბილებას[14]. ამიტომ g ბგერის გააფრიკატება ამ სიტყვაში ბუნებრივია.

ქ ბგერის აფრიკატიზაციის შემთხვევები:

1. თილჩი—მელა. სალიტერატურო თურქულში გვაქვს tilki.

2. ჩირფითი—წამწამი. სალიტერატურო თურქულში არის kirpik ფორმა.

3. ჩითაბი—წიგნი. ეს არის თურქულის გზით შემოსული არაბული სიტყვა. სალიტერატურო თურქულში იგი წარმოითქმის რბილი k-თი—kitap.

4. ჩინარი—ნაპირი, ბოლო. ეს არის სპარსული სიტყვა, რომელიც თურქულიდან ისესხა ათინურმა. სალიტერატურო თურქულში იგი გვხვდება kenar ფორმით.

5. ...ჩი—...რომ. თურქულიდან შემოსული სპარსული სიტყვაა. ათინურში ქი ფორმითაც დადასტურდა. სალიტერატურო თურქულში არის ki ფორმით.

---

[11] ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფილისი, 1939, გვ. 90.

[12] იქვე, გვ. 73.

[13] იქვე, გვ. 90.

[14] თურქულში ამავე ბგერებს არბილებს û ბგერაც, რომელიც გრაფიკულად იმავე ნიშნით (∧) არის წარმოდგენილი. А. Н. Кононов, Грамматика современного турецкого литературного языка, М.—Л., 1956, გვ. 23, 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ბეჩი—მგონი. სალიტერატურო თურქულში ეს სიტყვა შევიდა სპარსულიდან და მიიღო belki ფორმა.

7. ლაჩინ—მაგრამ. არაბული სიტყვაა. სალიტერატურო თურქულში შევიდა lâkin ფორმით.

8. ჩეფი-მხიარულება, წვეულება, ქეიფი. არაბულიდან შესული სიტყვაა თურქულში. სალიტერატურო თურქულში გამოითქმის keyif.

9. ჩენდი—თვითონ, თავისი. სალიტერატურო თურქულში გვაქვს kendi ფორმით.

10. თენეჩე—თუნუქი. სალიტერატურო თურქულში გვხვდება teneke ფორმით.

11. ჩელი—ქეცი. სალიტერატურო თურქულში გვხვდება kel ფორმით. ათინურში პარალელურად დასტურდება ქელი ფორმაც.

12. ჩჲომური—ნახშირი. სალიტერატურო თურქულში გვაქვს kömür.

13. ჩოჲ, ჩჲოი—სოფელი. სალიტერატურო თურქულში არის köy.

14. ჩოკი—ძირი, ფესვი. სალიტერატურო თურქულში დასტურდება kök ფორმით.

15. ჩჲორი—ბრმა. სალიტერატურო თურქულში გვაქვს ამ სიტყვის kör ფორმა.

16. ალეჲჩუმ სელამ—მისალმება. არაბულიდან თურქულის გზით შემოსული სიტყვაა. სალიტერატურო თურქულში გამოითქმის aleyküm selâm. ამ ფორმითაც დასტურდება ათინურში ეს სიტყვა.

17. ჩუფი—სურა. სალიტერატურო თურქულში გვაქვს ამ სიტყვის küp ფორმა.

18. ჩაღეთი—ქაღალდი. ეს არის სპარსული სიტყვა, რომელიც თურქულში შევიდა kâğıt ფორმით. a-ს წინ თურქულში k რბილად წარმოითქმის.

19. თუჩჲანი—დუქანი. ეს სიტყვა არაბულიდან შევიდა თურქულში და სალიტერატურო თურქულში მიიღო dükkân ფორმა.

20. ჰეჩჲაე—ამბავი. ეს სიტყვაც არაბულიდან აქვს ნასესხები თურქულს. სალიტერატურო თურქულში იგი არის hikâye ფორმით.

21. ჰუჩუმეთი—ხელისუფლება. ათინურმა ეს სიტყვა ისესხა თურქულიდან. თურქულში იგი შესულია არაბულიდან და მისი სალიტერატურო ფორმაა hükûmet.

კ ბგერის აფრიკატიზაციის შემთხვევა: ჩვენს მასალაში დადასტურდა ერთადერთი შემთხვევა კ ბგერის აფრიკატიზაციისა ნასესხებ სიტყვებში. ეს არის მუსტაჭი—ულვაშები (პარალელურად არის მუსტაკი ფორმაც), რომელიც ბერძნულიდან არის ნასესხები. ასეთი ფორმების თურქულიდან სესხება მოსალოდნელი არ არის, რადგანაც კ ბგერა აბრუპტივია და მას თურქულში შეიძლება შეესატყვისოს მაგარი k, რომელიც მხოლოდ უკანა რიგის ხმოვნების წინ გვხვდება. ამ პოზიციაში კი არც ათინურში და არც თურქულში პალატალიზაცია არ ხდება. მაგ., თურქულიდან არის შემოსული სიტყვები კისმეთი—ბედი (არაბულიდანაა ნასესხები თურქულში) და ჲაკინ—ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ო ს . სალიტერატურო თურქულში ეს სიტყვები გამოითქმის შემდეგნაირად: kısmet და yakın. ორივე სიტყვაში k მაგარია, რადგანაც მოსდევს უკანა რიგის ı. ამიტომაც არ ხდება ამ და ამგვარ სიტყვებში აფრიკატიზაცია.

როგორც მოცემული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, აფრიკატიზაცია ხდება მხოლოდ წინა რიგის ხმოვანთა და ə-ის წინ. აფრიკატიზაცია ხდება ჭანურ სიტყვებშიც და ნასესხებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ათინურში აფრიკატიზაციის პროცესი არ არის დამთავრებული. ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ერთმანეთის გვერდით პარალელურად ერთსა და იმავე მთქმელთან გვხვდება როგორც ძირითადი, ასევე აფრიკატიზებული ფორმებიც. ნასესხებ სიტყვებში პარალელური ფორმები ნაკლებია, უფრო მეტად აფრიკატიზებული ჭარბობს.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაცია ქართველური ენებისათვის ძირითადად არ არის დამახასიათებელი. უცხოა იგი ჭანურის ორი კილოკავისათვისაც. ახლა ყალიბდება აფრიკატიზაცია ჭანურის ათინურ კილოკავში. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, ხომ არ არის აქ უცხო ენის გავლენა, კერძოდ, თურქულ ენას ვგულისხმობთ. საერთოდ თურქული ენებისათვის და თურქული ენის ზოგი დიალექტისათვის ეს პროცესი ბუნებრივია. ნათქვამი რომ უფრო გასაგები გახდეს, შევეხებით თურქული ენის ფონეტიკის ზოგიერთ საკითხს. როგორც ცნობილია, თურქულ ენაში უკანაენისმიერი ხშულებია მაგარი **g** და **k** (მაგ., სიტყვებში **gaga**— ნ ი ს კ ა რ ტ ი, **gubat**— უ ხ ე შ ი, **kadin**—ქ ა ლ ი, **kız**—ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი) და რბილი **g** და **k** (მაგ. სიტყვებში **gün**—დ ღ ე, **zengin**—მ დ ი დ ა რ ი, **öküz**—ხ ა რ ი, **köpek**—ძ ა ღ ლ ი). მაგარი **g** და **k** გვხვდება უკანა რიგის ხმოვნების (**a, ı, o, u**) წინ, ხოლო რბილი **g** და **k**— წინა რიგის ხმოვნების (e, i, ö, ü,) წინ. წინა რიგის ხმოვნების წინ რბილი ხშულები თურქულში იმდენად პალატალიზდებიან, რომ პოსტალვეოლარულ აფრიკატებად იქცევიან ხოლმე. ზემოთ დასახელებული თურქული მაგალითები ასეთ სახეს მიიღებენ: **cün, zencin, öçüz, çöpek**. უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაცია ფართოდ არის გავრცელებული თურქული ენის რიზესა და არზრუმის დიალექტებში[15]. ტერიტორიულად ეს დიალექტები ახლოსაა ათინურ კილოკავთან. ამიტომ, რასაკვირველია, ამ დიალექტების გავლენა ათინურზე მოსალოდნელია. საერთოდ, ცნობილია, რომ ჭანურის ყველა კილოკავი განიცდის თურქული ენის დიდ გავლენას. განსაკუთრებით ეს ჩანს ჭანურის ლექსიკაში, სადაც თურქიზმები მრავლად გვხვდება. ს. ჟიქიამ შეამჩნია საინტერესო მოვლენები სინტაქსში, სადაც წინადადებების თურქული წარმოება აღინიშნა[16]. უკანაენისმიერ ხშულთა გააფრიკატება კი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ჭანურის ათინურმა კილოკავმა თურქულიდან შეითვისა და გამოიყენა ფონეტიკური პროცესი, რომელიც სრულიად უცხოა ჭანურის სხვა კილოკავებისათვის.

ამგვარად, ჭანურის ათინურ კილოკავში არსებული აფრიკატიზაცია და სვანურსა და ქართულში დადასტურებული აფრიკატიზაციის შემთხვევები ერთი წარმოშობის მოვლენებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

---

[15] ეს ცნობა მოგვაწოდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა თურქოლოგმა ელისაბედ გუდიაშვილმა.

[16] ს. ჟ ი ქ ი ა, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, კრებული „ორიონი, აკაკი შანიძეს“, თბილისი, 1967.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. А. КИЗИРИА

АФФРИКАТИЗАЦИЯ ЗАДНЕЯЗЫЧНЫХ СМЫЧНЫХ СОГЛАСНЫХ В АТИНСКОМ ГОВОРЕ ЧАНСКОГО ДИАЛЕКТА ЗАНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

В атинском говоре чанского диалекта занского языка наблюдается переход заднеязычных смычных согласных (გ g, ქ k, კ ḳ) в постальвеолярные аффрикаты (ჯ ǯ, ჩ č, ჭ č̣) перед ჲ j и гласными переднего ряда ი i, ე e. Видимо, этот процесс в атинском говоре ещё не закончен. На это указывает тот факт, что в этом говоре встречаются как исходные, так и аффрикатизированные формы.

Аффрикатизация заднеязычных смычных согласных не наблюдается ни в остальных говорах чанского диалекта (хопском, вице-аркабском), ни в других диалектах картвельских языков. Данный процесс весьма распространен в диалектах турецкого языка, в частности, в диалектах Ризе и Ерзерума, примыкающих территориально к атинскому говору. Возможно, аффрикатизация заднеязычных смычных согласных в атинском говоре является результатом влияния турецкого языка.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ რობაქიძე

ტერმინი 'იბდა̄ლ-ი ზამახშარისეული ინტერპრეტაციით

'იბდა̄ლ-ი ძველი არაბი გრამატიკოსების მიხედვით არის ერთი თანხმოვნის შენაცვლება მეორეთი ერთსა და იმავე სიტყვაში[1].

ეს მოვლენა ძველთაგანვე შეიმჩნევა არაბულ ენაში და იგი ჯერ კიდევ ისლამამდელ არაბულში იყო შენიშნული. როგორც 'აბუ ტა̣ყიბი ამბობს, 'იბდა̄ლ-ი დამახასიათებელია არაბებისათვის. იგი წარმოადგენს ენის განვითარების ერთ-ერთ ფაქტორს და არის ასახვა სოციალური, რელიგიური და ეკონომიური წინაპირობებისა[2]. ამ მოვლენამ ფართო გამოხმაურება პოვა ყურანში, რის გამოც ბგერათმონაცვლეობის მრავალი ფორმა ნორმად იქცა არაბული ენისათვის.

მე-12 საუკუნის ცნობილი არაბი გრამატიკოსი ზამახშარი გვერდს ვერ უვლის ამ მოვლენას და თავისი ნაშრომის «al-Mufaṣṣal» მე-4 თავში საკმაოდ დეტალურად ჩამოთვლის ბგერათმონაცვლეობის მაგალითებს[3]. ზამახშარი მონაცვლე ბგერათა რიცხვს განაკუთვნებს 15 თანხმოვანს, მაშინ როდესაც სხვები ასეთად მხოლოდ 11 ითვლიან. ესენია როგორც ე. წ. დანამატი, ანუ არაძირეული თანხმოვნები (ḥurūfu-z-ziyādati), ისე ძირეული თანხმოვნები: ტა̄, და̄ლ, ჯი̄მ, სა̣̄დ, ზა̄. ყველა ამ თანხმოვანს იგი თავს უყრის ერთ წინადადებაში: 'istanğadahu yawma ṣāla zuṭṭun (მან სთხოვა დახმარება იმ დღეს, როდესაც თავს დაესხნენ ბოშები). მონაცვლე ბგერათა ესოდენი სიმრავლე ზამახშარისთან განაპირობა იმან, რომ მას აქვს მოყვანილი მონაცვლეობის ისეთი შემთხვევები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ ცალკეულ სიტყვებში, მაგ. 'usaylālun<'usaylānun, tamīmīyun>tamīğun[4], რაც თავისთავად კიდევ ერთხელ მოწმობს არაბი გრამატიკოსის მიერ მოწოდებული და გაანალიზებული მასალის სრულყოფილებას.

ზამახშარის მიხედვით, 'იბდა̄ლ-ი სამი ტიპისაა: 1. wuğūhun>'uğūhun, 2. 'arāqa >harāqa, 3. hal lā fa' alta ან, 'alā fa 'alta.

პირველ ტიპში: wuğūhun>'uğūhun ადგილი აქვს ვა̄ვის შეცვლას ჰამზით დისიმილაციის შედეგად. ამდენად ავტორი აქ გულისხმობს მონაცვლეობას, რომელიც **წარმოქმნილია ფონეტიკურ ნიადაგზე.**

მეორე ტიპში: arāqa>harāqa ჰამზას ენაცვლება ჰა̄, რომელიც თავისთავად ძირეულს კი არ წარმოადგენს, არამედ ძველი სემიტურის კაუზატივის გაქვავებული პრეფიქსია. ამდენად ადგილი აქვს ისტორიულ-სპონტანურ ბგერათმონაცვლეობას და ავტორი ამ ტიპში **სპონტანურ ცვლილებებს** ვარაუდობს.

---

[1] Ibn J a' ī š, Commentar zu Zamachšari's Mufaṣṣal, hrsg. von G. Jahn, Leipzig, 1886, B. II, გვ. 1206.

[2] Ḳitābu-l-'ibdāli-l- 'imāmi-l-'allāmati ḥuğğati-l-'arabi Abī-ṭ-ṭayyibi 'Abdi-l-Wāḥidi bni 'Alī-l-Luğawī, Dimašq, 1960, გვ. 4.

[3] Z a m a ḫ s a r i Maḥmūd b. 'Omar al-Mufaṣṣal, Qahira 1905, გვ. 360-374.

[4] Г и р г а с В. Ф., Очерк грамматической системы арабов, Спб., 1873, გვ. 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ს ა მ ე ტ ი პ ი ს hal lā fa'alta: 'alā fa'alta შემთხვევაში სულერთია ვიტყვით hal lā თუ 'alā — ორივე ნაწილაკს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, ორივე გამოხატავს შეკითხვას, ორივე იხმარება ენაში და ვერ ვიტყვით, რომელია ადრინდელი. ეს წყვილები ერთმანეთისაგან განსხვავდება ბგერითი შედგენილობით, უფრო ზუსტად, განსხვავება ერთ თანხმოვანშია. ამრიგად, მესამე ტიპში ზამახშარი გულისხმობს **წყვილებს, რომელთაც ერთი და იგივე სემანტიკური მნიშვნელობა, მაგრამ განსხვავებული ბგერითი შედგენილობა** აქვთ.

'იბდāლთან დაკავშირებით ზამახშარის მოჰყავს მრავალი მაგალითი. მაგრამ ამ მაგალითებში იგი არ ხსნის, თუ ვერ ხსნის ცვლილებათა მიზეზებს და არ იძლევა მათ შესაბამის კვალიფიკაციასა და კლასიფიკაციას. ავტორის მიერ შერჩეული მაგალითები იძლევიან იმის საფუძველს, რომ მის მიერ ხმარებული ტერმინი 'იბდāლ-ალ-ჰურūფ ჩავთვალოთ ფონეტიკური მოვლენების გამოსახატავ ტექნიკურ ტერმინად. ხოლო რაც შეეხება ზამახშარის მიერ მოძიებულ და ტრაქტატში მოტანილ მასალას, სათანადო ანალიზის შედეგად ჩვენ შესაძლებლად მივიჩნევთ მის დაჯგუფებას შემდეგნაირად:

I. **ბგერათმონაცვლეობა, რომელიც განპირობებულია მონაცვლე ბგერათა ფონეტიკური პოზიციით.** აქ აღინიშნება შემდეგი ფონეტიკური მოვლენები:

1. ასიმილაცია:

ა) პროგრესული, ნაწილობრივი (მე-8 თემაში):t>ṭ: 'iṣtabara>'iṣṭabara, t>d: 'iztağara>'izdağara, 'iğtama'a>'iğdama'a.

ბ) რეგრესული, ნაწილობრივი: ṣ<z: fuṣda<fuzda, s>ṣ: yusāqūna>yuṣāqū-na saḫḫara>saḫḫara, s>z: yasdulu>yazdulu, n>m: 'anbarun>'ambarun.

გ) სუსტ თანხმოვანთა ასიმილაცია: wa>ā: qawala>qāla, ya>a: baya'a >bā'a, w>y:miwqātun >mīqāīun; gāziwatun >gāziyatun; 'inqiwādun> inqiyādun; y>w:bayṭara>būṭira.

დ) სრული კონტაქტური (მე-8 თემაში): w>t: 'iwtaṣala>'ittaṣala; 'iw-ta'ada>'itta'ada Y>t: 'ītasara>'ittasara, ḍ>t: 'iḍḍağa'a<'iḍtağa'a

2. დისიმილაცია: áá>'ā: 'a'adamu>'ādamu, w>': 'adwurun>'ad' urun; wawāṣilu> awāṣilu; wuwayṣilun>'uwayṣilun; qāwilun>qā'ilun, y>': 'sāyirun>sā'irun, l>n: la'alla>la'anna, w>y: 'aṣan ('ŚW) > 'uṣīyun.

3.სუბსტიტუცია: w>': wisādatun>'isādatun.

4. სინკოპე და კვეცა: 'arānibu>'arāni; ta'ālibu>ta'ālī.

5. ჰაპლოლოგია: 'annāsu< al'unāsu

II. **სპონტანური ბგერათმონაცვლეობა:** ' >h: -'araqa> haraqa; 'anara hanara; 'araḥa<haraḥa, b>t: ḏa'ālibu>ḏa'ālitu, '>' : 'ubābun> 'ubābun, yy> ğ: fuqaymiyyun>fuqaymiğun.

კომბინატორულ-შეპირობებულს, თუ სპონტანურ ბგერათმონაცვლეობას შესაძლებელია უკავშირდებოდეს გრამატიკული განმასხვავებლობის ფუნქცია:

1. მონაცვლეობა ხდება ორთანხმოვნიან სახელურ ძირში, მაგ: მხ. ibnun მრ. banūna, მხ. bintun — მრ. banātun.

2. mif'āl და fi'āl ტიპით ნაწარმოები სახელების მრავლობითში, მაგ.: მხ. dīwānun> — მრ. dawāwīnu; მხ. miftāḥun — მრ.>mafātiḥu

3. ნისბის ფორმებში: 'abdu šamsin > 'abšamīyun; ṭayyun > ṭā' ilyun.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ორობით რიცხვში: 'abun>'abawāni.

5. კნინობითში: wādimun>'uwaydimun; ḍāribun>ḍuwayribun.

6. პირველი ჳაჳიანი ზმნების იმპერფექტში: waṣala>yeṣilu; wağila > yawğalu.

7. სქესში: მაგ., მამრ. kilā — მდ. kiltā, მამრ. 'iṯnāni — მდ. ṯintāni, მამრ. 'aẖun — uẖtun.

ფერისა და ფიზიკური ნაკლის აღმნიშვნელ სახელებში: მამრ. 'aḥmaru: — მდ. ḥamrā'u.

III. **არაკანონზომიერი ბგერათმონაცვლეობა**, რომელსაც ადგილი აქვს ცალკეულ პირთა მეტყველებაში და პოეზიაში. ასე მაგალითად, ალ'აჯა̄ჯი ალიფის მაგივრად ჰამზით წარმოთქვამს: 'al'a'limu; 'alẖa'timu, ალ-მაზინი ნორმად თვლის ჲოტის შენაცვლებას ჰამზით შემდეგ სიტყვებში: yalalun > 'alalun, yadayhi>'adayhi (დისიმილაცია). არაკანონზომიერი ბგერათმონაცვლეობა გვაქვს პოეზიაშიც: მაგ., დისიმილაციის შედეგად: banānun>banāmun; baẖrun>>maẖrun; nuġabun>nuġamun ანდა სპონტანური—luṣūṣun>luṣūtun; nāsun>nātun; 'akyāsun>'akyātun; ḍafādi'u>ḍafādiy.

Н. И. РОБАКИДЗЕ

ТЕРМИН 'ИБДА̄Л В ИНТЕРПРЕТАЦИИ ЗАМАХШАРИ

Резюме

Согласно старым арабским грамматистам 'ибда̄л подразумевает замену в одном и том же слове одного согласного другим. Это явление издревле отмечалось в арабском языке и было засвидетельствовано еще в доисламской эпохе. Известный арабский грамматик XII в. Замахшари также касается данного вопроса и в четвертой главе своего трактата «ал-муфаṣṣал» приводит немало случаев чередования звуков. Однако в этих примерах он не объясняет причин этих изменений и не дает их соответствующей квалификации и классификации.

В результате специального анализа всех случаев чередования, приведенных Замахшари, мы попытались дать характеристику этого материала и классифицировать его следующим образом.

I. Чередование звуков, которое определяется фонетической позицией чередующихся звуков. Здесь отмечаются следующие фонетические явления: 1. ассимиляция, 2. диссимиляция, 3. субституция, 4. синкопэ, 5. гаплология.

II. Чередование спонтанное.

III. Чередование незакономерное.

Подобранные Замахшари примеры дают нам основание употребленный им термин 'ибда̄л ал-ẖурӯф считать техническим термином для выражения фонетических явлений.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ю. В. ЗЫЦАРЬ

О НАЗВАНИЯХ РАБА, СЛУГИ И Т. П. В КАРТВЕЛЬСКИХ И БАСКСКОМ ЯЗЫКАХ

В настоящем издании молодой абхазский лингвист В. А. Чирикба публикует свою статью «Общекавказское lag, lah «раб», «мужчина», к которой я считаю целесообразным сделать несколько дополнений[1]. Предварительно отмечу, что эта статья является первой печатной работой В. А. Чирикба, который, будучи еще школьником, обращался ко мне с различными вопросами по баскскому языку[2], и уже тогда и на протяжении последующих лет с завидной настойчивостью работал над сравнением кавказских, баскского и др. языков.

Результаты этих своих сравнений в большей их части В. А. Чирикба все еще подвергает, так сказать, «контролю временем», а между тем они, на мой взгляд, тоже заслуживают опубликования. И они достаточно серьезны, чтобы на их автора могла, в частности, возлагать свои надежды все более определяющаяся баскско-кавказская сравнительно-сопоставительная лингвистика, которую в ее сопоставительной части сейчас успешно представляет у нас также И. Г. Мачавариани[3].

Мои дополнения будут относиться, в основном, к постановке соответствующих этимологических проблем.

18 ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა, თბ., 1976.

ლო ერთი — ივ. ჯავახიშვილისას[19]. ნ. მარის მიერ გადმოწერილი ორივე ტექსტი შესრულებულია შავი მელნით, ხოლო ჩასწორებული და ჩამატებული ადგილები, აგრეთვე, სავარაუდო წაკითხვები — ბაცი შავი ფანქრით. 28-ე ფურცელზე, ტექსტის წინ ნ. მარის ხელით აწერია: „На южной стене упрощенного вида базилики., грузинской церкви с барельефами. Надпись начинается под самым карнизом“[20].

მაშასადამე, ამჟამად მოგვეპოვება წარწერის ფოტოსურათი და მისი ტექსტის სამი გადმონაწერი. ამ მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე სამადინის წარწერა ასე იკითხება (სურ. 1, 2):

1. [. . . . .] Ⴑ[ႧႱ]ႫႠႧႰ
2. [. . . . .] ႱႨႱႠႫႠႣႨႬ
3. [. . . . .]ႮႠႲႰႭႬႱ
4. [. . . . .] ႾႨႰႭႨႤႡ
5. [. . . . .]:ႷႭႨ:ႴႤႰႨႷ
6. [. . . . .] ႱႠ:ႩႰႤ [. . . . . . .] ႨႷႭ:Ⴋ̃ႱႳႩႠႬ
7. [. . . . .]ႣႨႣႱ:Ⴓ̃ႫႰ{ႧႭႧႠ} : Ⴉ̃Ⴚ{ႧႢ̃}Ⴌ : Ⴛ[– – –]ႬႣႱ[– – –]
8. [. . . . .]:ႠႼႷႤႬႣႤႱႣႠႫ[– – – – – –]ႱႰႣႠႤႫႽႨ
9. [. . . . .] ႫႠႭႿႰ⸤ႤႡ⸥ [– – – –]Ⴄ:ႱႠႫႠႣႨႬႫ̃Ⴌ
10. [. . . . . .]ႤႪ[– – – – – –]Ⴊ[– –] [. . . . .]Ⴑ:ႣႠႹ
11. [. . . . .]ႣႩႤ
12. [. . . . .]
13. [. . . . .]
14. [. . . . .]
15. [. . . . .]ႠႬႨႱႨႧ:ႠႬႳ[. . . . .]
16. [. . . . .][ႧႠႪ]⸢Ⴀ⸣ႰႨ:ႠႬႳ:ႷႠႴႹ̃ႰႨ:ႠႬႳ:ႫႠ[ႪႨ:ႠႬႳ:]ႨႠႫႨ
17. [. . . . . . .]ႠႬႳ : ႬႠႫႠႰႨ : ႣႠ : ႰႠႢႺႠ[ႰႠႢႧႣ]ႬႨႨႰ
18. [. . . . .][Ⴗ]̃Ⴈ:ႴႨႰႨ:ႳႭႷႣႠႫႠႨႱႭႢ̃Ⴌ:ႫႨႨႢႨႫႠႧႨႱ:ႧႠႩ
19. [ႬႢ̃Ⴌ]ႮႠႣႰႠႬႭႠ:ႠႰႢႠႣႠႫႠႩႭႠ:ႵႡႵႱႠ:ႱႨႱႣ
20. ⸢Ⴀ⸣Ⴇ : Ⴍ Ⴈ Ⴍ Ⴐ Ⴈ : Ⴀ Ⴐ Ⴈ Ⴍ Ⴣ Ⴌ Ⴌ Ⴌ:ႧႠႣႠႫႠႠႫႬႢႷႢႧႬႬ
21. [Ⴟ]ႨႡႨ႟ႧႨႱႭႠႦႱႠ[ႮႠ]⸢Ⴃ⸣Ⴐ⸢Ⴌ⸣ႬႨႬႠႣႬႬ : ႦႨႭႠ႟ႱႨႫ
22. [ႨႢ]ႨႱ:ႦႨႢႠႨႱႨႸႨႢ[Ⴆ]⸢Ⴀ⸣ႡႬႱႩ̃ႰႡႨႠႱႠႣ[ႡႭႠႫႭႠႧႠႫႱႭႠ]
23. [႟ႧႭႠ]⸤Ⴋ⸥ႠႧႡႨႭႠ:ႵႰႬႩႬႱႠ:ႴႩ:

[. . .]ს[–]მათ რ|[. . .]სი სამადინ|[. . .][1] პატრონნს | [. . .]ხიროიებ(?) | [. . .] ყო(ველ)იფერი ყ|[. . .]სა კრე[. . .][2] იყო მ(ა)ს უკან[3] | [. . .] დიდს ულმრთოთა კ(ა)ცთაგ(ა)ნ ძ[– – –]ნდს[– – –][5] | [. . .] აწყენდეს და მ[– – – – – – –]სრ და-ემჭი|[როს] [. . .] მაოჴრებ[ელთა[6]; ესე მ]ე[7], სამადინმ(ა)ნ | [. . .] ელ[– – – –]ლ[– –] [. . .]ს და ჩ|[უენ][8] [. . .] [– – – – – –] [. . .დაუმ]ტკი|[ცეთ...] ¦ [. . .] ¦ [. . .]¦[. . .]ანისით, ანუ[9] [. . .]|[ანუ თალ]არი, ანუ[9] ყაფჩ(ე)რი[10], ანუ[9] მა[ლი, ანუ] იამი, | [. . .] ანუ[9] ნამარი და რაჲცა[–რაჲ თჳ]ნიერ | [. . .ისა] ყ(ოველ)ი

[19] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის პირადი საარქივო ფონდი, № 606, ფურც. 28, 30 (ნ. მარის მიერ გადმოწერილი ტექსტი), 26, 27 (ივ. ჯავახიშვილის მიერ გადმოწერილი ტექსტი).

[20] ამ შენიშვნაში დასახელებული ერთ-ერთი, ძალზე დაზიანებული ბარელიეფთაგანი უნდა იყოს წარწერის ცენტრში, ფოტოზე ასახული ქვის უფორმო შვერილი, რომელიც წარწერის მე-9—13 სტრიქონების არეში მოჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერი ბაჟ-ტამღისაგან მიეცემოდეს; და ჩ(უე)|[ნგ(ა)ნ] პატრონთა, არცა ტამღაჩ-თა ქ(ა)ლ(ა)ქ(ი)სა სესხ|ად თეთრი არ ითხოონ და ტამღა ამოჳგდონ; | [წ]ე-ლიწ(ა)დის თავსა [პა]ტრონი ნახონ, ვითა წ(ე)სი(ა) მ|[(ი)ეც]ეს.

ვი(ნ)ცა ეს შეც[ვ]ალოს კრ(უ)ლია სახ[(ელი)თა ღ(მრთისაჲ)თა და მ(ი)ს-თა]|[წ(მიდა)თა] მადლითა.

ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა[11] ფჳ.

1 ან: **„სამადინ|[მ(ა)ნ]“**. 2 შეიძლება: **„კრებ[ული]“**, ან **„კრებ[ულმ(ა)ნ]“**. 3 ჳკან **წრწ.** 4 ჳ˝ლთოთა **წრწ.** 5 [– – –] ნაცვლად „არ დსჭირ“ — ნ. მარი, „ერ“ — ივ. ჯავახიშვილი. 6 ან: **„მაოჴრებ[ელნი]“**. 7 შეიძლება „მე“—. 8 ან: „ჩ|[უენთა]“. 9 ანჳ **წრწ.** 10 ან: **„ყაფჩ(უ)რი“**. 11 ქო-რონიკონსა — პ. მურადიანი.

როგორც ვხედავთ, ტექსტი გაბმით იკითხება წარწერის მხოლოდ მე-15—23 სტრიქონებში. ამ ტექსტის მიხედვით, პატრონი ს ა მ ა დ ი ნ ი იურიდიულ აქტს ასრულებს, ე. ი. საბუთს გასცემს, რომელიც ქალაქის მოსახლეობის, თუ მოსახლეობის ნაწილის, მიერ სესხის, ან გადასახადის გადახდას შეეხება. პატ-რონი სამადინი (*Պարոն Սահմադին*) სომხური ეპიგრაფიკითაც კარგად ცნო-ბილი პირია[21]. სამადინის დაწერილში აღნიშნული ტერმინების ნაწილი — თ ა ღ ა რ ი, ნ ა მ ა რ ი, ბ ა ჟ-ტ ა მ ღ ა, ტ ა მ ღ ა, ტ ა მ ღ ა ჩ ი ქართული საბუთებიდან და საერთოდ წერილობითი ძეგლებიდან მხოლოდ აქ გვხვდე-ბა[22]. ესენი საქართველოსა და ამიერკავკასიაში მონღოლთა ბატონობის დროს (ხოლო ზოგიერთი მათი ბატონობის შემდგომ დროსაც) არსებუ-ლი გადასახადებია. თითოეული მათგანის ქართულ წარწერაში მოხსენიება სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, რისი ადგილიც, ცხადია, აქ არ არის; მაგ-რამ ერთი მაინც უნდა აღინიშნოს: ტ ა მ ღ ა, რომელიც მონღოლთა სახელმწი-ფოს ძირითად გადასახადს და ხაზინის შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარ-მოადგენდა, დაწესდა XIII ს-ის 70-იანი წლებიდან და გაუქმდა მხოლოდ 1565 წელს შაჰ-თამაზის ბრძანებით; მონღოლთა, კერძოდ, ილხანთა სახელ-მწიფოში არაერთხელ იყო ცდა მისი გაუქმებისა („ტამღის ამოგდებისა“)[23], მაგრამ უშედეგოდ. გადაწყვეტილება ერთ-ერთი ასეთი ცდის შესახებ დაუ-ცავს სამადინის 1288 წლის ზემოწარმოდგენილ წარწერასაც, რომელიც საბუ-თის შინაარსს გადმოგვცემს და მისი შემოკლებული ასლი უნდა იყოს.

ანისის ერთ-ერთი ქართული ეკლესიის (ტიგრან ჰონენცის ეკლესია?) ლა-პიდარული და ფრესკული წარწერების შესახებ დ. ბაქრაძემ ჯერ კიდევ 1885 წ. გამოაქვეყნა ცნობა[24], ხოლო თვით წარწერების გადმონაწერები დაცულია მის დღიურში[25]. სამწუხაროდ, ეს მასალა პ. მურადიანისათვის, როგორც ჩანს,

21 შემონახულია მისი ეპიგრაფიკული საბუთები ა ნ ი ს შ ი (Н. О. Э м и н, Армянские надписи в Карсе, Ани и в окрестностях последнего, М., 1881, № 37; **Դիվան հայ վիմագրության, I, Անի քաղաք, կազմեց Հ. Ա. Օ ր բ ե լ ի, Երևան**, 1966, № 75) და მ რ ე ნ შ ი, (Н. О. Э м и н, დასახ. შრომა, № 165; Н. М а р р, Ани, М.-Л., 1934, გვ. 42; И. А. О р б е л и, Надписи Мрена, კრ. **„Հայագիտական հետազոտություններ“, Ա. Երևան**, 1974, გვ. 41—42, № 28.

22 ტ ა მ ღ ა დასტურდება ჟამთააღმწერლის თხზულებაშიც: ქ˝ცა, II, 238[24]; ხოლო ყ ა ფ-ჩ ე რ ი და ს ა ი ა მ ე შიომღვიმის კრებულის დაწერილში გრიგოლ სურამელისადმი (1247—1250 წწ.; იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გამოსცა ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1965, გვ. 44).

23 დაწვრილებით იხ.: რ. კ ი კ ნ ა ძ ე, თამღა ილხანთა სახელმწიფოში, „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 93—100.

24 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გამოც. დ. ზ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ, ტფ., 1885, გვ. 146 (შენ. სქოლიოში).

25 ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, № 32, 79v—80r.

ასევე უცნობი დარჩა. დ. ბაქრაძის ცნობით, ამ ეკლესიაზე მოიპოვება შემდეგი ქართული წარწერები:

1. «Под аркой, в своде, сверху:

ႤႱႤ:ႠႰႱ:ႡႽႤ:Ⴓ̃Ⴢ:ႣႠႫႠႰႧႠႪႬႨ ႸႤ:ႥႪႤႬႠႬ:ႠႫႠႱႸႨႬႠ (80г);

ესე არს ბჭე უ(ფლისა)ჲ და მართალნი შევლენან ამას შინა[26]“ (ფს. 17,20).

2. «На западном фасаде, под углом фронтона на камне крест, выветрившийся. Сохранилась одна лишь форма его:

ძლევის ძალის მომც(ე)მ(ე)ლი.
მეფშ ბ(ა)გრ(ა)ტ, ლ(ი)პ(არი)ტ | მწედ ტ(ი)გრან მ(ე)ფისა.
ქრ(ონიკო)ნი სი (990 წ.)“.

3. «Юж[ный] фас[ад]. Фальшивые ниши в арках. Поля последних трех ниш с армянскими надписями, и скраю:

† ႬႧႤႪႱႸ̃ႬႣ̃Ⴌ — † ნ(ა)თელს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ!“

4. «Внутри; на могиле:

ႤႱႤႱႴႪႥႨႸႠ
ႬႸႤႱႠႫႨႰႾ̃Ⴐ
ႨႱႠႧႡႱႨ:ႸႬႣႬ

ესე საფლავი შა|ნშეს ამირ(ა)ხ(ო)რ|ის, ათ(ა)ბ(აგი)სი; შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ!“.

აქვეა მოყვანილი ფრესკულ გამოსახულებათა ქართული წარწერებიც: **„წ(მიდა)ჲ ი(ოვან)ე“, „[დიო]კლ[ეტიანე]“, „ს(ა)ფლ(ა)ვს დადებ(ა)ჲ“, „გ(ა)რდ(ამ)|ოჴსნ[აჲ]“.**

ასევე გამოტოვებული აქვს პ. მურადიანს, როგორც აღინიშნა, ე. წ. ტიგრან ჰონენცის ეკლესიის XIII ს-ის ერთ-ერთი ქართული წარწერა. წარწერა წარმოადგენს განმარტებას ფრესკისა, რომელზედაც გამოსახულია ტიგრან მეფის მიერ გრიგოლ განმანათლებლის დაკითხვა. ამ ფრესკისა და მისი თანმხლები წარწერის ფოტო გამოცემული აქვს ნ. მარს[27]. წარწერის ტექსტი ასეთია:

[. . .]Ⴜ̃Ⴢ̃ႢႪႼႠႰႨႣႢႨႬႠ:ႢႬႩႨႧႾ
ႥႠႣ

[. . .][წ(მიდა)ჲ] გ(რი)გ(ო)ლ წარიდგინა გ(ა)ნკითხ|ვად.

120 წელზე მეტია, რაც ჩანგლის ეკლესიის ქართული წარწერები ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში. სხვადასხვა დროს ისინი გამოსცეს ნ. სარგისიანმა, მ. ბროსემ, ე. თაყაიშვილმა[28]; ხოლო მათი უკანასკნელი პუბლიკაცია განხორციელებულია პ. მურადიანის მიერ ამ წიგნში (გვ. 65—83, ტაბ. III, სურ. 1—2).

რადგან ჩანგლის ეკლესია და, მაშასადამე, მისი წარწერებიც ამჟამად თურქეთში, ყარსის ვილაიეთშია მოქცეული და შეუძლებელი ჩანს სპეციალისტების მიერ მისი უშუალოდ შესწავლა, მათი შეძლებისდაგვარად სრული

---

[26] ეს წარწერა, სხვა მასალების მიხედვით, გამოცემული აქვს პ. მურადიანსაც (გვ. 61).

[27] Н. Марр, Ани, ტაბ. XLIII, სურ. 188.

[28] ეკლესიის შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილი ვრცელი წარწერის მის მიერ გადაღებული ფოტო ბოლო დროს გამოსცა, აგრეთვე, ჟ. მ. თიერიმ (J. M. Thierry, A propos de quelques monuments chrétiens du vilayet de Kars (Turquie), „Revue des études Arméniennes“, Paris, t. III, 1966, ტაბ. XLII, სურ. 17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლისათვის აუცილებელია ყველა იმ საარქივო მასალის გათვალისწინება, რომელიც ჩვენთან არის მათ შესახებ დაცული. ასეთი მასალისათვის პ. მურადიანსაც მიუმართავს და ჩანგლის წარწერები მის მიერ გამოსაცემად მომზადებულია ნ. მარის არქივში (ЛО Арх. АН СССР) მიკვლეული ექ. თაყაიშვილის სტატიის (საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი, რუსულ ენაზე) მიხედვით[29]. აქედანვეა აღებული წიგნში დაბეჭდილი ვრცელი წარწერის ფოტოსურათი. ამ სტატიის ქართული ვარიანტი ექ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა 1938 წელს კოლა-ოლთისსა და ჩანგლში მოგზაურობის ანგარიშში, რაც პ. მურადიანისათვისაც ცნობილია. მაგრამ მისთვის, როგორც ჩანს, უცნობი დარჩა ე. თაყაიშვილის მიერ მოწყობილი ექსპედიციის დროს, 1907 წელს ქ. ლიოზენის მიერ დამზადებული ჩანგლის წარწერების ფოტონეგატივები, რომლებიც ამჟამად ინახება გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფოტოთეკაში (№№ 1844, 2845, 2833). მათგან მიღებული ფოტოანაბეჭდები კი საშუალებას გვაძლევს სწორად წავიკითხოთ და დავათარიღოთ ჩანგლის წარწერები; მეორე წარწერის ფოტო აქამდე არც გამოქვეყნებულა, ამიტომ მას და წარწერის გრაფიკულ მონახაზს აქვე ვათავსებთ (სურ. 3, 4).

ჩანგლის ეკლესიის ვრცელი წარწერის პირველი (ნ. სარგისიანისეული) პუბლიკაციისას დაშვებული გაუგებრობის გამო, რომელიც მეორდება ამ წარწერის ყველა შემდგომ (და მათ შორის უკანასკნელ, პ. მურადიანისეულ) გამოცემაში, ეს წარწერები დღემდე არ არის სწორად დათარიღებული. ეს გამოწვეულია წარწერის ტექსტის პირველი სიტყვის არასწორი წაკითხვით. აქ, როგორც ეს გარკვევით ჩანს ამ წარწერის ფოტოზე და პ. მურადიანის მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე (ტაბ. III, სურ. 1; ტაბ. [XXIII]), იკითხება **„† კ῀სნ“** ე. ი. **„† კ(ჳრიელეი)ს(ო)ნ!“** გამომცემლები კი წარწერის დასაწყისში დასმულ ჯვარს მიიჩნევენ ქ-ან გრაფემად, მას მექანიკურად აკავშირებენ მომდევნო „კსნ“ კომპლექსთან და აქ კითხულობენ: **ა.** „† ქორონიკონს **სნ**“ (ნ. სარგისიანი, რომელიც, როგორც ვხედავთ, დასაწყისში შეცდომით ჯვარსაც სვამს და ქანსაც კითხულობს; მისი მიხედვით — მ. ბროსე), **ბ.** „ქორონიკონს **ნ**“ (ე. თაყაიშვილი) და **გ.** „ქ(რონი)კ(ონ)ს **ნ**“ (პ. მურადიანი). აქედან გამომდინარე, მკვლევართა ნაწილი (ნ. სარგისიანი, მ. ბროსე) წარწერას ათარიღებს 1030 წლით, ხოლო ე. თაყაიშვილი და მის მიხედვით პ. მურადიანი — 1362 წლით (მათ სხვებისაგან განსხვავებით ქრონიკონი XIV მოქცევაში გადაყავთ).

წარწერის დასაწყისში რომ **„† კ῀სნ“** უნდა წავიკითხოთ, ეს კარგად ჩანს მათი შესრულების მიხედვითაც: ჯვარი ამოკვეთილია ოდნავ ქვემოთ და მომდევნო ასოებისაგან განცალკევებით, ხოლო **„კ῀სნ“** ცალკეა, ერთად და მიჯრით, ერთი ქარაგმის ნიშნის ქვეშ.

„კჳრიელეისონ“-ით („უფალო, შეგვიწყალე!“) ტექსტის დაწყება არ წარ-

---

[29] ეს ის სტატიაა, რომლის შესახებ ექ. თაყაიშვილი წერდა: „დაწვრილებითი აღწერილობა ჩანგლის ეკლესიისა სხვა სტატიებთან ერთად... ნ. მარს გავუგზავნე ლენინგრადში მისივე თხოვნით, პარიზში ყოფნის დროს 1922 წელს; ...სტატიების ბედი მე ველარ გავიგე. ბოლოს მოვსთხოვე განსვენებულს (ნ. მარს) მისი უკან დაბრუნება. მან მომწერა, შენი სტატიები თბილისის საარქეოლოგიო ინსტიტუტში უნდა იყოს გაგზავნილი, მივაკითხავ და თუ დაბეჭდილი არაა, დაგიბრუნებო...“ (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 78—79).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენს უჩვეულოს ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისათვის. დავასახელებთ რამდენიმე ადრინდელ (მათ შორის ჩანგლის წარწერის თანადროულ) ნიმუშს სხვადასხვა ხასიათის წერილობითი ძეგლებიდან: „კჳრიელეისონ“-ით იწყება იოვანე-ზოსიმეს ორი ანდერძ-მინაწერი X ს-ის შუა ხანებისა[30], შატბერდის კრებულში (X ს.) შესული ერთი თხზულება[31], გაბრიელ კათალიკოსის ხელრთვა გიორგი II-ის 1072 წლის სიგლისა შიომღვიმისადმი[32], ერთ-ერთი დამტკიცება (XI ს-ის I ნახევრისა) მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილისა სვეტიცხოვლისადმი[33] და სხვა.

ჩანგლის ეკლესიის ეს წარწერა, ისევე, როგორც მისი მეორე წარწერა, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XI—XII ს-ისაა და მისი გადატანა XIV ს-ში გაუმართლებელია, მით უმეტეს, რომ მასში თარიღი, როგორც ვთქვით, არც არის აღნიშნული[34]. ანგარიშგასაწევია წარწერის ტექსტის მონაცემებიც: დრაჰკანი XIV ს-ის საქართველოში უკვე არ წარმოადგენდა ფულის ძირითად ერთეულს, ხოლო XI—XII საუკუნეებისათვის იგი აქ ფართოდ იყო გავრცელებული[35].

ჩანგლის ეკლესიის ამ წარწერის პ. მურადიანისეულ გამოცემას სხვა ხარვეზებიც ახასიათებს, ამიტომ მოვიყვანთ წარწერის ტექსტს მთლიანად, ამ გამოცემასთან კითხვასხვაობების მითითებით:

† კ(ჳრიელეი)ს(ო)ნ[1]! ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრთისა)ჲთა მე, | გლ(ა)ხ(ა)კმ(ა)ნ ეგნ(ა)ტჲ[2] ავილე თ(ევდორ)ესგ(ა)ნ[3] | დ(რაჰ)კანი უნ და გაუკუეთე[4] მისდა | სალოცავად[5] ტრაპეზისაგ(ა)ნ[6] ორ|თა კ(ა)ცთა პური[7] უკ(უ)დავად[8], უცხო|თათჳს[9].

ვი(ნ)ცა ლენამორისა ‖ პატრონი იყოს და წინ(ა)მძღუარი[10], რ(ა)ს(აც)ა[11] სხუ(ა)ნი[12] ძმ(ა)ნი | გაიღებდჲნ[13], დეკანოზისა და შემწისა[14] ჴ(ე)ლითა მიე|ცემოდჲს.

---

30 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვ. I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჯღამაიამ, თბ., 1978, გვ. 124, 132, 137.

31 შატბერდის კრებული X ს-სა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 202.

32 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 12.

33 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 26.

34 ნიშანდობლივია, რომ ჩანგლის ეკლესია მისთვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ნიშნებით ექ. თაყაიშვილს თავდაპირველად X—XII სს. დაუთარიღებია (**Պ. Մուրադյան,** დასახ. შრომა, გვ. 74, შენ. 30); მაგრამ, ძეგლის უფრო ახლო გაცნობის შემდეგ, ყველა ეს ნიშნები გვიანდელი მინაბაძი მგონია XI—XII სს. კლასიკური ნიმუშებისაო, — დასძენს ის. უკანასკნელ დროს ჩანგლის ეკლესია ადგილზე შეისწავლა ჟ. მ. თიერიმ. მან ეკლესიის დეკორი, მისი მხატვრული და ხუროთმოძღვრული ფორმები სხვა ქართული ეკლესიების მონაცემებთან მიმართებაში განიხილა და იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩანგლის ეკლესია თავისი დეკორით XI—XII სს. ქართული ეკლესიების რიგში დგას (F. M. Thierry, დასახ. შრომა, გვ. 83—86).

35 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 173. XI—XII სს-ისათვის 400 დრაჰკანი, როგორც საეკლესიო შესაწირი, უჩვეულოდ დიდ თანხად არ უნდა მოგვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა ათონის „მთასა გარე“ თავისი მონასტრის — „ეფთჳმე-წმიდის“ აშენების ნებართვისათვის ათონის მთის პროტატს („საშუალს“) ორასი დრაჰკანი გადაუხადა (გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 54_{6-7}. ა. კეკელიძე, ერთი ადგილის შესახებ ათონელების ბიოგრაფიაში, ეტიუდები, III, გვ. 166—167, შენ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ(ი)ნ ესე ნაქმარი შეცვ(ა)ლ(ო)ს, კრ(უ)ლ(ი)ა[15] პ(ი)რითა | ღ(მრთისა)ჲთა, ექუსთა კრ(ე)ბ(ა)თა მ(ა)დლ(ი)თა, და ხ(უ)თთა პ(ა)ტრ(ი)აქ|თა[16] ჯ(უარ)ითა, და თორმ(ე)ტთა მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლთა მ(ა)დლ(ი)თა; ‖ ვინ და|ამტკი|ცოს — ჯ(უარ)ი[17] |აქუს და კ(ურთ)ხ(ე)ვ(ა)ჲ!

1]ქ(რონი)კ(ონ)ს **ნ მ.** 2 ეგნ(ა)ტ(ო)ჲ **მ.** 3 თ(ეოდორ)ეს(ა)გ(ა)ნ **მ.** 4 გაოჯკვეთე **წრწ**, გა-უკვეთე **მ.** 5 სალოაცვად **წრწ.** 6 ტრაპეზჳსაგ(ა)ნ **წრწ**, **მ.** 7 პორი **წრწ.** 8 ოკდავად **წრწ**, უკდავაღ **მ.** 9 ოცხო|თათჳს **წრწ.** 10 წინ(ა)მძღვარი **წრწ.**, **მ.** 11 რ(აჲ)სა **მ.** 12 სხჳნი **წრწ.** 13 გაიღვ(ე)ბდენ **მ.** 14 შემწირველისა **მ.** 15 კრ(უ)ლა **მ.** 16 პ(ა)ტრ(ა)ა[რ]ქ|თა **მ.** 17]ჯ(უა)[რი] **მ.**

თევდორესათვის აღაპის „გამკუეთის" სახელს, რომელიც წარწერის მე-2 სტრიქონში გადმოცემულია დაქარაგმებით **„ეგნ῀ტჲ"**, პ. მურადიანი ხსნის, როგორც „ეგნ(ა)ტ(ო)ჲ. მაგრამ ასეთი სახელი ძველ საქართველოში და საერთოდაც, როგორც ჩანს, არ არსებობდა; იგი ამ წარწერის პირველი გამომცემლებისაგან აქვს აღებული ავტორს. სახელის ფორმა იყო „ეგნატი"[36]. რაც შეეხება სიტყვის ბოლოს დასმულ **ჲ**-ოტს **ი**-ნის ნაცვლად, რაც ამ გრაფემათა ხმარების წესის დარღვევაა, ჩვეულებრივი მოვლენაა და საკმაოდ ხშირია IX—XIII სს. წერილობით ძეგლებში[37]. ამის მაგალითები სხვაც გვაქვს ამ წარწერაში — **„გაიღებდჲნ"** (სტრ. 8), **„მიეცემოდჲს"** (სტრ. 9). მსგავს შემთხვევებს XIII—XIV სს. დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევს პ. მურადიანი (გვ. 69), ასახელებს, როგორც ერთ-ერთ არგუმენტს წარწერის გვიანდელი დათარიღებისათვის და ნიმუშად მოჰყავს ქავთარ ქაჯიფაჲსძის წარწერა ფიტარეთის ტაძრიდან[38]. ამ წარწერის ტექსტში, იქ, სადაც ი-ნია მოსალოდნელი, ჲ-ოტის დასმას და პირიქით—მართლაც აქვს ადგილი, მაგრამ ეს არ არის დამახასიათებელი მხოლოდ გვიანდელი (XIII—XIV სს.) წერილობითი ძეგლებისათვის და ეს არგუმენტი არ გამოდგება ჩანგლის წარწერის დასათარიღებლად[39].

წარწერის ტექსტის სწორად გაგებისათვის მნიშვნელოვანია მე-8 სტრიქონის სიტყვის **„შემწისა"** სწორი გახსნა და წაკითხვა. აქ ნაცვლად „შემწისა" ე. თაყაიშვილი და პ. მურადიანი კითხულობენ „შემწ(ირველ)ისა"[40]. ეს სიტყვები სხვადასხვა რამეს აღნიშნავენ — „შემწე" აღნიშნავს „დამხმარეს", „მეშველს"[41] (წარწერაში ლაპარაკია დეკანოზის შემწეზე, დამხმარეზე), ხოლო

36 დავასახელებთ მხოლოდ ეპიგრაფიკულ ნიმუშებს ჩანგლის წარწერის თანადროული, ან ახლო დროის ძეგლებიდან: XI ს-ის გარდამავალი მხედრულით შესრულებული გრაფიტი შავ მთაზე (ანტიოქია) აღმოჩენილი ქართული ეკლესიის ნანგრევებიდან (OrChr, 49, გვ. 121); ეგნატი იშხნელი მთავარეპისკოპოსის წარწერა 1155 წლისა იშხნის ტაძრიდან (ე. თ ა ყ ა ი-შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 26); XII ს-ის წარწერა იკორთის ტაძარზე (ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, XI—XVIII სს. ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, [I], XI—XII სს., თბ., 1975, გვ. 116) და სხვა.

37 ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 36.

38 გამოც.: ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწ. I, „კავკასიონი", № 1—2, პარიზი, 1929, გვ. 87—88.

39 ამ მოვლენის გაცილებით ადრინდელი მაგალითები (IX—XIII სს.) იხ.: ზ. ს ა რ ჯ ვ ე-ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44. ი-ნის ნაცვლად **ჲ**-ოტის ხმარება ფართოდ არის გავრცელებული IX—XI სს. ეპიგრაფიკულ ძეგლებში, კერძოდ, ი-ნით დაწყებული საკუთარი სახელების (იესუ, იოვანე, იესე, იუდა და სხვ.) გადმოცემისას (იხ. კუმურდოს, აბასთუმნის, ოპიზის, ყალა-ბოინას და სხვა წარწერები).

40 სხვა გამომცემელთა წაკითხვებზე, როგორც სრულიად ნებისმიერზე (მაგ., **„დეკანოზისა და შემწისა ქ(ე)ლითა"**-ს ნაცვლად ნ. სარგისიანი კითხულობს: „დღესასწაული. ზედაშე მნისა პირითა") არ შევჩერდებით.

41 ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 482.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შემწირველი“ იმას, ვინაც შესწირა, მიართვა (ამ შემთხვევაში ვინმე თევდორეს, რომლისგანაც 450 დრაჰკანი აიღო ეგნატიმ).

წარწერაში, რომელიც საალაპე დადგენილებას წარმოადგენს, საუბარია ორი, სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებაზე. პირველი გადაწყვეტილებით, თევდორეს სალოცავად („უკუდავად“, ე. ი. მისი გარდაცვალების შემდეგაც) ტრაპეზისაგან პური (ე. ი. სადილი)[42] უნდა მიეცეს ორ უცხო კაცს (ე. ი. გარეშეს, სხვას, არა მონასტრის ძმობის წევრს)[43]. მეორე გადაწყვეტილებით — რასაც მონასტრის ძმობა გაიღებს, უნდა მიეცეს მას, ვინც ლენამორის პატრონი და წინამძღვარი იქნება დეკანოზისა და მისი შემწის (დამხმარეს, მეშველის) ხელით; ცხადია, ესეც თევდორეს სამლოცველოდ.

იმის გამო, რომ პ. მურადიანის მიერ „შემწე“ გაიგივებულია „შემწირველთან“ (ქარაგმის არასწორი გახსნის შედეგად) წარწერის ტექსტი არ არის სწორად გაგებული და თარგმნილი; ასე, მაგალითად, რუსულ თარგმანში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: „Кто будет патроном и настоятелем Ленамора, тот да получит от руки деканоза и жертвователя то, что братья выдадут“ (გვ. 297). ჯერ ერთი, თევდორეს სამლოცველო, როგორც ვიცით, დადგენილია „უკუდავად“, ე. ი. საუკუნოდ; მაშასადამე, მისი გარდაცვალების შემდეგაც უნდა „გაეღოთ“ ლენამორის პატრონისა და წინამძღვრისათვის დეკანოზისა და მისი შემწის ხელით ძმობის მიერ გამოყოფილი წილი, თორემ „შემწირველი“, ე. ი. თევდორე, ბუნებრივია, ამას ვერ შეასრულებდა და საალაპე დადგენილებაშიც ასეთ უაზრო გადაწყვეტილებას, ცხადია, არავინ შეიტანდა. მეორეც, წარწერაში, სხვა სიტყვების დაქარაგმებიდან გამომდინარე, უჩვეულო ჩანს, რომ სიტყვა „შემწირველისა“ ასე „მეტისმეტი დაქარაგმებით“ და „შემწისა“ სახით გადმოეცეს მის შემსრულებელს, მით უმეტეს, რომ ამ სიტყვას ქარაგმის ნიშანი არც უზის[44].

ჩანგლის ეკლესიის მეორე წარწერა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით პირველის იდენტურია და, მაშასადამე, მისი თანადროული (ე. ი. XI—XII სს-ისა), ამოკვეთილია ეკლესიის კარნიზის ქვაზე, დახრით — კარნიზის დახრის კუთხის შესაბამისად. იგი პირველ წარწერასთან შედარებით მოკლეა და შეიცავს სულ ორ სტრიქონს; მიუხედავად ამისა, ამ წარწერის რამდენი გამოცემაც არსებობს, ტექსტის იმდენნაირი წაკითხვაა წარმოდგენილი ამ გამოცემებში. იგი გამოცემული აქვთ ნ. სარგისიანს, მ. ბროსეს და ე. თაყაიშვილს. პ. მურადიანისეული გამოცემა ეყრდნობა ამ გამოცემებს (ძირითადად ე. თაყაიშვილისას), მაგრამ ტექსტის წაკითხვით ძალზე განსხვავდება მათგან (გვ. 71). წარწერის წაკითხვაში განსხვავებები გამოწვეულია განკვეთილობის ნიშნების გარეშე ამოკვეთილ ტექსტში ასოების არასწორი დაჯგუფებითა და ქარაგმის არასწორი გახსნით.

ამ წარწერის ფოტონეგატივიდან მიღებული ანაბეჭდის საშუალებით, რომელიც დაცულია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფოტოთეკაში (№ 2833), შესაძლებელია ტექსტში ასოები სწორად იქნეს დანაწილებული და წაკითხული. მართალია, წარწერის შემსრულებელი სიტყვების გა-

42 იქვე, გვ. 343.

43 იქვე, გვ. 438.

44 წარწერის გრაფიკულ მონახაზზე, რომელიც წიგნს ერთვის, ქარაგმის ნიშანი ამ ადგილას შეცდომით ზის; ფოტოზე იგი არ ჩანს. სხვა წარწერების გრაფიკულ მონახაზებში დაშვებული შეცდომებისა და უზუსტობათა შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაყოფად განკვეთილობის ნიშნებს არ იყენებს, მაგრამ ასეთ შემთხვევებში იგი სხვა ხერხს მიმართავს — ყოველი დაქარაგმებული სიტყვის დასაწყისი ასოების ზემოთ სვამს ქარაგმის ნიშანს, განივ სწორ ხაზს[45]. ამის გათვალისწინებით ჩანგლის მეორე წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ (სურ. 3, 4):

სურ. 3.



სურ. 4.

Ⴕ~ႤႸ~ႤႼႷႪႤ ႫႠႪႠႵႭ
ႦႨႠ~ႽႰႬႨႩ~ႪႨ

ქ(რისტ)ე, შე(ი)წყ(ა)ლე მალა-
ქო|ზი, ა~ჭრნი კ(ა)ლ(ატოზ)ი.

[45] წარწერის შემსრულებლის მიერ განკვეთილობის ნიშნების გარეშე ამოკვეთილ ტექსტში სიტყვების ქარაგმის ხაზების მიხედვით დაჯგუფების და ამ გზით მათი ურთიერთგამიჯვნის მაგალითები ცნობილია ქართულ ეპიგრაფიკაში; იხ.: ვეჟან მამასახლისის წარწერა VIII ს-ისა ატენის ნათლისმცემლის ეკლესიის ჯვრის ბაზისზე (ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც საისტორიო წყარო, სმმ, XX-B, 1955, გვ. 68—69); ანტონის ორი წარწერა 945 წლისა ატენის სიონზე (თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 36, 37); აბასთუმნის X—XI სს. წარწერა ქავთარ ერისთავისა (თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, აბასთუმნის ერთი წარწერის დათარიღებისათვის, „მაცნე“, 5, 1969, გვ. 141, აქ

სიტყვაში „ა῀ჭრნი“ ი-ნი წარწერის შემსრულებელს გამორჩენია და იგი, პატარა ზომისა, შემდეგ ჩაუმატებია ნ-სა და მომდევნო სიტყვის კ-ს შორის; ამ სიტყვაში ქარაგმის გახსნა მისი უჩვეულო ფორმის გამო, არ ხერხდება; როგორც ჩანს, იგი გადმოსცემდა მალაქოზ კალატოზის წარმომავლობას, ან ეპითეტს. სახელი „მალაქოზი“ ოდნავ შეცვლილი სახით („ფალგოზი“, „ან „ფალქოზი“ და აქედან ნაწარმოები გვარები „ფალგოზის ძე“ და „ფალქოზის ძე“) ცნობილია წერილობით წყაროებში[46].

პ. მურადიანი, რომლისთვისაც უცნობია ამ წარწერის ფოტო, სხვების (ძირითადად ე. თაყაიშვილის) მიერ გამოცემულ ტექსტში ასოების ნებისმიერი გადაჯგუფებისა და ჩამატების შემდეგ გვთავაზობს წარწერის შემდეგ წაკითხვას: „ქ(რისტ)ე, შე(ი)წყ(ა)ლე მალაქო, ზ(ვ)ია(და)ჲ, რ(უბე)ნ(?) კ(ა)ლ(ატო)ზ(ნ)ი“ (გვ. 71).

ჩანგლის წარწერების განხილვისას პ. მურადიანს მოჰყავს გ. ავალიშვილის ცნობა 1820 წლისა ყარსის მახლობლად მდებარე კიზილქილისის („წითელი, ანუ შუჱნიერი ეკლესიის“) შესახებ, რომლის „ბჭისა თავსა არს ქუაჲ წერილნი ქართულითა მთავრულითა ასოებითა და სომხურითაცა“ (გვ. 85)[47]. ხოლო თვით წარწერის შესახებ სხვა ცნობები არც გ. ავალიშვილს დაუცავს და არც პ. მურადიანისათვისაა ცნობილი. მეორე მხრივ, ამ ეკლესიის ქართული წარწერის გადმონახატი (ფრაგმენტული), შესრულებული 1883 წ. ი. ა. კომაროვის მიერ, დაცულია დ. ბაქრაძის არქივში და ჩაკრულია დ. ბაქრაძის დღიურის ფურცლებს შორის.

ჯერ კიდევ გ. ავალიშვილი აღნიშნავდა „ჴელითა მიერ დროჲსა ყოვლისა განმქარვებელისა და მას თანა ჴელთაგანცა უკეთილ-სახურთათა არიან წერილნი ესე გაცუდებულ და არ შესაძლო წარკითხუად მათსა“-ო[48]. მართლაც, ამ გადმონახატზე წარწერის ასოები იმდენად დაზიანებული და დამახინჯებულია, რომ გაბმული ტექსტის დადგენა არ ხერხდება. ი. ა. კომაროვს თავისი გადმონახატისათვის გაუკეთებია ასეთი შენიშვნა: „Надпись на косяках Кизилкилисийской мечети (от разоренной Кизилкилисийской церкви). Кроме настоящей надписи есть на косяках дверей и окнах такие же надписи, но буквы сбиты и трудно списать»[49].

ი. ა. კომაროვის მიერ გადმოღებული ტექსტი ასეთია:

ႱႠႬႤႣႠႱႠႩႱႰ	[. . .]სანე და საკსრ|ად* წ(მიდა)თა
ႠႣႼႧႠႫႤႴ	მეფ[ეთა ჩუენთა...][50].

*როგორც ჩანს, იმის გამო, რომ წარწერის შემორჩენილი ნაწილის ზოგიერთი ასო დაზიანებული იყო, ი. კომაროვს სიტყვა „საკსრად“ გადმოუხატავს, როგორც „ზაკსრად“.

ეს წარწერა დათარიღებულია VI ს-ით), იოვანე ბოლნელის X ს-ის ეპიტაფია ბოლნისის სიონიდან (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, № 22) და სხვ. ოღონდ ამათგან განსხვავებით ჩანგლის წარწერაში ქარაგმის ხაზი დაქარაგმებული სიტყვის არა მთელ სიგრძეზე, არამედ მხოლოდ პირველი ასოს თავზეა დასმული.

46 ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962; იხ. ალაპები № 36 (ფალგოზის ძე მარუშიანისა), № 46 (ხაკიკ ფალქოზის ძისა), № 85 (ფალქოზის ძის შერგილის შვილის შალვასი) და სხვა.

47 იხ. გ. ავალიშვილი, მგზავრობაჲ, გამოსცა ელ. მეტრეველმა, თბ., 1967, გვ. 336, შენ. 1, გვ. 044.

48 იქვე, გვ. 336.

49 ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, № 32, 84გ.

50 გ. ავალიშვილის ცნობით, თუმცა არზრუმ-ყარსელი სომხები ამ ეკლესიის აშენებას

იქვე (82v) ი. ა. კომაროვს მოჰყავს მდ. არაქსის ხეობის სხვა ეკლესიის ქართული წარწერის გადმონაწერი[51]:

Ⴕ̃ႣႫ✝̃ႫႵ̃ႢႫ — წ(მიდა)ჲ მ(ი)ქ(აე)ლ, გ̃მრ[...]*

* შეიძლება: „წ(მიდა)ო მ(ი)ქ(აე)ლ, გ(აუ)მ(ა)რ[ჯუე...]".

წიგნის იმ თავში, რომელიც ჩანგლის წარწერებისადმია მიძღვნილი, პ. მურადიანის მიერ ჩართულია ყარსის ციხის ორი ქართული წარწერის ტექსტი და მათი აღდგენები (გვ. 84, 85). საქართველოს სიძველეთსაცავებში მოპოვებული საარქივო მასალების მიხედვით ამ წარწერების ტექსტების სავარაუდო აღდგენების შესახებ ჩვენ სხვაგან გვაქვს სპეციალურად საუბარი[52] და აქ მათ შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ წარწერების ტექსტების ჩვენ მიერ წარმოდგენილი აღდგენები და წაკითხვები განსხვავდება პ. მურადიანის მიერ აღდგენილი ტექსტისაგან. ამასთანავე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ყარსის ციხის 1238 წლის წარწერაში, განსხვავებით პ. მურადიანისაგან, რუსუდან მეფის სახელი ჩვენ აღვადგინეთ სრული, დაუქარაგმებელი სახით. ამ სახელის ასე გადმოცემის ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება დამატებით დავასახელოთ პ. მურადიანის მიერვე ამ წიგნში გამოცემული ს. ირღანჩაის წარწერა (იგი ამჟამად გადატანილია ს. შაჰნაზარის ქვემო ეკლესიის ეზოში), სადაც რუსუდან დედოფლის სახელი ასევე სრულად, დაუქარაგმებლადაა გადმოცემული (გვ. 153, ტაბ. XIV, სურ. 2).

პ. მურადიანის მიერ წიგნში გამოცემულ წარწერებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კოშის წარწერა, ამოკვეთილი სოფლის ეკლესიის სამხრეთ კედელზე (გვ. 100—101, 294). წარწერა აქამდე ერთხელ იყო გამოცემული აკ. შანიძის მიერ[53]. სამწუხაროდ, წარწერის პირველი პუბლიკაციისას დაშვებული გაუგებრობის შედეგად მასში დასახელებული ივანე მანდატურთუხუცესი, შეცდომით ივან I-ად, ზაქარია ამირსპასალარის ძმად იქნა მიჩნეული და ამდენად — წარწერაც არასწორად დათარიღებული. ამ შეცდომას იმეორებს პ. მურადიანიც, რომელიც, აკ. შანიძის კვალდაკვალ, წარწერას ათარიღებს 1214/1215 (გვ. 104, 294)[54].

აკ. შანიძისაგან განსხვავებით, წარწერის ტექსტის გამორჩენილ ნაწილს, („და ქუემოისა...ღალაჲ" — ქვემოთ კლაკნილ კავებში), რომელიც წარწერის მარცხნივაა ტექსტის ძირითადი ნაწილის შემდეგ ამოკვეთილი, პ. მურადიანი ძირითად ტექსტში უადგილო ადგილას სვამს — სიტყვა „შარიად"-ს შემდეგ, მაშინ, როდესაც ეს გამორჩენილი ტექსტი უნდა ჩაისვას სიტყვის „დღეგრძელობისათვს" შემდეგ. კოშის წარწერის ტექსტი ასეთია:

Ⴕ ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თ(ი)ს(აჲ)თ(ა), მეოხ(ე)ბითა წ(მიდ)ისა ღ(მრ)თისმშ(ო)ბლ(ი)ს(ა)ჲთ(ა) | ჩ(უე)ნ — მ(ა)ნდატ(უ)რთუხ(უ)ცესმ(ა)ნ ივ(ა)ნე და

თამარ მეფეს მიაწერენ, მაგრამ, ი. ა. კომაროვის გადმონახატზე ასახული პალეოგრაფიული ნიშნებით, ეს წარწერა X—XI სს. უნდა იყოს.

51 გადმონაწერს გაკეთებული აქვს შენიშვნა: „Надпись карниза разоренной Сурп-Хачской церкви в Соганлугском лесу, на вершине Сурп-Хач-даге" (იქვე, 82г.).

52 ვ. სილოგავა, ყარსის ციხის ერთი ქართული წარწერა, „მაცნე", ისტორიის... სერია, 1980, № 1.

53 А. Г. Шанидзе, Грузинская надпись XIII века в сел. Кош, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე", I, 1959, გვ. 7—19 (შ).

54 ა. შაჰნაზარიანი წარწერის თარიღად გვთავაზობს 1212/1213 წ. („Պատմա-բանասիրական հանդես", 2, 1979, გვ. 259).

შ(აჰა)ნშეს[1] და მისთა ძმათა | დედამ(ა)ნ ხ(ო)შ(ა)მ(ა)ნ, გაგიშჳთ თქ(უე)ნ — კოშელთა, ზ(ე)მოისა მზღ|ვ(ა)რისა[2] შარიადი ჩ(უე)ნისა და ჩ(უე)ნთა შვილთა — შ(ა)ჰ(ა)ნშეს და | მისთა ძმათა დღეგრძელობის(ა)თჳს.

{და ქუემოისა მზღვ(ა)|რი(ს)აჲ[3], დიკი(ს)აჲ ოდენ, კოშ|ელისა კაცისაჲ გაშუებულია ღალაჲ }.|

და თქ(უე)ნ გაგჳკუეთ|ეთ, რომე ერთი საჴნვ(ე)ლი თქ(უე)ნითა ჴარითა და|მისითა ჭურჭლითა უკ(უ)დავად[4] იყოს ჩ(უე)ნთჳს. და | ამისნი ჩ(უე)ნ[5] გ(ა)მ-სრ(ულე)ბ(ე)ლნი ვართ. და ვ(ი)ნცა შეცვ(ა)ლოს, | წყეულ და შ(ე)ჩ(უე)ნ(ე)ბ(უ)ლ[6] არს წ(მიდა)თა მ(ა)დლითა.

1 შ(ა)ნშეს შ, მ; რადგან წარწერაში ორი სტრიქონით ქვემოთ ეს სახელი „შ῀ჰნშეს“ ე. ი. „შ(ა)ჰ(ა)ნშეს“ სახითაა გადმოცემული, პირველ შემთხვევაშიც იგი სრული ფორმით უნდა გაიხსნას. 2 მზღვრისა შ; ვ და რ შორის დასმულია ქარაგმის ნიშანი და ამიტომ აქ ა-ს ვერ შევქვეცავთ. 3 მზღვრისაჲ შ, მ; რადგან ეს სიტყვა პირველ შემთხვევაში შეუკვეცელად გავხსენით, ცხადია, აქაც ასე უნდა დარჩეს. 4 უკდავად შ, მ. 5 ჩუენ — შ. 6 შ(ე)ჩ(უე)ნ(ე)ბ(ე)ლ მ (კორექ. შეცდომა?).

როგორც აღინიშნა, აკ. შანიძე და მისი მიხედვით სხვა მკვლევრები[55] კოშის წარწერაში დასახელებულ ივანე მანდატურთუხუცესს ივანე I-ად მიიჩნევენ. სინამდვილეში, წარწერაში დასახელებული ივანე მანდატურთუხუცესი არის ივანე II მხარგრძელი, შაჰანშე I მანდატურთუხუცესის († 1261) ძე, ზაქარია ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის († 1212) შვილიშვილი და, მაშასადამე, ივანე I მხარგრძელის († 1227) ძმისწულის შვილი; გენეალოგიური ტაბულით ეს ასე წარმოიდგინება[56]:

ზაქარია († 1212) — ივანე I († 1227)

ზაქარია († 1212) → შაჰანშე I († 1261)

ივანე I († 1227) → ავაგ-სარგისი († 1250), თამთა

შაჰანშე I († 1261) → ზაქარია († 1261), ავაგ-სარგისი, არტაშირი, ივანე II, მხარგრძელი, აღბუღა, ბერი

ივანე II → შაჰანშე II, ვაჰრამი, არტაშირი, აღბუღა, ზაზა

საქმე იმაშია, რომ ივანე I, როგორც ცნობილია, ჯერ იყო მსახურთუხუცესი, ხოლო შემდეგ — ათაბაგი; მანდატურთუხუცესი იგი არ ყოფილა. არც ერთი სახის საისტორიო წყარო (ეპიგრაფიკული, დოკუმენტური, ნარატიული), არც ქართულ და არც სომხურ ენებზე, ივანე I-ს მანდატურთუხუცესად არ ასახელებს. ივანე I-ის მანდატურთ-

55 შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 260, 273, 300, 310 და სხვ.

56 მართალია, მხარგრძელთა გენეალოგია რთულია, ჯერ საბოლოოდ არც არის დადგენილი და სხვადასხვა მკვლევართან მათი გენეალოგიური ტაბულა განსხვავებულად არის წარმოდგენილი, მაგრამ ტაბულის ის ნაწილი, რომელიც ჩვენ მოგვყავს მტკიცედაა დადგენილი და ეჭვს არ იწვევს: შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 318. ოდნავ განსხვავებულია (ნაკლები პირებია დასახელებული) კ. თუმანოვის მიერ დადგენილი გენეალოგია: C. Toumanoff, Manuel de généalogie et de chronologie pour l'histoire de la Caucasie chrétienne (Arménie—Géorgie—Albanie), Roma, 1976, გვ. 290—293. ვ. ალიშანის მიერ დადგენილ გენეალოგიაშიც კი, რომელიც ამჟამად მოძველებულია, ტაბულის ეს ადგილი არსებითად სწორად არის გააზრებული (Շիրակ, տեղագրութիւն պատկերացոյց հաւաքեաց, Հ. Ղեւոնդ Վ. Մ. Ալիշան, Վենետիկ, 1881, გვ. 175).

უხუცესობის დასამტკიცებლად მკვლევრები, ჩვეულებრივ, ასახელებენ სანაინის სომხურ წარწერებს[57]. სანაინში 180-ზე მეტი წარწერაა; მათი უმეტესობა XI—XIV სს. განეკუთვნება. ისინი სანიმუშოდაა გამოცემული კ. ღაფადარიანის მიერ; ამათგან ივანე მხარგრძელი დასახელებულია 7 წარწერაში[58]. აქედან 6 შემთხვევაში უეჭველად ივანე I იგულისხმება (ამას მიანიშნებს ან წარწერის თარიღი, ან მისი დასახელება ათაბაგის ტიტულით, ან როგორც ზაქარია I-ის ძმისა) და არც ერთ მათგანში ის არ ჩანს მანდატურთუხუცესად. მეშვიდეა, ფრაგმენტული უთარიღო წარწერა, რომლის მხოლოდ დასაწყისია მოღწეული შემდეგი სახით: *„Ես մանդատորթուխուցես իւան... | էտե...ն,.. |*[59], ე. ი. „მე, ივანე მანდატურთუხუცესმან...“. არსაიდან არ ჩანს, რომ ეს ივანე იყოს ივანე I; პირიქით, ყველა სომხურ და ქართულ წარწერაში, სადაც კი ივანე I იხსენიება (მათი რიცხვი 20-ზე მეტია), იგი თავისთავს უწოდებს ან ზაქარიას ძმას (თუ წარწერები შესრულებულია ზაქარიას სიცოცხლეში, ე. ი. 1212 წლამდე), ან ათაბაგს (თუ წარწერები შესრულებულია 1212 წლის შემდეგ).

ათაბაგობის მიღებამდე რომ ივანე I მანდატურთუხუცესი არ ყოფილა, ეს უეჭველია, ხოლო ამ პატივის მიღების შემდეგ მის მიერ მანდატურთუხუცესის საჭელოს მიღების ვარაუდი არალოგიკური ჩანს შემდეგი მიზეზით: როგორც ცნობილია, ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ ივანე I-მა ამირსპასალარის საჭელოზე, რომელიც ყველა საჭელოზე მაღალი იყო მწიგნობართუხუცესის შემდეგ, უარი განაცხადა და „ახალსა და უაღრესსა პატივსა ზედა“ — ათაბაგობაზე „აღყვანა“ გამოითხოვა, რაც შეუსრულეს კიდეც. ასევე ცნობილია, რომ შემდგომში, თვით ივანე I-ის სიცოცხლეში, ათაბაგობა დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცესობას და საბოლოოდ ყველა სხვა საჭელოზე უპირატესობა მოიპოვა[60]. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში, ათაბაგად მყოფი ივანე თავისთავს წარწერაში მხოლოდ მანდატურთუხუცესის პატივით არ მოიხსენიებდა. ცნობილია ისიც, რომ ათაბაგად გახდომის შემდეგ ივანე მხარგრძელმა თავისი თავდაპირველი პატივი — მსახურთუხუცესობა დათმო და იგი თამარმა „უბოძა ვარამს, ზაქარია გაგელის ძესა. კაცსა საპატიოსა და ლაშქრობათა შინა გამარჯუებულსა“[61].

კოშის წარწერის ივანე მანდატურთუხუცესის ივანე I მხარგრძელთან გაიგივება, როგორც ჩანს, მკვლევრებს ავარაუდებინა შემდეგმა გარემოებამ: ივანე I-ის ძმას ზაქარიას დარჩა ერთი შვილი — შაჰანშე (ცნობილია, რომ შაჰანშე ზაქარიას დარჩა მცირეწლოვანი — 7—8 წლისა და, როგორც ჩანს, იგი მის მიერ ნაშვილები იყო; ვარაუდობენ — შეიძლება ხარჭისაგან ნაშობიცო, რადგან ზაქარიას ცოლი არ ჰყოლია). შაჰანშე აღსაზრდელად აიყვანეს

57 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.

58 Կ. Ղ ա փ ա դ ա ր յ ա ն, Սանահնի վանքը և նրա արձանագրությունները, Երևան, 1957, №№ 12, 13, 25, 143բ, 165, 167, 175; Описание монастырей Ахпатского и Санагинского, архимандрита Иоанна Крымского, MAIS, VII série, t. VI, № 6, SPb., 1863, №№ 5, 6, 11, 12. 13. 15.

59 Կ. Ղ ա փ ա դ ա ր յ ա ն, დასახ. ნაშრომი, № 25.

60 როგორც ჟამთააღმწერელი წერს, ლაშას გამეფების დროისათვის იყო „ათაბაგობა ისრე განდიდებულ, რომელ იყო უმეტეს სხვათა ერისთავთასა: ესე იყო ვაზირი კარისა მეფისასა“ (ქ҃ცა, II, 152).

61 ქ҃ცა, II, 110_{17-18}.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძამ — ივანე I-მა და მისმა ცოლმა ხუაშაქმა. შაჰანშემ ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო მამამისის ერთ-ერთი საჴელო — მანდატურთუხუცესობა. რადგანაც შაჰანშე მცირეწლოვანი იყო, მის სრულწლოვანებამდე მანდატურთუხუცესობა ივანესაც ჰქონდაო, ვარაუდობენ კოშის წარწერის მოშველიებით.

შეიძლება ივანე I მართლაც უძღვებოდა მანდატურთუხუცესის საჴელოს სანამ შაჰანშე I სრულწლოვანი გახდებოდა, მაგრამ თვითონ მას მანდატურთუხუცესის წოდება არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან იგი შაჰანშეს ეკავა. ამიტომ, ცხადია, ვერც ერთ წარწერაში ივანე თავისთავს ამ წოდებით ვერ მოიხსენიებდა და, როგორც ვიცით, არც არის სადმე ამ ტიტულით მოხსენიებული. პირიქით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შირაკავანის ორ სხვადასხვა სომხურ წარწერაში ივანე I, შაჰანშე I და ავაგი (ივანეს ძე) დასახელებულია შესაბამისად თავიანთი ტიტულებით.

კოშის წარწერაში დასახელებული ივანეს ივანე I-თან გაიგივებას თითქოს ისიც უმაგრებს მხარს, რომ ივანე I-ს ჰყავდა ცოლი სახელით ხუაშაქი. სამწუხაროდ, ჩვენთვის სხვა წყაროებით უცნობია, თუ რა ერქვა ივანე II მანდატურთუხუცესის ცოლს[62]. სახელი ხუაშა, ხოშა და ხუაშაქი საკმაოდ გავრცელებული იყო XIII ს-ის საქართველოში და მათ შორის მხარგრძელებშიც; გარდა იმისა, რომ ხუაშაქი ერქვა ივანე I-ის ცოლს, ეს სახელი ერქვა, აგრეთვე, მის შვილიშვილს— ავაგ-სარგისის († 1250) ასულს. ეს უკანასკნელი ივანე II-ის თანამედროვეა. ნიშანდობლივი ხომ არ არის, წარწერაში რომ ხოშა ორივეჯერ თავისთავს უწოდებს „შაჰანშეს და მისთა ძმათა დედას“, იქნებ სხვა ხოშასაგან *განსასხვავებლად? შეიძლება, ისევე როგორც ივანე I-ის* ცოლს, ივანე II-ის ცოლსაც ხოშა ერქვა (იმ განსხვავებით, რომ პირველის ცოლის სახელია ხოშაქი, ან ხუაშაქი)? ე. ი. პაპის ძმასა და ძმის შვილიშვილს, გარდა იმისა, რომ ერთნაირი სახელები ერქვათ, თანამოსახელე ცოლებიც ჰყოლიათ. იქნებ მათ შორის განსხვავების მისანიშნებლადაა წარწერაში ორჯერ ხაზგასმით აღნიშნული, რომ ეს ივანე და ხოშა არიან „შაჰანშეს და მისთა ძმათა“ მშობლები და არა ივანე ათაბაგი და მისი ცოლი ხუაშაქი, რომელთაც ერთი ვაჟი — ავაგი და ერთიც ნაშვილები ძმისწული — შაჰანშე ჰყავდათ.

აღსანიშნავია, რომ სავსებით განსხვავდება კოშის წარწერის ფორმულისაგან („შაჰანშეს და მისთა ძმათა დღეგრძელობისათჳს“) ის ფორმულა, რომლითაც ივანე I და ხუაშაქი მოიხსენიებენ თავიანთ მემკვიდრეებს შირაკავანის ტაძარზე ამოკვეთილ 1220 და 1233 წლების ორ სხვადასხვა სომხურ ეპიგრაფიკულ საბუთში: „სახელითა ღმრთისაჲთა მე ივანე ათაბაგმა და ხუაშაქმა — ქართველთა და სომეხთა დედოფალმა, ჩვენი ღვიძლი შვილების (*„կենդանութեան հարազատաց“*) — შაჰანშე მანდატურთუხუცესის და ავაგ ამირსპასალარის სადღეგრძელოდ...“ ესა და ეს გავაკეთეთო[63].

---

[62] კ. თუმანოვი ასახელებს ანას (C. Toumanoff, დასახ. შრომა, გვ. 212), მაგრამ ეს რომ ასეა, არსაიდან არ ჩანს; ხოლო ზოგიერთი გამოკვლევით ანა ერქვა არა ივანე II-ის ცოლს, არამედ დედას — შაჰანშე I-ის ცოლს (**Հ. Աճառյան, Անձնանունների բառարան, Ե.**, 1930, ტ. 4, გვ. 110—111).

[63] Н. Эмин, Надписи Ани, გვ. 51 (**№№ 99, 100**). 1231 წელს ივანე I, როგორც ერთხმად მოწმობენ სხვა წყაროები, 3 თუ 4 წლის გარდაცვლილი იყო; ასე რომ, შირაკავანის ამ წარწერის (**№ 100**) თარიღი, ან სწორად არ არის წაკითხული, ან წარწერის შემდგენლების მიერ აქ მიღებულია სომხური წელთაღრიცხვის რომელიღაც განსხვავებული სისტემა. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უკვე აღინიშნა, ივანე I-ს ჰყავდა ერთი ვაჟი — ავაგი, შემდეგში ცნობილი ავაგ-სარგისი — ამირსპასალარი და ათაბაგი, და ერთი ქალიშვილი — თამთა. წარწერაში კი ივანე მანდატურთუხუცესი და ხოშა კოშელებს გადასახადს უცვლიან „შაჰანშეს და მისთა ძმათა დღეგრძელობისათჳს". ივანე II-ის შვილს, შაჰანშე II-ს მართლაც ჰყავდა ოთხი ძმა: ვაჰრამი, არტაშირი, აღბუღა და ზაზა.

ასეთ ვითარებაში აკ. შანიძე და მისი მიხედვით შ. მესხია და პ. მურადიანი ვარაუდობენ, ხომ არა გვაქვს კოშის წარწერაში pluralis majestatis, ე. ი. „მისთა ძმათა" ხომ არ უნდა გავიგოთ „მისისა ძმისა" მნიშვნელობითო. ასეთი შემთხვევა ეპიგრაფიკაში — როგორც ქართულში, ისე სომხურში—საერთოდ უცნობია და საეჭვოა, რომ მაინცდამაინც კოშის წარწერაში ჰქონდეს ამას ადგილი. მეორე მხრივ, თუ კოშის წარწერაში ივანე II მანდატურთუხუცესს, მის ცოლსა და შვილებს ვიგულისხმებთ, არც ასეთი გამონაკლისის დაშვება დაგვჭირდება და ფაქტებიც ლოგიკურად და ბუნებრივად დალაგდება ძალდატანების გარეშე.

ამრიგად, კოშის წარწერის ივანე მანდატურთუხუცესის ივანე I მხარგრძელთან გაიგივება შეუძლებელი ჩანს, რადგან:

1. ივანე I მანდატურთუხუცესი არ ყოფილა.

2. ივანე I-ს ჰყავდა ერთი შვილი (ავაგი) და ერთიც ნაშვილები ძმისწული (შაჰანშე), ამიტომ წარწერის ფორმულა „შაჰანშე და მისი ძმები" ივანე I-ის ოჯახის შემადგენლობას არ უთანხმდება.

3. ყველა ქართულ და სომხურ წარწერაში ივანე I თავისთავს უწოდებს ან ზაქარიას ძმას (თუ ეს წარწერები ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდეა შესრულებული), ან ათაბაგს; არსად სხვა საჴელოთი იგი არ მოიხსენიება (აქ არ ვგულისხმობთ მსახურთუხუცესობას, რომლითაც ივანეს მოიხსენიებენ ქართული ნარატიული წყაროები და ისიც 1212 წლამდე).

4. კოშის წარწერის ფორმულა „შაჰანშეს და მისთა ძმათა დღეგრძელობისათჳს" არსებითად განსხვავდება იმ ფორმულისაგან, რომლითაც ივანე I და მისი ცოლი ხუაშაქი მოიხსენიებენ თავიანთ მემკვიდრეებს („ჩვენი ღვიძლი შვილეპის დღეგრძელობისათვის").

მაშასადამე, კოშის წარწერაში დასახელებული ივანე მანდატურთუხუცესი არ შეიძლება იყოს ივანე I ათაბაგი. წარწერაში ივანე II მხარგრძელია დასახელებული, რომელიც: **ა.** იყო მანდატურთუხუცესი; **ბ.** რომელსაც ჰყავდა უფროსი შვილი შაჰანშე, შემდგომში ცნობილი ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი და, მის გარდა, კიდევ ოთხი ვაჟი. ყველაფერი ეს კარგად უთანხმდება კოშის წარწერის მონაცემებს.

კოშის წარწერის დასათარიღებლად გასარკვევი დაგვრჩა, თუ როდის ჰქონდა ივანე II-ს მანდატურთუხუცესის საჴელო.

ივანე II მანდატურთუხუცესის ძმა ზაქარია ამირსპასალარი მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს ილხანთა ურდოში 1261 წელს. ამის გამო „მწუხარებითა შეწუხებული" ამ წელსვე გარდაიცვალა მამამისი შაჰანშე I მანდატურთუხუ-

ჯერად ჩვენი საკითხისათვის წარწერის თარიღს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ისედაც ცხადია, რომ მასში დასახელებული ივანე არის ივანე I ათაბაგი. ჩვენთვის, როგორც აღვნიშნეთ, აქ მთავარია ის, რომ ფორმულა, რომლითაც ივანე I და ხუაშაქი მოიხსენიებენ თავიანთ შვილებს, განსხვავებულია კოშის წარწერაში მიღებული ფორმულისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესი[64]. ამის შემდეგ მანდატურთუხუცესად იხსენიება შაჰანშე I-ის მეორე ვაჟი და ივანე II უფროსი ძმა ავაგ-სარგისი, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა 1262—1268 წლებში[65]. ივანე II მანდატურთუხუცესად პირველად იხსენიება 1269—1270 წლებში[66]. 1284 წელს ივანე II მანდატურთუხუცესი სხვა დიდებულებთან ერთად ახლავს დემეტრე II-ს ურდოში გამგზავრების დროს[67]. ამის შემდეგ იგი წყაროებში არ ჩანს, ხოლო 1285 წლიდან მანდატურთუხუცესი უკვე ბექა ჯაყელია. გამოდის, რომ ივანე II მხარგრძელი მანდატურთუხუცესი ყოფილა 1270—1285 წლებში და კოშის წარწერაც ამ დროით უნდა დათარიღდეს[68].

საინტერესო ქართული წარწერებია შემონახული თ ე ყ ა რ უ ი ქ ი ს ტაძრის კედლებზე. ერთ-ერთი მათგანია სამხრეთის კედლის კარნიზის ქვემოთ სამ სტრიქონად ამოკვეთილი სამშენებლო წარწერა, რომელსაც კედლის თითქმის მთელი სიგანე უჭირავს. წარწერა პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ტოპონიმების სიმრავლით — ათზე მეტი „ქვეყანა" და პუნქტია მასში დასახელებული. წარწერის ტექსტი პ. მურადიანის მიერ გამოცემულია შეცდომებით და ზოგიერთი ადგილის გაუმართავად (გვ. 119, 294). რადგანაც ეს წარწერა ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს, ხოლო სპეციალურ ლიტერატურაში ჯეროვნად გამოცემული არ ყოფილა, მოვიყვანთ მის სრულ ტექსტს პ. მურადიანისეულ გამოცემასთან კითხვასხვაობების აღნიშვნით:

†[1] ჯ(უა)რო [ქ(რისტ)ესო, ცხ(ო)]ვ(ე)ლს-მყ(ო)ფ(ე)ლ[ო][2], რ(ომე)ლი ალემ(ა)რთე[3] გ(ო)ლგ(ო)თ[ა]ს ჯს(ნ)ისათ(ჳ)ს ჩ(უე)ნ(ი)ს(ა)[4], შ(ე)ნმ(იე)რ(ი)თ(ა)[5] ძ(ა)ლ(ი)თა[6] შ(ე)ზღ(უ)დვ(ი)ლნი <დაგჳფარენ!>*[7].

ი(ვა)ნე მჴ(ა)რგრძ(ელ)მ(ა)ნ, | შვ(ი)ლმ(ა)ნ ე(რისთა)ვთ-ე(რ)ი(სთა)ვ(ი)სა ს(ა)რგ(ი)ს მა(ნდა)ტ(უ)რთუხ(უ)ც(ე)ს(ი)სა, შ(ა)ჰ[ანშა[8] ზაქარი]ა ბარქ დ(ი)დ(ი)სა ამ(ი)რსპ(ასალა)რ(ი)სა ძმ(ა)მან, ქ(უე)ყნისა ა[— —]ირ(ი)ს(ი)თ[9], შარჰით**, ვ(ა)ღ(ე)ძ(ო)რ(ი)თ***[10], [— — — — — — — — —], გ(აე)წ(ო)ნ(ი)თ[11], შ(ა)თ(ი)თ[12], | კაიტბუკ(ი)თ[13], განძ(ი)ს[14] თვით ნორბ(ე)რდ(ი)თ****, კეჩრ(ო)ლ(ი)თ[15]

მ: 1 † —. 2 ქრისტესო, ცხოველს მყოფელო] [. . .] წ(ე)ლსა მყ(ო)ფლ[. . .]. 3 აღიმართე. 4 ჩუენს. 5 შენმიერით. 6 ძელითა. 7 დაგჳფარენ —. 8 შ(ა)ჰ[ნშა]. 9 ა[. . .]ირს(ი)თ. 10 ვ(ი)ღპ-რ(ე)თ. 11 გჰწნ(ი)თ. 12 შთთ—(?). 13 კა იტბჳკით(?). 14 განძ(ა)ს. 15 კეჩ(ა)რ(ი)ლთ. 16 ყოვლისავე] ყ(ოვ)ლისა ვ(იდრემ)ე. 17 შ(ე)ნ(ი)სა.

* წარწერის შემსრულებელს, როგორც ჩანს, აქ გამორჩა სიტყვა, რადგან კონტექსტი აუცილებლად მოითხოვს შემასმენელს. **„დაგჳფარენ"**-ის ნაცვლად შეიძლება **„გჳქსენ"**, ან რაიმე სხვა ზმნა აღვადგინოთ.

** „შარჰი", რომელიც გეოგრაფიული სახელია პ. მურადიანის მიერ გადატანილია ტერმინთა და საგანთა საძიებელში (გვ. 271).

*** „ვაღეძორი" უნდა იყოს იგივე „ვაეძორი": აბულ-კასიმმა „მოსრა ყოველი სომხითი, სი჻ნიეთი, ვაეძორი და ასფურაგანი" (ქ˜ცა, I, 262_{11}).

**** თუ ნორბერდი (ანუ „ახალციხე") განძის ციხეს, ან მის ახლოს მდებარე რომელიმე

---

64 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1966, გვ. 352.

65 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 316

66 ჟამთააღმწერელი: ქ˜ცა, II, 259; შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვითარება, გვ. 316.

67 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1941, გვ. 112.

68 სხვათა შორის, ამ თარიღს წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიც სავსებით ეთანხმება, რადგან ეს ნიშნები ქართული ლაპიდარული დამწერლობის განვითარების XIII ს-ის დასასრულის ვითარებას უფრო ასახავენ, ვიდრე ამ საუკუნის დასაწყისისას.

[ქ(უე)ყნ(ა)]მდის***** შუა ყ(ოვ)ლისავე[16] ამლ(ე)ბ(ე)ლმ(ა)ნ, ს(ა)ხ(ე)ლსა შ(ე)ნსა[17] ალვ(ა)შ(ე)ნე მ(ო)ნ(ას)ტ(ე)რი და ეკლ(ე)ს(ი)აი ესე.

ციხეს არ აღნიშნავს ამ წარწერაში და იგი ცალკე გეოგრაფიული პუნქტია (ამ შემთხვევაში „განძის“ შემდეგ მძიმე უნდა დაგვესვა), მაშინ ნორბერდი უნდა იყოს ის ციხე, რომელიც ე. თაყაიშვილმა მოინახულა და მოკლედ აღწერა 1907 წელს კოლა-ოლთისსა და ჩანგლში მოგზაურობის დროს (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა კოლა-ოლთისში, გვ. 53).

***** კეჩროლის ალება „ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანის“ მიხედვით მიეწერება შალვა თორელს: „აიღო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა ჴრმლითა და ომითა მისათხრობელითა, რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“ (ქ˜ცა, I, 370_{22-24}).

ადგილის ეკონომიის გამო, ჩვენ აქ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ შედარებისათვის ამ ვრცელი წარწერის პ. მურადიანის მიერ ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე გამოცემული ტექსტი (გვ. 119, 294) და მხოლოდ იმის აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ მის მიერ ამ წარწერის ტექსტის გამოცემაში დამახინჯებულია ყველაფერი: შესავალი ნაწილი, სადაც უნდა წავიკითხოთ „[ცხ]ოველსმყოფ(ე)ლ[ო]“ (მიმართვა ქრისტეს ჯვრისადმი) და არა „წ(ე)ლსა მყოფლ[. . .]“ (რუსულ თარგმანშია „...год спасителя“, ხოლო სომხურში — „*Թվին, սատառի՛չ*“); ძირითადი ნაწილი ტექსტისა, სადაც ჩამოთვლილია ივანე მხარგრძელის მიერ „ალებული“ „ქვეყნები“ (მათი უმეტესობა გამომცემელს ვერ გაურჩევია და ისინი რუსულ თარგმანში თავისებური და შეკვეცილი სახითაა წარმოდგენილი: „владетель всего от Норберда до края Кечарийцев“; სინამდვილეში, წარწერა, როგორც ვხედავთ, გაცილებით მდიდარი ცნობების შემცველია); თვითონ ივანეს გვარი („მხარგრძელი“), რომელიც სომხურად „*Երկայնաբազուկ*“ („ერკაინაბაზუკ“), ხოლო რუსულად „Мхаргрцель“-ის ფორმითაა გადმოცემული[69]; დასკვნითი ნაწილი წარწერისა საიდანაც ჩანს, რომ ივანემ თეჟარუიქში მონასტერი ააშენა „ცხოველმყოფელი ჯვრის“ და არა რაღაც გაურკვეველი „სახელსა შენისა“, თუ „во имя твое“-ს სახელზე. აქ არაფერს ვამბობთ ცალკეულ მცდარ წაკითხვებზე (იხ. კითხვასხვაობები) და გეოგრაფიული სახელების დამახინჯებებზე, რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

კ უ რ თ ა ნ ი ს წარწერა XI ს-ისა ერთ-ერთი უძველესია სომხეთის ქართულ წარწერებს შორის; სამწუხაროდ, მისი ტექსტი გაუმართავად და ლაფსუსებითაა პ. მურადიანის მიერ გამოცემული (გვ. 148—149). წარწერის ტექსტი შეიძლება შემდეგი სახით შეივსოს და გაიმართოს (აქვე აღვნიშნავთ კითხვასხვაობებს პ. მურადიანისეულ გამოცემასთან და დავურთავთ აუცილებელ შენიშვნებს):

69 იქნებ აქვე ღირდეს იმის აღნიშვნაც, რომ **„მხარგრძელი“** წარმოადგენს ქურთული წარმოშობის ამ ქართული ფეოდალური საგვარეულოს არა ზედწოდებას, არამედ გვარსახელს, როგორც ეს ყველა წყაროს მოშველიებით დამტკიცებულია შ. მესხიას ნაშრომში (იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვითარება, გვ. 247—253). ამდენად, სრულიად უსაფუძვლოა სომხურ ისტორიოგრაფიაში ფეხმოკიდებული ტენდენცია — „მხარგრძელის“ ზედწოდებად მიჩნევა და მისი გადმოცემა ხან „ერკაინაბაზუკად“ და ხანაც „Долгорук“-ად. ეს ტენდენცია კარგად ჩანს პ. მურადიანის წიგნშიც და განსაკუთრებით თეჟარუიქის ამ წარწერის გადმოცემისას, სადაც სამ სხვადასხვაენოვან ტექსტში ამ გვარსახელის სხვადასხვა ფორმებია მის მიერ წარმოდგენილი. შ. მესხიას დასკვნით: „გ ვ ა რ ს ა ხ ე ლ ი ს ა ს ე თ ი წ მ ი ნ დ ა ქ ა რ თ უ ლ ი ფ ო რ მ ა — მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი — თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ მ ი უ თ ი თ ე ბ ს ქ უ რ თ უ ლ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა მ ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო ს ა დ რ ე ვ ე გ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ა ზ ე, ქ ა რ თ უ ლ-ფ ე ო დ ა ლ უ რ ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო დ გ ა დ ა ქ ც ე ვ ა ზ ე“ (იქვე, გვ. 253).

ეროვნული ბიბლიოთეკა

† ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისა)ჲთა, მ(ა)მ(ი)სა, ძ[(ი)სა დ]|ა ს(უ)ლისა წ(მი-დ)ის(აჲ)თა, მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თ(ა)[1] წ(მიდ)ისა[2] ღ(მრთ)ი|სმშ(ო)ბ(ე)ლ(ი)ს(ა)ჲთა, [წ(მიდ)ისა ი(ოვან)ე[3] ნ(ა)]თლ[(ი)სმც]|(ე)მ(ე)ლ(ი)ს(ა)ჲთა, წ(მიდ)ისა [გ(იორ-გ)ი[4] მთ(ა)ვ(ა)]რმ(ო)წ(ა)[მის(ა)]|ჲთა და წ(მიდ)ისა დ[(ე)მ(ე)ტრ]ე[5] მთ(ა)-ვ(ა)|[რ]მ(ო)წ(ა)მის(ა)ჲთა, [რ](ომ)ლისა ს(ა)ხელსა|[ზ](ედ)ა* დ(ა)ემყ(ა)რა წ(მიდა)[ჲ] ესე ეკლ(ე)ს(ია)ჲ, მე, გ|[ლ(ა)ხ(ა)კ]მ(ა)ნ[6] დ(ე)მ(ე)ტრ[ე][7], [ჴ(ი)]ნ-ვ(ა)ნ(ე)ლ მთ(ა)ვ(ა)[რ]|[ებისკოპოსმან...]**.

---

* „ს(ა)ხელსა | [ზ](ედ)ა“-ს ნაცვლად შეიძლება: „ს(ა)ხელსა|[ც]ა“.

** შეიძლება ტექსტი ასე გრძელდებოდა: **„ვიწყე შენებად წმიდისა ამის ეკლესიისა...“**, ან **„აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ...“**.

1 მეოხებით **მ.** 2 წმიდასა **მ.** 3 იოანე **მ.** 4 გიორგი — **მ**; რადგან წმიდანის ეპითეტია „მთავარ-მოწამე“, მისი სახელი უნდა აღვადგინოთ როგორც „გიორგი“. 5 დემეტრე]დ[. . .] **მ**; ეპითეტი „მთავარმოწამისაჲთა“ და წმიდანის სახელის შემორჩენილი პირველი ასო „დ“ საშუალებას გვაძლევს აქ აღვადგინოთ სახელი „დემეტრე“. როგორც ჩანს, წარწერაში გიორგი და დემეტრე ორივე მთავარმოწამეებად იყო დასახელებული — ეს ეპითეტი წმ. გიორგის მიმართ ჩვეულებ-რივია, ხოლო წმ. დემეტრეს მიმართ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება (იხ. ხელნაწერთა ინს-ტიტუტი: S–150, 104r; Q–661, 15r; H–341, 49r; H–1760, 23v და სხვ.). შეიძლება წარწე-რაში დემეტრე იმიტომაც იყოს მთავარმოწამედ დასახელებული, რომ ეკლესია, რომელზედაც ეს წარწერაა, მის სახელზეა აგებული. 6 გ|ლახაკმან] გ|[. . .]მ(ა)ნ (რუსულ თარგმანში: „Г[еор-гий]“, ხოლო სომხურში — „Գ[իորգի]ս“ **მ.** 7 დემეტრე] დამიწერია **მ.**, ამ სიტყვიდან ამჟამად შე-მორჩენილია „დმტ῀რ“ ისე, რომ **მ**-ს და **ტ**-ს ქვედა ნაწილები მოტეხილია; ამის გამო პ. მურა-დიანს **ტ** მიუჩნევია **წ**-დ; აქ „დამიწერია“-ს აღდგენა ისედაც უადგილოა და მას წარწერის ტექ-სტში მხოლოდ გაურკვევლობა შეაქვს.

შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ს ეკლესიის ეზოში, მხითარ ვარდაპეტ ვარდანიანის საფ-ლავზე, დევს ეკლესიის ბალავარის ქვა, რომელიც ლ. მელიქსეთ-ბეგის ცნო-ბით, გადმოტანილია ს. ი რ ღ ა ნ ჩ ა ი დ ა ნ. ქვაზე ამოკვეთილი წარწერის ტექ-სტი ლ. მელიქსეთ-ბეგმა ორ სხვადასხვა დამოუკიდებელ წარწერად მიიჩნია და ასე გამოსცა შეცდომებით[70]. პ. მურადიანისეულ პუბლიკაციაში ამ წარწე-რის ტექსტი, ან მისი ძირითადი ნაწილი, ხუთჯერ არის მოყვანილი (გვ. 28, 153, 289, 295; მათ შორის ორ-ორჯერ სომხურ და რუსულ ენებზე) და, სამ-წუხაროდ, არასწორად — ტექსტი ორად არის გაყოფილი და წიგნში შეტანი-ლია სხვადასხვა ნომრით (თუმცა რუსულ რეზიუმეში ისინი გაერთიანებულია). ტექსტის ასეთი ხელოვნური გაყოფის გამო, არც მისი ინტერპრეტაცია და მასზე დაყრდნობით წარმოდგენილი არც მისი დათარიღებაა სწორად მოცემუ-ლი. ირღანჩაის წარწერის ტექსტი ასეთია:



---

70 ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ შრომები, 109, თბ., 1964, გვ. 321.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს(ა)ხ(ელითა) | ღ(მრთისაჲ)თა | და მე|ოხები|თა წ(მი)დ(ი)ს(ა) | ღ(მრთ(ი)ს-მშ(ო)|ბ[ელისაჲთა,] | წ(მიდი)სა | იოვა|ნე ნ(ა)თ(ლის)მ|ცემ(ე)ლისა(ჲ)თა დ(ა-იდვ)ა* ესე | წ(მიდ)ა ბალა|ვარი ჟ(ამ)თა | უკ(ა)ნ | რუ|სუდ|ა(ნ) დე|დო-ფ|ლის(ა)|თუის. |და|ვი|თ მე|ფობა|სა შე|აწიე|ნ . ღ(მერთმა)|ნ!

* ან: „დ(აისუ)ა“.

ლ. მელიქსეთ-ბეგი და პ. მურადიანი სიტყვებიდან „ჟამთა უკან“ წარწერის ტექსტს, რომელიც ბუნებრივად მისდევს წინა ტექსტს და მის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, ცალკე წარწერად გამოყოფენ. ამის საფუძველს თითქოს მათ ის აძლევს, რომ წარწერის ეს ნაწილი წინმძღვარი ტექსტის მარცხნივ არის ამოკვეთილი. ეს, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო წარწერის შემსრულებლის მიზნით, ტექსტის ძირითადი, უმთავრესი ნაწილი მოეთავსებინა ბალავრის ქვის ცენტრში, ხოლო მისი გაგრძელება კი ამოკვეთა ფილის თავისუფალ მარცხენა მხარეს[71]. თუ ლ. მელიქსეთ-ბეგთან ტექსტის ასეთი გაყოფა მექანიკური ხასიათისა იყო, პ. მურადიანთან იგი უკვე წარწერის ინტერპრეტაციის და დათარიღების საფუძველი გახდა.

პ. მურადიანს ეს ხელოვნურად გამოყოფილი ტექსტი — „ჟამთა უკან რუსუდან დედოფლისათუის დავით მეფობასა შეაწიენ ღმერთმან“ — ასე ესმის: „По завершении времен царствования царицы Русудан, да вспомоществует бог Давида в царстве“ (გვ. 295). რამდენიმე გვერდის წინ ავტორი ამ ნაწყვეტს განსხვავებული ნიუანსით თარგმნის: „После времен царствования царицы Русудан да вспомоществует господь Давиду в царстве“ (გვ. 289). არც ერთი და არც მეორე სწორი არ არის. თავი რომ დავანებოთ თარგმანში დაშვებულ გრამატიკულ უხერხულობებს, ტექსტის ასეთი გაგებისათვის წარწერაში სულ ცოტა „რუსუდან დედოფლისა“ მაინც უნდა ეწეროს. სინამდვილეში, როგორც წარწერიდან ჩანს, ეკლესია აგებული იყო („დაიდვა ბალავარი“) გარდაცვლილი („ჟამთა უკან“) რუსუდან დედოფლის მოსახსენებლად („რუსუდან დედოფლისათუის“). პ. მურადიანის არც ის ვარაუდია სწორი, რომ თითქოს წარწერა შესრულებული იყოს რუსუდანის სიცოცხლეში — 1237/1245 წწ. (გვ. 156)[72] და მისი ავტორი ეკუთვნოდეს იმ წრეებს, რომლებიც რუსუდანის და მისი შვილის დავითის მეფობის კანონიერებას უჭერდნენ მხარს. რუსუდანის მეფობის კანონიერებაში არც არავის შეპარვია ეჭვი არასოდეს (ყოველ შემთხვევაში საქართველოში და ამჟამად ცნობილი ქართული წყაროების მიხედვით მაინც), ხოლო რაც შეეხება მის ძეს და-

71 მსგავსი შემთხვევები, როდესაც წარწერის ტექსტის I. ნაწილი, მისი გაგრძელება, ამოკვეთილია ძირითადი ტექსტის მარცხნივ, ქართულ ეპიგრაფიკაში სხვაგანაც დასტურდება; იხ.: კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერა 964 წლისა (ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 11); მცხეთის სვეტიცხოვლის გალავნის კარიბჭის წარწერა 1029 წლისა (ლ. მუსხელიშვილი, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან, „ქართული ხელოვნება“, ტ. I, 1942, გვ. 133—134, სურ. 1); ოქრობაგეთის ეკლესიის საამშენებლო წარწერა 1466 წლისა (Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию-ТР, VII, Спб., 1911, გვ. 8, სურ. 1). კოშის წარწერაშიც (იხ. ზემოთ) ტექსტის გამორჩენილი (თუ შემდეგ ჩამატებული) ნაწილი შემსრულებლის მიერ წარწერის მარცხნივ არის ამოკვეთილი.

72 წიგნის რეზიუმეში წარწერის თარიღად ერთგან აღნიშნულია XIII ს-ის 40-იანი წლები (გვ. 289), ხოლო მეორეგან — 1236/1245 წ. (გვ. 295).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითს, იგი ჯერ კიდევ 1230 წელს, რუსუდანის გარდაცვალებამდე 15 წლით ადრე, იქნა ნაკურთხი რუსუდანის თანამოსაყდრედ[73].

რაც შეეხება წარწერის დათარიღებას, ამისათვის მისი ტექსტი გვაწვდის სავსებით გარკვეულ მონაცემებს; ტექსტის მიხედვით, წარწერა შესრულებულია რუსუდან დედოფლის გარდაცვალების („ჟამთა უკან"), ე. ი. 1245 წლის შემდეგ, იმ დროს, როდესაც მის ძეს დავითს „მეფობასა შეწევნა" (დახმარება, ხელის შეწყობა, ზრუნვა)[74] სჭირდება. როდის შეიძლებოდა ყოფილიყო ეს?

1242—1243 წწ. რუსუდანი და მისი ძე დავითი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ[75]. ამ დროსვე მონღოლთა უმაღლეს ხელისუფლებასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ დავით რუსუდანის ძეს მეფობაზე დაამტკიცებდნენ[76]. დაახლოებით ამ დროს (ყოველ შემთხვევაში, რუსუდანის სიცოცხლეშივე) დავითი ურდოში გაგზავნეს მეფობაზე დასამტკიცებლად[77]. 1245 წ. რუსუდანი გარდაიცვალა. დავით რუსუდანის ძეს, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, ურდოში ორი წელი მოუგვიანდა და მან იქ საბოლოოდ დაყო 1247 წლამდე. 1246 წელს კი მეფედ დასამტკიცებლად ურდოში გაგზავნეს დავით ლაშას ძე[78]. ორივენი საქართველოში დაბრუნდნენ 1247 წელს. მაშასადამე, დავით რუსუდანის ძე ურდოში იმყოფებოდა 1242/1243—1247 წლებში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარწერა შესრულებული უნდა იყოს 1245—1247 წლებში — რუსუდანის გარდაცვალებასა და დავითის, როგორც მეფედ დამტკიცებულის, ურდოდან საქართველოში დაბრუნებას შორის[79].

შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ს ეკლესიის სამხრეთ კედელზე ამოკვეთილი სამშენებლო წარწერა ოთხთა ძმათა ძნელაძსძეთა ასევე ლაფსუსებით, ხოლო თარიღის გადმოცემისას, ჩვენი აზრით, მიუღებელი კონიექტურითაა პ. მურადიანის მიერ გამოცემული (გვ. 156—157, 293—294). წარწერის ტექსტი ასეთია:

---

73 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1960, გვ. 106. ყველაფერი ეს ცნობილია პ. მურადიანისთვისაც, მაგრამ ირღანჩაის წარწერის ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად, იგი მისდაუნებურად დაუპირისპირდა სხვა წყაროების მონაცემებს.

74 ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 497.

75 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 344.

76 იქვე.

77 იქვე, გვ. 136.

78 იქვე, გვ. 128.

79 უეჭველია, რომ წარწერაში დასახელებულია დავით ნარინი რუსუდანის ძე და არა დავით ულუ ლაშა-გიორგის ძე. ასევე უეჭველია, რომ წარწერა არ შეიძლება დავით ნარინისა და დავით ულუს ურდოდან დაბრუნების შემდეგ იყოს შესრულებული, რადგან მაშინ აუცილებლად ორივე იქნებოდა ტექსტში დასახელებული, როგორც ეს გვაქვს იმ დროის ეპიგრაფიკულ (აბელიის წარწერა: „ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დავით და დავით..." — ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ აბელიაში, „მაცნე", 1, 1968, გვ. 255) და დიპლომატიკურ ძეგლებში (ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა: „მეფობდნენ ესე ორნი დავითნი სრულსა სიყუარულსა ზედა, და ნიჭსა თუ სიგელსა ორისავე ჴელმოწერითა მისცემდნენ" — ქ˜ცა, IV, 213_{4-5}).

ეროვნული ბიბლიოთეკა

† ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა მ(ა)მ(ი)ს(აჲ)თა, ძ(ი)ს(აჲ)თა[1] და ს(უ)ლისა წ(მიდისაჲ)თა[2], | მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდი)სა ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბლ(ისაჲ)თა, შეწევნითა წ(მი-დ)ჲსა[3] გ(იორგის)ჲ(თა)[4], | თ(ა)ნამდგ(ომო)ბ(ი)თა ნ(ა)თლ(ი)სმცემლის(აჲ)თა და ყ(ოველ)თა წ(მიდა)თ|ა მისთ(აჲ)თა[5] ღირს ვიქნენით ჩ(უე)ნ, გლ(ა)ხ(ა)კნი და უნარჩე|ვესნი ყ(ოველ)თა კ(ა)ცთა — ოთხნი ძმანი ძნელაჲს ძენი | შენებ(ა)დ ამ(ა)ს წ(მიდა)სა საყდარსა, დ(ა)სხმ(ა)დ ორ წელ | ორთა ბალავართა; აბ(ა)ზ(ა)ს[7] მ(ე)ფობ(ა)სა, დ(ე)მეტრ(ე)ს მღდ(ე)ლთ|მოძღ(უ)რობ(ა)სა[8]; სადიდებლად ღ(მრთი)სა, ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(ულთ)ა მშ(ო)ბ(ე)ლთა[9] ჩ(უენ)თა. |

ქრონიკონი **ხმიე**[10] იყო.

---

1 ძისათა **მ.** 2 წმიდიასჲთა **მ** (კორ. შეცდ.?). 3 წმიდაჲ **მ.** 4 საბ(ა)ჲ[სი] **მ;** წ~ჲსა გ~ი პ. მურადიანის მიერ არასწორად გახსნილია, როგორც „წ(მიდა)ჲ საბ(ა)ჲ[სი]"; გარდა იმისა, რომ წმ. საბას დასახელება წარწერის ტექსტში ამ ადგილას სრულიად მოულოდნელია და უადგილო, ისიც იოვანე ნათლისმცემლის დასახელების წინ, აქ რომ მართლაც მისი სახელი ეწერის პ. მურადიანს ასე უნდა წაეკითხა: „წ(მიდ)ჲ(სა) საბ(ა)ჲ[სითა]"; მაგრამ ტექსტში წერია **გ,** იქ სადაც პ. მურადიანი **ბ**-ს კითხულობს (სხვათა შორის, ეს გარკვევით ჩანს მის მიერ აქვე გამოცემულ ამ წარწერის ფოტოსა (ტაბ. XV, სურ. 1) და გრაფიკულ მონახაზზე). 5 მისთათა **მ.** 6 ამის **მ.** 7 აბაზის მ. 8 მღდელთმოძღრობასა **მ.** 9 სულთა მშობელთა] ამშენებელთა **მ.** 10 ქრონიკონი **ხმიე**] ქრონიკონის **მიე მ.**

პ. მურადიანის მიერ წარმოდგენილი კონიექტურა „ქრონიკონის **მიე** იყო", რომელიც მას სჭირდება ე. წ. „კირიკიანთა" ქრონოლოგიის დაზუსტებისათვის, მიუღებელია და გაუმართლებელი, სხვა რომ არაფერი — ქართული ენის ნორმებიდან გამომდინარე, არსად მსგავსი კონსტრუქცია არ გვხვდება და შეუძლებელიცაა, რომ შეგვხვდეს. ხოლო წარწერისეული „ქრონიკონი **ხმიე** იყო" სავსებით კანონზომიერი ფორმაა და რიცხვების ანალოგიური სახით გადმოცემა (50-ის 40-ად და 10-ად დაყოფით) დასტურდება მთელ რიგ ეპიგრაფიკულ ძეგლებში[80]. პ. მურადიანის მიერ წარმოდგენილი კონიექტურის შედეგად შაჰნაზარის წარწერა 1035 წლის ნაცვლად დათარიღებულია 1095 წლით. რაც შეეხება წარწერაში დასახელებულ ისტორიულ პირებს, რომელთა მოღვაწეობის დროითაც ცდილობს პ. მურადიანი თავისი შესწორების შემაგრებას, ჩვენ ვთვლით, რომ წარწერაში დასახელებული დემეტრე მღვდელთმოძღვარი დემეტრე კათალიკოსი კი არ არის, არამედ დემეტრე ჰინვანელი მთავარეპისკოპოსია, რომელიც იხსენიება ზემომოყვანილ წარწერაში კურთანიდან. სხვათა შორის, ასეთი გაიგივების შემთხვევაში, შაჰნაზარის წარწერის თარიღზე დაყრდნობით, ჩვენ საშუალება გვაქვს რამდენადმე შემოვზღუდოთ კურთანის წარწერის თარიღი და იგი განვსაზღვროთ XI ს-ის 30-იანი წლებით.

სომხეთის ქართული წარწერების განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენს ქ ო ბ ე რ ი ს მონასტრის წარწერები. ამ წარწერათა ვრცელი ტექსტები საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევჩერდეთ აქ თითოეულ მათგანზე ტექსტების მოყვანით, მაგრამ პ. მურადიანისეულ პუბლიკაციაში დაშვებულ ზოგიერთ უზუსტობათა შესახებ მაინც უნდა აღინიშნოს.

---

80 დავასახელებთ რამდენიმეს: „ქრონიკონი იყო **ხმიბ**" (ამბარლოს წარწერა 1032 წლისა: ИКОИМАО, III, 1913, გვ. 101); „ქრონიკონი იყო **ტჲიბ**" (საორბისის წარწერა 1152 წლისა: **ძმ**, 10—11, გვ. 56); „ქრონიკონსა **ხმიდ**" (ოქრობაგეთის წარწერა 1566 წლისა; TP, VII, გვ. 8); „ქრონიკონსა **რმიე**" (პატარა სმადის წარწერა 1467 წლისა; ვ. ბ ე რ ი ძ ე, საძაცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1956, გვ. 177, შენ. სქოლიოში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქობერის II წარწერის მესამე სტრიქონში იკითხება „[ქ](უე)შ(ე)თ“, როგორც ეს ქობერის I წარწერის მე-5 სტრიქონშია, და არა „ყ(ოვლი)თ“[81]. ამავე წარწერის რუსულ თარგმანში „დავფიქლე ეკლესიაი ესე ყოვლით კარისბჭითურთ და დალეწილნი ზედაით ქვისაგან მევე შევჰკაზმენ“ თარგმნილია, როგორც „Вымостил церковь эту со всем притвором, я же восстановил разбитые камнями сверху места“ (გვ. 227), მაშინ, როდესაც „დავფიქლე ეკლესია... კარისბჭითურთ“ ნიშნავს არა „вымостил“ (ე. ი. მოკირწყლვას, ფილების დაგებას), არამედ ეკლესიისა და მისი კარიბჭის გადახურვას ქვის ფილებით[82]; ხოლო „დალეწილნი ზედაით ქვისაგან მევე შევჰკაზმენ“ ნიშნავს— რაც ზემოთ დალეწილი იყო, ქვით შევკაზმე, ანუ შევაკეთეო და არა „разбитые камнями сверху места“-ს, როგორც ეს პ. მურადიანს ჰგონია. ეს შეცდომები ასევეა განმეორებული ქობერის I წარწერაშიც.

ქობერის სხვა წარწერებიდან შევჩერდებით მხოლოდ ერთზე; ესაა ხუაშას ეპიტაფია-ლექსი, რომელიც ადრე გამოცემული არ ყოფილა და ისევე, როგორც ამ მონასტრის სხვა ქართული ეპიტაფიები, ივანე მანდატურთუხუცესის ოჯახის წევრებისა პირველად გამოსცა პ. მურადიანმა (გვ. 179—180). წარწერის ტექსტი ასეთია[83]:

გ(ა)მოვ(ე)დით[1] სოფლის(ა)გ(ა)ნ[2] ცუდ-ქმნ|(ი)[ლ]ნი[3] და
გამ(ო)მკრთ(ა)ლნი[4];|
გულსა ც(ე)ცხლი მ(ო)მდებია[5], | ამ(ო)მდიან[6] პირით ალნი; |
დიდთა ჩ(ე)მთა[7] შუებათ(ა)გ(ა)ნ[8] დამ|რჩეს ჩოჯის[9] ნაფერთ(ა)ლნი[10],
და[11] კ(უ)რთხ(ეუ)ლ ხ(ა)რ, ქ(რისტ)ე ღ(მერ)თო, შ(ე)ნ და შ(ე)ნ|ნი[12]
სამართალნი[13].]
[...][14] და ხუაშ(ა)სა[15] | შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ!

1 წამოედით გ. 2 სულისაგან მ. 3 ცვდ-ქმნილნი წრწ, ცრუქმნილნი მ, ცოდვაქმნილნი გ. 4 გამკრთალნი გ. 5 მომედების გ. 6 მომდიან მ. 7 მათთა გ. 8 შჳებათგ̃ნ წრწ, შუებათა ვითარცა მ, შვებათაგან გ. 9 ჩოხის გ. 10 ნაფრთხალნი მ. 11 და—გ. 12 შენი გ. 13 სამართალი გ. 14]...იწდ...ნშს?) მ. 15 ხვაშსა წრწ, მ.

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIII ს-ის II ნახევარსა და XIV ს-ის დასაწყისს განეკუთვნება. ამ დროითვე თარიღდებიან ქობერის სხვა ეპიტაფია-წარწერები, რომლებიც ეკუთვნიან ივანე მანდატურთუხუცესის შვილებს: ათაბაგ ვაჰრამს, თამარს (სულა გურკენელის მეუღლეს) და შვილიშვილს — შაჰანშე მანდატურთუხუცესის შვილს ბერ გიორგის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა ეწერა ზემომოყვანილ ლექს-ეპიტაფიაში „ხუაშა“-ს წინ და წარწერა ამ მიმართულებით საგანგებო შესწავლას საჭიროებს. დანამდვილებით შეიძლება ერთი რამ ითქვას, რომ შემთხვე-

81 ორივე წარწერაში აღნიშნულია „დავფიქლე ეკლესიაჲ ესე ქუეშეთ კარისბჭ(ი)თ(უ)რთ“-ო.

82 მოკირწყლვის, ანუ ფილების დაგების მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი „მოფიქლვა“: „საკურთხეველი მოვფიქლე“ (S—1676, 5r; ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 66).

83 ეპიტაფიის ის ნაწილი, რომელიც ლექსს წარმოადგენს, პ. მურადიანისეული პუბლიკაციისაგან დამოუკიდებლად, გამოქვეყნდა 1978 წელს ქართველი პოეტების ლექსების კრებულში „ვით მარგალიტი ობოლი“ (შემდგენლები: ტარიელ ჭანტურია, ემზარ კვიტაიშვილი, ქუთაისი, 1978, გვ. 12). აქ აღნიშნულია, რომ „ეპიტაფია თარიღდება დაახ. XIII საუკუნით. ქვეყნდება პირველად, გ. გაფრინდაშვილის, ი. გაგოშიძის და ზ. ალექსიძის ნებართვით“. კითხვასხვაობებს ამ გამოცემასთან აღვნიშნავთ ლიტერით გ.

ვითი არ უნდა იყოს ხუაშას (ანუ ხოშას, როგორც კოშის წარწერაშია, თუმცა იქაც ქარაგმის გახსნა სავსებით დასაშვებია **„ხუაშა“** ფორმით) დასახელება და დაკრძალვა ივანე მანდატურთუხუცესის მემკვიდრეთა გვერდით. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ხუაშა „შაჰანშეს და მისთა ძმათა დედა“ და ივანე II მანდატურთუხუცესის ცოლი იყოს? შეიძლება ეს გაარკვიოს წარწერის ბოლო სტრიქონის ნაკლული ტექსტის შემდგომმა შესწავლამ. ამ ეპიტაფიის სახით სახეზე გვაქვს თექვსმეტმარცვლოვანი შაირით დაწერილი ნიმუში XIII ს-ის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსისა. მართალია, პ. მურადიანს შეუმჩნევია, რომ ეს ეპიტაფია ლექსს წარმოადგენს და აღნიშნავს კიდევაც: „эпитафия Хуаша изложена в выдержанной стихотворной форме“ (გვ. 289), მაგრამ მის მიერ ტექსტში ქარაგმების არასწორად გახსნის შედეგად (იხ. კითხვასხვაობები) ლექსი „в выдержанной форме“ აღარ გამოდის: თექვსმეტმარცვლოვანი შაირით შედგენილი ტაეპის სტრიქონები პ. მურადიანისეულ პუბლიკაციაში მარცვალთა სხვადასხვა, არსებული სინამდვილისაგან განსხვავებული რაოდენობითაა (15,15, 17,17) წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ ლექსში სტროფის ბოლო სტრიქონი ე. წ. „ზედმეტი და“-თი იწყება და ამით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში არსებულ ამგვარ ტრადიციას მხარს უჭერს XIII საუკუნის II ნახევრის ეს წერილობითი ძეგლი.

ჯერ კიდევ 1851 წელს მ. ბროსემ გამოსცა 1022 წლის ერთი წარწერა ვ ა ნ ა ნ ა - ვ ა ნ ქ ი ს ა, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება. ეს წარწერა მ. ბროსეს მიხედვით გამოსცეს, აგრეთვე, თ. ჟორდანიამ[84] და ლ. მელიქსეთ-ბეგმა[85]. ამ გამოცემებს ემყარება წარწერის პ. მურადიანისეული პუბლიკაცია. წარწერის ტექსტის სწორად წაკითხვისა და ატრიბუციისათვის მთავარია, თუ როგორ წავიკითხავთ წარწერის მე-3 და მე-4 სტრიქონებს. ერთადერთ დასაყრდენს ამჟამად დაკარგული წარწერის შესწავლისა და გამართვისათვის წარმოადგენს მ. ბროსეს მიერ გადმოწერილი და გამოცემული ტექსტი[86]. ამ გამოცემაში წარწერის ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: **ႫႤ ႢႨႪႬႥႬႪႫႬ ႫႧႠႥႠ|ႰႤႡႨႱႩႭႱႫႬ**..., ე. ი. „მე გილნვნლმნ მთავა|რებისკოსმნ...“ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „გილნვნლმნ“ კომპლექსის სწორ გახსნას. პ. მურადიანი აქ კითხულობს „ჰივნვ(ა)ნ(ე)ლმ(ა)ნ“-ს (გვ. 187), რაც ხელოვნური და ნაძალადევი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთავარეპისკოპოსია ჰინვანელი, როგორც ეს კურთანის ზემომოყვანილ წარწერაშია და არა „ჰივნვანელი“. პ. მურადიანი თავის წაკითხვას იმით ასაბუთებს, რომ ტექსტის გადმოწერის დროს, გრაფიკული მსგავსების გამო Ⴌ-აესა და Ⴂ-ანის, ერთი მხრივ, და Ⴃ-ინისა და Ⴆ-ასის, მეორე მხრივ, აღრევა მოხდაო. სინამდვილეში წარმოდგენილი კომპლექსი ასე უნდა დაიყოს **„გ҃ი ჰ҃ნვნლმნ“**; თუ გრაფიკული მსგავსების გამო ასომთავრული ასოების აღრევას ჰქონდა ადგილი ტექსტის გადმოწერისას, ეს უფრო ბუნებრივი ჩანს Ⴌ-აესა და Ⴆ-ასის მიმართ და ასეთი ვარაუდის დაშვებით წარწერის ეს ადგილი ასე უნდა წავიკითხოთ: **„...მე, გ(იორგ)ი ჰ(ი)ნვ(ა)ნ(ე)ლმ(ა)ნ მთ(ა)ვა|რებისკო[პო]სმ(ა)ნ...“** ასეთი წაკითხვით,

---

[84] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 243—244.

[85] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 316—317.

[86] M. B r o s s e t, Rapports sur un voyage archéologique... livr. 3, SPb., 1851, VI rapp, გვ. 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა იმისა, რომ ტექსტი გამართულია, რაც მთავარია, ჩანს ეკლესიის აგების დონატორისა თუ კტიტორის — ჰინვანელი მთავარეპისკოპოსის სახელი, რაც ადრინდელი წაკითხვებით არ ჩანდა და წარწერის ტექსტიც ატრიბუციის გარეშე რჩებოდა[87].

ამავე წარწერის მე-7 სტრიქონში „მშობელთა ჩემთა ს(ჳ)ეობ(ა)სა“-ს ნაცვლად, როგორც ჩანს, უნდა წავიკითხოთ **„მშობელთა ჩემთა მეო(ხე)ბ(ი)სა(თჳს)“**, ხოლო მე-8 სტრიქონში — „ად(ი)დ(ო)ნ“-ს ნაცვლად **„ად(ი)დ(ე)ნ“**.

ამრიგად, კ უ რ თ ა ნ ი ს, ვ ა ნ ა ნ ა-ვ ა ნ ქ ი ს ა და შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ს წარწერების მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ ორი ჰინვანელი მთავარეპისკოპოსის სახელი და მოღვაწეობის დრო; ესენია — გიორგი ჰინვანელი, 1020-იანი წლების მოღვაწე და დემეტრე ჰინვანელი, 1030-იანი წლების მოღვაწე[88].

ა ხ ტ ა ლ ი ს (პღნძაჰანქის) 15 ქართული წარწერიდან, რომელთა ნაწილი ადრეც იყო ცნობილი და გამოცემული, შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმეზე.

ამ წარწერებს შორის ყველაზე ადრინდელია XIII ს-ის შუა ხანების წარწერა პეტრე წინამძღვრისა. მის ვრცელ ტექსტს აქ ვერ მოვიყვანთ: აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არ არის სწორი წარწერის ტექსტის თარგმანი და დამაჯერებელი ის ინტერპრეტაცია, რომელსაც ამ თარგმანის მიხედვით გვთავაზობს პ. მურადიანი. განსაკუთრებით ეს ეხება სიტყვებს „პირველ პატრონთა“, რომელიც სწორად აქვს თარგმნილი ე. თაყაიშვილს წარწერის მის მიერ შესრულებულ პუბლიკაციაში; ეს სიტყვები კი პ. მურადიანს ტერმინად მიუჩნევია და უსაფუძვლოდ ასწორებს ე. თაყაიშვილისეულ თარგმანს. კერძოდ, წარწერის ტექსტის ნაწილი: „...თქუენ, ქრისტეს მოყუარენო და მსგავსნო მამანო წმიდანო და ყოველნივე ძმანო, ვინცა პატრონისა ავაგ ათაბაგისა სამწირველოსა, ჩემგნით აღშენებულსა ზედა, ღირს-იყოს და აღირსოთ, პირველ — პატრონთა და თქუენ, ჩემიცა სული მანვე იურვოს დაუკლებელად“ პ. მურადიანის მიერ თარგმნილია ასე: „...то вы, любящие Христа и подобные святые отцы, и все вы — братья, кто патроном атабеком Аваком будет удостоен [быть настоятелем] построенной мною часовни, удостойте его, как первопатроны, так и вы. Пусть он заботится о душе моей“ (გვ. 296). სინამდვილეში, წარწერის ტექსტის მიხედვით, ავაგ ათაბაგი არ ადგენს წინამძღვარს, როგორც ეს თარგმანშია წარმოდგენილი; ავაგი წარწერის შესრულების დროს შეიძლება გარდაცვლილიც ყოფილიყო; წარწერაში მოცემული დადგენილება განკუთვნილია მომავლისათვის, როდესაც თვითონ ტექსტის ავტორი პეტრე წინამძღვარიც ცოცხალი არ იქნებოდა და, ბუნებრივია, არც ავაგ ათაბაგი, ვისი სულის შეწყალებისათვისაც მან სამწირველო ააგო. ასე რომ, ზუსტია წარწერის ტექსტის ე. თაყაიშვილისეული თარგმანი: „...того вы, возлюбленные и христоподобные святые отцы и все братья, найдете достойным и он будет определен (цинамдзгваром) сперва патронами, а потом вами над построенной мною молельнею патрона атабага Авага, — пусть тот, не изменяя ничего, позаботится о душе моей“[89].

პ. მურადიანს აქვე აქვს პირველად გამოქვეყნებული XIX ს-ის დამდეგის

87 უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ რეზიუმეში წარმოდგენილ წარწერის თარგმანში პ. მურადიანი კითხულობს სახელს „გიორგი“ (გვ. 293).

88 პ. მურადიანის მიხედვით კურთანისა და ვანანა-ვანქის წარწერებში ერთი და იგივე პირი — გიორგი ჰინვანელი იხსენიება (გვ. 285).

89 Е. Такайшвили, Грузинские надписи Ахталы, СМОМПК, XXIX, გვ. 142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ეპიტაფია ახტალის მონასტრიდან, შესრულებული მხედრული დამწერლობით. ამათშიც მას უზუსტობები გაპარვია, რომელთაგან აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: მზეჭაბუკ ჯავახიშვილის ასულის თამარის ეპიტაფიაში, მე-3 სტრიქონი (ქვემოთ, შენ. 90-ში შავით აწყობილი) პ. მურადიანისეულ პუბლიკაციაში გამოტოვებულია და ეს თერთმეტსტრიქონიანი წარწერა წარმოდგენილია მხოლოდ 10 სტრიქონით (გვ. 215)[90]. ამავე წარწერის „თამარი" პ. მურადიანს რატომღაც „თამარე"-დ წაუკითხავს და საძიებელშიც ასე გაუტანია (გვ. 276).

ახტალის მონასტრიდან პ. მურადიანი აქვეყნებს იორდანეს წარწერას (გვ. 222) ე. თაყაიშვილისეული პუბლიკაციის მიხედვით; როგორც ჩანს, მისთვის უცნობია, რომ ეს წარწერა ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში (ლაპიდარიუმში; საინვენტარო № 222) და შეტანილიცაა ამ ძეგლების 25 წლის წინათ გამოცემულ კატალოგში[91].

წიგნის რუსულ რეზიუმეში დაშვებული ზოგიერთი შეცდომისა და უზუსტობის შესახებ ზემოთ აღინიშნა. აქ შეიძლება დავუმატოთ შემდეგიც: არ არის სწორი, თითქოს ბ ა რ ა ნ ა ს ციხის წარწერა ივანე აბულეთის ძისა, რომელიც XIII ს-ის დასასრულით თარიღდება, იყოს უძველესი იმ ქართულ წარწერებში, რომლებიც ციხის აგებაზე მოგვითხრობენ (გვ. 287). ჩვენ გვაქვს ამაზე ბევრად ადრინდელი (1125—1156 წწ.) წარწერა ს ა რ ო ს ციხისა, რომელშიც სწორედ ციხის აგების შესახებაა აღნიშნული[92].

არის წიგნში სხვა, შედარებით წვრილმანი, უზუსტობები: გვ. 121 — „ქ͠ესი" უნდა გაიხსნას არა როგორც „ქ(ირიკ)ესი", არამედ როგორც **„ქ(ვრიკე)სი"**. გვ. 123 — თ ე ჟ ა რ უ ი ქ ი ს III წარწერაში იკითხება არა „ს(ა)მა|დავლ|(ა)ჲს(ი)სა", არამედ — **„ს(ა)მ(ა)ნ|დავლ|ჲსსა"**, აქვე IV წარწერაში „ბუბა|ჲს[ისა]"-ში „ისა"-ს აღდგენა ზედმეტია. გვ. 161 — შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ს V წარწერაში კონტექსტით უნდა აღდგეს არა „შ[ეიწყალე]", არამედ „**შ[ეუნდე]**": „ქ(რისტე), შ(ეუნდე) დ(ავი)თს [ცოდვანი]". გვ. 162 — შაჰნაზარის VI წარწერის „ფიჩოსანთა" შეცდომით მიჩნეულია საკუთარ სახელად და ასეცაა გატანილი პირთა საძიებელშიც (გვ. 277). გვ. 177 — ქ ო ბ ე რ ი ს III წარწერის მე-11 სტრიქონში უნდა წავიკითხოთ არა „გ(ა)ნგ(უა)რნ(ე)ნ", არამედ **„გ(ა)ნგ(უა)-რ(ი)ნ(ე)ნ"** (<განრინება-გადარჩენა). გვ. 179 — ქობერის VIII წარწერაში მირიანის ასულის სახელი იკითხება არა როგორც **„ეგანთ|ასი"**, არამედ — **„გუ-**

---

90 წარწერის დასაწყისი ასე უნდა წავიკითხოთ:

„ქ͠ს **უჟა**, სეკდენბერს.
ქ. ტომთა და ნათესავთა ყოველთა მი-
ერ **სავალ — ადამის მლითი(!) თანანადები**
ბუნებისა, გარდავიხადე მეცა, რომელი ვიყავ
ჯავახის შვილის მზეჭაბუკის ასული...".

91 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი. შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1953, გვ. 39, № 40, ტაბ. XXI, სურ. 2. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კატალოგის ავტორებისათვის უცნობი დარჩა ამ წარწერის ახტალიდან წარმომავლობაც და ე. თაყაიშვილისეული გამოცემაც.

92 გამოც.: ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 45; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 172. წარწერის ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ: **„ქ(რისტ)ე, ად(იდ)ე ძ(ლიე)რი და [უ]ძ(ლევე)ლი მეფ(ე)თა მ(ე)ფე დ(ემე)ტ(რ)ე, რ(ომე)ლმ(ა)ნ რ(ე)ქჳ მ(ა)მ(ულობი)თ | გ(ჳ)ბ(ო)ძა | {და მ(ა)ჭას მ(ა)|მული. } მ(ა)ს ჟ(ა)მსა ესე ც(ი)ხე ავაგ(ე)თ. მე, ვ|აჩე დავწ(ერ)ე, ძე(მა)ნ გ(უ)[რ]გ(ენი)ს(მა)ნ".**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთ|ასი“ (შდრ. გუანცა). გვ. 191 — ახპატ-სანაინის I წარწერაში უნდა წავიკითხოთ არა „რ(ა)ჲ შემომიგდეს მე არა ვიდედეს(!) ბნელსა“, არამედ — **„რ(ომელ)ჲ შემომიდგეს მე“**. იქვე, სქოლიოში, ქართული სახარებიდან შესაბამისი ციტატის მოხმობისას (იოვანე 8, 12) ასევე „შემომიგდეს მე“ წერია „შემომიდგეს“ ნაცვლად; ასევეა წიგნის საძიებელშიც, სადაც საწყის ფორმად გატანილია — შემდგომა (გვ. 272), უნდა იყოს — **შემომდგომა,** ე. ი. მიდევნა, მოყოლა (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 479). გვ. 219 — ახტალის XIII წარწერაში „დ῀ტრეს“ უნდა გაიხსნას, არა როგორც „დ(იმი)ტრეს“, არამედ — **„დ(ემე)ტრეს“**. გვ. 220 — ახტალის XIV წარწერის მე-4 სტრიქონში „იგი ჟამი წირვ(ე)ბ(ო)დ(ე)ს“ უაზრობაა, ქარაგმა სხვანაირად უნდა გაიხსნას: „იგი ჟამ(ი) იწირვ(ე)ბ(ო)დ(ი)ს“. აქვე, მე-5 სტრიქონში უნდა **„ქ(რისტე)ს“** და არა „ქ(რისტ)ს“ (კორექტ. შეცდომა?). გვ. 228— ბარანას ციხის წარწერის მე-6 და მე-9 სტრიქონებში ორჯერ არის (პირველად სრულად და მეორედ — დაქარაგმებით) დიმიტრი მეფის (დემეტრე II თავდადებულის) სახელი აღნიშნული, როგორც **„დიმიტრისათა“** და **„დ(ი)მ(ი)ტრისსა“** [პ. მურადიანთან შეცდომით — „დ(ი)მიტრის(ა)სა“]; წიგნის საძიებელში კი ეს სახელი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რატომღაც „დიმიტრე“-დაა გატანილი (გვ. 276). გვ. 244 — ბარანა-კოღბის VII წარწერაში „[მი]ში | [უფლი]სა“ კი არა, არამედ **„[ში]ში | [უფლი]საჲ“** იკითხება (იხ. ტაბ. XXV, სურ. 4). სამწუხაროდ, ამ წარწერის ტექსტის ფოტოზე ცუდი რეტუშირების, თუ წარწერის ასოების კვეთის ხაზებში შავი საღებავის არასწორად ამოვლების გამო (რაც სრულიად დაუშვებელია), მეორე სტრიქონში „გამი“, ე. ი. „დასა|გამი“, იკითხება **„დასა|ბამი“**-ს ნაცვლად. გვ. 247 — კერამიკული წარწერა კალიპტერის ანტეფიქსზე, რომელიც, სხვათა შორის, ერთ-ერთი უძველესია სომხეთის ქართულ წარწერებში და X—XI სს. განეკუთვნება; აქ წარწერის სტრიქონების თანმიმდევრობას პ. მურადიანი არასწორად გადმოსცემს; წარწერა უნდა წავიკითხოთ არა როგორც „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ეი | ს(უ)ლი ბოწ|ყქაჲსა(?)“, არამედ — **„ქ(რისტ)ე, შეიწ|ყ(ალე) ს(უ)ლი ბო|ქაჲსა** (ან: **ბუ|ქაჲსა**)“; გვ 175 — ქობერის II წარწერის უკანასკნელი სიტყვები ასე იკითხება: **„რ(ა)იცა ეკლესიისა სამკ(აუ)ლი შ(ე)მ(ი)წ(ი)რ(ა)ვს — მ(ა)ს ჯ(უა)რი გ(ა)მ(ო)აჩენს“** და არა „რ(ომელ)იცა ეკლესიისა სამკ(აუ)ლი შ(ე)მ(ო)წ(ი)რ(ა)ვს — მ(ა)ს ჯ(უა)რი გ(ა)მაჩენს“; და სხვა.

უზუსტობები გვხვდება წიგნის საძიებელშიც — ტერმინები გატანილია სახელებში, ან პირიქით — სახელები ტერმინებში[93]; ზოგიერთის შესახებ ზემოთ იყო გზადაგზა აღნიშნული; აქ დამატებით შეიძლება აღინიშნოს გეოგრაფიული სახელები **შაშიანი** და **შათი,** რომლებიც წიგნის ტერმინთა და საგანთა საძიებელშია მოთავსებული; ხოლო **ვალეძორი,** რომელიც წარმოადგენს ივანე მხარგრძელის მიერ „აღებულ“ ერთ-ერთ „ქუეყანას“ (იხ. ზემოთ თეჟა-

93 უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს საძიებლები შედგენილია მეტად მოუხერხებლად — სიტყვები გატანილია იმ გეოგრაფიული სახელების გამომცემლის მიერ ხელოვნურად შექმნილი ლიტერების მიხედვით, საიდანაც ესა თუ ის წარწერა მომდინარეობს; ხოლო ამ ლიტერს რომაული ციფრით მიწერილი აქვს წარწერის რიგითი ნომერი გეოგრაფიული პუნქტის შიგნით. მაგ. ვანანა-ვანქის წარწერა აღნიშნულია վվ-თი; მაგრამ იმისათვის, რომ ეს վվ იპოვნო თითქმის მთელი წიგნი უნდა გადაფურცლო; ასევეა სხვა შემთხვევაშიაც — Կ I — ყარსის I წარწერაა, Ե II — ერევნის II წარწერა და სხვა. როგორც ჩანს, ყველაზე მოხერხებული იქნებოდა ავტორს საძიებლებში ერთეულები აღენიშნა თითოეულ წარწერასთან არაბული ციფრებით მიწერილი რიგობრივი ნომრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუიქის წარწერა), ავტორს გაუგია, როგორც მოძრაობის, გადაადგილების აღმნიშვნელი სიტყვა, მისგან გამოჰყავს არარსებული „ღუძრა“(?!) და წერს: „ღუძრა (?) (ვიღძრეთ(?), *շարժվել, տատչանալ*(?)“ (გვ. 271)[94]; და სხვ.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, საერთო სურათისათვის ესეც საკმარისია. ამავე დროს, ჩვენ აქ არაფერი გვითქვამს ახტალის, ქობერის და სხვ. ტაძრების ფრესკულ გამოსახულებათა 30-ზე მეტი წარწერის შესახებ, რომელთაგან ავტორს წიგნში მოჰყავს მხოლოდ მცირე ნაწილი (მაგ., ახტალის ტაძრიდან 9 წარწერა — გვ. 214—215, ხოლო ქობერიდან ორი წარწერის ნაწყვეტი — გვ. 175) და ისიც ტენდენციურად შერჩეული სახით (მაგ., არაფერია აღნიშნული ახტალის ტაძრის მხატვრობაში წარმოდგენილი ქართული ეკლესიის ეროვნული წმინდანების წმ. ნინოსა და წმ. ილარიონ ქართველის გამოსახულებათა იშვიათი წარწერების შესახებ; სამაგიეროდ მოყვანილია წარწერები წმ. ბენედიქტეს, სვიმეონის, ევაგრიოსის და დანიელის გამოსახულებებისა). ახტალის ტაძრის დასავლეთი კედლის მხატვრობის ქვედა რეგისტრში, შესასვლელი კარების მარჯვნივ (შიგნიდან) წარმოდგენილია წმ. ეფთვიმე მთაწმიდლის, წმ. ილარიონ ქართველის და წმ. გიორგი მთაწმიდლის მონუმენტური ფრესკული გამოსახულებები მთელი ტანით, პირდაპირ, შესაბამისი განმარტებითი წარწერებით. აქედან პ. მურადიანს მოჰყავს ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდლების წარწერები და არაფერს ამბობს მათ შორის გამოსახული ილარიონ ქართველისა და მისი წარწერის შესახებ. ეს მით უფრო დასანანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ეკლესიის ამ ეროვნული წმინდანების ასეთი გამოსახულება ქართული განმარტებითი წარწერებით უნიკალურია, მოიპოვება მხოლოდ ახტალის ტაძარში და დღეისათვის ცნობილია მსგავსი გამოსახულება დაზიანებული ბერძნული წარწერებით მხოლოდ პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრის ეკლესია-საძვალეს მხატვრობაში; ისაც, ილარიონ ქართველის გამოსახულების იდენტიფიკაცია შესაძლებელია ახტალის მხატვრობის მოშველიებით[95].

როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, კრებულს დართული აქვს ცხრა წარწერის გრაფიკული მონახაზი, რაც, ტექსტების ზუსტად გადმოცემის შემთხვევაში, გაზრდიდა წიგნის ღირსებას და მას პალეოგრაფიულ ღირებულებასაც შეუქმნიდა. სამწუხაროდ, ამ გრაფიკულ მონახაზებზე ზოგჯერ ისე შეცვლილად და დამახინჯებულადაა წარწერის ფაქტობრივი მხარე წარმოდგენილი, რომ ასომთავრული ასოების ამოცნობაც კი ჭირს. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთი უზუსტობის შესახებ ნებისმიერად აღებულ რამდენიმე წარწერაში:

1. ა ნ ი ს ი ს წარწერა ეტიფანე კათალიკოსისა. სტრ.: 1. **„ესე იგი არს“** ნაცვლად მონახაზზეა „ესლგ არს“. სტრ. 3. „ჯერ ას“ — **ქ**, თუ რომელიღაც გაურკვეველი ასო **ჯ**-ს ადგილას; და სხვ.

2. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ს წარწერა. სტრ. 2-ის ბოლოს „წ҃ⴍსა“-ში ⴍ-ოტის ნაცვლად მხედრული **ვ** მოხაზულობის გრაფემა. ბოლოდან მე-2 სტრიქონში **„ხ҃ა**

94 კრებულის საერთო ნაკლია ის, რომ წარწერებთან არ არის მითითებული მათი სრული ბიბლიოგრაფია (ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო ყველა არსებული გამოცემის დასახელება მაინც). მაგ., ანისის წარწერა ეტიფანე კათალიკოსისა (1218 წ.) რვაჯერ არის გამოცემული, ხოლო წიგნში მხოლოდ ხუთი გამოცემა ჩანს.

95 Е. Бакалова, Бачковската костница, София, 1977, გვ. 96—98, 100—107, 217; სურ. 80—83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშბლთა“-ში გამოტოვებულია **ს** და **ბ**, მაშინ, როდესაც ორივე დაუზიანებელია და გარკვევით იკითხება წარწერის ტექსტში.

3. ქობერის I წარწერა. მე-3 სტრიქ. „**შნშს**“ ნაცვლად მონახაზზეა „ს῀ნშს“. მე-5 სტრ. „**ჩემდა**“-ს ნაცვლად — „ჩიმდა“; და სხვ.

4. ახტალის წარწერა. მე-2 სტრიქ. ბოლოს „**გმზრდლთა**“-ს ნაცვლად მონახაზზეა „ემზრდლთა“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, უზუსტობები და შეცდომები, მართალია, სხვადასხვა მნიშვნელობისა და ხარისხისა, დაშვებულია პ. მურადიანის მიერ გამოცემულ თითქმის ყველა თუ არა, წარწერათა უმეტეს ნაწილში მაინც. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ უზუსტობათა ერთი ნაწილი წინა გამოცემებიდანაა ამ წიგნში გადმოსული, მაგრამ ტექსტის ყოველი ახალი გამოცემის უმთავრესი ამოცანა ხომ წინა გამოცემების გაუმჯობესებაა? სამწუხაროდ, ამას ამ წიგნში ხშირ შემთხვევაში ვერ ვხედავთ.

ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ აქ მივუთითეთ უმთავრესი, ერთი შეხედვითვე შესამჩნევი შეცდომებისა და უზუსტობების შესახებ და ისიც მხოლოდ წარწერათა ტექსტების წაკითხვისა და დადგენისას; ხოლო ამ ტექსტების პ. მურადიანისეული ინტერპრეტაციები, მის მიერ სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ცალკეული ტექსტების შეფასება, თვალსაზრისი ამ წარწერებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე ცალკე მსჯელობის საგანია[96].

შენიშვნები, მართალია, თითქოს ბლომად დაგროვდა, მაგრამ ისინი ვერ ამცირებენ პ. მურადიანის კეთილშობილური განზრახვის — სომხეთის ქართული წარწერების ერთად თავმოყრისა და გამოცემის მნიშვნელობას. ამავე დროს, ყოველივე აღნიშნული ნათელყოფს სომხეთის უძვირფასესი ქართული წარწერების კვლავაც გულმოდგინედ შესწავლის აუცილებლობას.

---

96 სამწუხაროდ, პ. მურადიანის მცდარი მოსაზრებები სომხეთის ქართული წარწერების შესახებ უკვე გახდა დასაყრდენი ზოგიერთი მკვლევრისათვის სხვა, ასევე მცდარი მოსაზრების განსავითარებლად. კერძოდ, სომეხი ხელოვნებათმცოდნე ი. დრამპიანი პ. მურადიანის დამოწმებით (რომლის წიგნსაც იგი ხელნაწერში გასცნობია) აღნიშნავს, რომ ქობერის XIII ს-ის ფრესკების ქართულ განმარტებით წარწერებში, თითქოს დასტურდება არმენიზმი — ერთ-ერთი წინასწარმეტყველის სახელი გადმოცემულია „**ელია**“ ფორმით (რომელიც, რატომღაც მაინცდამაინც სომხურ ფორმადაა იქვე მის მიერ გამოცხადებული) ნაცვლად „ილია“-სი. ეს ქობერის ფრესკების სომხურობის ერთ-ერთი მაჩვენებელია, რადგან ასეთი არმენიზმი ძნელია მიეწეროს ქართველებს, შემკვეთები იქნებიან ისინი თუ ხელოსნები ამ ფრესკებისათ (И. Р. Дрампян, Фрески Кобайра, Ереван, 1979, გვ. 22, შენ. 12). სინამდვილეში, „ელია“ არის ამ წინასწარმეტყველის სახელის ქართული ენისათვის სავსებით კანონზომიერი ფორმა და იგი, როგორც წესი, ამ სახით გვხვდება როგორც ამ წინასწარმეტყველის, ისე ამ სახელის მატარებელი სხვა პირების აღნიშვნისას ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში და მათ შორის წარწერებშიც (მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ თუნდაც საძიებლები ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებისა; იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A I_1, თბ., 1974, გვ. 477; A I_2, თბ., 1976, გვ. 360; სინური კოლექცია, ნაკვ. I, თბ., 1978, გვ. 241; ნაკვ. II, თბ., 1979, გვ. 313; და სხვ.; წარწერებიდან: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 173, № 14; და სხვ.). ამავე დროს, ასევე სავსებით კანონზომიერია ქართული ენის წერილობით ძეგლებში „**ელია**“|„**ილია**“ ფორმების პარალელური და თანადროული მონაცვლეობა. ასე რომ ი. დრამპიანის მიერ მოხმობილი არგუმენტი, დამყარებული პ. მურადიანის მოსაზრებაზე, ვერ გამოდგება ქობერის ფრესკების სომხურობის დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В. И. СИЛОГАВА

ОБ ИЗДАНИИ ГРУЗИНСКИХ ЭПИГРАФИЧЕСКИХ ПАМЯТНИКОВ АРМЕНИИ

Резюме

На территории современной и исторической Армении, в основном на стенах архитектурных памятников, сохранилось значительное количество древнегрузинских надписей, являющихся ценнейшим историческим источником для изучения вопросов политических, экономических и культурных взаимоотношений грузинского и армянского народов.

Изучение и издание этих надписей, начатое более 100 лет тому назад акад. М. Броссе и Н. Саргисяном, было успешно продолжено последующими исследователями — акад. Н. Я. Марром, Е. С. Такайшвили, а в последующее время — Л. М. Меликсет-Беком, А. Г. Шанидзе и др. Благодаря проведенной ими работе было выявлено и опубликовано несколько десятков древнегрузинских надписей XI—XVIII вв. Эти публикации, помещенные в разных периодических органах, порою даже для специалистов труднодоступных изданиях, выполненные учеными разных поколений, имеют различную научную ценность. А необходимость издания этих памятников в виде единого свода, в соответствии с современными издательскими требованиями и правилами, остро ощущается в исторической науке.

В последнее время к систематическим публикациям отдельных грузинских надписей Армении приступил армянский исследователь П. М. Мурадян; итогом проведенной им большой и кропотливой работы явилась его книга «Грузинская эпиграфика Армении. Источниковедческое исследование» (на армянском языке), изданная издательством Ереванского государственного университета, как первый том серии «Armeno-Georgica».

Наряду с несомненными достоинствами (солидная монография в 362 с; сравнительная полнота привлеченного материала — 112 надписей XI — нач. XIX вв.; издание текстов как на грузинском языке, т. е. на языке оригинала, так и на армянском, а некоторых — и на русском, с обширными историко-филологическими комментариями; разнообразный справочный аппарат; первое издание некоторых, порою весьма ценных, сообщающих новые подробности, надписей; публикация части памятников с фототипиями и прорисями и пр.) настоящее издание грузинских надписей Армении, к сожалению, имеет и существенные недостатки, на которые необходимо указать, исходя из научных интересов, так как из-за большой научной ценности собранного в книге материала им будут пользоваться представители самых разных специальностей — историки, филологи, искусствоведы и др., работающие как в области грузиноведения, так и арменистики.

Многие толкования текстов и отдельных данных грузинских надписей Армении, предложенные П. М. Мурадяном, являются правильными и убедительными; но наряду с этим часть из них является оши-

ეროვნული ბიბლიოთეკა

бочной, основанной на неправильном чтении и понимании текста надписей, а некоторые из них вообще предвзяты и поэтому неприемлемы. В настоящих заметках, какими бы обширными они не были, мы лишены возможности детально рассмотреть все такие погрешности этой книги, но на некоторые из них, не подлежащие сомнению, следует указать.

Неправильным является утверждение автора о существовании в Антиохии какой-то «армяно-грузинской» обители, так как это мнение (кстати, и ранее высказанное другими исследователями) основано на ошибочном чтении и толковании одной грузинской надписи-граффити XI века, обнаруженной при раскопке развалин грузинской церкви в 25 км от Оронтоса Антиохийского, на Черной горе. В этой надписи, вопреки утверждению П. М. Мурадяна, который со своей стороны опирается на произвольное чтение ее текста Ж. Месерианом, читается не «ეკლესია არს სომეხთა» (т. е. «Церковь [эта] армянская»), а — «ეკლესიაში სამხრით» (т. е. «на южной [стороне] церкви»), как это убедительно доказал В. Джобадзе в детальной и подробной публикации этой надписи; а эта публикация, вышедшая 15 лет тому назад, почему-то не отразилась в книге П. М. Мурадяна, специально посвященной грузино-армянским взаимоотношениям по данным грузинской эпиграфики.

Так же неприемлемым является то, что П. М. Мурадян собственные имена თამარ (Тамар) и დემეტრე (Димитрий) в грузино-армянском указателе книги выносит в арменизированной форме — «თამარე» (Тамарэ), «დიმიტრე» (Димитрэ), невзирая на точные и бесспорные данные текстов самих надписей.

Такие погрешности и неточности в книге можно отыскать еще, но на все здесь нет возможности, а может быть, и необходимости, указывать. Более целесообразным кажется уточнение предложенных автором чтений самих текстов этих надписей, или же привлечение пропущенных им древнегрузинских надписей Армении; тем более, что уточнение текстов уже само собой создаст основу для пересмотра отдельных неправильных интерпретаций автора.

Вопреки неоднократному заверению автора (в аннотации, предисловии, резюме), что «предлагаемая книга претендует на полный свод грузинской эпиграфики Армении», она, к сожалению, таковой не является: около 40 древнегрузинских надписей Армении из них около 10 лапидарных надписей, преимущественно из Ани, Кизилкилисий и др. им пропущены.

Главной причиной этого пробела является то, что автор совершенно не знаком (во всяком случае, из книги этого не видно) с теми архивными материалами (дневники путешествий, записи, старые фотонегативы и фотоснимки, зарисовки и прориси надписей...) о грузинской эпиграфике Армении, которые хранятся в древнехранилищах Грузии. А пользоваться этими материалами ему следовало, тем более, что П. М. Мурадян широко пользуется такими материалами, хранящимися в архивах Москвы, Ленинграда и Еревана.

В этом отношении особого внимания заслуживает надпись патрона Самадина 1288 года, вырезанная на стене одной грузинской церкви в Ани. Правда, эта надпись в специальной литературе известна еще с 1910 года, она знакома и автору этой книги, но им она воспроизводится по существующей публикации Н. Я. Марра — сильно ретушированному и таким образом видоизмененному фото, да и по записи в дневнике Н. Я. Марра, где приводится всего лишь 5 букв из пространной 23-строчной надписи. Между тем, в фототеке Государственного музея искусств Грузинской ССР хранится фотонегатив этой надписи, заснятый в начале XX века, по которому можно получить полноценный отпечаток; кроме того, в Институте рукописей им. К. С. Кекелидзе Академии наук Грузинской ССР, в личном архивном фонде акад. И. А. Джавахишвили имеются списанные на месте Н. Я. Марром и И. А. Джавахишвили 3 экземпляра текста этой надписи. О всех этих материалах было указано в литературе, но, видимо, эти указания ускользнули от внимания П. М. Мурадяна.

Надпись, которую исследователи застали уже в сильно попорченном виде при ее первом изучении, полностью читалась лишь в последних 9 строках (15—23 строки). Сличение списанных Н. Я. Марром и И. А. Джавахишвили текстов этой надписи с ее же фотоснимком дает возможность прочесть следующее:

« [...] **Это я, Самадин** [...] **Из Аниси** [...] **или тагари, или капчери, или мали, или иами** [...], **или намари и все, кроме** [...]**всякое пусть будет дано тамгачем; а от нас патроны и тамгачи в качестве городского заима пусть тетри не требуют; и пусть тамгу с нас снимут; в начале года пусть пожалуют к патрону и по правилу воздадут. Кто это изменит, да будет проклят именем бога и благодатью его святых. В хроникон 508»** (т. е. 1288 г.).

Ошибки и неточности в чтении текстов, изданных П. М. Мурадяном, встречаются если не во всех, то в большинстве из них. Правда, следует сразу же оговориться, что эти погрешности здесь разного рода — от орфографических разночтений до искажения смысла всего текста; кроме того, часть из них в эту книгу попала из предшествующих публикаций.

Возьмем, к примеру, текст надписи Тежаруйкского храма, который в русском переводе читается так:

«† Кресть Христа, животворящий, который воздвигся на Гольгофе для нашего спасения, <сохрани нас> — огражденных силою твоей!

Я, Иване Мхаргрдзели, сын эристава эриставов Саргиса мандатуртухуцеса, брат шахиншаха Закарии, великославного амирспасалара, покоритель стран от [...]риса, Шарха, Вагедзора, [...], Гаецона, Шата, Кайтбука, Гандзы с Норбердом, и до Кечрольской страны, построил на твое имя этот монастырь и <эту> церковь».

Мы здесь не можем привести для сравнения предложенный П. М. Мурадяном русский перевод этой надписи из-за ограничения места и

ეროვნული ბიბლიოთეკა

должны лишь констатировать, что им в тексте надписи все искажено: и вводная часть, где читается не «год спасителя» („წელსა მყოფლ[...]“), а «животворящий» („[ცხ]ოველს-მყოფელ[ო]“); и основная часть текста, где перечислены «страны» („ქუეყანა“), завоеванные Иване Мхаргрдзелом, которые П. М. Мурадян перечисляет весьма своеобразно, в сокращенном виде: «владетель всего от Норберда до края Кечарийцев» (а в самом деле текст надписи, как видим, несравнимо более богат сведениями); и фамилия самого Иване («Мхаргрцель»)*; и заключительная часть надписи, из которой следует, что монастырь в Тежаруйке Иване построил на имя «Животворящего Креста», а не «во имя» чего-то неопределенного.

Не менее существенным изменениям подверглась в издании П. М. Мурадяна надпись на тимпане церкви в с. Ирганчай, перевезенном на кладбище с. Шахназар, в которой упоминаются царица Русудан (1222—1245 гг.) и ее сын Давид.

Получилось так, что текст, или же основная часть текста этой надписи в книге П. М. Мурадяна приводится пять раз и с сожалением следует сказать, что ни одно прочтение не является правильным. Текст ирганчайской надписи таков:

«Именем бога, и заступничеством святой Богородицы, святого Иоанна Крестителя был положен этот святой балаварь после времен царицы Русудан для <упоминания> ее. Да поможет господь Давиду в царствовании!».

А в прочтении и в переводах П. М. Мурадяна, да и в комментариях, указано, будто в надписи говорится: «По завершении времен царствования царицы Русудан, да вспомоществует бог Давиду в царстве».

Отсюда следует ошибочная датировка и необоснованное толкование надписи: будто бы она выполнена в 1236/1245 гг. и что автор текста надписи «принадлежал к тем кругам общества, которые старались узаконить не только правление Русудан, но и преемственность ее сына».

---

* Следует указать, что **«Мхаргрдзели»** является не прозвищем этого грузинского феодального рода курдского происхождения, а его фамилией, как это убедительно доказал Ш. А. Месхиа, основываясь на всех существующих по этому вопросу первоисточниках (Ш. А. Месхиа, Внутриполитическая обстановка и государственное устройство в Грузии XII века, Тб., 1979, с. 207—253; на груз. яз.). Поэтому является необоснованной и произвольной укоренившаяся в армянской историографии тенденция считать «Мхаргрдзели» прозвищем и переводить его то как «Еркаинабазук», то как «Долгорукий». Эта тенденция прослеживается и в данной книге П. М. Мурадяна; особенно наглядно она видна при издании текста Тежаруйкского храма: в трех текстах надписи — на грузинском, армянском и русском языках — им даны разные формы этой фамилии. Вместе с тем, по заключению Ш. А. Месхиа, «такая чисто грузинская форма этой фамилии — Мхаргрдзели — уже сама собой указывает на раннее огрузинивание этого рода курдского происхождения, на его превращение в грузинский феодальный род» (Там же, с. 253).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Кстати, сразу же следует указать, что никто никогда не сомневался в законности царствования Русудан, а ее сын Давид был коронован соправителем еще в 1230 году, за 15 лет до смерти его царствующей матери.

В самом деле, как указано в надписи, церковь, на которой она находилась, была построена для упоминания души усопшей царицы („ჟამთა უკან რუსუდან დედოფლისათჳს“), а для ее сына у бога испрашивалось, чтоб тот помог ему в царствовании. Учитывая эти данные надписи и политическую ситуацию, существовавшую в Грузии в середине XIII века и известную нам по письменным источникам, мы считаем, что надпись была выполнена вскоре после смерти царицы Русудан, во время пребывания ее сына Давида при монгольском дворе для утверждения на царство, что могло иметь место в 1245—1247 гг., и надпись следует датировать этим временем.

Кстати, на датировках грузинских надписей Армении, предложенных П. М. Мурадяном, следует остановиться специально и особо, ибо здесь дело иногда доходит до курьезов. Так, например, в начале текста чанглийской надписи П. М. Мурадян читает дату „ქ(რონი)კ(ონ)ს **ნ**“ «В хроникон 50» (т. е. 1362 г.), когда там в самом деле написано «† კ(ჳრიელე)ს(ო)ნ!“, т. е. «Кириелейсон», и сама надпись относится не к XIV веку, а датируется XI—XII вв. Правда, здесь П. М. Мурадян следует за предшествующими издателями текста этой надписи (одно из этих изданий относится к 1861 году, а второе — к 1938 году!), но ведь каждая новая публикация текста лишь тогда оправдана и имеет научную ценность, если она является по сравнению с предшествующими публикациями более правильной и точной. К сожалению, в этой книге не всегда это так.

Результатом такого же некритического отношения к предшествующим публикациям является ошибочная датировка П. М. Мурадяном 1214/1215 гг. кошской надписи мандатуртухуцеса Иване и его супруги Хоша (или Хуаша, Хошак). В первом и единственном до публикации П. М. Мурадяна издании этой надписи, осуществленном А. Г. Шанидзе, была допущена ошибка — упомянутый в надписи Иване мандатуртухуцеси был отождествлен с Иване атабеком, который мандатуртухуцесом никогда не был, и, таким образом, надпись была ошибочно датирована 1214/1215 гг.

В самом деле, в кошской надписи упоминается Иване II мандатуртухуцеси, который, по нашему предположению, эту должность занимал в 1270—1285 гг., и кошскую надпись следует датировать этим временем.

Весьма своеобразной и неправильной является датировка шахназарской надписи, предложенная П. М. Мурадяном. В заключительной строке надписи „ქრონიკონი **სმიე** იყო“ («Хроникон был 255», т. е. 1035 г.), вполне правильная и закономерная форма указания даты, имеющая аналогии и в других древнегрузинских письменных памятниках, П. М. Мурадяном произвольно, вопреки правилам исчисления даты и нормам грузинского языка, искажается и предлагается следующее прочтение:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

„ქრონიკონის **მიე** იყო“ («Хроникона был 55») и отсюда выводится несуществующая датировка надписи 1095 годом.

В книге при издании текстов автором иногда пропущены не только отдельные слова, как это было указано выше на примере тежаруйкской надписи, но и целая строчка; например, в одной эпитафии из Ахталы (эпитафия Тамар Джавахишвили) в издании пропущена 3-я строка.

К сожалению, неточности и погрешности имеются и в справочном аппарате книги; например, ფიჩოსანი (т. е. духовное лицо; человек, одетый в ризу) П. М. Мурадян, видимо, считает личным именем и включает в именной указатель книги; а შარჰი (Шарх), являющийся географическим названием и упомянутый в тежаруйкской надписи среди «стран», завоеванных Иване Мхаргрдзелом, П. М. Мурадян включает в указатель терминов.

Как уже было сказано, некоторые надписи в книге публикуются с фотоснимками и прорисями; последними снабжены 9 надписей. С сожалением можно констатировать, что эти прориси, вопреки правилам, передают лишь общий образ надписей, не являясь их палеографической копией.

Мы указали лишь на основные неточности, касающиеся прочтения текстов надписей. А интерпретации этих текстов, принадлежащие П. М. Мурадяну, его положения и выводы по отдельным вопросам, вытекающие из данных грузинской эпиграфики Армении, являются темой отдельного специального рассмотрения.

Вместе с тем надо сказать, что наши замечания не умаляют благородности замысла П. М. Мурадяна издать в едином своде грузинские надписи Армении и лишь подчеркивают необходимость и впредь тщательного изучения ценнейших грузинских надписей Армении.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„რუსთაველის კოსმოლოგია“

ჯერ ჟურნალებში („განთიადში“ და „ცისკარში“) იბეჭდებოდა, ხოლო 1979 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა გიორგი თევზაძის ნაშრომი „რუსთაველის კოსმოლოგია“. იგი ყოველმხრივ ანგარიშგასაწევი სერიოზული გამოკვლევაა. ავტორი კვალიფიციური სპეციალისტი ასტრონომია. ასტრონომის თვალთახედვით დაკვირვებულად იხილავს გ. თევზაძე ფრიად საყურადღებო პრობლემას. სხვა დროს ყოფილა ცდები შეესწავლათ რუსთველი როგორც გეოგრაფოსი, მედიკოსი... ყველაფერი ეს საჭიროა და საქმისათვის სასარგებლოა, ოღონდ მკვლევართ არ უნდა უღალატოს ზომიერების გრძნობამ.

გ. თევზაძის წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. ავტორი სვამს და მისებურად აშუქებს ახალ, საინტერესო საკითხებს, გვთავაზობს შორს გამწვდენ თამამ დასკვნებს. ამთავითვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ „რუსთაველის კოსმოლოგიაზე“ რეცენზიას არ ვწერთ, არ ვწერთ იმიტომაც, რომ შორს ვართ ასტრონომიული მეცნიერებისაგან, ხოლო გ. თევზაძე საგანგებოდ გვაფრთხილებს, რომ ვეფხისტყაოსანში „წარმოდგენილი ასტრალური მოვლენის სწორი ახსნა პრაქტიკული და თეორიული ასტრონომიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია“ (გვ. 36—37). სხვაგანაც ნათქვამია: „ოტარიდზე ანუ მერკურზე დაკვირვება მოითხოვს ვარსკვლავიერი ცის საფუძვლიან ცოდნას“ (გვ. 39). ჩვენ მაინც ვბედავთ და ფილოლოგების შთაბეჭდილებასა და ორიოდე შენიშვნას ვაცნობთ დაინტერესებულ მკითხველს. იმასაც დავძენთ, რომ ვეფხისტყაოსნის ყველა მკვლევარს მოეთხოვება პოემის ტექსტისა და ენის შესაფერისი ცოდნა. ამისი სისწორე ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით შეგვახსენა ჩვენმა დაუცხრომელმა მკვლევარმა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ სწორედ გ. თევზაძის შრომისადმი მიძღვნილი თავისი შესანიშნავი წერილით — „ასტრონომიული მოვლენები ვეფხისტყაოსანში“ („მნათობი“, 1979, № 6, გვ. 167—175).

რუსთველის კოსმოლოგიური შეხედულებების გამოსარკვევად გ. თევზაძე სრულიად მართებულად ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს ავთანდილის ასტრალურ საგალობელს, ან საახოს, თუ ვედრებას. მნათობთა რიგის აქ დამოწმებულმა სახელობამ თითქოს უნდა ნათელყოს რუსთველის თვალსაზრისი სამყაროს აგებულების თაობაზე.

ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ნესტანის საძებნელად მიმავალი ავთანდილი „ცისკრად“ გაეყარა თავის ძმობილ ტარიელს და მიჰყვა „მხარსა ფრიდონის გზისასა“. ავთანდილს უზომოდ აწუხებდა ძმობილის განშორების ურვა და თინათინზე ფიქრი. ჭაბუკის სიტყვით („მზესა ეტყვის...“), თინათინი და მზე ერთმანეთს ჰგვანან. ერთი მზის „მოშორვება“ სიცივესა და ზამთარს იწვევს, მე ორი მზე (თინათინი და ტარიელი) დამშორებია, ამას როგორ გავუძლოო. ავთანდილი მაინც გულს არ იტეხს, განაგრძობს გზას და დიდებული საგალობლით (სავედრებლით) მიმართავს მნათობებს. საგალობელი იწყება განთქმული შაირით (957/946)[1]:

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
აჰა, მზეო, გეახები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობისა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!

შემდეგ ჩამოთვლილია მნათობები, რომელთაც ავთანდილი თავის საახოს უმხელს. თითო შაირი ეთმობა თითო თხოვნას (ახას). ეს მნათობებია: ზუალი (სატურნი), მუშთარი (იუპიტერი), მარიხი (მარსი), ასპიროზი (ვენერა), ოტარიდი (მერკური), მთვარე. დასასრულ, შეჯამებულად, ერთად დასახელებულია შვიდივე მნათობი და საერთო ახაა გამოთქმული (964/953):

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან,
მას გააგონებ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან.

[1] შაირების სტროფების სათვალავი ნაჩვენებია პოემის პირველი (1937) და მეორე (1966) საიუბილეო გამოცემების მიხედვით (გ. თევზაძე სარგებლობდა მეორე საიუბილეო გამოცემით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეურად, შინაარსობრივად და კომპოზიციურად ერთიანი, მწყობრი, მტკიცედ შეკრული და ამაღლებული რუსთველური საგალობელია გადმოცემული ავთანდილის პირით. ყურადღებას იპყრობს საგალობლის მნათობთა რიგი: 1. მზე, 2. ზუალი (სატურნი), 3. მუშთარი (იუპიტერი), 4. მარიხი (მარსი), 5. ასპიროზი (ვენერა), 6. ოტარიდი (მერკური), 7. მთვარე. დამაგვირგვინებელ შაირში ეს რიგი დარღვეულია (მზე, ოტარიდი, მუშთარი, ზუალი, მთვარე, ასპიროზი, მარიხი). აქ მნათობები ორ ჯგუფადაა დაყოფილი: ერთნი ჭაბუკისათვის „ბნდეჩიან“ (მზე, ოტარიდი, მუშთარი, ზუალი), მეორენი „მოწმად მყვებიანო“. რასაკვირველია, ფაქტობრივ ყველა მნათობია ავთანდილის მწუხარების მოწმე. რუსთველის დროს გავრცელებული იყო მნათობთა მოძრაობის პტოლომეოსისეული რიგი: 1. მთვარე, 2. მერკური (ოტარიდი), 3. ვენერა (ასპიროზი), 4. მზე, 5. მარსი (მარიხი), 6. იუპიტერი (მუშთარი), 7. სატურნი (ზუალი)[2]. რუსთველის ეპოქაში გადმოქართულებული თუ გადმოთარგმნილი იყო ერთი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ძეგლი, რომელსაც ეწოდება „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“[3]. მნათობთა ამისი რიგია: 1. სატურნი (ზუალი, ზოჰალი), 2. იუპიტერი (მუშთარი), 3. მარსი (მარიხი), 4. მზე, 5. ვენერა (მთიები, ასპიროზი), 6. მერკური (ოტერიდი, ოტარიდი), 7. მთვარე. ამ „ეტლთა“ რიგი შებრუნებით დალაგებული პტოლომეოსის რიგია. რუსთველის რიგი არც ერთს ემთხვევა და არც მეორეს. იგი განზე დგას და თავისებურია. კერძოდ, პტოლომეოსისა და რუსთველის რიგთა შორის ის განსხვავებაა, რომ პტოლომეოსით პირველ ადგილზეა მთვარე, მზეს კი მეოთხე ადგილი უკავია. რუსთველით პირველ ადგილზე მზეა, მთვარე კი ბოლოშია გადატანილი. რუსთველის რიგის თავისებურება გ. თევზაძეს საბუთს აძლევს იფიქროს, რომ XII საუკუნის ქართველმა პოეტმა შექმნა სამყაროს აგებულების ზუსტად ე. წ. გეოჰელიოცენტრული მოდელი, ისეთი, რომელიც განათლებულმა კაცობრიობამ მხოლოდ ოთხასი წლის შემდეგ ჩამოაყალიბა დანიელი მეცნიერის ტიხო დე ბრაჰეს სახით (გვ. 122). თავის მხრით ტიხო დე ბრაჰეს მოდელი პტოლომეოსისა და კოპერნიკის გეოცენტრული და ჰელიოცენტრული სისტემების „ნარევს წარმოადგენსო“ (გვ. 110). მაგრამ თავისთავად ფრიად შთამბეჭდავი და მაცთუნებელი მოდელის მისაღებად გ. თევზაძეს უხდება მნათობთა რუსთველური რიგის დარღვევა. საქმე ისაა, რომ რუსთველის საგალობლის ძირითადი ტექსტის წყობითაც და შემაჯამებელი შაირითაც მზეს უჭირავს პირველი ადგილი. გ. თევზაძეს კი ამ წყობაში (რიგში) არსებითი და პრინციპულად განსხვავებული კორექტივი შეაქვს. გ. თევზაძე ასე ალაგებს მნათობთა რუსთველურ რიგს: 1. სატურნი (ზუალი), 2. იუპიტერი (მუშთარი), 3. მარსი (მარიხი), 4. ვენერა (ასპიროზი), 5. მერკური (ოტარიდი), 6. მზე, 7. მთვარე (გვ. 74), საბუთი? გ. თევზაძის მოსაზრებათა თანახმად, 957/945 შაირი („მიმავალი ცათა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა: აჰა, მზეო, გეაჯები...“) შეუძლებელია იყოს საგალობლის დასაწყისი. მკვლევარი იმოწმებს ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ 955/944 შაირს, ავთანდილი რომ ერთმანეთს ამსგავსებს მზესა და თინათინს („მზესა ეტყვის: მზეო, გიტყვი თინათინის ლაწვთა დარად, შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს“), გაჰყავს პარალელი ამ და 957/946 შაირებს შორის და აცხადებს: „ორჯერ მზის მიმართ ვედრების წარმოთქმა უკვე თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ პლანეტათა ჩამოთვლა 955/944, 957/946 სტროფებით არ იწყება: რიგში ერთი და იმავე სხეულის ორჯერ დასახელება არ ხდება... პლანეტათა თანმიმდევრული ჩამოთვლა ამ სტროფებით არ იწყება“ (გვ. 73, ხაზი ჩვენია. — ავტ).

ჯერ ერთი, არავის უთქვამს, თითქო 955/944 შაირით იწყებოდეს ავთანდილის სავედრებელი საგალობელი. ეს შაირი საგალობლის გარეთაა, სავედრებელს (სააჯოს) არაფერს შეიცავს, მისი შინაარსი სულ სხვა მიზანდასახულობას ემსახურება. რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსნის ყოველი შინაარსობრივი მოტივი, ყოველი ეპიზოდი, ყოველი დეტალიც კი საერთოდ ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, მაგრამ 955/944 და 957/946 შაირებს რაიმე პირდაპირი, უშუალო დამოკიდებულება ერთმანეთთან არ აქვთ, მათი ერთ სპეციფიკურ კონტექსტში მოქცევა და ამის კვალობაზე რაიმე პრინციპული ხასიათის დასკვნის გამოტანა ნაძალადევი იქნებოდა. ვშიშობთ, რომ წინასწარშემუშავებულმა კონცეფციამ აიძულა გ. თევზაძე ეჭვი შეეტანა რუსთველური საგალობლის საოცრად მწყობრი და თანმიმდევრული უბრწყინვალესი ტექსტის მთლიანობაში და გამოეთიშა იქიდან პირველი, შესავალი, დიდებული საწყისი შაირი (957/946):

---

[2] რუსთაველის კოსმოლოგია, გვ. 58.

[3] ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა, გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი, 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
აჰა, მზეო, გეახლები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა აამაღლებ, მეფობისა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!

თუ 957/946 შაირს გამოვრიცხავთ საგალობლის შემადგენლობიდან, მაშინ სადღაა მზის სავედრებელი? მზე ხომ უმთავრესია და უპირველესი მნათობთა შორის, „უმძლესთა მძლეთა მძლე“, „ხატი ღმრთისა“ (836). საგულისხმო ის არის, რომ გ. თევზაძის აზრითაც „ვეფხისტყაოსანში მზეს ციურ სხეულთა შორის პირველი ადგილი აქვს დათმობილი“ (გვ. 78). თუ ასეა, მაშინ ავთანდილის საგალობელშიც მზის ადგილი (პირველი ადგილი) შესაფერისი ყოფილა, რად ვერეკებით მას საგალობლიდან? რაღ ვარღვევთ საგალობლის ბუნებრივ, მწყობრ რიგს? რად და მნათობთა საგალობლის ამგვარი რიგი არ ეგუება გ. თევზაძის თვალსაზრისს რუსთველისეული ასტრალური მოდელის თაობაზე.

სადღაა მზის სავედრებელი? მზისადმი განკუთვნილ სავედრებლად გ. თევზაძე თვლის 962/951 შაირს:

ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა;
დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწლობილსა, ტანსა, წვრილსა ვითა თმასა.

დამოწმებული სტროფის უბრალო გადაკითხვითაც ცხადი ხდება, რომ იგი ო ტ ა რ ი დ ი ს სავედრებელია, ოტარიდს მიმართავს გმირი („ოტარიდო“) და თხოვს „დაჯე წერად ჭირთა ჩემთაო“. საზოგადოდ, საგალობლის თითოეული შაირი თითო სავედრებელს (საახლოს) შეიცავს. გ. თევზაძე აქ ორ საახლოს გულისხმობს, ოტარიდისას და მზისას, მაგრამ ტექსტით აქ ავთანდილი მზეს არაფერს სთხოვს, თუ გნებავთ, ერთგვარად უჩივის კიდევაც, „მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებსო“. მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული ტაქტით, ოღონდ სრულიად გარკვევით და მტკიცედ შენიშნა აკაკი შანიძემ: „ძნელია დავიჯეროთ, რომ ერთი და იგივე შაირი ორი მნათობის რიგის მაჩვენებელი იყოს, ოტარიდისა და მზისა“ („მნათობი“, 1979, 6, გვ. 173). ამას ბ-ნი აკაკი საბუთიანად ურთავს: „მზე მომდევნო (963/952) შაირშიც არის ნახსენები, მაგრამ ეს შაირი მხოლოდ მთვარისადმი მიმართვას შეიცავს, ისე როგორც წინამავალი შაირი (962/951) — მხოლოდ ოტარიდისადმი მიმართვას“ (იქვე). თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ეს შაირიც:

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვდები, ზოგჯერ ვწვლდები,
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ რაგვარ ვბნდები,
მოდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.

ამრიგად, სრულიად ნათელია, რომ 962/951 შაირი ოტარიდის საახლოა, ისე როგორც 963/952 შაირი — მთვარისა. მზეს კი ასევე უცილობლად თავისი ბუნებრივი, პირველი ადგილი აქვს საახლოდ მიჩენილი. ასევე პირველი ადგილი აქვს მზეს დამაგვირგვინებელ შაირშიც. მთლიანად კი ასტრალური საგალობელი ერთიანი, ერთი სუნთქვით წარმოსათქმელი, უწყვეტელი, გაბმული, უბადლო პოეტური მონოლოგია, რომელიც იწყება მზის სავედრებლით და იხურება მნათობთა ერთობლივი სადიდებლით. არც ისაა უმნიშვნელო გარემოება, რომ ერთმანეთს ზუსტად არ ემთხვევა მნათობების ცალკეულ საახლოთა და შემაჯამებელი შაირის რიგი. ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ რუსთველი უწინარეს ყოვლისა პოეტია და მისთვის უცხოა პოეტური აღმაფრენის შემზღუდავი ყოველგვარი სქემა. ცხადზე უცხადესია, რომ რუსთველი კარგად ერკვეოდა მნათობთა ასტროლოგიურ ხასიათში (იმდროინდელი წარმოდგენების მიხედვით). რუსთველისათვის მთავარი იყო მნათობების ასტროლოგიურ თვისებათა კვალობაზე ავთანდილის პირით მოეხმო ეს მნათობები და წარმოეთქვა წარმტაცი საახლო-საგალობელი, შეექმნა უმშვენიერესი პოეტური სიმფონია.

გ. თევზაძის დაკვირვებით, ასტრალური საგალობელი შეუძლებელია იყოს ერთი გაბმული პოეტური მონოლოგი, რამდენადაც რუსთველის მიერ „ყოველი აღწერილი სურათი (ასტრალური თუ ასტრონომიული. — ავტ.) საოცრად ზუსტად ასახავს რეალურ სინამდვილეს“ (გვ. 21). ეს დებულება საერთოდ დავას არ იწვევს. ოღონდ მკვლევრის მტკიცების თანახმად, თითქოს ავთანდილი მნათობებს ვედრებით მაშინ მიმართავს, როდესაც მათ ცაზე რეალურად ხედავს. ხოლო „ყველა პლანეტა ყოველ ღამით ცაზე არ არის“ (გვ. 70), თანაც პლა-

 ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტები ღამით სხვადასხვა დროს ჩნდება (გვ. 70—72). მზე დღის მნათობია, ავთანდილიც მას დღე მიმართავს (გვ. 70). როგორი ვითარებაა პლანეტების მიმართ? გ. თევზაძის ვარაუდით, ავთანდილი მათ ღამით ჭვრეტს და ცაზე გამოჩენისას უმხელს საავო გულისთქმას. მაშასადამე, ფრიდონის ქვეყნისაკენ მიმავალი ავთანდილი თურმე დღისით თუ ღამით სხვადასხვა დროს წარმოთქვამდა თავისი საგალობლის ნაწილებს იმის მიხედვით, როდის გამოაშუქებდა სხივებს ესა თუ ის მნათობი. ეს შეუძლებელი ვარაუდია. ამით ხომ საოცრად დაირღვეოდა ასტრალური საგალობლის განუყოფელი ერთიანობა და მონოლითური მთლიანობა. ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი საეჭვოდ ვერ გახდის, რომ ასტრალური საგალობელი ავთანდილმა მთლიანად წარმოთქვა დღისით, მზისით, იმ დღეს, როცა ძმადნაფიცნი ერთმანეთს დაშორდნენ „ტირილით და პირსა ხოკით". მარტოდ დარჩენილი და ჭმუნვით გათანგული ავთანდილი მნათობებს უმხელს თავის სატკივარს და თავის სათხოვარს.

კიდევ ერთი შენიშვნა ასტრალური საგალობლის გამო. გ. თევზაძე წერს, რომ ავთანდილი „ვედრებით მიმართავს ციურ სხეულებს (ღმერთებს)" (გვ. 69. ხაზი ჩვენია. — ავტ.). ციურ სხეულებს მკვლევარი ღმერთებს უწოდებს, თითქოს რუსთველი (თუ ავთანდილი) მნათობებს თვლის ღმერთებად. გამოდის, რომ XII საუკუნის ქართველი პოეტი, თუ მისი ერთი უმთავრესი გმირი, წარმართი ყოფილა, მრავალღმერთობის მიმდევარი. ნამდვილად კი რუსთველი მონოთეისტია, მონოთეისტია ავთანდილიც. მართალია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკრეხელური აზრიც თქმულა რუსთველის სარწმუნოებრივ აღმსარებლობაზე, მაგრამ ახლა ეს საკითხი გარკვეულია. გ. თევზაძეც თვლის, რომ რუსთველი იყო „დიდად ღმრთის მორწმუნე ქრისტიანი" (გვ. 77). ავთანდილი პოემის მიხედვით მაჰმადიანია, თუმცა მაჰმადიანობისა მას არსებითად არაფერი სცხია. თავისთავად მაჰმადიანობაც უაღრესად მონოთეისტური რელიგიაა, მისთვის უცხოა მრავალღმერთიანობა. ქრისტიანად ჩავთვლით ავთანდილს, თუ მაჰმადიანად, იგი მონოთეისტია და მნათობებს ღმერთებად ვერ მიიჩნევდა. ეს რაღაც გაუგებრობაა, შესაძლოა, უბრალოდ კალმის ლაფსუსიც იყოს. სხვათა შორის ასევე ლაფსუსია, თითქოს რუსთველის ეპოქაში საზღვარგარეთის ქართული კულტურული ცენტრია პალესტინაში საბაწმინდა (გვ. 125). საბაწმინდა დასახელებულია ჯვრის მონასტრის ნაცვლად.

ამრიგად, ავთანდილის ასტრალური საგალობლის ანალიზით გ. თევზაძე ვერ ასაბუთებს იმ ძირითად დებულებას, თითქოს რუსთველმა წამოაყენა ახალი, გეოჰელიოცენტრული თეორია. ამ თეორიას არ ეგუება არც ვეფხისტყაოსნის პირველი შაირის („რომელმან შექმნა სამყარო") მონაცემები. ბ-ნმა ა. შანიძემ უკვე შენიშნა „გ. თევზაძის მტკიცება, რომ პოემის შესავლის პირველ შაირში „ქვეყანა" სიტყვით, თითქო რუსთველის გაგებით, „მთელი მზიური სისტემა და ნიადაგ მბრუნავი ცა" იგულისხმებოდეს, სიმართლეს არ შეეფერება" („მნათობი", 1979, 6, გვ. 174).

ჩვენი დასკვნა მაინც ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ჩვენ მთლიანად და გადაჭრით უარვყოფდეთ გ. თევზაძის კონცეფციის მნიშვნელობას. გ. თევზაძის თვალსაზრისი, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა, სავსებით დასაშვებია. ოღონდ ეს ჰიპოთეზა საჭიროებს შემდგომ გაღრმავებულ კვლევა-ძიებას და დასაბუთებას. ჩვენ შეუფერებლად გვეჩვენება გ. თევზაძის კატეგორიული კილო — „გავარკვიეთ", „გაირკვა", „დავადგინეთ", „დადგინდა", „საბოლოოდ დადგინდა" და ა. შ.

დამაჯერებელი და გასაზიარებელია გ. თევზაძის მოსაზრებანი ბაკმაზე, ვავსებულ ანუ სრულ მთვარეზე, მთვარის მოვანებაზე...

შოთა რუსთველი იყო გენიოსი პოეტი, პოეტი-მოაზროვნე, რომელმაც შორს გაუსწრო თავის დროს. როგორც რენესანსული ეპოქის მოაზროვნე ტიტანს შეეფერებოდა, რუსთველიც უგანათლებულესი პიროვნება უნდა ყოფილიყო, ღრმად დაუფლებული კაცობრიული ცოდნის ყველა სფეროს — მეცნიერებას, ფილოსოფია-თეოლოგიას, ხელოვნებას. მაინც რუსთველი, ვიმეორებთ, უწინარეს ყოვლისა იყო დიდი ბრძენი პოეტი, რომელიც პოეტური ასპექტით ასახავდა თავის კოლოსალურ ცოდნას. ეს ცოდნა გამოხატავდა რუსთველის თანადროულ მეცნიერებათა მიღწევებს ყველა დარგში, კერძოდ, ასტრონომია-ასტროლოგიაში (შდრ. ამ თვალსაზრისით ბირუნი, ნიზამი, ფალაქი და სხვ.).

არა გვგონია, რუსთველის სახელი საჭიროებდეს ისეთ ატესტაციას, რასაც გვთავაზობს გ. თევზაძე: „რუსთაველი გვესახება არა მარტო შეუდარებელ მხატვრად, არამედ ისეთ ბუმბერაზ მეცნიერადაც, რომლის ბადალი თოთხმეტი საუკუნის მანძილზე კაცობრიობის ისტორიამ არ იცის" (გვ. 133).

ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური, ს. ცაიშვილი, ა. გვახარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ იმნაძე

ოტარიდის „ბრუნვა“ და მისი ინტერპრეტაცია

რამდენიმე საჟურნალო სტატიის შემდეგ („განთიადი“ და სხვ.) ცალკე წიგნად გამოვიდა პროფ. გიორგი თევზაძის შრომა „რუსთაველის კოსმოლოგია“[1]. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს არის „ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში“ (მხედველობაში გვაქვს რედაქტორის გ. ფანჯიკიძის წინასიტყვაობა და პროფ. პ. რატიანის საგაზეთო წერილი). აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ის დაწერილია, არა ფილოლოგის, არამედ ასტრონომის მიერ. ჩვენც გვინდა გამოვთქვათ ამ შრომის შესახებ ზოგიერთი მოსაზრება, უმთავრესად ოტარიდის ბრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ციური მექანიკის თვალსაზრისით.

გ. თევზაძეს საფუძვლიანად შეუსწავლია „ვეფხისტყაოსანში“ ციური მნათობების შემცველი სტრიქონები და გაურკვევია ასტრონომიული შინაარსის მქონე ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა. ეს მისი დამსახურებაა (ჩვენ ამ საკითხებს არ ვეხებით). შრომის მთავარი მიზანია, გაარკვიოს რუსთაველის კოსმოლოგიური შეხედულება. ამისთვის უპირველესად განხილულია „ავთანდილის სიმღერა“ (ანუ „ავთანდილის ვედრება“), განსაკუთრებით კი სტროფი ოტარიდის შესახებ. უფრო ადრე, როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს ადგილი გაურჩევიათ: ვახტანგ VI-ს, თ. ბაგრატიონს, ი. ალხაზიშვილს, მ. მამაცაშვილს, კ. ცინცაძეს, გ. იმედაშვილს, დ. ჭანტურიშვილს, ლ. ბელიაშვილს, რ. თვარაძეს, ს. ცაიშვილს, ნ. ნათაძეს და სხვ.

ეს ადგილი ჩვენც მოგვყავდა ჩვენს „თანავარსკვლავედებში“[2], მაგრამ ვაძლევდით მას მხოლოდ ასტროლოგიურ ახსნა-განმარტებას. კერძოდ, მერკურის შესახებ ვწერდით: „მერკური (ოტარიდი) იყო ვაჭრობისა და მეკობრეობის ღმერთი თავისი სწრაფი გადაადგილებისა და დამალვის უნარის გამო. იგი მუდამ მზის მახლობლად მოძრაობს წინ და უკან მზეზე გავლით და ამიტომ იშვიათად ჩანს მზის სინათლეზე. ავთანდილის აზრით, მისი საქმე არავის არ ჰგავს ისე, როგორც ოტარიდს:

„ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა,
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა“ (963)[3],

ე. ი. როგორც მზე შენ არ გიშვებს და გწვავს, ისე მეც ვერ დავაღწიე თავი ჩემს მზეს — თინათინსო“.

გ. თევზაძე და ზოგიერთი ზემოთ დასახელებული რუსთველოლოგი, ალბათ, „კეთილშობილური“ მოსაზრებით, აზვიადებენ სიტყვებს „მზე მაბრუვებს, არ გამიშვებს“ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ რუსთაველმა თითქოს 400 წლით გაუსწრო წინ თავის თანამედროვე ბუნების მეცნიერებას და ჯერ კიდევ XII საუკუნეში შექმნა ჰელიოცენტრული (დ. ჭანტურიშვილი, რ. თვარაძე, გ. ჯიბლაძე) ან გეოჰელიოცენტრული (გ. თევზაძე) სისტემა. კითხვაზე: რატომ დარჩა ეს მოვლენა შეუმჩნეველი XX საუკუნემდე? — პირდაპირ არ პასუხობენ, მაგრამ შესაძლოა ფიქრობენ, რომ „საუკუნეების მანძილზე, როგორც მოწინავე საზოგადოება, ასევე ფართო მასები ნაკლებად ერკვეოდნენ ციურ მოვლენებში, ამიტომ პოემის წმინდა ასტრალური შინაარსის ეს სტრიქონები მათთვის გაუგებარი და ნაკლებად საინტერესო უნდა ყოფილიყო“[4].

ჩვენი აზრით, ეს ასე არ არის. რუსთაველის დროს საქართველოში მოქმედებდა ორი აკადემია, იყალთოსა და გელათის, სადაც ისწავლებოდა შვიდი საგანი და მათ შორის ასტრონომია. შემდეგშიაც უნდა გაგრძელებულიყო ეს ტრადიცია, შეძლებისდაგვარად. „მოწინავე საზოგადოება და ფართო მასები“ ყოველთვის იყო დაინტერესებული ასტრონომიით და მათ ამ მხრივ უცოდინრობას ვერ დავწამებთ.

---

[1] გიორგი თევზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1979.

[2] მ. იმნაძე, თანავარსკვლავედები, თბ., 1952 (და 1963 წ.)

[3] სტროფის ნომრები აღებულია 1941 წლის გამოცემიდან.

[4] გ. თევზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს ახალი სისტემის დასაბუთებისთვის აუცილებელია ცთომილთა წრიული მოძრაობა და გ. თევზაძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსთაველს უნდა სცოდნოდა ძველი ასტრონომების შეხედულება ამ საკითხზე. ის წერს: „როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ძველი დროის ყველა ასტრონომს საშუალო საუკუნოების ჩათვლით კეპლერამდე (1571—1630 წწ.) მიაჩნია, რომ მნათობები წრეზე მოძრაობენ. ამ კანონს ყველა ეპოქაში იზიარებდნენ“[5].

ეს თითქოს ასეა, მაგრამ იგი სინამდვილეს კი არ ასახავდა, არამედ დამყარებული იყო რწმენაზე, რომ ციური მნათობი უსათუოდ სრულყოფილი მრუდით უნდა მოძრაობდეს, და ასეთ მრუდად წრეხაზი მიაჩნდათ. ძირითად საფარდ სისტემად ძველი ასტრონომები ღებულობდნენ დედამიწას და ასე ხსნიდნენ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მოძრაობას, რაც მათ წრიულად წარმოედგინათ. ცთომილებისთვის კი ეძებდნენ ფიქტიურ წერტილებს, რომელთა გარშემო დამატებითი წრიული მოძრაობებით ცდილობდნენ აეხსნათ მათი ხილული, საკმაოდ უწესრიგო მოძრაობა. ამ ნიადაგზე შეიქმნა პტოლომეს გეოცენტრული სისტემა, სადაც თითოეული ცთომილი რამდენიმე წრიულ მოძრაობაში მონაწილეობდა, რის შედეგადაც აღწერდა არაწესიერ მრუდს. „ეს თეორია იყო ბუნებრივი შედეგი ჰერაკლიტეს მოძღვრებისა იმის შესახებ, რომ მერკური და ვენერა აღწერენ წრეებს მზის გარშემო“[6]. აქედან ჩანს, რომ მერკურისა და ვენერას ბრუნვა მზის გარშემო უძველესი დროიდან იყო ცნობილი.

ჩვენი აზრით, „ბრუნვა“ და მისი ფორმები „ვეფხისტყაოსანში“ ისეთივე მნიშვნელობით იხმარება, როგორც იხმარება ისინი ჩვენს დროში. ზოგჯერ ეს სიტყვები მართლაც გულისხმობს წრიულ მოძრაობას, ხოლო ზოგჯერ მოძრაობის მიმართულების შეცვლას ნიშნავს. მოვიყვანოთ მაგალითები:

„არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს ანუ ცა მიწყივ მბრუნავი“ (938).

„მიწყივ მბრუნავი ცა“ — ცის ხილულ დღეღამურ ბრუნვას აღნიშნავს და ცაზე „მიმაგრებული“ მნათობები წრეხაზებს აღწერენ. ასევე —

„რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა“ (1309).

„შვიდი ცის“ სფეროს ბრუნვაც წრიულ მოძრაობას წარმოგვიდგენს. მზის წრიული მოძრაობა იგულისხმება სტრიქონში —

„მზე დაბრუნდა, არ ვიცოდი, მზესა რამცა დააბრუნვებს“ (747).

მაგრამ ეს არის მზის ხილული მოძრაობა წლის განმავლობაში, ვარსკვლავებს შორის, ეკლიპტიკის წრეზე. ადამიანურ ურთიერთობაში „ბრუნვა“ ჩვეულებრივად მიმართულების შეცვლაა.

„ვა სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,

. . . .

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!“ (951).

„სოფელი“ გვაბრუნებს და ვის სად წაიყვანს, — არავინ იცის. ან კიდევ:

„თქვა: „თუ დავბრუნდი, ეზომი ხანი რად დავყავ მე ველად“. (186).

ცხადია, უბრალო დაბრუნებაზეა ლაპარაკი, მიხვეულ-მოხვეული გზებით. განვიხილოთ ახლა გამოთქმა —

„ვითა მთვარე დაუდგრომლად იარების, არ დადგების“ (1001).

როგორც სამართლიანად განმარტავს გ. თევზაძე, „მთვარეს თავის მოძრაობაში, პლანეტებისგან განსხვავებით, არა აქვს დგომა, უკუსვლითი მოძრაობა“. ასევე მზესაც. ცთომილებს კი აქვთ უკუსვლითი მოძრაობა, მაგრამ ერთხელაც არ არის ეს სიტყვა ნახმარი „ვეფხისტყაოსანში“. უკუსვლითი მოძრაობის მაგიერ რუსთაველი „მობრუნებას“ იტყოდა. ამიტომ ოტარიდის სტროფში თქმული „მზე მაბრუნვებს“ უნდა ნიშნავდეს ცთომილის უკან მობრუნებას. ამაზე მიგვითითებს აგრეთვე სტრიქონის ბოლო — „შემიყრის და მიმცემს წვასა“.

---

[5] იქვე, გვ. 53.

[6] А. Панекук, История астрономии, М., 1966, გვ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, აქ რომ ოტარიდის მზის გარშემო წრიული მოძრაობა იგულისხმებოდეს, მაშინ ის მზისგან ყოველთვის ერთნაირი მანძილით იქნებოდა დაშორებული და ერთნაირ სითბოს მიიღებდა, რის გამოც აზრი აღარ ექნებოდა გამოთქმას, რომ ის (ოტარიდი) „იწვის“ მზესთან „შეყრის“ ანუ შეერთების დროსო.

აღსანიშნავია ისიც, რომ „მაბრუნვებს“ უპირველესად ავთანდილს ეხება, შემდეგ კი, თუმცა თანაბარი უფლებით, ოტარიდს. ავთანდილის „ბრუნვა“ კი თინათინის გარშემო არ შეიძლება წრიული იყოს; არც ოტარიდის ბრუნვა უნდა იყოს წრიული.

ამრიგად, ოტარიდის სტროფში ხილული მოძრაობაა აღნიშნული, რომ მერკური (ოტარიდი) ხან ერთი მხრით მოშორდება მზეს და ხან მეორე მხრით, მაგრამ ხშირად მზის დისკოზე გეგმილდება, ან უკან აღმოჩნდება და „იწვის“ შეერთების დროს. სხვათა შორის, მერკური ძნელად დასაკვირვებელი ობიექტია. კოპერნიკი ზოგჯერ თუმცა ხედავდა მას, ჰორიზონტთან ახლოს, მაგრამ ერთხელაც ვერ მოახერხა მასზედ რიგიანი დაკვირვება[7]. ჩვენს განედზე უფრო კარგი პირობებია მერკურზე დაკვირვებისთვის, მაგრამ მაინც იშვიათად ჩანს. რუსთაველს კი კარგად სცოდნია მისი ხილული მოძრაობის თავისებურება, ისევე როგორც სხვა ცთომილების. რუსთაველს განსაკუთრებით ლამაზ და იშვიათ მოვლენად მიაჩნია ცთომილთა ხილული დაახლოება ცის თაღზე. დიდი ხნის ტანჯვისა და წამების შემდეგ ნესტანდარეჯანისა და ტარიელის შეხვედრა ქაჯეთის ციხეში პოეტს იუპიტერისა და სატურნის დაახლოებას მოაგონებს:

„ამას ჰგავდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“ (1421).

ასევე, უდიდეს სილამაზეს გვიხატავს რუსთაველი, როცა მზის სხივებში „წვავს“ ოტარიდს და მას თინათინისა და ავთანდილის სიყვარულს ადარებს. ივიწყებენ, რომ ოტარიდის სტროფი პოეტური მეტაფორაა და არა რომელიმე თეორემის მცირე ნაწილი. ჰერაკლიტეს სქემას, ან სხვა რაიმე თეორიას აქ ადგილი არა აქვს. აქ მხოლოდ ხილული მოძრაობაა აღწერილი.

ახალ სისტემას რომ აღწერდეს რუსთაველი, მაშინ სხვა ცთომილების მოძრაობაც უნდა განეხილა იმავე თვალსაზრისით, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ ასეთ ადგილებს ვერ ვხედავთ. მაგალითად, ვენერას შესახებ ამბობს:

„მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
შენ დააშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა მაგითა“ (961).

ეს სიტყვები სავსებით გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ ასპიროზი (ვენერა) სილამაზისა და სიყვარულის ღმერთად იყო მიჩნეული.

მარსის შესახებ ავთანდილი ამბობს:

„მოდი, მარიხო, უწყალოდ დამკერ ლახვრითა შენითა,
შეცამლებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა“ (960).

აქ ნათლად ჩანს, რომ მარსს განიხილავს რუსთაველი როგორც ომის ღმერთს, უწყალოს და სისხლისმღვრელს და არა რაიმე სისტემის საინტერესო წევრს. მოვიგონოთ, რომ კოპერნიკი, კეპლერი, ტიხო ბრაჰე და სხვები თავიანთი თეორიების დასაბუთებისას ძირითად როლს აკუთვნებდნენ მარსს. რუსთაველიც გვერდს ვერ აუვლიდა მარსის მოძრაობის განხილვას, სამყაროს ახალი სისტემის შექმნა რომ ნდომებოდა.

გ. თევზაძე, თუ არ ვცდებით, ასე ფიქრობს: რაკი რუსთაველმა იცოდა, რომ ძველი ასტრონომები ცთომილთა მოძრაობას წრიულად თვლიდნენ და მერკური წრიულად მოძრაობს მზის გარშემო, ამიტომ ვენერა, მარსი და სხვა ცთომილებიც წრიულად მოძრაობენ იმავე მზის გარშემოო. მაგრამ, ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, მერკურის წრიული მოძრაობა მზის გარშემო არ არის დასაბუთებული და, მეორე, ფართო მასებისთვის დაწერილ პოემაში რატომ დაიწყებდა რუსთაველი სამყაროს ახალი სისტემის გადმოცემას. რამდენი პოეტია ახლა მსოფლიოში, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ ციური მნათობების დღეღამური მოძრაობა დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვით აიხსნება, მაგრამ ასეთ მოვლენებს ისე აღწერენ, როგორც ეჩვენება ის ადამიანს.

„ბრუნვის“ შემდეგ ყურადღება ექცევა იმას, რომ მზე „იჭერს“ ცთომილს, „მაშასადამე

[7] А. Б е р р и, Краткая история астрономии, М., 1946, გვ. 93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არ გამიშვებს“ გამოთქმაში გარკვევით არის მინიშნებული, რომ პლანეტას გააჩნია უნარი, გაექცეს მზეს. ეს კი პლანეტის ინერციულობის თვისებაა“, — წერს თევზაძე[8].

ასე ადვილად არის „დამტკიცებული“, რომ რუსთაველმა იცოდა მიზიდულობის კანონიც და ინერციის კანონიც. კაცობრიობას კი დიდი შრომა დასჭირდა ამ კანონების აღმოჩენისათვის. სინამდვილეში აქ მხოლოდ პოეტური ხერხია გამოყენებული: ერთი და იმავე აზრის განმეორება სხვადასხვა სიტყვით, ეფექტის გასაძლიერებლად. „მაბრუნვებს“ აქ იგივეა, რაც „არ გამიშვებს“. ასეთი განმეორება ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. მოვიყვანოთ მაგალითები:

„რაცა გკადრო არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გაწყრეო“ (65).

მორიდებით ეუბნება ავთანდილი როსტევან მეფეს. ეს ხაზგასმული სიტყვები ერთსა და იმავე აზრს იმეორებს სხვადასხვა ნიუანსით და ალამაზებს პოეტურ ფრაზას. ასევე, ფარსადან მეფესთან დავის დროს ტარიელი ამბობს:

„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე“ (566).

განმეორება (ხაზგასმული სიტყვები) ნათქვამს აძლევს მეტ დამაჯერებლობას.

შევნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ განმეორება ორგვარია. პირველში განმეორების სიტყვები დაახლოებით ერთსა და იმავე აზრს გამოსახავს, როგორც ახლახან მოყვანილ ორ მაგალითში. მეორე გვარის განმეორებაში კი პირველად აღებული სიტყვის შემდეგ აიღება საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვა და ამ უკანასკნელის უარყოფით მიიღება განმეორება. ასეთია, მაგალითად, ფატმანის დახასიათების ერთი სტრიქონი:

„ნაკვთად კარგი, შავ-გვრემანი, პირ-მსუქანი, არ-პირხმელი“ (1077),

„პირ-მსუქანის“ საწინააღმდეგოა „პირ-ხმელი“ და მისი უარყოფით ხდება პირველი ნიშნის განმეორება.

ზემოთაც შეგვხვდა განმეორების ამგვარი მაგალითი:

„ვითა მთვარე დაუდგრომლად იარების, არ დადგების“ (1001).

„დაუდგრომლად იარების“ იგივეა, რაც „არ დადგების“. ასეთივე, განმეორებაა „მაბრუნვებს“ — „არ გამიშვებს“, და არა ინერცია და მიზიდულობის კანონი. ამასთან, განმეორების პრინციპის თანახმად პირველი სიტყვა უნდა იყოს „გაშვების“ საწინააღმდეგო, ე. ი. შეჩერება ან მობრუნება და არა წრიული ბრუნვა.

იგივე ოტარიდის სტროფი გამოყენებულია აგრეთვე იმისთვის, რომ დადგენილ იქნეს მზის ადგილი ცთომილთა „რ“ (რუსთაველის) რიგში. ავტორი წერს: „მერკურისადმი წარმოთქმულ ამ ვედრებაში პლანეტა მერკური და მზე ორივეა მოხსენებული. პირველად დასახელებულია მერკური, რომელსაც უშუალოდ უგალობს ავთანდილი, ხოლო მზე ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომ ზუსტად არის განსაზღვრული მისი ადგილი მნათობთა შორის“[9].

მთვარის სტროფშიც არის ნახსენები მზე და ამავე დროს ორჯერ („მზე გამავსებს, მზევე გამლევს“) და ასეთივე უფლებით იქიდანაც შეეძლო მზის ადგილის დადგენა. ცნობილია, რომ ავთანდილი იწყებს მზიდან და თითოეულ ცთომილს თითო სტროფს უძღვნის. მგონი არავინ დაეთანხმება გ. თევზაძეს, რომ ერთი სტროფი ორი მნათობისთვის მიძღვნილად ჩაითვალოს, ხოლო მზის სტროფი უყურადღებოდ დარჩეს მიტოვებული, რადგან ხელს უშლის „რ“ რიგის დადგენაში. ამასთან შევნიშნავთ, რომ მაშინ მანძილების განსაზღვრა არ იცოდნენ და ვერ გაარკვევდნენ ცთომილთა მაქსიმალურ დაშორებას დედამიწიდან, რასაც თითქოს ემთხვევა „რ“ რიგი. „სიჩქარეთა ეფექტის კანონით“ კი უნდა იყოს არა „რ“ რიგი, არამედ ჩვეულებრივი რიგი: მთვარე, მერკური, ვენერა, მზე და სხვა. როგორც ჩვენ ვწერდით ერთ სტატიაში[10], რიგი თუმცა დადგენილი იყო ხილული სიჩქარეების მიხედვით, მაგრამ შემდეგ მოხდა აბსტრაქცია და ის აღარ არის დამოკიდებული არც ხილულ სიჩქარეებზე და არც „ცთომილთა სფეროებზე“. მაგალითად, ცთომილთა რიგს ახლაც „ვიცავთ“ ჩვენ კვირის დღეების სახით[10], მაგრამ სრულიადაც არ ვუკავშირებთ მათ არც „ცთომილთა სფეროებს“ და

[8] გ. თევზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, გვ. 132.

[9] იქვე, გვ. 73.

[10] მ. იმნაძე, ცთომილთა რიგი ავთანდილის სიმღერაში, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1977, № 7, გვ. 49—53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ასტროლოგიურ ცრუმორწმუნეობას. და განა სამართლიანი იქნება, რომ ვინმემ მომავალში, ვთქვათ XXX საუკუნეში, ასეთი რამ მოგვაწეროს?

XII საუკუნეში ცთომილთა რიგი დიდი ხნის დადგენილი იყო და ის არ ასახავს რუსთაველის კოსმოლოგიურ შეხედულებას. რუსთაველის კოსმოლოგიური შეხედულების პროგრესიულობას სწორედ ცთომილთა რიგიდან მზის გამოყოფა გვიჩვენებს, რადგან იგი არ ყოფილა გონება შეზღუდული მოაზროვნე და ნათლად ხედავდა მზის დიდ მნიშვნელობას. ამიტომ უძღვნა მან მზეს სამი (955, 956, 957) სტროფი.

ცნობილია, აკადემიკოსი კ. კეკელიძე ამბობდა: „იყავით თავგანწირვამდე მოყვარული თქვენი ერისა და სპეციალობისა, ერიდეთ სენსაციებსა და რეკლამებს, მეცნიერებას ნუ გამოიყენებთ ცრუპატრიოტული სპეკულიაციისთვის“.

სწორედ ასეთი გაზვიადება მოსდის გ. თევზაძეს, როცა შემთხვევით ნათქვამი ნახევარი სტრიქონიდან „მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს“ გამოჰყავს ინერციისა და მიზიდულობის კანონები და გეოჰელციოცენტრული სისტემა. გავიხსენოთ ისტორია.

კოპერნიკის წიგნი სამყაროს ახალი სისტემის შესახებ გამოვიდა 1543 წელს. ამის შემდეგ დაიწყო ძიება მოძრაობის კანონების აღმოჩენისთვის. XVII საუკუნის დასაწყისში გალილეიმ შეისწავლა დახრილ სიბრტყეზე მოძრაობა და ჩამოაყალიბა ინერციის კანონი. ცოტა ხნის შემდეგ კეპლერმა დაადგინა ცთომილთა მოძრაობის კანონები. თუმცა მან იცოდა (გალილეის შემდეგ) ინერციის კანონი, მაგრამ ვერ შესძლო მიზიდულობის ბუნების გარკვევა. შემდეგ ბევრი ცდილობდა მიზიდულობის კანონის აღმოჩენას, მაგრამ მხოლოდ ნიუტონმა მოგვცა ის 1687 წ. თავის ცნობილ წიგნში („ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საფუძვლები“). ამრიგად, ინერციის კანონიდან მიზიდულობის კანონის აღმოჩენამდე თითქმის 100 წელი დასჭირდა მეცნიერებას. რუსთაველს არ ჰქონია ნიადაგი მომზადებული, — არც კოპერნიკი უსწრებდა წინ, არც გალილეი, არც კეპლერი, და უცბად თითქოს ორივე კანონი აღმოაჩინა. ეს არის სწორედ სენსაცია და გაზვიადება. მართალია, რუსთაველი გენიოსი იყო, მაგრამ კოპერნიკი, გალილეი და კეპლერიც გენიოსები იყვნენ თავიანთ დარგში.

გაზვიადება და კატეგორიული განცხადება ახასიათებს გ. თევზაძეს არა მარტო კოსმოლოგიურ თეორიებში, არამედ უბრალო საკითხებშიც. მაგალითად, 63 გვ-ზე ის წერს: „მთელი პოემა რომ გასინჯოთ, მისი ყოველი სტრიქონი თუ გამოთქმა, დარწმუნდებით, რომ მასში არ არსებობს არამცთუ შეთხზული მოვლენა, არამედ მოვლენის მცირედი ნაწილიც კი“. რას ნიშნავს ეს? ან როგორ მიხვდა ამას თევზაძე და როგორ შეამოწმა? თუ არ ვცდები, ჯერ არც ერთი მწერალი და პოეტი არ არის ცნობილი რაიმე რომ არ ჰქონდეს მოგონილი და შეთხზული.

83 გვ-ზე ვკითხულობთ: „მზე რომ „ჩვეულებრივ ასტრონომიულ ღმერთად“ დაესახათ, ამის შესახებ ასტრონომიის ისტორიაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ თუ ამ გამოთქმას ასტროლოგიური თვალსაზრისით მივიჩნევთ, მაშინ ასევე უნდა არსებობდეს ღმერთი — მთვარე, ღმერთი — პლანეტები, ღმერთი — ვარსკვლავები და ყველა ამ ღმერთს უნდა გააჩნდეს თავისი შესაბამისი ძალა“. ისტორიაში ეს სწორედ ასეა ცნობილი (მხოლოდ თვლიდნენ არა „ასტრონომიულ ღმერთებად“, არამედ უბრალოდ ღმერთებად). „ასტროლოგია წარმოიშვა ღრმა წარსულში ციურ მნათობთა გაღმერთების საფუძველზე“[11]. ეგვიპტეში ღმერთებად ჰყავდათ მიჩნეული მზე, მთვარე, ნილოსი და სხვა. ბაბილონში (და ქალდეაში) გაღმერთებული ჰყავდათ მზე, მთვარე და ხუთი ცთომილი. ქრისტიანობის შემდეგ მრავალღმერთიანობა აღარ გვხვდება როგორც ძირითადი რელიგია, მაგრამ ასტროლოგიური იდეები მაინც ფართოდ იყო გავრცელებული.

„ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება მნათობთა გაღმერთების კვალი ავთანდილის სიმღერის სახით. გ. თევზაძე ამ სტროფებს ნაწილობრივ ასტროლოგიურად თვლის და ნაწილობრივ ასტრალურად. გარკვევით არ ამბობს, რომელია ეს ასტრალური ნაწილი, მაგრამ მისი დახმარებით როგორღაც გამოყავს მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

შევნიშნავთ რომ ასტროლოგიურს და ასტრალურს აქვს საერთო საფუძველი: ორივე ემყარება მნათობის ხილულ მოძრაობას. მაგრამ ერთი იყენებს მას ადამიანის (და სახელმწიფოს) ბედის „გასაგებად“, ხოლო მეორე ასტრონომიული ცოდნის დასადგენად. პირველი მნათობებს გაცოცხლებულად წარმოიდგენს, ღმერთის სახით; მეორე კი მათ არ თვლის ცოცხალ არსებად. ავთანდილი მათ ევედრება და დახმარებას სთხოვს და, ცხადია, აქ ძირითადი ასტროლოგიური მომენტია, ვინაიდან გრავიტაციის ცენტრებს (რადაც თითქოს რუსთაველი

[11] Б.С.Э, II, გვ. 342.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლის მნათობებს) არავინ არ ევედრება. გაღმერთებულ მნათობებს მართლაც აქვს „თავისი შესაფერი ძალები“, მაგრამ ეს ძალები მაგიური ანუ ჯადოქრული ძალებია და არა მიზიდულობის ძალები, როგორც ამას ფიქრობს გ. თევზაძე.

გ. თევზაძის აზრით, ვედრების შექმნა ძირითადად ორი პირობის ზუსტი დაცვით უნდა მომხდარიყო: მნათობთა თანმიმდევრული დასახელება — რიგი, უნდა ექვემდებარებოდეს მათ სიჩქარეთა ეფექტის კანონს; ვედრების სურათი უნდა იყოს რეალური“[12]. ამის შემდეგ აღწერილია 1966 წლის 15 აგვისტოს ღამე და ნაჩვენებია, რომ მნათობები ამოდიოდნენ იმ თანმიმდევრობით (მზის გამოკლებით), როგორც უმღერის მათ ავთანდილი. მკითხველი იფიქრებს — რა „რეალურია“ ეს სურათი, რუსთაველი ხომ XII საუკუნეში ცხოვრობდა და არა XX-ში? მაგრამ ავტორი გვამშვიდებს: „ამგვარი ციური მოვლენები მარად ზუსტად განმეორებადიაო“. თუ ეს ასეა, მაშინ ავტორი უნდა ცდილიყო კიდევ ერთი აღმოჩენა მოეხდინა რუსთველოლოგიაში. უბრალო არითმეტიკული გამოთვლით უნდა დაედგინა, თუ როდის განმეორდა წინათ, თამარის მეფობის დროს ასეთი ღამე (რადგან რუსთაველი მოღვაწეობდა თამარის მეფობის დროს) და მაშინ იქნებოდა დაწერილი „წასვლა ავთანდილისა ფრიდონისასა“. მივმართოთ რიცხვებს.

მთვარის სინოდური S შემობრუნება (როცა ჩვენთვის მეორდება მისი ხილული მდებარეობა ცაზე) წარმოებს 29,53059 დღე-ღამეში. ცთომილებისთვის ასეთი პერიოდები ამოვწეროთ ზოგადი ასტრონომიის სახელმძღვანელოდან[13]: მერკურის $S_1 = 116$ დღეღამეს (2. 2. 29), ვენერას $S_2 = 582$ დღ. (2. 3. 97), მარსის $S_3 = 780$ დღ. (2. 2. 3. 5. 13), იუპიტერის $S_4 = 399$ დღ. (3. 7. 19), სატურნის $S_5 = 378$ დღ. (2. 3. 3. 3. 7.). ცთომილთა მდებარეობა რომ განმეორდეს, უნდა ვიპოვოთ მათი პერიოდების საერთო უმცირესი ჯერადი (ამიტომ პერიოდები ფრჩხილებში დაშლილი გვაქვს მამრავლებად). თუ გვინდა მთვარის ფაზებიც განმეორდეს, ცთომილთა პერიოდების უმცირესი საერთო ჯერადი უნდა გავამრავლოთ მთვარის სინოდურ პერიოდზე და გავყოთ წლის ხანგრძლივობაზე, ე. ი. 365 25 დღეღამეზე. გამოდის, რომ 1966 წლის 15 აგვისტოს ღამის მსგავსი სურათი იქნებოდა 212 000 000 წლის წინ, მაშინ, როცა ადამიანი (პითეკანთროპი) წარმოიშვა 2000000 წლის წინ. მხოლოდ სამი ცთომილის — მერკურის, ვენერასი და მარსის მდებარეობათა განმეორებისთვის საჭიროა 6008 წელი. ცხადია, 1966 წლის 15 აგვისტოს მსგავს ცის სურათებზე ავთანდილი ვერ იმღერებდა.

შეიძლება ვიფიქროთ, დაახლოებით 2—3 დღის განსხვავებით განმეორებაც საკმარისი იყოსო. შევნიშნავთ, რომ მერკურის მდებარეობა ამ მცირე დროშიც საკმაოდ შეიცვლება, მაგრამ მაინც ვსინჯოთ. ერთ-ერთი მნათობის მდებარეობა, მაგალითად, მთვარის მოცემული ფაზები შევუთავსოთ თამარის მეფობის შუა მომენტს და ვნახოთ, სხვა მნათობები როგორ მდებარეობას მიიღებენ. ავირჩიოთ თარიღი 1196 წლის 8 აგვისტო. სხვაობა ზემოთ აღნიშნულ თარიღსა და ამ თარიღს შორის უდრის 770 წელს + 7 დღ. = 281249,5 დღე-ღამეს. 9524 მთვარის თვე უდრის 9524×29,53059=281249,3 დღ., ე. ი. მთვარის ფაზები თითქმის ზუსტად განმეორდა. ამ პერიოდში მერკური შეასრულებს 2424 შემობრუნებას და მორჩება ნაშთი 65 დღ. ვენერას 483 პერიოდზე მორჩება ნაშთი 143 დღ. მარსს 360 პერიოდზე მორჩება 449 დღ. იუპიტერს 704 პერიოდზე მორჩება 353 დღ. და სატურნს 744 პერიოდზე მორჩება 17 დღ.

ამრიგად, მთვარის ფაზებს თუ შევუთავსებთ, ცთომილთა სინოდური პერიოდები საკმაოდ განსხვავებულ ნაშთებს გვაძლევს. ორი ცთომილის მდებარეობა შეიძლება განმეორდეს თამარის მეფობის რომელიმე წელს, მაგრამ ყველას განმეორება, თუნდაც დაახლოებით, შეუძლებელია. აქედან ცხადია, 1966 წლის 15 აგვისტოს ცის სურათები არაფერს არ ამტკიცებს და უადგილოდ არის მოცემული ტექსტში.

მზისა და მთვარის მოძრაობის საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ ავტორი წერს: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის ავტორი გეოცენტრისტია“[14] ამ დებულებაზე რომ შეჩერებულიყო ავტორი და გეოჰელიოცენტრულ სისტემას არ გამოედევნებოდა, ჩვენი აზრით, ნაშრომი დიდად მოიგებდა.

ყურადღებას იქცევს ფაქიზად შესრულებული ნახაზები და წიგნის კარგი გაფორმება. მსჯელობა კი, არ არის უნაკლო. რაიმე დებულება არაა „კარგად“ დამტკიცებული და მას-

---

[12] გ. თ ე ვ ზ ა ძ ე, რუსთაველის კოსმოლოგია, გვ. 69.

[13] ი. პ ო ლ ა კ ი, ზოგადი ასტრონომიის კურსი, თბ., 1955.

[14] გ. თ ე ვ ზ ა ძ ე, რუსთაველის კოსმოლოგია, გვ. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე დაყრდნობით ხდება ახალ საეჭვო დებულებაზე გადასვლა, აქედან კიდევ ახალზე და ა. შ. ზოგჯერ ძველი ასტრონომიული ცოდნა ისე არის გადმოცემული, თითქოს იგი რუსთაველის აღმოჩენილი იყოს და დაწვრილებით განიხილება. მაგალითად, მთვარის ფაზების ახსნა ცნობილი იყო არისტოტელეს დროიდან და ახლა მოყვანილია ყოველ სასკოლო სახელმძღვანელოში.

ჩვენი აზრით, ზედმეტი თეორიისა და იდეების მიკუთვნება რუსთაველისათვის ისეთივე საჩოთირო საქმეა, როგორც ყალბი ადგილების ავტორთა შემოქმედება. ამიტომ უნდა ვერიდოთ ისეთ გაზვიადებას, რომ თითქოს რუსთაველი 400 წლით უსწრებს თავის თანამედროვე მეცნიერებას და XII საუკუნეში უკვე გაუტოლდა კოპერნიკს, გალილეის, ნიუტონს და სხვებს. როგორც პოეტი და მოაზროვნე, რასაკვირველია, რუსთაველი გენიოსია. მხატვრული სახეებით და ბრძნული აზრებით დატვირთული მისი 16-მარცვლოვანი სტრიქონები ახლაც აღტაცებას იწვევს თანამედროვე მკითხველში და განაწყობს მათ კეთილი საქმეებისთვის. ამასთან იგი მოგვიწოდებს არჩეული საქმისადმი ერთგულებას:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს დასჯერდეს და მას უბნობდეს,
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“ (11).

კერძოდ, მისი აზრით, პოეტს მოეთხოვება, რომ ღირსეულად შეამკოს თავისი გმირები:

„ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“ (13).

რუსთველმაც მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია თავის პოემას შეალია და „მისგან კიდე“ არა უნდა რა პოეზიის გარდა. სრულიად არ არის მისთვის აუცილებელი, რომ მივაკუთვნოთ კოპერნიკის (ან ტიხო ბრაჰეს), გალილეისა და ნიუტონის აღმოჩენები, მით უმეტეს, რომ ახლა იგი უყვართ და აფასებენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოშიც.

ფასი 1 მან.

Индекс 76 198

ნ. 139/113

ეროვნული ბიბლიოთეკა